

ბერბუ ღელპრანრა

ფანტა-ჩელა

მთხრობა

თარგმნა ელიზბარ ზელბენიკაე

მისამარაში ზღვის თოლი-
ები ისე მწვავედ და გულ-
საკლავად არ გაჰკივიან, როგორც
სხვაგან. აქ ცა ფირუზისფერ ტბასა-
ვით ლივლივებს. ზღვის ზურმუხტო-
ვანი ტალღები ნაპირს ეხეთქებიან და
იკარგებიან ქოქაშკაშე ჰორიზონტ-
თან, ვენეციის ლაგუნიდან ილირიის
ყვაილოვან ველებამდე რომ არის
გადაშლილი. ზღვაზე გვერდიგვერდ
მისრიალებენ იალქნიანი ნავეები —
თითქოს გედები მიცურავენ ფრთებ-
გაშლილნი და წყალში ღრმად ჩა-
უყვიათ ნაცრისფერი თათები. აქ
მოგზაური თავს ისე გრძნობს, თით-
ქოს ნელა მოშარიშურე იალქნები,
კვიპაროსებითა და ფორთოხლის ხე-
ებით დამშვენებული ზღვის სანაპი-
რო სასიყვარულო სიმღერების ტკბი-
ლი ჰანგებით იყოს პირთამდე, საესე,
თითქოს ყოველ ნაბიჯს განცხრომა
და ნეტარება მოჰქონდეს.

როცა ბადე დამძიმდება, მეთევ-
ზეები ეწევიან თოკებს, ბრინჯაოს-
ფერი კუნთები ეძაგრებათ, ხოლო

თვალს ჰკიდებენ თუ არა თევზს,
ხტუნვითა და კუდის ტლაშუნით
რომ მოექანება, უმაღლ ამღერდებიან.
ოდინდელი მათი სიმღერა წყლის
ხმაურს ერთვის.

Evviva * ბედნიერ მხარეს, სადაც
თბილი და ალერსიანი ნიაგი მსუბუ-
ქად დანავარდობს. ვიდრემდე ბლო-
მად იქნება აქ თევზი, ვიდრემდე
მზით იქნები გაბრწყინებული, ისრი-
ალებენ ჩვენი მარჯვე ნავეები თვით
ადრიის ნაპირებამდე.

ბედმშვენიერო დაისო, შენ სიბლაგ
და იზიდავ ყოველივე ცოცხალს, რა-
იც ზღვათა სიღრმეში სულდგმუ-
ლობს, შენი წყალობით ივსება ჩვე-
ნი ვეება ბადეები თევზით, ჩვენს
მხარეში იშვიათად ქრის უტეხი ქა-
რი, ღრუბლებიც ჩამოწვებიან თუ
არა, უმაღლ იფანტებიან, ელვისებუ-
რად დასცხებს წვიმა, მაგრამ უმაღ-
ვე გადაიღებს. Evviva!..

ჩვენი ცა უწყინარი ბავშვივითაა,

* გაუმარჯოს (იტალ.).

ტირის და მაშინვე იცინის ცრემლიანი თვალებით. Evviva, ბედნიერო მიწიერო სამოთხევ!.. კირქვისა და ქვაკლდოვან ქარაფებს შორის მეთევზეები მეჩეჩზე ისვენებენ. ისინი უდარდელად ხარხარებენ, ღეჭავენ თამბაქოს და ლაზათიანად იფურთხებიან. თავზე ახურავთ გვერდზე გადაწეული მუქი ლურჯი ნაბდის ქუდები; აცვიათ მუხლებამდე აკეცილი შარვლები, ჯვალოს ხალათები ფართოდ გადაუღელავთ მკერდზე და ქერა ბანჯგვლები მოუჩინო. ისინი წვერგაპარსულნი და გამხდრები არიან. ყურის ბიბილოებზე ვერცხლის საყურეები უბრწყინავთ.

იქვე უწყვიათ ახალი თევზით სავსე კვრინჩხის დაწნული კალათები.

მალლობზე ცოლები ელიან, თავსახვევებს უქნევენ. ბავშვები ქარაფებიდან ჯგუფ-ჯგუფად ჩარბიან დაბლა და შორიდანვე ხმაელა ეკითხებიან, მოაქვთ თუ არა კიბორჩხალები, კიბოები და ზღვის ვარსკვლავები?!

მეთევზეებს კი თან მოაქვთ სახუმარო ამბები, სიმღერები და ლეგენდები. ახალგაზრდები უამბობენ, რა ქარტეხილები დასძლიეს, როგორი გოგოების გული დაიმონეს ტრიესტში და როგორ აჯობეს ზღვის ღორებს ცურვაში. მოხუცები კი ჰყვებიან კონდიტიერების სისასტიკეზე; იხსენებენ ლეგენდებს „სისხლიან კლდეზე“, „კაპიტან ჰიომბოს ჯვარსა“ და „ლაგუნის აჩრდილზე“, ვინც შუალამიდან მოყოლებული მანამ დაეხეტება, ვიდრე ცაზე ცისკრის ვარსკვლავი არ გაბრწყინდება ვერცხლის ფულის მსგავსად.

მხოლოდ მოხუცი ფანტა დგას ჩუმად, ძელქვის ბუჩქებით დაფარულ კლდოვან ქიმზე დაყრდნობილი. ჭაღარა თმა და წვერი ზღვის მარილით უბრწყინავს, თმის კულუ-

ლები ჩამოშლია თვალებსა და მზეზე გამხმარ ტყავით ჩამოხმარსა და ნაოჭებით დაღარულ პირისახეზე.

— შენ მღერა შეგიძლია, ფანტა, გუდასტვირიც გაქვს, აბა ერთი ისე გვიმღერე, რომ გორაკებმა და ზღვამ ბანი მოგვცეს!..

— გაიხსენე შენი ახალგაზრდობა, ბაბუა ფანტა!

— გეყოფა წუხილი მათზე, ვინც დაიღუპა. ქვეყნად ისე არაფერი ქრება, თავისი კვალი რომ არ დატოვოს!..

— დუმილი მაშინაც გეყოფა, როდესაც ნაზიარები შავი მიწით პირამოვსებული კუბოში განისვენებ!

— გვიმღერე, შენს საფლავზეც ხომ იმღერებენ კალიები, გველები და ბაყაყები!..

მოხუცმა ფანტამ ბრაზით გააქნია თავი და ჩააჩუმა თავისი მოქილიკე ამხანაგები.

— ეეჰ, ჩემი გუდასტვირი უკვე ნახევარი საუკუნეა, რაც სიცილს გადაეჩვია. ჩავბერავ ხოლმე, რომ ნეაპოლიტანური ტარანტელა დავამღერო, ის კი მაინც ტირის, ტირის ეს ჩემი გულის ნაღვლიანი მეგობარი.

მისი გუდასტვირი გაიბერა, როგორც ზღაპრული მხეცი და მისი გაბმული, ძლიერი ოხვრა ჰგავდა ზღვის სიღრმიდან ქარით მოტანილ ნაღვლიან ამბავს. მოხუც ფანტას თვალები აუელვარდა. წარსულის მოგონებებით შეპყრობილმა თავს გადამხდარი ამბავი მოგვითხრო:

— როდესაც ქვეყნიერება უდაბნოს არ ჰგავდა, მზე ორჯერ ამოდინდა და არასოდეს არ ჩადიოდა, ფანტა-ჩელა მხიარულად ცხოვრობდა უხის მაღალ ნაპირზე, მთების გადახრუკული იალაღებიდან მოერეკებოდა თხებს ნოყიერი ბალახით

სავსე მდებარეობებზე, დაფნის ხეების მოლურჯო ჩრდილში რომ ბიბინებდა. მისი გაშლილი თმა ლიმონზე უფრო სურნელოვანი და ოქროსფერი იყო, მისი თვალები კი ნათელი და უწყინარი, ციკორის ყვავილებზე უფრო ლურჯი და მშვენიერი!..

როდესაც იძინებდა, მის ლაწვებს ციკნები ეალერსებოდნენ, ვაზის თალებში მოქლურტულე ფრინველები კი აღვიძებდნენ. ის გასცქეროდა ცისარტყელას ყველა ფერით ალივლივებულ ვერცხლისფერ ბილიკს, ზღვის სწორ ზედაპირზე რომ გადაჭიმულიყო.

ფრთამახვილა ალბატროსები და თოლიები კისერმოღერებული მისრიალებდნენ ზღვის ზედაპირზე, მისდევდნენ თავიანთ მსხვერპლს. უბის ნაპირებზე გადაშლილი ზეთისხილის ბალები ჰაეროვან საკერებლებს წაგავდნენ მწვანე ყვავილოვან ტილოზე.

და ჩელა, თვალებბრიალა ჩელა, წელში ამაყად გამართული, იწყებდა სიმღერას. მისი ხმა ისე სასიამოვნოდ წკრიალებდა, როგორც მარმარილოზე დაცემული შადრევნის ნაკადი. მის სიმღერაში არ იგრძნობოდა არც აზრი, არც თანმიმდევრობა. ძნელი იყო მის ნათქვამს ჩასწვდომოდი, ძნელი იყო მისი გრძნობების შეცნობა. ზღვისა და ცის შუა კი სულ უფრო მძლავრად გაისმოდა ჩელას ხმა, ცივსა და გაურკვეველ ნაღველს რომ უმღეროდა.

კვნესოდა გუდასტვირიც, თითქოს ვინმე ახრჩობსო. მწუხარე ბგერები კი ერთმანეთს აღარ აცლიდნენ, ჩივილით იღვრებოდნენ ირგვლივ.

„საიდან გაჩნდი შენ, ჩელა, იმ ქვეყნის განძო, სადაც არაფერი მიწიერი არ არსებობს, სადაც არავი-

თარი სიბოროტე არ არის... საიდან მოხვედი, მითხარი?“

„მე იქიდან მოვედი, საიდანაც ყველანი მოდიან და იქ მივდივარ, სადაც ადამიანის ფეხი არ დადგმულა ჯერ“, — მიპასუხა ჩელამ, თანაც ჭრელი ხალებით მოხატულ თიკანს ეალერსებოდა, რქენით რომ ცდილობდა წაეყვანა იგი.

„მაინც სად მიდიხარ შენ, ჩელა, სად.“

„ამ ქვეყნის მიღმა, იქ, სადაც არავინ გამოძევება.“

„როდესაც მთების ქვაკლდოვან გამოქვაბულებში იმალები, ნუთუ არ გტანჯავს მარტოობა?“

„მე არ ვიცი, რა არის ტანჯვა, იმიტომ რომ ჩემთვის სიხარული უცნობია. მე არ ვტირი, იმიტომ რომ არასოდეს გამიცინია. წმინდა პეტრეს ჩიტები მოფრინავენ, სძლევენ ქარს, მოწმენდილ დარშიც და ქარიშხალშიც ისინი ერთნაირად უცვლელნი არიან, ო, ჰკითხე მათ, ბედნიერნი არიან ისინი თუ არა?“

„ეს მაინც მითხარი, ჩელა, როდესაც დღე ღამეს ერთვის, განა არა გრძნობ, გულის ცეცხლი როგორ გიწვავს ლაწვებს?.. და ამაყად არ უწვდი ხელებს იმ აჩრდილებს, შენვე რომ შექმენი?“

„ვინ გამამწარა, რომ მივუალერსო და დავამშვიდო? ან კი რატომ უნდა ვინაღვლო? მე ისიც მეყოფა, რასაც ვხედავ ჩემ ირგვლივ და რასაც ვისმენ. უასმინი თეთრი ფურცლების თაფლის სურნელებით ავსებს ჰაერს, გარიჟრაჟზე ტრიესტის მთებს მზე ლალისფერი არშიით რთავს, შუადღისას კი ცისარტყელას შლის, ზღვის ყოველ ტალღაში რომ ისახება. აი, ჩემი სიხარული, აი, ჩემი მწუხარება!“

„ჩელა, თუკი ვერც მეკობრემ,

ვერც მეთევზემ და ვერც მწყემსმა ვერ აგიჩქროლა გული, მაშ ვილას მოუხმობ შენს სიმღერებში? მაშ რაღად მღერი შენ?”

„მე იმიტომ ვმღერი, რომ ღმერთმა ხმა მომცა, ისევე, როგორც ვიცქირები და ვხედავ ყველაფერს, რადგან თვალები გამაჩნია. რატომ გვიმღერის ზღვა მარად და მარად თავის ზღაპარს? რატომ ხმიანობენ ჭრიჭინები, როდესაც დედამიწა ბნელში ეხვევა?“

„ჩელა, შენ ფიქრებში ჩაძირული შემომცქერი სწორედ ისე, როგორც სურვილის ნანგრევები, გულგრილად რომ გადასცქერის ისტორიის გადაშლილ სივრცეს, მაგრამ შენ რომ შეგეძლოს ჩემს თვალებში ამოიკითხო, რამდენი უძილო ღამე გამიტარებია, შეიძლება მოწყალება გაიღო და შემეყვარო. და იმ ტკბილი ფიქრით გატაცებული, რომ შენ ჩემი სახლის ზღურბლზე მელოდები, მე დავძლევდი ყველა ქარიშხალს, გავუსწრებდი ყოველ ჭეირანს!“

და როდესაც მე მოვეხვიე, მან თავი ჩაღუნა, მთელი სხეულით ათრთოლდა და თბილი ცრემლები გადმოეკიდა წამწამებზე. მისი აბრეშუმივით რბილი თმა კი პირისახეზე მომელამუნა.

„ვისაც უყვარს, ის არა კვდება!“

თვით ღმერთებსაც არ შეეძლოთ სიყვარულის ცეცხლის ჩაქრობა, სასთუმალზე ჩელას გვერდით ბედნიერება ესვენა და სიცოცხლის აზრი ნათლად წარმომესახა. ცა სულ უფრო მიახლოვდებოდა, როგორც თავზე გადმოხურული ცისფერი ჭერი, მისამარას დიდებული ბალები კი ოცნებად მეჩვენებოდა და სიცოცხლე მარადიულად წარმომედგინა...

ერთხელ მე ტრიესტისაკენ მივცურავდი, ზღვის ტალღებს მივაპობდი ნიჩბებით. მე მივქროდი ზღვის თო-

ლიებზე უფრო სწრაფად და ჩემს გულში ღვიოდა სურვილი იმისა, მთელი ქვეყნიერებისათვის მემცნო, რომ დაფნის ხეთა ჩრდილში, სადაც მე ჩელას დალალების ალერსში ვიძინებდი, დღეები და ღამეები არ იყო ისეთი, როგორც ყველგანაა, რომ სიცოცხლე გახლდათ ვარსკვლავთა ღიმილი და არა წამიერი ბედნიერება. მე რომ გულში დამემალა ის გრძნობები, მთელი კაცობრიობის ყველა გულიც რომ ვერ დაიტევდა, ბედნიერებისაგან მოგვკდებოდა. ოჰ, რატომ არ გადამისროლა ნავიდან ქარიშხალმა და არ გამხადა ზვიგენების კერძად? ჩემი სიცოცხლე არ ჩაკვდებოდა, ჩემი სიყვარულის უკანასკნელი თრთოლვა კი ტალღებზე, როგორც რბილ საწოლზე მიძინებულნი, მარად იარსებებდა მსგავსად სინათლის შუქისა, უსაზღვრო სამყაროს რომ გარს უვლის და არასოდეს ქრება!

— მომიტანეთ სისხლივით წითელი კიანტი*, დამისხით ბაროლი*, ვნებასავით რომ დუღს!

ასე ყვიროდნენ ჩემი მეგობრები, როდესაც მე ნავიდან ნაპირზე გადავხტი.

და ზნედაცემულ ქალებთან ერთად ბოთლს ბოთლზე ვცლიდი, სანამ უბის ჩაშავებულ ტალღებზე არ აინთო ტრიესტის შუქურას ოქროს ალი.

როდესაც შინ დავბრუნდი, შავბნელ წყვდიადს მოეცვა ჩემი გონება. მე შევეცადე წარმომედგინა ჩელა ჩვენი სახლის ზღურბლზე, მაგრამ თითქოს ტყვიით დამძიმებულ ჩემს გონებაში სალოცავად გადაქცეული მისი ხატება ენთებოდა და მყისვე ქრებოდა. როდესაც მე წარ-

* ღვინოების სახელებია.

მოვიდგენდი მის ოქროსფერ თმას, მაშინ პირისახე ნისლივით ბუნდოვანად მეხატებოდა, ხოლო თუ შევეცქეროდი ალმოდებულ ღაწვებს, მისი თვალები უმაღლესად ჭრებოდა.

ორჯერ შემიპყრო სიბრაზემ და ორჯერვე წამოვხტი ფეხზე. მე ხელებგაწვდილი შევეცქეროდი ჩემ წინ ნათლად მოგიზგიზე კერას, სადაც მელოდა ბედნიერება, მაგრამ თითქოს მორევში ინთქმებოდა იგი.

ქარიშხალი აზვავებდა შავბნელ ტალღებს, შავი მარმარილოსაგან ჩამოკვეთილ გორაკებს რომ ემსგავსებოდნენ, მრისხანედ მიაქანებდა მათ, ვიდრე არ მიამსხვრევდა ნაპირებზე, სადაც სტოვებდა მშაგად მოთუხთუხე მწარე ქაფს.

შუალამის გადასულს ურდული გადავწიე და კარი გავაღე. ღვთისმშობლის ხატის წინ მუხლებზე დაჩოქილი ჩელა ტიროდა.

— საიდან გაჩნდი შენ? — შემომძახა ატირებულმა, — რა შავბნელმა ვნებათა ღელვამ ჩაგიქრო თვალთა სინათლე?

იგი გაქრა ღამის წყვდიადში.

მე მას უკან დავედევნე. ტანჯვისაგან აღგზნებული თვალებით გავეცქეროდი შავბნელ სივრცეს, სიმწრისაგან ვიფერფლებოდი, მეორე ადგილზე გავშემდი. ვულტონის მარცხენა მხარეზე, ღამის წყვდიადში, თეთრად მოჩანდა ადამიანის სხეული და ჩელას ხმა ინთქმებოდა ზღვის ტალღების ღრიანცელში:

— ფანტა! ფანტა! ვისაც უყვარს, ის არ კვდება!..

გაისმა სხეულის დაცემის ხმა,

რაიც ჩანთქა ზღვის ტალღების ბობოქარმა შესულია.

მეორე დღეს მე ავედი ვულტონის ქარაფზე, საიდანაც ზღვა სარკვესავით სწორი და კრიალა მოჩანდა. არსად არ ჩანდა კვალი იმისა, სად დასამარდა გუშინ ჩემი ბედნიერება.

თქვენ, მეზღვაურებო, ქარიშხლებს რომ ამარცხებთ, რაც შეიძლება შორს გაექეცით ტრიესტს, გააპეთ მთები და მის ვულში შეინახეთ ყველა თქვენი უძვირფასესი საგანძური. ზღვათა შეიღებო, მხოლოდ იქ გადაურჩებით ქალაქელ ხალხს!

მოხუცი ფანტა გაჩუმდა და წარბები შეიკრა. მეთევზეები პირჯვარს იწერდნენ და ჩურჩულებდნენ: „საწყალი, ჭკუაზე აღარ არის!“ წასვლის წინ მოხუცმა გუდასტვირიდან ჰაერი გამოუშვა, გაისმა შესაბრალო-სი, გულისწამლები ბგერები, ყურს სჭრდა წვრილი ხერხის წრიპინის მსგავსად. მზე ჩაეშვა და სიჩუმეს მხოლოდ ფანტას ბუტბუტი არღვევდა:

— როდესაც ქვეყნიერება უდაბნოს არ ჰგავდა, მზე ორჯერ ამოდინოდა და არასოდეს ჩადიოდა, ფანტა-ჩელა მხიარულად ცხოვრობდა უბის მაღალ ნაპირზე, მთების გადახრუკული იალღებიდან მოერეკებოდა თხებს ნოყიერი ბალახით სავსე მდელოებზე, დაფნის ხეების მოლურჯო ჩრდილში რომ ბიბინებდა. მისი გამწვანებული თმა ღამისწინ უფრო სურნელოვანი და ოქროსფერი იყო. მისი თვალები კი, ნათელი და უწყინარი, ციკორის ყვავილებზე უფრო ლურჯი და მშვენიერი!..



რასულ გაგათოვი

ჩემი დაღესტანი

წიგნი მეორე

თარგმანს

თამარ ჩიჯავაძე და შოთა ნიშნიანიძე

პატარა გასაღებით დიდი სკივრის გაღებას შეიძლება, — იტყოდა ზოლმე მამაჩემი. დედა კი ნაირ-ნაირ ზღაპრებს მიამბობდა: „ზღვა ხომ დიდია? დიდია. მერედა საიდან გაჩნდა იგი? პაწია ჩიტმა პაწაწკინტელა ნისკარტი დაჰკრა მიწას და წყარომ ამოხეთქა, წყაროსგან კი ზღვა წარმოიშვა“.

დედაჩემი ამასაც მირჩევდა: „როცა თამაშით გულს მოიჯერებ, ირბენ და აწითლდები, იმდენ ხანს მაინც უნდა შეისვენო, სანამ მალლა ასროლილი ბოხოხი ჩამოვარდებოდეს ჩამოჯექი ცოტა ხანს, დაისვენე“.

ხალხმაც ასე იცის — ერთი მინდორი თუ მოჰხანი, რაც არ უნდა პატარა იყოს იგი, სანამ მეორეზე გა-

„პატარა ერს ხანჯალი უნდა ჰქონდეს დიდი.“
ასე თქვა შამილმა 1841 წელს.

„პატარა ერს მეგობრები უნდა ჰყავდეს დიდი.“
ასე თქვა აბუთალიბმა 1941 წელს.

დახვიდოდე, მიჯნაზე უნდა ჩამოჯდე და დაისვენო.

ორ წიგნს შორის შუალედიც ხომ ასეთი მიჯნაა? ჰოდა, მეც ავდექი და წამოვწექი ამ მიჯნაზე. ამივლიდნენ და ჩამივლიდნენ შორიახლოს მავანნი და მავანნი, მიყურებდნენ და ამბობდნენ, იმუშავა გუთნისდემ და დაიძინაო.

ჩემი მიჯნა ორ აულს შორის მოქცეულ ხეობასა ჰგავდა, ან ორ ხეობას შორის მოქცეულ ფერდობზე შეფენილ აულს.

ჩემი მიჯნა დაღესტანსა და მთელ სამყაროს შუა გავლებულ საზღვარს ჰგავდა. ვიწექი ამ მიჯნაზე, მაგრამ როდი მეძინა. იმ ბებერ მეღასავით ვიწექი, იხვის ჭუჭულებს რომ უთ-

ვალთვალებს შორიახლოდან. ცალი თვალი ოდნავ მქონდა მოხუჭული და ცალი — ოდნავ ღია. ერთი ყური თათზე მედო, მეორეზე კი თათი მქონდა დადებული. ამ თათს დროდადრო შეუმჩნევლად ავიღებდი ხოლმე და ვაყურადებდი; წაიკითხა ხალხმა ჩემი წიგნი? ამბობენ რამეს? რას ამბობენ?

აულის მაცნე მაღალი სახურავადან რომ გაჰყვიროს სხვადასხვა ამბებს, მანამ არ დაიძახებს ახალს, სანამ არ დარწმუნდება, რომ წინა ამბავი გაიგო ხალხმა.

ქუჩაში მიმავალმა მთიელმა თუ რომელიმე სახლიდან გამოსული მოლუშული, განაწყენებული ან გაბრაზებული სტუმარი დაინახა, თვითონაც არასდროს ესტუმრება იმ ოჯახს.

ვიწევი ორ წიგნს შუა და მესმოდა, რომ სხვადასხვაგვარად შეხვდა ხალხი ჩემს პირველ წიგნს.

ეს გასაგებიცაა — ზოგს ვაშლი უყვარს და ზოგს კაკალი. ჭამის დროს ვაშლს თლიან და კაკალს ამტვრევენ, საზამთროს და ჩესვს თესლი უნდა გამოაცალო. სხვადასხვა წიგნთანაც სხვადასხვანაირი მიდგომაა საჭირო. კაკლის გასატეხად სუფრის დანას არ ზმარობენ, არც კაკლის სამტვრევი გამოდგება ნაზი და სურნელოვანი ვაშლის გასათლელად.

სხვადასხვა მკითხველი სხვადასხვა ნაკლს პოულობს წიგნში. რას ვიზამთ, როგორც ამბობენ, უნაკლო მოლას ქალიც კი არ არისო. და ჩემს წიგნზე რაღა შეთქმის.

ასეა თუ ისე, დამთავრდა ჩემი შესვენება და მეორე წიგნს ვიწყებ. არ ვიცი, რამდენი მკითხველისთვის ვწერ მას. სიმრავლე ხომ არაფრის მთქმელია. ზოგიერთი წიგნი ასე ათა-

სობითაა გამოცემული, მაგრამ არავინ კითხულობს და ხელუხლებლად აწყვია მაღაზიის თაროებსა თუ ბიბლიოთეკებში. ზოგჯერ კი წიგნის ერთადერთი ცალი ხელიდან ხელში გადადის და ვინღა არ კითხულობს. მე კი არც ერთი მინდა და არც მეორე. მოხარული ვიქნები, თუნდაც ერთი კაცი თუ წაიკითხავს ჩემს წიგნს. მინდა ამ კაცს ვუამბო ჩემს პატარა, უბრალო და ამაყ ქვეყანაზე. ვუამბო, სად მდებარეობს იგი, რა ენაზე ლაპარაკობს მისი ხალხი, რაზე საუბრობენ, როგორ სიმღერებს მღერიან.

ყველაფერს ხომ ვერ მოგყვები. მოხუცები გვასწავლიდნენ: „ყველაფრის თხრობა მხოლოდ ყველას შეუძლია, შენ კი შენსაზე მოგვიყვი და მაშინ გამოვაო ყველაფერი. თვითეულს მხოლოდ თავისი სახლი უშენებია და ბოლოს აული გაჩენილა. თვითეულს კუთვნილი მიწა მოუხნავს და საბოლოოდ მთელი მიწა დახნულა.“

და აი დილაადრიან ავდექი, დღეს ჩემი პირველი ხნულის დღეა, ახალი მინდვრის ახალი ხნულის დღე. ასეთ დღეს ძველი ადათის მიხედვით მაგიდაზე შვიდი საგანი უნდა იდოს და შვიდივეს სახელი ერთი და იგივე ასოთი უნდა იწყებოდეს. აქეთ-იქით ვიხედები და ამ საგნებს ვპოულობ. აი ისინიც:

1. ფურცელი (სუფთა).
2. ფანქარი (წვერწათლილი).
3. ფოტოსურათი (დედაჩემის).
4. ფურცელი რუკისა (ჩემი ქვეყნის).
5. ფინჯანი ყავა (შავი, მაგარი).
6. ფიალა კონიაკი (დაღესტნური, ხუთვარსკვლავიანი).
7. „ყაზბეგი“ (პაპიროსი).

თუ არა ახლა, როდისღა უნდა დავწერო წიგნი?

კერა გაღვივდა, შუა ცეცხლზე ჩამოკიდებული ქვაბი თუხთუხს იწყებს. გარეთ წვიმს, ყუყუნა წვიმაში მზემ გამოაჭყიტა. ამბობენ, ასეთ ამინდში მხეცები მთებში ჯამბაზებავით ცეკვავენ შვიდფეროვან ცისარტყელაზე. ასეთი ამინდის დროს დედა ამბობდა: ცა წვიმის ძაფებითაა ნაკერი, ნემსები კი მზის სხივებიან.

დღეს მთებში გაზაფხულია, გაზაფხულის პირველი დღეა. გაზაფხულიც ჩემსავით პირველ კვალს ავლებს.

— მითხარი, დაღესტნის გაზაფხულო, გაქვს შვიდი ისეთი საჩუქარი, შვიდივეს სახელი ერთი და იგივე ასოთი რომ იწყებოდეს?

— როგორ არა მაქვს, — მპასუხობს გაზაფხული, — ეს საჩუქრები თვითონ დაღესტანმა მომართვა. აბა, თითებზე ჩამოთვალე:

1. ცია — ცეცხლი სიცოცხლისათვის, სიყვარულისა და სიძულვილისათვის.
2. ციარ — სახელი პატიოსნებისათვის, მამაცობისათვის, ადამიანის დასაძახებლად.
3. ციამ — მარლი ცხოვრების გემოსთვის, ცხოვრების ზომისთვის.
4. ცივა — ვარსკვლავი მაღალი სწრაფვისა და იმედებისათვის, ნათელი მიზნებისა და სწორი გზისათვის.
5. ციუმ — არწივი მაგალითისა და ნიმუშისათვის.
6. ციუმურ — ზანზალაკი, ზარი ზალხის თავმოსაყრელად.
7. ციალკიუ — საცერი, ცხრილი სალი მარცვლის უვარგისი და მჩატე ჩენჩოსგან გამოსარჩევად.

* ყველა ეს სიტყვა ავარულ ენაზე ერთი და იგივე ასოთი იწყება.

დაღესტანო! ეს შვიდი საგანი შვიდი ტოტია შენს ფესვმაგარ ხეზე. ჩამოურიგე ისინი შენ შვილებს, მაჩუქე მეც. მინდა ცეცხლი და მარლი ვიყო, არწივი და ვარსკვლავი, ზარი და ცხრილი ვიყო, მინდა პატიოსანი სახელი მქონდეს.

მაღლა ვიხედები და ცას ვხედავ წვიმითა და მზით, წყლითა და ცეცხლით ნაქსოვს. დედა მეუბნებოდა ხოლმე, თვით დაღესტანიც ცეცხლისა და წყლისაგან გაჩნდაო ძილის დროს.

მამა და დედა. ცეცხლი და წყალი

— ცეცხლს ნუ ეხუმრები, — ამბობდა მამა.

— წყალში ქვას ნუ ჩააგდებ, — მეხვეწებოდა დედა.

სხვადასხვა კაცი სხვადასხვანაირად იხსენებს თავის დედას. მე იგი მახსოვს დილით, შუადღით და საღამოს.

დილით იგი წყლით სავსე სურით ბრუნდება წყაროდან. როგორც უძვირფასესი რამ, ისე მოაქვს წყალი. აი, ამოიარა ქვის საფეხურები, სურა ჩამოდგა და კერიის გაჩაღებას შეუდგა. ელოლიავება ცეცხლს, როგორც უძვირფასეს რაიმეს, უცქერის შიშით თუ აღტაცებით. სანამ ცეცხლი გაჩაღდება, დედა აკვანს არწევს, არწევს როგორც უძვირფასეს რაიმეს. შუადღისას მიაქვს ცარიელი სურა და წყაროსკენ მიდის, მერე ცეცხლს აჩაღებს, აკვანს არწევს. საღამოს წყალი მოაქვს სურით, აკვანს არწევს, ცეცხლს აჩაღებს.

ასე საქმიანობდა დედა ყოველდღე გაზაფხულზე, ზაფხულში, შემოდგომასა და ზამთარში. საქმიანობდა აუჩქარებლად, დინჯად, თითქოს ყველაზე უფრო საჭირო, ყველაზე უფრო ძვირფას რაიმეს აკეთებდა.

წყლის მოსატანად მიდის, აკვანს არწევს, ცეცხლს აჩაღებს, წყლას მოსატანად მიდის. ასე ვიგონებ დედას. წყალზე რომ მიდიოდა, მიბარებდა: „ცეცხლს მიხედე“. ცეცხლთან რომ ტრიალებდა, მარბებდა: „სურა არ გადააბრუნო, წყალი არ დაიღვაროს“. მინანვებდა და ჩამჩურჩულებდა: „დაღესტნის მამა ცეცხლია, დედა კი — წყალი“.

ჩვენი მთები მართლა ჩამოგავს გაქვავებულ ცეცხლს. ჰოდა, მოდი ჩვენც ცეცხლზე ვისაუბროთ:

- ქვა ქვაზე დაკრული — ნაპერწკალს აჩენს,
- კლდე კლდეზე შეხლილი — ნაპერწკალს აჩენს,
- ხელი ხელს შემოჰკარ — ნაპერწკალს აჩენს,
- სიტყვაც გაკვესილი — ნაპერწკალს აჩენს,
- სიმი შეარხიე — ნაპერწკალს აჩენს,
- მომღერლის თვალებიც — ნაპერწკალს აჩენს.

მთიელის კრაველის ბოხობიც კი ნაპერწკლებს ისვრის, ხელს თუ გადაუსვამ.

როცა ბოხობიანი მთიელი სახლის სახურავზე ავა, მახლობელ მთაზე თოვლი დნობას იწყებს.

თვით თოვლიც ცეცხლის ნაპერწკლებივით ელავს. განთიადისას მთის თხემზე გადმომდგარი ჯიხვის რქებიც ცეცხლივით აფრქვევენ შუქს, ქარაფებიც აგიზგიზებულ ცეცხლში დნებიან.

ცეცხლია მთის ანდაზებშიც და მთიელი ქალის ცრემლშიც, შაშხანის ლულის ბოლოშიც და ქარქაშიდან ამოწვდილი ხანჯლის წვერზეც, მაგრამ ყველაზე უფრო კეთილი და თბილი ცეცხლი დედის გულსა და თვითეული ქოხის კერიაზეა.

როცა მთიელს თავის ქება უნდა, ასე ამბობს: „ცეცხლი ჯერ არავისთვის მითხოვიაო.“

როცა მთიელი ცუდსა და უჟმურ კაცზე ლაპარაკობს, ასე ამბობს: „მისი ბუხრიდან ამოსული კვამლი თაგვის კუდივით წვრილიაო“.

როცა ორი ხნიერი მთიელი ქალი ჩხუბობს, ერთი გაჰკივის: „ცეცხლი ნუმც დაგნთებოდეს კერიაზე“. „ის ცეცხლიც ჩაგქრობოდეს, ახლა რომ გინთია კერიაზე“, — პასუხობს მეორე.

კაცი კი არა, ცეცხლიაო, ამბობენ მამაცზე.

ერთი ახალგაზრდის ცივი და მოსაწყენი ლექსები რომ მოისმინა მამაჩემმა, თქვა: „ამ ლექსებში თითქოს ყველაფერია. ზოგჯერ კაცს სახლიც აქვს, კერაც, შეშაც, ქვაბიც და ქვაბში ხორციც, მაგრამ ცეცხლი არაა, ქოხში ცივა, ქვაბი არ ჩუხჩუხებს და ხორცი უგემურია. ცეცხლი არაა და სიცოცხლეც არაა. ასე რომ შენს ლექსებს ცეცხლი აკლია!“

ერთხელ შამილს ჰკითხეს: „გვითხარი, იმამო, პატარა, ნახევრად მშვიერი დაღესტანი საუკუნეების განმავლობაში როგორ უწევდა წინააღმდეგობას ძლიერ სახელმწიფოებს, როგორ გაუძლო ოცდაათი წელიწადი თეთრ მეფესთან ბრძოლას?“

შამილმა უპასუხა: „დაღესტანი ვერასოდეს ვერ გაუძლებდა ამ ბრძოლას, სიყვარულისა და სიძულვილის ცეცხლი რომ არ ნთებოდა გულში. ეს ცეცხლი ახდენდა სასწაულებს. სწორედ ეს ცეცხლია დაღესტნის სული, თვით დაღესტანი. ან მე ვინა ვარ, — განაგრძობდა შამილი, — გიმრელი მებალის შვილი. მე არც სხვაზე მაღალი ვარ და არც სხვაზე ბეჭებგანიერი. ბავშვობაში ერთი გალეული, სუსტი ბიჭი ვიყავი. მე რომ მიყურებდნენ, უფროსები თავს აქნევდნენ და ამბობდნენ, დიდხანს ვერ გაატანსო. თავდაპირველად ალი მერქვა, მაგრამ ავადმყოფობის

დროს შამილი დამარქვეს, იმ იმედით, ძველ სახელს ავადმყოფობაც თან გაჰყვებო. მე დიდი ქვეყანა არ მენახა, დიდ ქალაქებში არ ვიზრდებოდი, დიდი სიკეთისა და სიმდიდრის მფლობელი არ ვიყავი. ჩემი აულის მედრესში ვსწავლობდი. ერთხელ მშობლებმა ვირი შემიკაზმეს და თემირ-ხან-შურის ბაზარზე გამგზავნეს გიმრული ატმების გასაყიდად. დიდხანს ვიარე ვირით მთის ქვიან ბილიკებზე. და აი, რა შემემთხვა. დიდი ხნის წინათ მოხდა ეს, მაგრამ არ მაგიწყდება და არც მინდა დავივიწყო, იმიტომ, რომ მაშინ გაიღვიძა ჩემმა სულმა, სწორედ იმ წუთში ვიქეცი მე შამილად.

თემირ-ხან-შურის ახლოს, ერთი სოფლის თავში ანცი ბიჭები დამხვდნენ, ჩემი მასხრად აგდება უნდოდათ. ერთმა ბოხობის მომტაცა და გაიქცა. სანამ მე ბოხობის მომტაცებელს მივსდევდი, ბიჭებმა ხილიანი კალათები ჩამოხსნეს ვირს. ყველანი იცინოდნენ, ჩემი უმწეობა და დაბნეულობა ართობდათ. არ მომეწონა მათი ხუმრობა და აქამდე უცნობმა ცეცხლმა იფეთქა ჩემს სულში. თეთრი ძვლისტარიანი ხანჯალი დავაძვრე ქარქაშიდან, ბოხობის გამტაცებელს სოფლის კარიბჭესთან დავეწიე, ატალახებულ თხრილში წავაქციე და ყელზე ხანჯლის წვერი მივაბჯინე. ბიჭმა პატიება მთხოვა. — ცეცხლს ნუ ეხუმრები-მეთქი, ვუთხარი. ჭუჭყიან თხრილში დავტოვე და მივიხედ-მოვიხედე. ჩემი ატმების გადმომსრელები აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ. მაშინ მახლობელ სახურავზე ავედი და დავიძახე:

— ეი, თქვენ, თუ არ გინდათ, ჩემი ხანჯლის ცეცხლმა აგიწვათ მუცელი, ყველაფერი ისევე ჩამილაგეთ, როგორც იყო. — ამის გამეორება მეორედ არ დამჭირვებია.

იმავე დღეს ბაზარში გავიგონე, როგორ ამბობდნენ მოხუცები ჩემზე: „ჯერ სადა ხართ, ეს ბიჭი კიდევ ბევრჯერ გაგვახსენებს თავს.“

მე კი წარბებამდე ჩამოვიფხატე ბოხობი, ვირს დავუცაცხანე და გზას გავუდექი.

განა მე აყალმაყალი და ჩხუბი მინდოდა? თვითონ გამომიყვანეს მოთმინებიდან, ცეცხლი ამიგიზგიზეს გულში.

წლები გავიდა... ერთ დილას ბაღში ვმუშაობდი, მკლავები დაკაპიწებულნი მქონდა, ქვემოდან კლდეზე შავი მიწა ავიტანე და თვითეული ხის გარშემო დავყარე. მიწას ძველი ბოხობით ვეზიდებოდი. ამ დროისათვის უკვე რამდენიმე ჭრილობა მქონდა სხვადასხვა შეტაკების დროს მიღებული. ჰოდა, მოვიდნენ მთიელები სხვა აულებიდან, ძალზე შორეული აულებიდანაც კი და მითხრეს, ცხენი შეკაზმე და იარაღი აისხიო. ბრძოლა არ მეწადა და უარზე დავდექი. მებაღეობა მერჩივნა ომს. მაშინ აულებიდან წარმოგზავნილებმა მითხრეს:

— შამილ! უცხოთა ცხენები ეწაფებიან ჩვენ წყაროებს, უცხონი გვიქრობენ ლამპრებს. თვითონ შეჯდები ცხენზე თუ ჩვენ მოგეხმაროთ?

და ჩემს გულში იფეთქა ცეცხლმა, როგორც მაშინ, ბიჭებმა ბოხობი რომ მომტაცეს და ატმები გადამიყარეს. ეს ცეცხლი იმ ცეცხლს ჰგავდა, მაგრამ უფრო მწველი იყო. ბალიც დამავიწყდა და თავიც. არც წვიმას, არც ქარს, არც ყინვას არ შეუძლია იმ ცეცხლის ჩაქრობა, უკვე ოცდახუთი წელიწადი რომ დამაქროლებს მთებში. გიზგიზებს აულები, ხრჩოლავს ტყეები, ცეცხლი იკვესება ბრძოლის ველზე, გიზგიზებს მთელი კავკასიონი. აი რა არის ცეცხლი!“

ამბობენ, რომ დიდი ხნის წინათ, როცა მტრები საზღვრებს გადმილახავდნენ, ყველაზე მაღალ მთაზე კოშკის სიმაღლე ცეცხლს დაანთებდნენ თურმე. დაინახავდნენ თუ არა ამ ცეცხლს, ყველა აული თავის კოცონს ააბრიალებდა. იგი უხმობდა მთიელებს, რომ საომარ ცხენებზე ამხედრებულიყვნენ. ყველა ოჯახიდან მხედარი გამოდიოდა, ყველა აულიდან მხედრიონი. ცეცხლის ძახილზე გამოდიოდნენ ცხენოსნებიც და ფეხოსნებიც. სანამ მთებზე კოცონები ბრიალებდა, აულში დარჩენილმა მოხუცებმა, ქალებმა და ბავშვებმა იცოდნენ, რომ მტერი ჯერ კიდევ არ გასცლოდა დაღესტნის საზღვრებს. ჩაქრებოდა კოცონები და საშიშროებაც გავლილი იყო, მშვიდობა მეფობდა მამა-პაპურ მიწაზე. არაერთხელ აუბრიალებიათ მთიელებს მთის მწვერვალებზე ასეთი კოცონები.

ეს კოცონები საომარი დროებშიც იყო და ბრძანებებიც... მთიელებს ისინი თანამედროვე ტექნიკის: რადიოს, ტელეგრაფის, ტელეფონის მაგივრობას უწევდნენ. მთის ფერდობებზე ახლაც მოჩანს უტყეო ადგილები, თითქოს გიგანტური კამეჩები წვანანო.

მთიელები ამბობენ: ყველაზე უფრო საიმედო ადგილი ხანჯლისთვის ქარქაშია, ცეცხლისთვის — კერა და კაცისთვის სახლიო. მაგრამ ცეცხლი კერიიდან თუ გამოვარდება და მთაზე აბრიალდება, მაშინ ქარქაშიში მოსვენებული ხანჯალი ხანჯალი არაა, არც კერიასთან მიმჯდარი კაცია მაშინ კაცი.

დაღესტნელ მწყემსებს მოვალეობა მეტად მკაცრად აქვთ განაწილებული. ერთნი დილით მწყემსავენ ცხვარს, მეორენი ღამით ენაცვლებიან და ფარას მგლებისგან იცავენ.

მაგრამ არას მათ შორის კაცი, ვისაც არც ცხვარი ეკითხება და არც მგელი, მისი მოვალეობაა ცეცხლს მიხედოს. ის ცეცხლის დამცველია, მას ცეცხლფარეშსაც ეძახიან. არ შეიძლება მარტო ცეცხლის მოვლას ხელობა დაერქვას, მაგრამ შეღამებისას მწყემსები უეჭველად ირჩევდნენ ასეთ კაცს და ცეცხლის მოვლას ანდობდნენ.

საჭირო და ძნელი საქმეა! ცეცხლია თავი და თავი საჭმლის მომზადებაში, ცეცხლიდან მოდის სითბო, მშრალი ტანსაცმელი, სინათლე და ჩიბუხის გაბოლებაც, რაც აუცილებელია დინჯი ვაჟკაცური მასლაათისთვის. ცეცხლი მწყემსების კარგებში კი არაა, გარეთ ანთია და განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს. ხელისგულებით, ბოხობითა თუ ნაბდის კალთით იცავენ ცეცხლს ავდრისაგან, წვიმის, თოვლისა და ხანდახან ქარბუქისაგანაც.

მაგრამ განა არ შეიძლება ცეცხლის მიფარველები ვუწოდოთ მამაც ადამიანებს, პოეტებს, მომღერლებს, მთხრობელებს, მოცეკვავეებსა და მუსიკოსებს? ჩვენ ბევრი გვყავს, ვინც გულით ატარებს, უფროთხილდება და სხვას გადასცემს მარადიულ ცეცხლს, პოეზიის ცეცხლს, ერთგულების ცეცხლს, სამშობლოსადმი სიყვარულის ცეცხლს. ჩემს გულშიც ვგრძნობ ამ მარადიული ცეცხლის ნაპერწკალს და მოვალეობასაც ვგრძნობ, არ ჩავაქრო ეს ნაპერწკალი, გავაღვივო, ვაიძულო ანათოს და ჩემს უკან მავალს ესტაფეტასავით გადავცემ. გულში დანთებულ ცეცხლს ისევე უნდა გაუფროთხილდე, როგორც საკუთარ თავს უფროთხილდები და იცავ ჩვეულებრივი ცეცხლისგან.

დაღესტანულზე აულში სიმღერას ყოველთვის ხუმრობა მოსდევს, მუ-

სიკასა და ცეცვას—საუბარი. ცეცხლზე დახარჯული ამ მაღალფარდოვანი სიტყვების შემდეგ გიამბობთ, როგორ ეძებდნენ ჩვენში, დაღესტანში თოვლის კაცს. მე თვითონ ვარ იმ სეირის მომსწრე, ქაფთარის ანუ თოვლის კაცის მიძებნელ ვილაც მეცნიერ-მუშაკებს რომ დაემართათ.

ავარელებმა უთხრეს: „დარგინელებთან წადით, იქნებ იქ ბინადრობს, ვისაც თქვენ დაეძებთო“.

დარგინელებმა ლაკებთან გაგზავნეს ისინი, ლაკებმა — ლეკებთან, ლეკებმა — ყუმბიხებთან, ყუმბიხებმა — ნაგაიელებთან მინდორში, ნაგაიელებმა — ტაბასარანელებთან. მთელი დაღესტანი გადასერეს მეცნიერებმა და, გაწამებულნი, აულ კიკუნში გაჩერდნენ, სადაც, სხვათა შორის, ჩვენი გოლიათი ოსმან აბდურახმანოვი ცხოვრობს. შეიძლება ამ სტრიქონების მკითხველთაგან ზოგიერთს ნანახი ჰყავს ოსმანი ფილმში „განძთა კუნძული“, სამკაცს ერთად რომ ისვრის გემბანიდან ოკეანეში. ისე მოხდა, რომ მეცნიერებს მანქანა პატარა მდინარეში გაეჩხირათ აულ კიკუნთან. აწვებოდნენ მეცნიერები მანქანას წინიდან თუ უკნიდან, მაგრამ არაფერი გამოდიოდა. ოსმანი ამ დროს თავისი სახლის ბანზე იჯდა. როცა დაინახა, რა უმწეოდ ჯახირობდნენ მანქანასთან, ძირს ჩამოვიდა და დინჯი ნაბიჯებით მიუახლოვდა მათ. მოკიდა ხელი მანქანას, გაქონილ თიხის ჯამში ჩავარდნილ ასაფსავებულ ტარაკანასავით ამოიღო და მშრალ ადგილას დადო.

მეცნიერებმა ჩურჩული დაიწყეს, როგორც ჩანს, ეჭვი შეეპარათ, თოვლის კაცი ხომ არ მოვიდა დასახმარებლადო. ოსმანი მიუხვდა მათ და უთხრა:

— ტყუილუბრალოდ ეძებთ...

ჩვენ, მთიელები თოვლისგან კი არა, ცეცხლისაგან ვართ შექმნილნი. ცეცხლი რომ არ იყოს ჩემს ძარღვებში, როგორ ამოვატრევი თქვენს მანქანას? — მერე მშვიდად გაახვია პაპიროსი, ამოიღო კვესი, მოუკიდა აბედს, მოქაჩა პაპიროსი და ღრუბელივით გამოუშვა ბოლი. მაშინდა ამოხეთქა ბოლთან ერთად ოსმანის განიერ მკერდიდან ქუხილივით ხარხარმა. ასე გრუხუნებს ზვავი მთებში, ასე გრიალებს აზვირთებული წყალი, ქვებს რომ მიაგორებს, ასე აზანზარებს მთებს მიწისძვრა.

აბუთალიბმა ეს ამბავი რომ გაიგო, თქვა: „როგორ შეიძლება ტალახში არ ჩაიფლოს იმათი მანქანები, ვინც ასეთ ფუჭ საქმეს მოჰკიდებია“.

ინდოეთში ცეცხლის ზეიმს დავესწარი. რა კარგია, ასეთი დღესასწაულები რომ აქვს ხალხს. იქ ანთებული ლამპარი მაჩუქეს და მე დაღესტანში წამოვიღე, როგორც შორეული ქვეყნის სალამი ჩემი კლდოვანი ქვეყნისადმი. ხომ ზშირად ვამბობთ ხოლმე: „მხურვალე სალამი“, „მხურვალე სალამი გადაეცი“. შეიძლება იყო დრო, როცა ხალხი სალამის ნაცვლად ცეცხლს უგზავნიდა ერთმანეთს, მშვიდობის ცეცხლს, ომისა და ხანძრის ცეცხლს კი არა, სითბოსა და სინათლის ცეცხლს.

ჩვენში ერთი ადათია: ზამთრის პირველი დღის საღამოს (ზოგჯერ გაზაფხულის პირველი დღის საღამოსაც) მაღალმთიანი აულები კლდეებზე მისასალმებელ კოცონებს ანთებენ. თითო აული თითო კოცონს ანთებს. კოცონები შორიდან მოჩანს. ხეობებით, უფსკრულებითა და კლდეებით დაშორებული აულები ერთმანეთს ულოცავენ ზამთრისათუ გაზაფხულის დადგომას. ცეცხლიანი სალამი, ცეცხლიანი სურვი-

ლები! თვითონაც ბევრჯერ ამინთია ასეთი კოცონი აულ ცადაზე გადმომხობილ ხამირხოს კლდეზე.

შემთხვევით არ დაურქმევიათ დაღესტნის პირველი ქარხნისთვის „დაღესტნის ჩირაღდანი“.

ახლა კოცონებს ბევრი ახალი შუქიც მიემატა. თითქოს ხეებიაო, ისე თავისუფლად ჩამომსხდარან ჩიტები ელექტრობოძებზე. არც მტრედებს ეშინიათ კლდეების თავზე გაჩახჩახებული ელექტრონათურების.

ერთხელ დავინახე, როგორ იწვოდა კასპიის ზღვა. მთელი კვირა ვერ ჩააქრო ცეცხლი ტალღებმა. ეს ქალაქ იზბერბაშის ახლოს იყო. როცა ცეცხლმა ქრობა დაიწყო, გემის ჩაძირვის სურათი დამიდგა თვალწინ.

ზღვის ხანძარი შეიძლება ჩაქრეს, მაგრამ დაღესტნის გულში ანთებული ცეცხლი — არასოდეს. განა ადამიანის გულში აბობოქრებულ ცეცხლს წყლისა ეშინია? ის კი არაა, წყალს ეძებს, წყალს თხოულობს. განა გამშრალი, დახეთქილი, დაფიცხებული, შინაგანი ცეცხლისგან დამწვარი ტუჩები არ ჩურჩულებენ: „წყალი, წყალიო?“

მაშასადამე, წყალი და ცეცხლი ერთმანეთის თანამგზავრნი არიან. დედას ასე უყვარდა ხოლმე თქმა: „კერა ოჯახის გულია, წყარო კი — დაღესტნისა“.

მთები ცეცხლს თხოულობენ, ველები კი — წყალს. დაღესტანი ეს მთებიცაა და ველებიც. ის ცეცხლსაც თხოულობს და წყალსაც.

აულიდან გზაზე დამდგარი, ან გზიდან აულში დაბრუნებული კაცი თუ აულის თავში ისე ჩაიხედავს წყაროში, როგორც სარკეში, ეს იმას ნიშნავს, რომ გულით სიყვარულსა და ცეცხლს ატარებს. ასე სწამთ ჩვენში.

და განა მთელი დაღესტანი არ იხედება კასპიის ზღვის კრიალა სარკეში? განა ის წყლიდან ახლად გამოსულ წარმოსადგე ფიცხ ჭაბუკს არა ჰგავს?

როგორც მთიელი წყაროს, ისე გადამხობია დაღესტანი კასპიის ზღვას და მორთულობას ისწორებს, ულვაშებს იგრებს.

„ცხენიმც მოუკვდეს იმ მთიელს, ვინაც წყაროს წყალს წაბილწავს!“ ან კიდევ: „დაე, ყველა წყარო დაეშრობოდეს სახლის გარშემო.“ ასეთია მთიელების წყევლა.

აბა ახლა მთიელების ქება ნახეთ: „ეტყობა, ამ აულში კარგი ხალხია, წყარო და სასაფლაო სუფთად მოვლილი აქვთ.“

მრავალი წყაროა და ჭა ჩვენში დაღუპულთა პატივსაცემად, სახელებიც კი იმათი დაურქმევიათ: ალის წყარო, ომარის წყარო, ჰაჯი-მურატის ჭა, მაჰმუდის წყარო.

დილით ან საღამოთი, როცა მხარზე სურა შედგმული გოგოები წყაროზე მიდიან, ბიჭებიც იქით ეშურებიან საცოლეების ამოსარჩევად. რამდენი სიყვარული ანთებულია წყაროს პირას, რამდენი მომავალი ოჯახის საძირკველი ჩაყრილა აქ.

გსურს იცოდე, ვის ვუმღერი
ტანად ალვა, საროსტანს?
ყოველ დილა-საღამოთი ნახავ
სოფლის წყაროსთან.

ასე დაწერა ჩვენმა პოეტმა მაჰმუდმა.

ერთხელ მთებში მივდიოდი და გოცატლინის წყაროსთან შევიჩერდი. ვხედავ, მგზავრი დახრილია და პეშვით სვამს ანკარა წყალს, თან ამბობს:

— ოჰ, რა ნეტარებაა!

— ჭიქა ინებეთ, — შევთავაზებე.

— ხელთათმანებით ჭამას არა ვარ ჩვეული, — მიპასუხა მგზავრმა. მამაჩემს უყვარდა ხოლმე ამის თქმა: არც ერთი მუსიკა არ არის წვიმისა და მდინარის ხმაურზე უფრო ტკბილიო. არასოდეს არ მოგწყინდება მდინარის ცქერა და მოსმენა.

გაზაფხულობით, როცა მთაში თოვლი დნება, დედამჩემს საათობით შეეძლო ეცქირა ხეობისაკენ დაქანებული ნაკადულებისთვის. ჯერ კიდევ ზამთარში ამზადებდა დედა პატარა კასრებს, რომ ზაფხულობით საწვეთელში დაედგა და წვიმის წყალი შეეგროვებინა.

ჩემი ყველაზე დიდი სიამოვნებაც წვიმის გუბებში ფეხშიშველა ტყაპუნი იყო. წვიმის არ გვეშინოდა, წყალს გზას ვუღობავდით და საგუბარს ვაკეთებდით.

წარმომიდგენია, რამხელა სიამოვნებას განიცდიან ფრინველები, როცა ქვის ფიალებიდან წვიმის წყალს სვამენ.

„მართალია, მტერმა მთელი აული აიღო, მთელი ჩვენი მინდვრები ჩაიგდო ხელში, მაგრამ წყარო ისევ ჩვენია, ჩვენ გავიმარჯვებთ,“ — მიმართავდა შამილი თავის მებრძოლებს.

მკაცრი იმამი მტრის თავდასხმისთანავე ბრძანებდა უწინარეს ყოვლისა დაეცვათ აულის წყარო. როცა მოწინააღმდეგეს ესხმოდა თავს, ბრძანებდა, პირველ რიგში წყარო ჩაეგდოთ ხელში.

წინათ კაცი მდინარეში მობანავე მოსისხლეს თუ დაინახავდა, ხელს არ ახლებდა, სანამ წყლიდან არ ამოვიდოდა და იარაღს არ აისხამდა იგი.

მაგრამ მე ხშირად მახსენდება ერთი ადამი, კვლავ წყალს რომ უკავშირდება. ამ ადამის „წვიმის ჩოჩორს“ ეძახიან.

„შუადღის პაპანაქება დაღესტნის ხეობაში“ — ეს ტყუილად როდია დაწერილი. მცხუნვარე და გამომფიტველია ჩვენი შუადღე. მიწა იშაშრება, კლდე გავარვარებული ღუმელივით ხურს. ჭკნება ხეები, გადამხმარია მინდვრები. ყველა ციურ ნამს ნატრობს, წვიმას ევედრებიან ღმერთს ყველანი: მცენარეები, ფრინველები, ცხვრები და, რა თქმა უნდა, ადამიანები. ასეთ დროს ერთ ბიჭს აირჩევენ აულიდან და მზისგან დამჭკნარი ნაირ-ნაირი ბალახებით ინდიელივით მორთავენ. სწორედ ეს არის „წვიმის ჩოჩორი“. თოკჩაბმული დაპყავთ იგი ისეთსავე ბიჭებს, როგორც თვითონაა, სოფელ-სოფელ და გალობენ:

უფალო, უფალო, მოგვეცი წვიმა,
ხეებზე გააბი უთვალავ სიმაღ,
შხაპუნა, შხაპუნა მოგვე, უფალო,
ღელეში, გუბეში მზემ იჭყუმპალაოს.
ღრუბელო, ღრუბელო, გამოდი ცაზე,
ხნულები ცის ნამით ავსე და ავსე.
დაუშვი, დაუშვი წვეთები დიდრონი,
დაე, კვლავ აყვავდეს მდელი და
მინდორი.

აულის ასაკოვანი მცხოვრებნი ქუჩაში გამორბიან და „წვიმის ჩოჩორს“ ვინ სურიდან ასხამს წყალს და ვინ ტაშტიდან, თან ბავშვების სიმღერას ხმას აყოლებენ და გალობენ: „ამინ, ამინ!“

ერთხელ მეც ვიყავი „წვიმის ჩოჩორი“, იმდენი წყალი დამასხეს, რომ წვიმად იქნებოდა საკმარისი.

მაგრამ ცას იშვიათად თუ ესმოდა ჩვენი სიმღერები, მზე კვლავინდებურად აცხუნებდა, ცხელ უთოხავით აუთოვებდა დაღესტანს. მზე ნაღველს იწვევდა და ასეც ვეძახოდით „ნაღვლიანი მზე“. და იწვა მიწა ასეთი მზის ქვეშ ასეული წლები, ათასეული წლები. მთელ ევროპაში მზიანი დღეების ყველაზე დიდი ნა-

წილი აულ გუნებს ხვდება წილად. არც ჩემი აული ცადა ჩამორჩება გუნებს და არც სხვა აულები, ტყუილად როდი ეძახიან მათ მწყურვალებს.

დედაჩემის დაღლილი პირისაზე მახსენდება, აულიდან სამი კილომეტრით დაშორებული წყაროდან რომ ბრუნდებოდა ზურგზე სურა შედგმული, დოქით ხელში.

დედაჩემის მხიარული პირისაზე მახსენდება, როცა წვიმდა, როცა მიწა გაჟიებული იყო, საწვეთელში წყალი ჩხრიალებდა და ქვეშ შედგმული პირთამდე სავსე კასრებიდან მოდგაფუნებდა.

მახსენდება წელში მოკაკული მოხუცი ქალი საბიბატი. ყოველ დილით მხარზე წერაქვგადებული მიდიოდა აულიდან და ხან სად ჩიჩქნიდა მიწას და ხან სად. წყლის პოვნა ჰქონდა აკვიატებული და სულ იმის ძებნაში იყო. ყველამ იცოდა, ტყუილა რომ წვალობდა, მაგრამ არაფერს ეუბნებოდნენ. ერთადერთმა მე ტუტუცმა ბიჭმა ვუთხარი ერთხელ:

— ტყუილად წვალობ, საბიბატ დეიდა, ტყუილად იღლი თავს, აქ წყალს რა უნდა.

მამაჩემი სასტიკად გამიჯავრდა.

— კი მაგრამ, იქ მართლა არაა წყალი.

— ხანდახან პურიც არა აქვს ხალხს, მაგრამ დაცინვა შეიძლება? — დაიმახსოვრე, შვილო, არც სიღარიბის დაცინვა შეიძლება და არც იმათი, ვინც წყალს ეძებს.

— შენ არ დაწერე მხიარული ლექსები ინკვაჩულელებზე, ხიდის აწევა რომ უნდოდათ, იქნებ მეტმა წყალმა მოაღწიოს ჩვენამდეო?

— ეს ცრემლიანი სიცილია, შვილო, მაგრამ ახალგაზრდები ამას ვერ გაიგებთ. შენ ჯერ კიდევ არ იცი,

რას ნიშნავს დაღესტნისთვის წყალი. როგორ უნდა ენატრობოდე იგი დეიდა საბიბატს, რომ იქ ეძებდეს, საცა არ არის. ახლა კი ჯობია გაჩუმდე, წვიმა მოდის.

მართლა შრიალით მოდიოდა აუ-აუ წვიმა.

- ფრთხნებო, ფრთხნებო, რამ გაგაჩუმათ?
- წვიმა მოდის და ვუსმენთ შხაპუნას.
- მგოსნებო, მგოსნებო, რამ დაგადუმათ?
- წვიმა მოდის და ვუსმენთ შხაპუნას.

მამაჩემი ხშირად ამბობდა, რომ მისი ცხოვრების ყველაზე უფრო ბედნიერი დღე იყო ის დღე, როცა სოფელში შორეული მთებიდან წყალი შემოვიდა მილებით. ამ დრომდე მამაჩემი ყოველდღე წერაქვით მუშაობდა სხვებთან ერთად. კარგად მახსოვს ის დღე: წყალი რომ წამოვიდა, მამაჩემმა შიგ ყვავილების ჩაყრა-კი აკრძალა. აულელებმა ასი წლის ქალი შეარჩიეს, ვისაც პირველად უნდა აევისო სურა. მოხუცმა აავსო თუ არა სურა, პირველი ჭიქა მამაჩემს მიართვა. ორდენებისა და პრემიების პატრონმა მამაჩემმა თქვა: ასეთი ძვირფასი ჯილდო არასოდეს მიმიღიაო. იმავე დღეს ლექსები დაწერა წყალზე, ჩიტებს მიმართავდა, ნულარ იქებთ თავს, არც ჩვენა გვაქვს თქვენზე ნაკლები წყალიო. არც ერთ ქორწილსა თუ დღესასწაულზე არ მსმენია წყლის რაკრაკზე უფრო წკრიალა და ტკბილი ჰანგიო. გვარწმუნებდა, ვერცერთი იორლა, ვერცერთი ახალგაზრდა ფაშატი ვერ გაივლის ისე ნარნარად, როგორც წყაროზე მიმავალი ქალიო. იგი მადლობას უხდოდა წერაქვსა და ნიჩაბს, წყალსადენსა და რევოლუციას, იგონებდა იმ დროს, როცა ზამთარში თოვლს აღნობდნენ წყლის მოსამა-

რაგებლად. მაშინ მძიმე სურების წარამარა ზიდვით უდროოდ იკუზებოდნენ წელში ჩვენი ქალები.

ჭეშმარიტად, ეს დიდებული დღე იყო მამაჩემისთვის.

მახსენდება აგრეთვე ივლისის პანაქება მახაჩყალაში. მამა მძიმე ავადმყოფია, ექიმებითაა გარშემორტყმული. „ძალიან მიჭირს, თითქოს ათობით გაზი და მარწუხი მიქაჩავს სხეულს აქეთ-იქით“. წამალს აღარ სვამდა, ფიქრობდა, დაგვიანებულია და აღარას მარგებსო, ბალიშსაც კი აღარ გვასწორებინებდა. ძალზე ცუდად რომ შეიქმნა, დამიძახა და მითხრა:

— ერთადერთი წამალია, შვებას რომ მომგვრის.

— რა წამალია?

— ბუცრაბის ხეობაში პატარა ჭაა... წყარო... მე თვითონ აღმოვაჩინე... იმისი ყლუბი მომიტანე...

მეორე დღეს მთიელმა ქალმა სურით მოუტანა იმ წყაროს წყალი. მამაჩემმა თვალდახუჭულმა მოსვა და თქვა:

— გმადლობთ, ჩემო მკურნალო. არ გვიკითხავს, ვინ იგულისხმა: წყალი, მთიელი ქალი, შორეული ხეობის წყარო თუ მშობლიური მიწა, ეს წყარო რომ წარმოქმნა.

დღეა მეუბნებოდა: ყველას უნდა ჰქონდეს თავისი სანუკვარი წყარო. ამასაც მეუბნებოდა: მომკელი დაღლას ვერ იგრძნობს, მინდვრის ახლოს ცივი წყარო თუ მირაკრაკებსო.

ამბობენ, ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში შამილს და მის მასწავლებელს კაზი-მაჰომედს მტერმა ალყა შემოარტყა გიმრის ციხე-კოშკში. შამილი პირდაპირ მტრის ხიშტებს დაახტა და ხანჯლით გაიკათა გზა. ცხრამეტი ჭრილობა მიიღო მაშინ შამილმა, მაგრამ მაინც მოახერხა მთებში გაქცევა. მთიელებს დაღუპული ეგო-

ნათ და როცა კვლავ გამოჩნდა აულში, ძაბებით მოსილმა გაოცებულმა და გახარებულმა დედამ ჰკითხა:

— შამილ, შვილო, როგორ გადარჩი?

— მთაში წყაროს მივალწიე, — უპასუხა შამილმა.

მთიელებმა რომ გაიგეს, მათი მოხუცი იმამი არაბეთის უდაბნოში აქლემიდან გადმოვარდა და მოკვდაო, აულში ზღურბლზე ჩამომსხდარნი ამბობდნენ:

— ეჰ, ახლომახლო დაღესტნის წყარო რომ ყოფილიყო...

ნუხაში ჰაჯი-მურატის საფლავი ვინახულე, საფლავის ქვაზე წარწერა ამოვიკითხე: „აქ მარხია დაღესტნის ლომი“, ამ ლომის მოკვეთილი თავიც ვნახე.

— როგორ დაკარგე, თავო, სხეული?

— გზა ამერია, დაღესტნისაკენ, სამშობლოსაკენ, წყაროსაკენ მიმავალი გზა.

ჩემი აული მთის ძირასაა. მის წინ, პლატოზე, შორიდან მოჩანს ხუნძახის ციხე-სიმაგრე, ყოველი მხრიდან მოწიწებით დაშორებული აულები რომ არტყია გარს. ყოველი მხრისკენ სათოფურები დაუღრჭენია ციხე-კოშკს, მუქარით იხედება, მტერს აშინებს. ხშირად დაუშენიათ ამბრაზურებიდან ტყვიები დაუდგრომელი და ქედმოუხრელი მთიელებისთვის. არაერთხელ აფრთხილებულან ამ სროლის ხმაზე ჩემი აულის მტრედები.

ვისა აქვს ყველაზე უფრო საშიში მზერა და ყველაზე ძლიერი ხმა? — კითხულობდნენ მთიელები — ხუნძახის ციხე-სიმაგრეს.

ახლა კი ხუნძახის მრისხანება მხოლოდ ლეგენდებსა და თქმულებებშია შემორჩენილი. მისი სათოფურებიდან მოწაფეები ვაშლის ნარჩი-

ნებსა და თოვლის გუნდებს ვესრო-
დით ერთმანეთს. ზოგჯერ პიონერის
ლოროტოტოებსაც ვაყვირებდით და
ახლომახლო კლდეებში შეყუჟულ
მტრედებს ვაფრთხობდით. დიახ,
ხუნძახში იყო სკოლა, სადაც შვიდ
წელიწადს ვსწავლობდი.

სადაც არ უნდა ვმგზავრობდე,
სადაც არ უნდა ვიყო, მქუხარე სიმ-
ფონიისა თუ საცეკვაო მუსიკის ხმე-
ბი ჩემი ბავშვობის ვერცხლივით
წკრიალა მუსიკად ჩამესმის. სკოლის
ზარის მხიარული წკარუნი, განსა-
კუთრებით ის მხიარული წკრიალი,
გაკვეთილების დამთავრებას რომ
გვაუწყებდა, ის ახლაც მესმის, მაგ-
რამ დერეფნიდან ქუჩაში კი არ მიზ-
მობს, პირიქით, სკოლაში, კლასში,
საერთო საცხოვრებელში მიწვევს.

ოცდაათნი ვიყავით კლასში. თვე-
ში ერთხელ თითო მოსწავლეს გვან-
თავისუფლებდნენ გაკვეთილებიდან
და წყალს გვაზიდვინებდნენ. რამე
დანაშაულისათვის დასჯილებს ორ
დღეს გვიხდებოდა წყლის ზიდვა.
თუმცა მე დაუსჯელადაც ორ დღეს
ვეზიდებოდი სოლმე წყალს, რადგა-
ნაც ჩემი მეგობარი და შემცვლელი
აბდულგაპურ იუსუპოვი მაშინვე
ავად ხდებოდა, როგორც კი მისი
რიგი მოაღწევდა. მახსოვს, ჩემი
დღეები ყოველი თვის 7 და 8 რი-
ცხვი იყო.

წყარო ციხე-სიმაგრის მიღმა იყო.
წყაროზე წასვლა ადვილი გახლდათ,
ჯერ ერთი, ცარიელი ვედრო მიმქონ-
და და მეორე, მაგრად დაქანებული
ბილიკით მივდიოდი. ალბათ ძნელი
მისახვედრი არაა, რომ უკან დაბრუ-
ნება უფრო მიჭირდა. გარდა ამისა,
ვიწრო მოსახვევებში ალუმინის კა-
თხებით შეიარაღებული მწყურვალე
მოწაფეების ჯგრო მხვდებოდა, ეცე-
მოდნენ ჩემს ვედროს, ნახევარს შეხ-
ვრიბავდნენ და ნახევარს დამიღვ-

რიდნენ, — ადვილი როდი იყო იმათ-
გან თავის დაღწევა. მე კი ვალდებუ-
ლი ვიყავი სკოლაში წყალი მიმეტანა.

მრავალი ლეგენდა არსებობს ამ
წყაროზე. აი, ერთ-ერთი მათგანი, მა-
მა რომ მომიყვას.

ციხე-სიმაგრის კედლები ტყვი-
ებითაა დაკაწრული. კოშკებზე ბევრ-
ჯერ შენაცვლებიან ერთმანეთს მწვა-
ნე და წითელი დროშები. სამოქალა-
ქო ომის წლებში ციხე-სიმაგრე ხე-
ლიდან ხელში გადადიოდა, ხან თეთ-
რებისა იყო და ხან წითლების. ხან
გოცინსკი გამაგრდებოდა შიგ და ხან
მუსლიმ ატაევის პარტიზანები. ექვს
თვეს იცავდნენ პარტიზანები ციხეს
მტრისაგან. ყოველდღე ორი საათით
წყდებოდა სროლა. ამ საათებში ცი-
ხე-სიმაგრის მცველთა ცოლები
წყლის მოსატანად მიდიოდნენ. ერთ-
ხელ პოლკოვნიკმა ალიხანოვმა პოლ-
კოვნიკ ჯათაროვს უთხრა:

— მოდი, ნუ მივუშვებთ ქალებს
წყაროსთან. დაე, წყურვილით დაიღ-
რჩოს ატაევის რაზმი.

პოლკოვნიკმა ჯათაროვმა კი უბა-
სუხა:

— წყალზე მიმავალ ქალებს რომ
ვესროლოთ, მთელი დაღესტანი
ზურგს შეგვაქცევს.

ასე რომ სანამ ქალები არ დაბ-
რუნდებოდნენ, ორივე მხარე ნება-
უნებლიეთ დროებით ზავს იცავდა.

როცა ჩემს ავადმყოფ დედას
უთხრეს, შენმა შვილმა ლენინური
პრემია მიიღო, ამოიოხრა და თქვა
„სასიხარულოა, მაგრამ უფრო გამი-
ხარდებოდა, რომ გამეგო, შენი შვი-
ლი ღარიბსა და ობოლს დაეხმარაო.
ეს ფული რომელიმე წყლის მონატ-
რულ აულში არხის გაყვანას მოახმა-
როს, ხალხი შეაქებს. მამამისმა პრე-
მია რომ მიიღო, მთელი ფული ახა-
ლი წყაროების ძებნას მოახმარა. სა-
დაც წყაროა, იქ ბილიკიცაა, სადაც

ბილიკია — იქ გზაცაა. გზა კი ყველას და ყველაფერს ჭირდება. უგზო-უკვლოდ კაცი საკუთარ სახლსაც ვერ მიაგნებს და უფსკრულში გადაიჩეხება.“

მამაჩემი ხშირად მიმეორებდა, შენ იმ წელიწადს დაიბადე, როცა დაღესტანში პირველი არხი გათხარეს სულაყიდან მახაჩყალამდეო. „უწყლოდ სიცოცხლე არ შეიძლება“, — ფიცარზე დაწერილი ეს ლოზუნგები მიჰქონდათ მშენებლებს.

წყალი! აი, იცრემლება კლდეები, თითქოს ვიღაცის ძლიერი ხელით იწურებიანო. აი, ნაკადები გამალებით მოჩხრიალებენ მთიდან, ახტებიან ქვებს, ეშვებიან კლდეებზე, დაჭრილი მხეცებივით ღმუიან ვიწროებში, ბატკნებივით მიკუნტრუშობენ მწვანე ველებზე.

ოთხი ვერცხლის ქამარი არტყია ჩემს დაღესტანს, ოთხი კოიუსუ. ღვიძლი დებივით ხვდება მათ სულაყი და სამური და მერე ყველა ერთად ზღვას ეკონება.

ცეცხლი და წყალი ბედია ხალხისა, ცეცხლი და წყალი დედა და მამა დაღესტნისა, ცეცხლი და წყალი მთელი ჩვენი სიკეთით სავსე ხურჯინია.

ჩვენთან, დაღესტანში, მოხუცებთან და მარტოხელებთან ჭაბუკები და ქალიშვილები მოდიან ხოლმე მოსახმარებლად. პირველ რიგში შეშას ჩეხავენ ცეცხლისთვის და წყალი მოაქვთ სურებით. შავი ყორნები ანაზღად გრძნობენ, რომელ ქოხში ჩაქრა კერა, მოფრინდებიან და ყრანტალით იკლებენ იქაურობას.

ცეცხლი და წყალი, აი დაღესტნის ორი სიმბოლო, ორი ხელმოწერა.

დაღესტნური ზღაპრების ნახევარი მამაც ჭაბუკზეა შეთხზული, ვინც ურჩხული მოჰკლა და ხალხს

ცეცხლი მოუტანა, რათა აულში სითბო და სინათლე ჰქონოდათ.

ზღაპრების მეორე ნახევარი კი ჭკვიან ქალიშვილზეა, ვინც ურჩხულის დაძინება მოახერხა და აულში წყალი მიიტანა ხალხის დასარწყულებლად და მინდვრების მოსარწყავად.

მამაცი ჭაბუკისა და ჭკვიანი ქალიშვილისაგან დახოცილი ურჩხულები მთებად იქცნენ, ყავისფერ კლდიან ქედებად.

დაღ — მთას ნიშნავს, სტან — ქვეყანას. დაღესტანი — მთების ქვეყანაა, ქვეყანა — მთა. კლდეების ქვეყანაა, ამაყი ქვეყანაა დაღესტანი.

როგორც კითხვას სწავლობს ბავშვი, მეც ასევე ვმარცვლავ... ვწვალობ: და-ღეს-ტან-ი, და-ღეს-ტან-ში, და-ღეს-ტნის-თვის, და-ღეს-ტან-ო.

ცოტა ურჩხულის დახოცვა როდი დასჭირდა ამ პატარა ერს, მუდამ რომ ჰქონოდა ცეცხლი და წყალი. ახლა მდინარეები იძლევა სინათლეს, წყალი ცეცხლად გარდაიქმნება. ორი სიმბოლო ერთმანეთს ერწყმის.

კერა და წყარო ყველაზე უფრო ძვირფასი სიტყვებია მთიელისთვის. მამაცზე იტყვიან — კაცი კი არა, ცეცხლიაო. უნიჭო, უმაქნის კაცზე იტყვიან, ჩამქრალი ლამპააო. ცუდ კაცზე იტყვიან — ეგ ისეთი კაცია, წყაროშიც ჩააფურთხებსო.

ჩვენ კი ღვინიან სასმისს მაღლა ავწევთ და ვიტყვიან:

დიდება, ვინაც ღირსეულად აჟღერა ქნარი, კერა და წყარო ვინც ადიდა ღვთიური ძალით, ვინაც ოდესმე, თუნდაც ერთხელ აანთო კვარი, მიწა გადახსნა და ჩუხჩუხით ადინა წყალი.

ხნიერი მთიელი ახალგაზრდას ეკითხება:

— იგინახავს ცეცხლი, შევარდნილხალ ცეცხლში?

— ისე შევვარდნილვარ, როგორც წყალში.

— გიწვნივია ყიხულივით ცივი წყალი, ჩამხტარხარ შიგ?

— ისე ჩავმხტარვარ, როგორც ცეცხლში.

— მაშინ უკვე დავაჟკაცებულხარ, შეკაზმე ცხენი, მთებში მიმყავხარ.

ორი მთიელი წაიჩხუბა და ერთმა მეორეს უთხრა:

— განა ჩემი ბუხრიდან ამოსული კვამლი შენსაზე წვრილია: განა ვინმესთვის წყალი მითხოვნია? ასე თუ გგონია, კლდის უკან გავიდეთ, იქ მოვილაპარაკოთ.

კარებზე კი ასეთი წარწერა მინახავს: „კერაზე ცეცხლი გიზგიზებს, სტუმრად გვეწვიეთ“. აფსუს, რომ დაღესტანს არა აქვს ისეთი კარიბჭე, რაზედაც შეიძლებოდა წაგვეწერა: — „კერაზე ცეცხლი გიზგიზებს, სტუმრად გვეწვიეთ“.

ცეცხლი მართლა გიზგიზებს. ხუმრობითა და ცალყბად როდი გეპატიჟებით, ნუ მოგერიდებათ, მობრძანდით, კერაზე ცეცხლი ღაღანებს, და წყაროს წყალიც ანკარაა, გთხოვთ.

ს ა ხ ლ ი

ავარული სიტყვა „რიგი“ ასაკსაც ნიშნავს და სახლსაც. ეს ორი სიტყვა ჩემთვის ერთმანეთს ერწყმის. ასაკი სახლია. ასაკს თუ მიაღწევ, საკუთარი სახლიც უნდა გქონდეს. ამ ანდაზას ავარულად თუ გამოვთქვამთ (ჩვენ კი გვაქვს ასეთი ანდაზა) სიტყვების თამაში გამოვა, რაც არ გადაითარგმნება: „რიგ — რიგ“, ასაკი — სახლი.

დაღესტანმა უკვე დიდი ხანია სიმწიფის ასაკს მიაღწია და მტკიცე

და ღირსეული ადგილი უჭირავს მზისქვეშეთში.

მე ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე დედას:

— სად არის დაღესტანი?

— შენ აკვანშია, შვილო, — მპასუხობდა ჩემი ჭკვიანი დედა.

— სად არის შენი დაღესტანი? — ჭკითხეს ერთ ანდიელს. ანდიელმა დაბნეულად მიმოიხედა.

ეს ბორცვი დაღესტანია, ეს ბალახი დაღესტანია, ეს მდინარე დაღესტანია, ეს მთაზე დადებული თოვლი დაღესტანია, ან ეს ღრუბელი ცაზე განა დაღესტანი არაა?

— ჩემი დაღესტანი ყველგანაა, — უპასუხა ანდიელმა.

1921 წელს სამოქალაქო ომის შემდეგ ჩვენი აულები განადგურებული იყო. ხალხი შიმშილობდა, არ იცოდნენ, რა მოელოდათ. სწორედ მაშინ გაემგზავრა მთიელების დელეგაცია ლენინთან. წარგზავნილებს ხმაც არ ამოუღიათ ლენინის კაბინეტში, ისე დაიწყეს მსოფლიოს დიდი რუკის გაშლა.

— ეს რუკა რად გინდოდათ? — ფაიცინა ლენინმა.

— თქვენ იმდენ ხალხზე ზრუნავთ, ვერ დაიმახსოვრებთ, ვინ სად ცხოვრობს. ჩვენ კი გვინდა გაჩვენოთ, სად მდებარეობს დაღესტანი.

რამდენი არ ეძებეს, მაგრამ ვერ იპოვეს მთიელებმა მშობლიური მხარე, ვერ მიაკვლიეს რუკაზე, დაკარგეს მიწის პატარა ნაჭერი. ლენინმა მაშინვე უჩვენა მთიელებს რუკაზე ის, რასაც ეძებდნენ.

— აი, ესაა თქვენი დაღესტანი, — უთხრა და მხიარულად გაიცინა.

„ჰოო, თავიანი კაცი ყოფილა“, — გაიფიქრეს მთიელებმა და უამბეს ლენინს, „სახკომთან“ რომ იყვნენ. „სახკომი“ მთიელებს ეკითხებოდა, სად არის ეს დაღესტანო. ზოგი თა-

ნაშრომელი ამბობდა, დაღესტანი საქართველოშიაო, ზოგი კიდე — თურქესტანშიო. ერთი იმასაც ამტკიცებდა, სწორედ დაღესტანში ვებრძოდი ბასმაჩებსო.

ლენინმა კიდევ უფრო ხმამაღლა გაიციხა:

— სად, სად? თურქესტანშიო? საოცარია, დაუჯერებელი.

მაშინვე აიღო ყურმილი და იმ „სახკომს“ ელაპარაკა. აუხსნა, სად იყო დაღესტანი და სად თურქესტანი. სად იყვნენ ბასმაჩები და სად მიურიდები.

ლენინის ოთახში, კრემლში, ახლაც ჰკიდია კავკასიის დიდი რუკა.

ახლა დაღესტანი რესპუბლიკაა. დიდია იგი თუ პატარა, ამას მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენში ახლა არავინ აღარ იტყვის, დაღესტანი თურქმენისტანშიაო, მაგრამ შორეულ ქვეყნებში კი დამჭირვებია ამდაგვარი ახსნა-განმარტება:

— საიდან ჩამოხვედით?

— დაღესტნიდან.

— დაღესტანი... დაღესტანი...

სად არის ეს დაღესტანი?

— კავკასიაში.

— აღმოსავლეთში თუ დასავლეთში?

— კასპიის ზღვის სანაპიროზე.

— აჰა, ბაქო, არა?

— არა, ბაქო, არა, ეს ცოტა ჩრდილოეთითაა.

— ვინ არიან თქვენი მეზობლები?

— რუსეთი, საქართველო, აზერბაიჯანი...

— განა იქ ჩერქეზები არ ცხოვრობენ? ჩვენ ასე ვიცოდით.

— ჩერქეზები ჩერქეზეთში ცხოვრობენ, დაღესტანში კი დაღესტნელები ცხოვრობენ. ტოლსტოი... ჰაჯიმურატი... ტოლსტოი წაგიკითხავთ?

ბესტუჟევ-მარლინსკი... ლერმონტოვი... დაბოლოს:

— ეს იალბუზთანაა?

— იალბუზი ყაზარდო-ბალყარეთშია, ყაზბევი — საქართველოში, ჩვენ კი... ჩვენ აული იუნები გვაქვს და ცადა.

ასე მიხდება ხოლმე საუბარი ზოგჯერ რომელიმე შორეულ ქვეყანაში. მაგრამ ხომ იგაგიგონიათ, „მღვდელი, შენ გეუბნები და, დიაკვანო, გაიგონეო“. იქნებ ჩვენთანაც მოიძებნოს ისეთი ზერელე ვინმე, ვინც დღემდე ფიქრობს, რომ დაღესტანში ჩერქეზები ცხოვრობენ ან, უფრო სწორად, არაფერსაც არ ფიქრობს.

მე ხშირად მიხდებოდა შორს გამგზავრება, სხვადასხვა კონფერენციებსა, კონგრესებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება.

სხვადასხვა კონტინენტის ხალხი იყრის იქ თავს. ჩამოდიან: აზიიდან, ევროპიდან, აფრიკიდან, ამერიკიდან, ავსტრალიიდან. და იქ, სადაც კონტინენტებზეა ლაპარაკი, მე მაინც ვამბობ, რომ დაღესტნიდან ვარ.

— ევროპის წარმომადგენელი ხართ თუ აზიის? დააზუსტეთ, თუ შეიძლება, — მთხოვენ მე. — რომელ კონტინენტზე მდებარეობს თქვენი დაღესტანი?

— ცალი ფეხი ევროპაში მიდგას და ცალი აზიაში. ზოგჯერ ცხენს კისერზე ორი კაცი დაადებს ხოლმე ხელს ერთდროულად, ერთი — ერთი მხრიდან და მეორე — მეორე მხრიდან. ზუსტად ასე აქვთ დადებული ხელი დაღესტნის მთების ქედზე ორ კონტინენტს. ჩემს მიწაზეა შეერთებული მათი ხელები და მიხარია.

ფრინველები და მდინარეები, ჯიხვები, მელიები თუ ყველა დანარჩენი ცხოველი ერთდროულად ევროპასაც ეკუთვნის და აზიასაც.

ჩემი აზრით, მათ ევროპისა და აზიის ერთიანობის კომიტეტი აქვთ შექმნილი. მეც ჩემი ლექსებით სიამოვნებით იგავხდებოდი ასეთი კომიტეტის წევრი.

ზოგიერთები თითქოს ჯიბრით მეუბნებიან: „რას იზამ, აზიელი ხარ“ ან, პირიქით, სადღაც შუა აზიაში მეტყვიან: „რა უნდა მოგთხოვოთ, შენ ხომ ევროპელი ხარ“. არც იმათ ვამტყუნებ და არც იმათ, ყველა მართალია.

ზოგჯერ სიყვარულს უხსნი ქალს, ის კი თავს გადააქნევს და იტყვის: — ოჰ, ეს ცბიერი, ვერაფერ აღმოსავლეთი!

დაღესტნელმა სტუმრებმა თუ შენიშნეს რაიმე შენს ქცევაში, ისინიც თავს გადააქნევენ და იტყვიან: „ეს სულ ევროპული ოინებიაო“.

რას ვიზამთ, დაღესტანს აზია უყვარს, მაგრამ არც ევროპაა მისთვის უცხო. ის ორივე კონტინენტის მიწაში ფესვებგადგმულ ხეს ჰგავს.

კუბაში ფიდელ კასტროს ჩვენებური ნაბადი ვაჩუქე.

— ღილები რატომ არ აქვს? — მკითხა გაკვირვებულმა ფიდელმა.

— საჭიროების დროს სწრაფად რომ მოვიხადოთ და ხმალი ვიძროთ.

— ნამდვილი პარტიზანული ტანსაცმელია, — დამეთანხმა პარტიზანი ფიდელ კასტრო.

დაღესტნის სხვა ქვეყნებთან შედარებას აზრი არა აქვს. ის თავის ადგილზეც კარგად იგრძნობს თავს. ჭერიდან წყალი არ ჩამოდის, კედლები არ დაბრეცია, კარი არ ჭრიალებს და ფანჯრებში ქარი არ სისინებს. მთებშია ჩაკეტილი ჩემი დაღესტანი, მაგრამ სამაგიეროდ გული აქვს ღია.

— შენ ამბობ, რომ შენი მიწაა დიდი და ჩემი — პატარა? — ეკითხებოდა ანდიელი ერთ კაცს, — მა-

შინ დაგნაძლევედეთ, ვის მიწას უფრო მალე შემოვივლით ფეხით, შენ ჩემსას, თუ მე — შენსას. დავინახავ, როგორ ახვალ ჩვენს მწვერვალებზე, როგორ იფოფხებ ჩვენს კლდეებზე, როგორ იცოცებ ჩვენს ხეებში, როგორ იხობებ ჩვენს უფსკრულებში.

დაღესტნის ყველაზე მაღალ მწვერვალზე ავედი და აქეთ-იქით ვიხედები. შორეთში იკარგება გზები, ციმციმებენ ნათურები, კიდევ უფრო შორიდან ისმის ხარების რეკვა, ცისფერ კვამლშია გახვეული მიწა. კარგია სამყაროს ცქერა, როცა ფეხქვეშ მშობლიურ მიწას გრძნობ. კაცი რომ იბადება, სამშობლოს არ ირჩევს, შეხვედრაზეა. არც ჩემთვის უკითხავს ვინმეს, მინდოდა თუ არა დაღესტნელობა. დედამიწის სხვა კუთხეში რომ გავჩენოდი დედას და მამას, იმ მიწაზე უფრო ძვირფასი არა იქნებოდა რა ჩემთვის. მაშინ არ უკითხავთ, მაგრამ ახლა რომ მკითხონ, რა ფუპასუხო?

მესმის, შორს ფანდურს უკრავენ, ჰანგიც ნაცნობია და სიტყვებიც:

პაწაწინა რუები მუღამ ზღვებზე

ნაღვლობენ,

ზღვებიც გულისფანცქალით გასცქერიან მალლობებს.

ძმებო, გული იმხელა მაქვს, მკერდში აღარ მეტევა,

მაგრამ თურმე ეს საწყალი

ხელისგულზეც ეტევა.

შემოვივლი ამ ზღაპრულ, ამ დიდებულ სამყაროს,

მაგრამ ამ ჩემ დაღესტანს სიკვდილმაც ვერ გამყაროს.

მეფანდურე კი არა, თვით დაღესტანი ღალადებს თავისი პირით.

მე და ჩემი ფანდური ასე ვხვდებით ალიონს,

ვისაც მე არ მოვწონვარ,

ცივი წყალი დალიოს.

ძველებური ადათია: ზამთრის გრძელ ღამეებში ახალგაზრდები, ვი-

საც დიდი ბინა აქვს, მასთან იკრიბებიან და სხვადასხვა თამაშს აჩაღებენ. მაგალითად, დასვამენ სკამზე ახალგაზრდას, გარშემო ქალიშვილი უვლის და მღერის. ბიჭმაც სიმღერით უნდა უბასუხოს. მერე ქალიშვილს დასვამენ სკამზე, ახლა ბიჭი უვლის გარშემო და მღერის. ეს სიმღერები „შაირები“ არაა, მაგრამ რაღაც საერთო აქვს მათთან, მომღერლების თავისებური დიალოგი გამოდის. მოსწრებულ სიტყვას კიდევ უფრო მოსწრებულად უნდა უბასუხონ, სხარტი კითხვა კიდევ უფრო სხარტ პასუხს მოითხოვს. ვინც გაიმარჯვებს, ღვინით სავსე ყანწს მიართმევენ. ასეთი თამაში ჩვენი სახლის ქვედა სართულშიც იმართებოდა, მაგრამ პატარა ვიყავი და არ ვმონაწილეობდი, ვისმენდი მხოლოდ. მახსოვს, კერიის ახლოს ფუცხუნა ღვინო იდგა და შემწვარი შინაური ძეხვი იდო. ოთახის შუაგულში სამფეხა სკამს დგამდნენ. ქალიშვილები და ჭაბუკები ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, სხვადასხვანაირი სიმღერით ესიტყვებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ბოლო დიალოგი დაღესტანს ეძღვნებოდა. ამ კითხვებს ყველა იქ მყოფი ერთად პასუხობდა.

- სადა ხარ შენ, დაღესტანო?
- მდინარე კიოსუსთან, ციცაბო კლდეზე.
- რას აკეთებ, დაღესტანო?
- ულვაშებს ვიგრეხ.
- სადა ხარ, დაღესტანო?
- ველებზე მეძებე.
- მანდ რას აკეთებ, დაღესტანო?
- ქერის ძნებად ვარ შეკრული.
- ვინა ხარ, დაღესტანო?
- ხანჯლით აკუწული ხორცი ვარ.
- ვინა ხარ, დაღესტანო?

- ხორცის ამკუწავი ხანჯალი ვარ.
- ვინა ხარ, დაღესტანო?
- მდინარეს დაწაფებული ირემი ვარ.
- ვინა ხარ, დაღესტანო?
- ირმის დამრწყულებელი მდინარე ვარ.
- როგორი ხარ შენ, დაღესტანო?
- პატარა ვარ, ერთი მუჭა.
- საით გაგიწევია, დაღესტანო?
- უფრო დიდი რამე მინდა მოვიძიო.

ასე სიმღერით პასუხობდნენ ახალგაზრდები ერთმანეთს. ხანდახან მგონია, რომ ჩემს წიგნებშიც ასეთი კითხვა-პასუხებია, ოღონდ სკამზე ქალწული არ ზის, მის გარშემო რომ დავდიოდე. თვითონ ვეკითხები საკუთარ თავს და თვითონვე ვპასუხობ. არც არვინ მომართმევს ღვინიან ყანწს, მარჯვე პასუხიც რომ გამომივიდეს.

- სადა ხარ შენ, დაღესტანო?
- მე იქა ვარ, სადაც ჩემი მთიელებია.
- სად არიან შენი მთიელები?
- ოჰ, სადღა არ არიან ისინი ახლა.
- მსოფლიო დიდი ლანგარია, შენ კი მხოლოდ პატარა კოვზი. ძალზე პატარა ხომ არ არის ეს კოვზი ასეთი ლანგარისთვის?
- დედაჩემი ხომ მეუბნებოდა, პატარა პირსაც შეუძლია დიდი სიტყვის წარმოთქმაო.
- პატარა ხესაც შეუძლია დიდი ბალის გალამაზებაო, — ხომ მეუბნებოდა მამა.
- პატარა ტყვია დიდ გემს ხვრეტსო, — ხომ ამბობდა შამილი. შენ თვითონაც ამბობდი ლექსებში: პატარა გული უსაზღვრო სამყაროს და დიდ სიყვარულს იტევსო.

— ყოველთვის, როცა ჭიქას ასწევ, რატომ ამბობ სიკეთეს გამარჯოსო?

— იმიტომ, რომ სიკეთეს ვეძებ.

— რატომ აშენებ სახლებს ქვებსა და კლდეებზე?

— რბილი მიწა მენანება. იქ ცოტა პური მომყავს. ის კი არა და ბანებზეც პურს ვთესავ, კლდეებზე ამაქვს მიწა და ისე მომყავს პური. აი, ასეთია ჩემი პური.

დაღესტნის სამი საუნჯე

მთიელები გამუდმებით მოგზაურობენ. ერთნი სიმდიდრის საძიებლად დაადგებიან ხოლმე გზას, მეორენი დიდებისთვის და მესამენი სიმართლისათვის.

აი ისინი, ვინც სიმდიდრის საძიებლად წავიდა, დაბრუნდნენ საწადელასრულებულნი და ახლა თავიანთი ლაშქრობის შედეგით ტკბებიან.

აი, ისინიც, ვინც დიდებას ეძიებდა და მოიპოვა, ახლა მიხვდნენ, რომ დიდება არაფერს ნიშნავს და რომ ტყუილუბრალოდ დახარჯეს დრო.

იმათი გზა კი, ვინც სიმართლეს ეძიებდა, გრძელი და უსასრულო აღმოჩნდა. ვინც სიმართლის საძიებლად წავიდა, უსასრულო მოგზაურობისთვის გაწირა თავი.

როცა მთიელი სადმე მიემგზავრება, ცხადია, თან ვირი მიჰყავს. ამ კეთილ ცხოველს ზურგზე ყოველთვის სამი რამ ჰკიდია: რაღაც-რულაცეებით სავსე დიდი ტომარა, პატარა ტიკჭორა და პატარა დოქი.

ასეული წლები მოგზაურობს მთიელი აულიდან აულში, გადადის ოლქიდან ოლქში, წინ მისი განუყრელი ვირი მიუძღვება, ვირს კი ზურგზე ტომარა, ტიკჭორა და დოქი ჰკიდია.

ერთ მდიდარ ქვეყანაში, როცა მთიელი ვირს მოშორდა, მაძლარჰა უქნარებმა წვალემა დაუწყეს საწყალ ცხოველს — წვეტიანი ჯოხითა და ეკლებით ჩხვლეთდნენ, აიძულებდნენ ტლინკები ეყარა, ეგონათ, ვირი ცეკვავსო.

დაინახა მთიელმა, როგორ დასცინოდნენ მის ერთგულ მეგობარს. და ხანჯალი იშიშვლა:

— დათვის გაბრაზება გერჩიოთ მთიელის გაბრაზებას, — უთხრა მან.

ახალგაზრდა ტუტრუცანებს შეეშინდათ, პატიება სთხოვეს და ტკბილ-ტკბილი სიტყვებით ხანჯალი ქარქაშში ჩააგებინეს მთიელს. როცა მშვიდობიანი საუბარი დაიწყო, ახალგაზრდებმა ჰკითხეს:

— რა გაქვს აკიდებული ვირზე? მოგვყიდე.

— არც ოქრო გეყოფათ და არც ვერცხლი ამის საყიდლად.

— შენ ფასი თქვი და ეგ მერე ვნახოთ.

— ეს ფასდაუდებელი რამაა.

— ასეთი ფასდაუდებელი რა გაქვთ მაგ ტომარებში?

— ჩემი სამშობლო, ჩემი დაღესტანი.

— ვირზე აკიდებული სამშობლო, — გადაიხარხარეს ახალგაზრდებმა, — აბა გვაჩვენე, გვაჩვენე რა ეგ შენი სამშობლო.

მთიელმა ტომარას თავი მოხსნა და ხალხმა ჩვეულებრივი მიწა დაინახა.

უფრო სწორად, ჩვეულებრივი მიწა არ იყო, სამი მეოთხედი ქვა ერია.

— სულ ეს არის? ესაა შენი საუნჯე?

— დიახ, ეს ჩემი მთების მიწაა, მამაჩემის პირველი ლოცვა, დედაჩემის პირველი ცრემლი, ჩემი პირველი ფიცი, პაპაჩემის უკანასკნელი

დანატოვარი, უკანასკნელი, რასაც მე ჩემს შვილიშვილს დავუტოვებ.

— ეს რაღაა?

— ჯერ ტომარას მოვუკრა თავი.

ტომარას თავი რომ მოუკრა და ვირს აპკიდა, მთიელმა დოქს მოხსნა თავი. შიგ უბრალო წყალი იყო, თუმცა ცოტა მარილიანი გემო დაჰკრავდა.

— ეს რა წყალი დაგაქვს, დასალევადაც არ ვარგა.

— ეს კასპიის ზღვის წყალია. თითქოს სარკეაო, ისე იხედება ამ ზღვაში დაღესტანი.

— მაგ ტიკტორაში რაღა გაქვს?

— დაღესტანი სამი ნაწილისაგან შედგება. ერთი ნაწილი მიწაა, მეორე — ზღვა და მესამე — სხვა დანარჩენი.

— მაშ ტიკტორაში სხვა დანარჩენი გაქვს?

— ჰო, ასეა.

— კი მაგრამ რატომ დაგაქვს ეს ტვირთი?

— მუდამ თან რომ მახლდეს ჩემი სამშობლო. გზაში თუ დავეცემი, გულზე მშობლიურ მიწას დამაყრიან, საფლავის ქვას ზღვის წყალს დაასხურებენ.

მთიელმა ერთი მწიკვი მიწა აიღო, თითებში გასრისა და მერე დოქიდან წყლით ჩამოიბანა.

— ამას რილასთვის აკეთებ?

— უსაქმურებს შენახები ჩემი ხელები მხოლოდ ასე შეიძლება განიბანოს.

მთიელმა გზა განაგრძო, ის ახლაც გზაშია.

ამრიგად, სამი საუნჯე გააჩნია დაღესტანს: მთები, ზღვა და სხვა დანარჩენი. სამი სიმღერა აქვს მთიელს, სამი ლოცვა აქვს მლოცველს, სამი მიზანი აქვს მოგზაურს: სიმდიდრე, დიდება, სიმართლე.

დღედა შთამაგონებდა პატარას: დაღესტანი ფრინველია და სამი

ძვირფასი ბუმბული აქვს ფრთაში.

მამა ამბობდა: სამმა ოსტატმა სამი ძვირფასეულისგან შეკერა ჩვენი დაღესტანი.

ცხადია, სინამდვილეში გაცილებით მეტია ნივთი თუ საგანი, რისგანაც დაღესტანი შედგება. ეს მწარე გამოცდილებით ვირწმუნე.

ოცდახუთი წლის წინათ კინოსცენარის დაწერა დამავალეს დაღესტანზე და მეც დავწერე. მერე განიხილეს. ბევრი სიტყვა წარმოითქვა მაშინ.

ერთნი ამბობდნენ, ყვავილები აკლიაო, მეორენი — ფუტკრებიო, მესამენი ამბობდნენ, ხეები არ ჩანსო. ყველასათვის რაღაცა აკლდა სცენარს. ზოგისთვის წარსული იყო ნაჩვენები მკრთალად, ზოგისთვის — აწმყო. ბოლოს და ბოლოს გამოირკვა, რომ სცენარში ახალჩინის ვირი არ იყო თავისი ჩოჩორით და აბა ისე რა დაღესტანი იქნებოდა?! ყველაფერი რომ დამეწერა, რაზედაც მაშინ ლაპარაკობდნენ, ფილმის გადაღება დაღესტანს არ იქნებოდა დამთავრებული.

და მაინც სამი ნაწილისაგან შედგება დაღესტანი: მთების (მიწა), ზღვისა (კასპია) და სხვა დანარჩენისაგან.

დიახ, მიწა ეს მთებია, ხეობები, მთის ბილიკები, კლდეები და ეს მშობლიური მიწა წინაპართა ოფლითა და სისხლითაა მორწყული. არვინ უწყის ოფლი უფრო მეტი დაღვრილა აქ თუ სისხლი. ხანგრძლივი ომები, პატარ-პატარა შეტაკებები, მოსისხლეობა... მარტო სილამაზისთვის როდი ეკიდათ ხანჯლები მთიელებს ასეული წლების მანძილზე.

ასეთია ერთი ხალხური სიმღერა:

ერთი მუჭა მარცვალი სადაც დაითესება,
მამულისთვის მოკლული იქ მრავალი
მარხია,

ერთი კალთა მარცვალი სადაც
დაითესება,
იქ ჯიგიტი, იცოდეთ, ათასობით მარხია.

აი რას წერდა მამაჩემი ჩვენს
მშობლიურ მიწაზე:

ათასობით საფლავი სერზე ვერ დაეტია,
სადაც გარდაცვლილები მოკლულებზე
მეტია.

გეოგრაფიის სახელმძღვანელოში
მოკლე ცნობაა — დაღესტნის მიწის
მესამედი უნაყოფო კლდეებს უჭი-
რავსო.

მეც დავწერე ამაზე ლექსი:

იქ მზისგულზე ბალახ-ჩირგვი ჰკნება,
იქ რქასავით შიშველია ხეები.
აქლემების ქარავანს ჰგავს მთები,
ღრანტეებით დაღარულან ხეები.
როგორც მგლები, შესეულნი ფარებს,
რისის ქვებზე თარეშობენ ტალღები,
თათებს სცემენ და ყმუიან მწარედ
და კლდეები ლომის ხახას აღებენ.
ბილიკები რუებივით ირხევა,
ეთარგება შუქი შუქს და ფერი ფერს,
ფრინველივით აფრინდება სიმღერა
და სკუპ-სკუპით მიგვიძღვება სერი-სერ.

დილით რადიო იუწყება, რომ
ხუნზახში თოვს, ახტახში წვიმს,
დერბენდში გარგარი ჰყვავის, ყუ-
მუხში კი სიცხეებია.

ერთდროულადაა ზამთარი, შე-
მოდგომა, გაზაფხული და ზაფხული
პატარა დაღესტანში. წელიწადის ამ
დროებს მთები ანცალკევებენ, უდ-
რეკნი, მღუმარენი, მოგრუხუნენი,
საარწივენნი.

ავარული სიტყვა „მეერ“ მთა-
საც ნიშნავს და ცხვირსაც. მამაჩემს
უყვარდა კალამბური — მთები სამყა-
როს თვითვე მოვლენას, ამინდის
ყოველ ცვალებადობას ყნოსავენო.

დაბლობები ყალყზე შედგნენ,
რომ დაენახათ, ვინ მოდიოდა მათკენ.
ასე წარმოიქმნა მთები. ამას ჰაჯი-
მურატი ამბობდა.

მთასავით დიდი გაიზარდე, დამ-
ჩურჩულეხდა დედამიერი აკვანში ჩაკ-
რულს.

ო, ქარაფშუტა მთის ნაკადულო,
საით გარბინარ ცელქი ზვირთებით,
ამ მთების დალატს რატომ კადრულობ,
ან ვეება ზღვას რაში ჭირდები,
ო, გულო, გულო, უცნაური ხარ,
მკერდში ვერაფრით ველარ თავსდები,
ვისაც უყვარხარ, რად გაურბინარ,
ვინც არად გაგდებს — რად ეტმასნები?

როცა დოქების, ქოთნებისა და
ჯამების გამყიდველ ბალყარელებს
შეხვდებოდა ხოლმე დედა, ამბობდა:
„როგორ არ დაენანათ ამდენი მიწის
დახარჯვა? ზედაც არ უნდა შეხე-
დოს კაცმა მიწის გამყიდველს!“

ვის არ სმენია ბალყარელი ოსტა-
ტების ხელოვნება, მაგრამ მთაში, სა-
დაც ასე ცოტა მიწაა, ყოველთვის
მიაჩნდათ, რომ თვითონ მიწა უფრო
ძვირფასია, ვიდრე იმათი ნახე-
ლავი.

შორეულ წარსულში მაცნე მო-
ვარდა აულში. მამაკაცები ამ დროს
მეჩეთში იყვნენ და ნამაზს აღასრუ-
ლებდნენ. მაცნე მწყემსი იყო და
ქალამნებით შევარდა მეჩეთში.

— ეი, შე სულელო, რჯულის გა-
მტეხო, — დაუყვირა მოლამ, — გა-
ნა არ იცი, რომ მეჩეთში შესვლამდე
ფერხთ უნდა გაიხადო?

— ჩემს ქალამნებზე მშობლიური
ხეობის მიწა და მტვერია. ის ამ ნო-
ხებზე უფრო ძვირფასია, რადგან
სწორედ მას დაესხა თავს მტერი.

მთიელები მეჩეთიდან გამოცვივ-
დნენ და ცხენებს მოახტნენ.

„შორიდან მოსული სტუმარი უფ-
რო ძვირფასია“, ამის თქმა უყვარს
ხოლმე აბუთალიბს. შორიდან სტუ-
მარი დიდ სიხარულს, დიდ სიყვა-
რულს ან დიდ უბედურებას მოჰყავს
ხოლმე. გულგრილი კაცი შორიდან
არ მოვა.

ერთი ადამიანი გვაქვს: თუ სტუმარს რაიმე მოეწონება შენს სახლში, რაც არ უნდა გენანებოდეს, უნდა აჩუქო. ამბობენ, ერთმა მთიელმა საცოლვეც კი აჩუქა თავის ყონალს, ვისაც წყაროზე დაედგა თვალის იმ გოგოსათვის. ის ჭაბუკი მთიელი იყო, ნაღდი მთიელი ალბათ.

თავხედ სტუმარს ყოველთვის შეუძლია ისარგებლოს ჩვენი ძველი ადამით, მაგრამ მთიელებიც დაჭკვიანდნენ — ლამაზ ნივთებს სტუმრის თვალს არიდებენ.

ერთხელ მაგალითად, დიდი ხნის წინათ, აულში სტუმარი მოვიდა ყუმიხიდან და ყველაფრის ქება დაიწყო. ყველაფერი აჩუქეს, რასაც მისი თვალი დაეხარბა, მაგრამ წასვლისას ჩექმებზე მიწა მაინც მოაშორებინეს.

„მიწას არ ასაჩუქრებენ“, — უთხრეს მთიელებმა, — მიწა ჩვენ თითონ არ გვყოფნის. მთელი მიწა ჩექმებს თუ გააყოფეს, პური სადღა დავთესოთ?“

ერთმა უცხოელმა ჩვენს მიწას ქვის ტომარა უწოდა. ჰო, ჩვენს მიწას მართლა აკლია სინაზე. ხშირად როდი შეხვდები მთაში ხეებს. მთები მიურიდეების გაპარსულ თავებს ჰგავს, სპილოების დაქანებულ, გლუვ ბეჭებს. ცოტა მიწა გვაქვს სახნავსათესად და ამ მიწაზე აღებული მოსავალიც მცირეა.

წინათ ამბობდნენ ხოლმე: „ამ საცოდავს თავისი მოსავალი მეზობლის ცხვირის ნესტოების ამოსატენადაც არ ეყოფაო“.

მართალია, მთიელებს ცხვირებიც გამორჩეული აქვთ, ვეებერთელა. მტრები შორიდანვე, სვრინვაზე ხვდებოდნენ, რომ მთიელებს ეძინათ, და ხანდახან ამ ნიშნის მიხედვით ესხმოდნენ ხოლმე თავს.

აბუთალიბმა ყვავილით შეჭმული პირისახე რომ ნახა, თქვა: მამაჩემის ყანის მთელი მარცვლეული ამ საწყალის პირისახეზე ჩათესილა, თავისი კვალი რომ დაეტოვებინაო ზედ.

ცოტაა და იმწირი მთიელების მიწა. თქმულეზაცაა ამაზე, რაიც შეიძლება არაერთხელ გსმენიათ, რადგან ერთი ენიდან მეორეზე გადადის, ერთი ბანიდან — მეორე ბანზე, მაგრამ არ შემიძლია, მეც რომ არ გიამბოთ. დაე მაგინოს, ვისაც უკვე მოუსმენია.

მთიელმა თავისი მიწის მოხვნა გადაწყვიტა, ყანა აულიდან შორს იყო და სალამოს გაემგზავრა, დილაადრიან რომ შედგომოდა საქმეს. მივიდა ადგილზე, გაშალა ნაბადი და დაიძინა. დილით ადგა და რას ხედავს, ყანა აღარსადაა. აქეთ ეცა, იქით ეცა, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ყანის სახსენებელიც არ იყო. ნეტა ცოდვებისთვის ხომ არ დასაჯა ღმერთმა მთიელი, ან ეშმაკმა ხომ არ გადამალა, პატიოსანი კაცი რომ აეგდო მასხრად?

რა უნდა ექნა? იჯავრა, იღარდა მთიელმა და შინ დაბრუნება გადაწყვიტა. აილო ნაბადი და... ღმერთო დიდებულო! აი მისი ყანა, აგერ არ ყოფილა?! ნაბადქვეშ.

ერთ ამბავსაც მოგიყვებით, ეს უკვე სინამდვილეა.

როგორც ყველგან, ჩვენთანაც, მთაშიც დაიწყეს კოლმეურნეობის ჩამოყალიბება. ზოგიერთები მერყეობდნენ, ეჭვობდნენ, ბჭობდნენ, კამათობდნენ. ბევრმა პირუტყვი დაკლა, ჯობია ჩვენ თითონ შევჭამოთ, ვიდრე რაღაც კოლმეურნეობას ჩავაბაროთო. განსაკუთრებით შორეული მთების მცხოვრებნი ჯიუტობდნენ. „ჩემი მე მქონდეს და თქვენი — თქვენ, სხვა რაღა გინდათ. ჩემიც

თქვენ გინდათ მიისაკუთროთ?“ ერთ პატარა აულში ორასამდე რწმუნებული ჩავიდა, მაგრამ ამაოდ. ზოგი დაიშალა და თვალთ არავის ენახებოდა, ზოგიერთმა კი დავა დაიწყო. „განა ცოტა რამაა ქვეყანაზე საერთო? ცა საერთოა, მზეც საერთო, წვიმა, თოვლი, გაზაფხული, მდინარე, გზა და სასაფლაო. საკმარისია. დანარჩენი კი ყველას საკუთარი უნდა ჰქონდეს“, — გაიძახოდნენ ისინი. როცა უთხრეს, რომ კოლმეურნეობებს მანქანებს მისცემდნენ, თავი გადააქნიეს და მელიის არაკი გაიხსენეს:

მირბის მელა ტყე-ტყე. უცბად გზაზე დაგდებული დუმის დიდი ნაჭერი დაინახა. მიირბინოს და შეჭამოს? „არა“, — გადაწყვიტა მელამ, — ტყუილ-უბრალოდ დუმას გზაზე არავინ დააგდებდა, აქ რაღაც ამბავია!“

მთიელებს იმასაც ჰპირდებოდნენ, კოლმეურნეობებს დიდ საძოვრებსაც მივცემთო. მაშინ ერთი მოხუცი წამოდგა, ჯოხს დაეყრდნო და დაიწყო:

— მთელი ქვეყნის ბარისათვის არავის დავუთმობთ ჩვენი მთის ბუდეებს, ჩვენს საცოდავ მიწის პატარა ნაჭრებს, ჩვენს დაგრეხილ ბილიკებს. ეს ჩვენი მიწაა, ასეული წლობით ავადმყოფი ბავშვივით ვუვლიდით მას. კლდეებზე აგვქონდა და თანაბრად ვანაწილებდით, მერე წყალი აგვქონდა ამ მიწის მოსარწყავად. პურის მოსავალი მცირე გვაქვს, მაგრამ თვითეული მარცვალი ფასდაუდებელია. აი, რატომ იფიცებენ ჩვენში პურის ნატეხს...

ასე თუ ისე იმ ჯიუტ აულში მაინც ჩამოყალიბდა კოლმეურნეობა. როგორ მოახერხეს გაუნათლებელი მთიელების დაჯერება?

ბოლოს და ბოლოს, მიხვდნენ

მთიელები, რომ მიწა მთლიანად არ გადაეცემოდა კოლმეურნეობას. მიწის ნაწილი გლეხების განკარგულებაში დარჩებოდა საკარმიდამოს პირობაზე.

— ბევრი დაგვრჩება? — დაინტერესდნენ ჯიუტი მთიელები.

— სოფლის არტელის წესდების მიხედვით მეოთხედი ჰქეტარი.

— ეგ რაღას ნიშნავს, აბა ერთი აგვიხსენი.

და როცა რწმუნებულმა ყველაფერი აუხსნა, ერთხმად ალაპარაკდნენ:

— ეგ რა სალაპარაკოა, ჩავვწერე კოლექტივში.

გამოირკვა, რომ თვითეული მთიელის კუთვნილი მიწის ნაკვეთი გაცილებით ნაკლები იყო დაწესებულ საკარმიდამო ნორმაზე.

ფასდაუდებელია თვითეული მთიელისათვის მათი მაღალმთიანი ქვიანი მიწა, მიუხედავად იმისა, რომ ძნელია იქ ცხოვრება. მოგზაურები გაოცებული უცქერიან მთის ფერდობებზე თუ კლდეებზე მიკრულ მინდვრის ტერასებს, ქვებზე გაშენებულ ბაღებს, ცხვრებს, ჯამბაზივით მოხერხებულად რომ გადადიან უფსკრულის თავზე დაკლაკნილ ვიწრო ბილიკებსა და ხრამებზე.

ყოველივე ეს საოცრად ლამაზი სანახავია, თითქოს იმიტომ შეუქმნიათ იგი, რომ ლექსებში უმღერონ, მაგრამ აბა როგორი დასამუშავებელია ასეთი მიწა?!

და მაინც აბა ერთი შესთავაზეთ მთიელს ბარში ან, როგორც ახლა ამბობენ, ვაკეზე დასახლება! შეურაცხყოფად მიიღებს.

თურმე შვილი ჩამოუვიდა მთიელს ქალაქიდან და დაუწყო ჩიჩინი, იქ დავსახლდეთო.

„ხანჯლით გამიფატრო მუცელი ის მირჩვენია, ასეთი სიტყვებით წა-

მებასო“, — ასე უპასუხნია მოხუც მამას.

ეს პრობლემა არსებობს და ძალიან რთულიც არის. დიდი ხანია ისროლეს აულებში ლამაზი ლოზუნგები: „გამოვძვრეთ ქვის ტომრებიდან და დავსახლდეთ ყვავილიან ნოხებზე“.

ამ ლოზუნგმა იმ აულამდეც მიადწია, სადაც თავის დროზე ორასამდე რწმუნებული ჩავიდა კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად და ისეთი აურზაური გამოიწვია, კოლექტივიზაციის დროსაც რომ არ ყოფილა. თვითეულმა თავისი თქვა: „ჩაჭვებიც რომ ჩავვაბათ, მაინც არ წაგყვებით ბარში!“. „ლურსმნებივითა ვართ ჩაჭედილი ამ კლდეებში, არავის მივცემთ ნებას დაგვინგრიოს ჩვენი ბუდეები“. „საფლავეებში გადაბრუნდებიან ჩვენი მამა-პაპანი, ეს ადგილები რომ მივატოვოთ და სხვაგან გადავსახლდეთ საცხოვრებლად“. „ყველაზე უფრო გემრიელად ჩემს ბალიშზე მიდევს თავი“. „საკუთარ ქვებზე უფრო ტკბილად მიძინავს, ვინემ სხვის ბუმბულში“. „ბარში სად ვეძებო ქვა ძაღლის მოსაგერიებლად?“. „მთაში ახრჩოლებულ, კვამლიან კერასთან ყოფნა მირჩევნია, ბარში აგუზგუზებულ ღუმელთან ჯდომას“. „ვინც მუცელზე ფიქრობს, ის წავიდეს, ვინც გულზე — აქ დარჩება“. „არვინ მოგვიკლავს, სახლ-კარი არავისთვის დავვიწვავს და რას გვერჩიან, რომ გვასახლებენ?“. „მანქანები აქაც იმუშავენ“. „აქაც შეიძლება ბოძებზე ფარნების დაკიდება“. „დებეშის ფაგზავნა აქედანაც შეიძლება“. „ჩვენ ბუზებისა და კოლოების გამოსაკვებად როდი გავჩენილვართ!“. „წივის კვამლი გვირჩევნია ბენზინის ნატიუსსაღს“. „მთის ყვავილები უფრო ბრდღვიალაა“. „წყაროს წყალი ჯო-

ბია წყალსადენისას“, „არსადაც არ წავალთ აქედან!“

ასე თავისებურად უპასუხა თვითეულმა მთიელმა ლოზუნგს: „გამოვძვრეთ ქვის ტომრებიდან და ყვავილოვან ნოხებზე დავსახლდეთ“.

ჯერ კიდევ მამაჩემთან მოდიოდნენ მთიელები რჩევის საკითხავად, გადასახლებულიყვნენ თუ დარჩენილიყვნენ? მამაჩემი მოერიდა პასუხს.

„დარჩენას ურჩევ და როცა გაიგებენ, ბარში ცხოვრება კარგი ყოფილაო, ლანძღვას დაძიწყებენ. წასვლა ვურჩიო და რომ არ მოეწონოთ ბარში ცხოვრება, მაშინაც გამლანძღავენ“.

— ეგ თქვენ თითონ უნდა გადაწყვიტოთ, — უთხრა მაშინ ჰამზათ ცადასამ.

დრო იცვლება და მასთან ერთად ცხოვრებაც. მარტო თავსამკაული კი არ შეიცვალა (ბოხოხების ნაცვლად ქუდები), აზრებიც შეეცვალათ ამ ქუდების ქვეშ ახალგაზრდებს. ერთმანეთს ერევა სხვადასხვა სისხლი, სხვადასხვა ტომი, სხვადასხვა ხალხი. ჩვენი შვილების საფლავეები უფრო და უფრო შორდება მამა-პაპათა აულებს... ქვები, ფილები, უზარმაზარი ლოდები, კენჭები, მრგვალი ქვები, წვეტიანი ქვები. კალთებით ეზიდებოდნენ ქვემოდან მიწას, ამ ქვებზე მცენარეები რომ ეხარებინათ. შემოდგომასა და ზამთარში ბალახიან კლდეებს ცეცხლს უკიდებდნენ, გაზაფხულზე უკეთესი ბალახი რომ ამოსულიყო. კარგად მახსოვს ეს აბრიალებული კოცონები მთებში, პირველი ხნულის დღესასწაულიც კარგად მახსოვს, ბელტებს რომ უშენდნენ ერთმანეთს მოხუცები.

ჩვენში საქმიან კაცზე ამბობენ, „ცოტა მთა და ქედი როდი გადაულახავსო“, უქნარაზე კი — „წერაქვი

ერთხელაც არ დაუკრავსო ქვის-
თვის“.

„უხვად ეხაროს თქვენს მინდორ-
ზე თავთავებს“, — ეს დიდი დალოც-
ვაა მთიელისათვის.

„დაე, დაიშაშროს, ჩაკვდეს შენი
მიწა!“ — ეს არის ყველაზე საშინე-
ლი წყევლა.

„ამ მიწას გეფიცები“, — ყველა-
ზე მტკიცე ფიცია.

სხვის მიწაზე გადასული ვირის
მოკვლისთვის სასჯელი არ არსებობ-
და. ერთი მთიელი გაჰყვიროდა: „პა-
ჯი-მურატის ვირიც რომ იყოს, ჩემს
მიწაზე თუ გადმოაბიჯებს, მიფრ-
თხილდეს!“

ყველა აუღს თავისი კანონი ჰქონ-
და. მაგრამ ყველაზე დიდი სასჯელი
ყველგან მინდვრისა და მიწის წახდე-
ნისთვის არსებობდა. ბოლოს და ბო-
ლოს ჩვენი მთების ისტორიასაც ზომ
მკაცრი განაჩენი გამოჰქონდა ყვე-
ლასთვის, ვინც დაღესტნის წახდენას
მოიწადინებდა.

მახსოვს, ერთხელ დედაჩემმა მი-
ამბო:

„როცა დაღესტნის მთებში ნა-
დირ-შაჰი გაანადგურეს, მთიელებმა
მოსალაპარაკებლად ბეხრეკა ჯორზე
ამხედრებული ყველაზე უფრო მა-
ხინჯი, ღარიბი და კოჭლი მოხუცი
გაუგზავნეს“.

— შენზე უკეთესი თვალადი და
გამოჩენილი კაცი ვერ მონახეს ავა-
რელებმა გამოსაგზავნად?

— ჩემზე უკეთესი და გამოჩენი-
ლი ათასია, მაგრამ ღირსეულნი უფ-
რო ღირსეულ საქმეს აკეთებენ, შენ-
ნაირ კაცთან გამოსაგზავნად კი მეც
ღირსეულად მიმიჩნიეს, — უპასუხა
მოხუცმა მთიელმა.

— რამდენი წლისაა შენი ჯო-
რი? — ზუმრობა სცადა შაჰმა.

— შაჰებისა და ჯორების ასაკის

გარკვევა ძალიან ძნელია, — უპასუ-
ხა მთიელმა.

— ვინ არის თქვენი სარდა-
ლი? — ჰკითხა მომხდურმა.

— აი, ჩვენი სარდლები, — დინ-
ჯად უპასუხა მთიელმა და ლაღად
გაიშვირა ხელი გარსშემოჯარულ
მთებისა და კლდეებისაკენ, მინდვრე-
ბისა და სასაფლაოებისაკენ, — აი,
ვინ მიგვიძღვის წინ.

— თქვენი პირობა ბრძანეთ.

— პირობა ერთადერთი გვაქვს:
მთიელების მიწა მთიელებსვე დაანე-
ბე, შენ კი ზურგი გვიჩვენე, შენს
პირსახეზე უფრო რომ მოგვწონს.
შაჰი იძულებული იყო ირანისაკენ
გაბრუნებულიყო. იგი ასე გააფრთხი-
ლეს:

— შენცა და შენს მეომრებს
იმიტომ გიშვებთ ცოცხალს, ჩვენი
გამარჯვების ამბავი რომ ჩაიტანოთ
ირანს, მოამბედ გიშვებთ, ასეთია
ჩვენი ადათი, სხვა დროს კი იცო-
დეთ, სათითაოდ ამოგწყვეტთ ყვე-
ლას“.

1859 წლის აგვისტოში გუნიბის
მთაზე იმამი შამილი საომარი ცხენი-
დან ჩამოხდა და ბარიატინსკის წა-
რუდგა, როგორც დიდებული ტყვე-
მარცხენა ფეხი ოღნავ წინ წამოსწია
და ქვაზე შემოდო, მარჯვენა ხელი
ხმლის ვადას მოჰკიდა, ამღვრეული
მზერა გარშემორტყმულ მთებს შე-
ავლო და თქვა:

— სარდარ! ¹ ოცდახუთი წელი
ვიბრძოდი ამ მთებისა და მთიელე-
ბის ღირსების დასაცავად. ჩემი
ცხრამეტი ჭრილობა ისევ მტებს და
არც არასოდეს შემიხორცდება. ახლა
კი ტყვედ გბარდებით და ჩემი მი-
წაც თქვენ გრჩებათ.

* ნაცვალი.

— გეყოფა დარდი. დიდი რამე
კია ეგ შენი მიწა, მარტო კლდეები
და ქვებია.

— მითხარი, სარდარო, ვინ იყო
ამ ომში მართალი: ჩვენ, ვისაც ეს
მიწა მშვენიერი გვეგონა და მისთვის
თავს ვწირავდით ბრძოლის ველზე,
თუ თქვენ, ვინც უვარგისად თვლი-
დით იგივე მიწას და მაინც მისთვის
იკლავდით თავს.

ტყვე შამილი მთელი თვე მიჰ-
ყავდათ პეტერბურგისკენ.

პეტერბურგში იმპერატორმა ჰკი-
თხა:

— გზაზე რას იტყვი?

— დიდი ქვეყანაა, ძალიან დიდი
ქვეყანა.

— მითხარი, იმამო, რომ გცოდ-
ნოდა რუსეთის ეს სიდიდე და სიძ-
ლიერე, მაინც იბრძოლებდი ჩვენს
წინააღმდეგ ამდენ ხანს, თუ გონივ-
რულად და დროულად დაყრიდი ია-
რალს?

— კარგად იცოდით, რა პატარა
და სუსტი იყო ჩვენი ქვეყანა და
მაინც ამდენსავე ხანს გვეომებოდით.

მამაჩემი შამილის ერთ წერილს,
უფრო სწორად, გამოსაღმებას ინა-
ხავდა.

„ჩემო მთიელებო! გიყვარდეთ
თქვენი შიშველი და ველური კლდე-
ები. ცოტა სიკეთე მოუტანია მათ
თქვენთვის, მაგრამ უიმათოდ თქვენი
მიწა თქვენსას არ დაემსგავსებოდა.
უმიწოდ კი ღარიბი მთიელები თავი-
სუფალი ვერ იქნებით. იბრძოლეთ
მათთვის, გაუფრთხილდით მათ. დაე,
თქვენი ხმლების წკრიალმა დამიტკ-
ბოს სამარის ძილი“.

ბევრჯერ გაუგონია შამილს მთიე-
ლების ხმლების წკრიალი, თუმცა
უკვე სხვა საქმისათვის იბრძოდნენ
ისინი. შორს გაიწია დაღესტნელების

სამშობლომ. მათი საფლავები გა-
ფანტულია უკრაინისა და ბელორუ-
სიის ველებზე, მოსკოვის მისადგო-
მებთან, უნგრეთში, პოლონეთში, ჩე-
ხოსლოვაკიაში, კარპატებში, ბალკა-
ნეთსა და ბერლინის მისადგომებთან
ნაც კი.

— რისთვის ეჩხუბებოდნენ წი-
ნათ ერთმანეთს ერთი აულის მცხოვ-
რებნი?

— საკუთარ ყანებს შორის დარ-
ჩენილი ერთი გოჯი მიწისთვის, პა-
წაწკინტელა ფერდობისთვის, ქვის-
თვის.

— რისთვის ებრძოდნენ წინათ
ერთმანეთს მეზობელი აულები?

— თავიანთ ყანებს შორის დარ-
ჩენილი ერთი გოჯი მიწისთვის.

— რისთვის ებრძოდა დაღესტანი
სხვა ხალხს?

— ერთი გოჯი მიწისთვის დაღეს-
ტნის საზღვრებთან.

— რისთვის იბრძოდა დაღესტანი
შემდეგში?

— ერთი გოჯი მიწისთვის დიდი
საბჭოთა ქვეყნის მისადგომებთან.

— რისთვის იბრძვის ახლა და-
ღესტანი?

— მშვიდობისთვის მთელ ქვეყა-
ნაზე.

შამილთან ერთად მისი ორი შვი-
ლიც დაატყვევეს. სხვადასხვანაირად
აეწყო მათი ბედი. უმცროსი შვილი
მუჰამედ-შაფი მეფის გენერალი გახ-
და, უფროსი გაზი-მუჰამედი კი თურ-
ქეთში აღმოჩნდა.

ერთხელ თურქულ სამოსელში
გამოწყობილი ხნიერი ქალი მესტუმ-
რა, ქართველი. ახალგაზრდობაში გა-
ჰყოლოდა თურქს ცოლად და ორ-
მოცი წელი სტამბოლში უცხოვრია.

მერე ქმარი მოკვდომია და მარტო-ხელა ქალი საქართველოში დაბრუნებულა. და, აი, ეს ქალი ჩემთან მოვიდა. აი, რა იყო მისი მოსვლის მიზეზი: თურმე სტამბოლში შამილის შთამომავლებთან მეგობრობდა, მისი უმცროსი ვაჟიშვილის ნაშვირებთან.

— როგორ ცხოვრობენ? — ვკითხე მე.

— ცუდად.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დაღესტანი არა აქვთ. რომ იცოდეთ, როგორ დარდობენ. ზოგჯერ მოხელეები მიწის წართმევით ემუქრებიან. „წაიღეთ, — ეუბნებიან იმამის შთამომავალნი, — დაღესტანი მაინც არა გვაქვს და სხვა მიწას ჩვენთვის ფასი არა აქვს“.

— ჩემი სამშობლოში დაბრუნება, რომ გაიგეს, — განაგრძობდა ქართველი ქალი, — მთხოვეს, დაღესტანიც მომენახულებინა, ავსულიყავი შამილის სოფელში, მთებში, სადაც ის იბრძოდა, თქვენი ნახვაც დამავალეს. აი, ეს ცხვირსახოცი გამომატანეს, გთხოვეს, შიგ დაღესტნის მიწა გაახვიო და გაუგზავნო.

ცხვირსახოცი გავშალე, „შამილი“ — ამოქარგათ ზედ არაბულად. ნაამბობმა ამაღელვა. დავპირდი, რომ გავუგზავნიდი მიწას. ბევრ მოხუცს დავეკითხე რჩევა:

— ღირს კი, უცხოეთში მცხოვრებთ ჩვენი მიწა რომ გავუგზავნო?

— სხვების რა მოგახსენო და შამილის შთამომავლობას კი უნდა გაუგზავნო, — მიპასუხეს მოხუცებმა.

ერთმა მოხუცმა შამილის სოფლის ერთი მუჭა მიწა მოიტანა და ცხვირსახოცში გავახვიეთ. მოხუცმა მითხრა:

— გაუგზავნე ეს მიწა, ოღონდ შეუთვალე, რომ მისი თვითებული ნამცეცი ფასდაუდებელია. მისწერე, რომ ამ მიწაზე ცხოვრება შეიცვალა,

ახალი დროება დაგვიდგა. ყველაფერი მისწერე, ყველაფერი გაიგონ.

მიწერა აღარ დამჭირვებია. მალე თვითონ გავემგზავრე თურქეთში და თან ძვირფასი საჩუქარიც გავიძღვანე.

შამილის მემკვიდრეები კი მოვძებნე, მაგრამ მათთან შეხვედრა არ მოხერხდა. იმამის ერთი შვილიშვილი (ვაჟი), მგონი, მექაში წასულიყო, ნაჟავატმა და ნაჟიატმა კი (ქალებმა) ჩემთან შეხვედრა არ ისურვეს, ერთს თავი ტკივაო, მითხრეს, მეორემ კი ფულის შეტევა მოიმიზეზა. ვიდასთვის მიმეცა ჩემი მიწა? კი იყვნენ იქ სხვა ავარელებიც, მაგრამ მათ თავიანთი სურვილით დატოვეს დაღესტანი.

მაშინ მივხვდი, რომ ჩემი შამილი და იმათი შამილი სხვადასხვა იყო.

და აი, შორეულ თურქეთში მიჭირავს მშობლიური დაღესტნის ერთი მუჭა მიწა. ამ ერთ მუჭა მიწაში ვხედავ ჩვენს აულებს: გუნიბს, ჩირკეის, ახტის, ყუმუხს, ხუნძახს, ცადას, ცუნტას, ჩარატას... ეს ჩემი მიწაა, ბევრი დამიწერია ამ მიწაზე და კვლავაც დავწერ. ჩემს მიწას ახლა ნაბდით ვერ დავფარავ, როგორც ეს ერთ მიუხვედრელ მთიელს დავემართა იმ სასაცილო არაკში.

დაღესტნის მეორე ივანძი ზღვაა.

მოსკოვიდან იგუნიბში ასე ეხმინებიან ერთმანეთს:

— ალო, ალო, გუნიბია? ომარ შენა ხარ? გესმის ჩემი ხმა? როგორა ხარ, როგორი ამინდია?

— მესმის, მესმის. კარგად ვართ, დილიდან მოჩანს ზღვა.

ან კიდევ:

— ალო გუნიბია? ფატიმა ხარ? როგორ გუნებაზე ხარ, როგორაა საქმეები?

— ისე რა, მოღრუბლულია, ზღვა არ მოჩანს.

— ზღვას ვერ ვხედავ, მამაჩემო, — შამილსაც ასე უთხრა ჯამალუტდინმა.

იგი მეფის ძევალი იყო, კადეტთა კორპუსში აღიზარდა და სამშობლოში დაბრუნებისას მამამისის ბრძოლა თეთრი მეფის წინააღმდეგ უაზრობად მიიჩნია.

— დაინახავ, შვილო, ოღონდ ჩემი თვალებით შეხედე, — უპასუხა შამილმა.

გუნების მთებიდან ზღვამდე ასორმოცდაათი კილომეტრია, რა ნათელი დღე უნდა იყოს, რა კრიალა და ლაყვარდოვანი უნდა იყოს ზღვა, რა მახვილი თვალი უნდა გქონდეს, რა მაღალი უნდა იყოს მთა, რომ უბრალოდ თქვა: „ზღვას ვხედავ“.

იმ აუღლებშიც კი, საიდანაც არაფრით არ შეიძლება ზღვის დანახვა, იციან ხოლმე თქმა: ისეთ ხასიათზე ვარ, თითქოს ზღვას ვხედავდე.

ღმერთმა იცის, ვინ ვის ალამაზეებს, კასპიის ზღვა დაღესტანს. თუ დაღესტანი კასპიის ზღვას? ვინ ვისით ამაყოფს, მთიელები ზღვით თუ ზღვა მთიელებით.

როცა ზღვას ვხედავ, მთელ სამყაროს ვხედავ. როცა ის დელავს, მთელ ქვეყანაზე ქარიშხალი მგონია, როცა წყნარია, მთელ ქვეყანაზე სიჩუმე მგონია გამეფებული.

პატარა ბიჭი ვიყავი, მთის ციცაბო და მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით რომ ჩავედი ზღვასთან. მას მერე ჩემი სახლის ფანჯრები ყოველთვის ზღვის მხარესაა ღია. თვით დაღესტნის ფანჯრებიც ხომ ზღვისკენ იხედება.

როცა ზღვის ხმა არ მესმის, დაძინება მიჭირს.

— შენ რაღად არ გძინავს, დაღესტანო?

— ზღვა არ ხმაურობს და არ მეძინება.

ნათელ ფერზე ვამბობთ — ზღვისფერიაო, ძლიერ ხმაურზე — ზღვასავით ხმაურობსო, სულისა და სიბრძნის სიღრმეზე — ზღვასავითაა, მოწმენდილ ცაზეც კი ასე ვამბობთ — ზღვასავით კრიალაო.

როცა ჩვენი ძროხა ბევრს იწველებოდა, დედა ასე ეფერებოდა ხოლმე — „ჩემო ზღვაო“. მახსენდება: დედაჩემი აივანზე დგას და ხელში ნაღებით სავსე დოქი უჭირავს, კარაქს დღევნავს ბავშვებისთვის. თიხის დოქს ზღვის ნიჟარების ასხმულა ჰქონდა შემოხვეული ყელზე.

— ეს იმიტომაცაა საჭირო, ბევრი კარაქი რომ გამოვიდეს, — აგვიხსნა დედამ. ისიც გვითხრა, ნიჟარები ავითვალისგან დაიფარავსო ყველას და ყველაფერს.

დაღესტნის ქვიანი მკერდიც ნიჟარებისა და ზღვის მოქცევით მოტანილი კენჭების ყელსაბამითაა მორთული. შეჩვეულია დაღესტანი ტალღების ხმაურს, კარგად ვერ სძინავს სიჩუმეში და ზღვა რომ არ ჰქონდეს, სულაც არ გაეკარებოდა ალბათ ძილი.

ო, ზღვის ტალღებო, დაგრაგნილო ლევა ღრუბლებად, რომელ ენაზე მესაუბრებით?

კლდოვან ნაპრალებს ეხეთქება ექო ზანზარით, თითქოს აულში საკვირაო დუღდეს ბაზარი,

სადაც მთიელთა კილოკავენს, წყლისებრ ჩხრიალას, თითონ ალაპიც ვერ გებულობს კაცი კი არა.

საღამოს პირას მზის ალერსით გალაღებულნი აბიბინდებით შქერივით და ბალახებივით. დამითაც მესმის თქვენი დრტვინვა დაუცხრომელი,

თითქოს ჯარისკაცს შინმოუსვლელს
ტირის მშობელი.

ხან მომაგონებთ უმწეო ფრუტუნს,
წყალწალეხული სადმე ცხენი იღრჩობა
ნუთუ?

მზეზე ელვარებთ თუ მუქდებით ლეგა
ღრუბლებით,
საკუთარ ენით, თქვენი ენით
მესაუბრებით.

ო, ზღვაო, ზღვაო, ზოგჯერ მშვიდო,
ზოგჯერ მძვინვარევე,
შენი ბუნების, შენი სულის ვარ
მოზიარე.

ეს გულიც შენებრ ყალყზე დგება,
ებრძვის ნაპირებს,
თითქოს ბუდიდან ამოვარდნას შენებრ
აპირებს.

მერე შენსავით მიწყნარდება,
თვინიერდება,
ღონე ერთმევა და შენსავით უთრთის
ფერდები.

ერთმანეთს ვგავართ და ერთმანეთს
ვეხმიანებით,
სინაზით, სიღრმით, მღელვარებით თუ
მრისხანებით.

მსურს, ზღვაო, შეგსვა, დაგეწაფო
სულით და გულით,
მაგრამ მლაშე ხარ,
ვერ მომიკლავ
ამ ჟინს და წყურვილს.

მოსკოვიდან გამოსული მატარებელი მახაჩყალაში გამთენიისას შემოდის. ყველაზე უფრო გრძელი ეს ღამე მეჩვენება. შუალამისას ვდგები და ჩაშავებულ ფანჯარაში ვიხედები. ფანჯრის მიღმა ისევ ველია, მიგრილებს მატარებელი, მზუის ქარი. მეორეჯერაც ვდგები და ფანჯრიდან ვიხედები. ისევ ველი მოჩანს, მესამედ კი ზღვას ვხედავ, მაშასადამე, უკვე ჩემს დაღესტანში ვარ.

მადლობა შენდა, ცისფერო ზღვაო, შენა ხარ პირველი მაცნე, შინ დაბრუნებას რომ მაუწყებ.

მამაჩემს ასე უყვარდა ხოლმე თქმა: „ვისაც ზღვა აქვს, იმას სტუმარიც ულევია ეყოლება“.

აბუთალიბი ბანს აძლევდა: „ვისაც ზღვა აქვს, ის ლამაზად და მდიდრულად ცხოვრობს. ზღვაზე ლამაზი შეიძლება მხოლოდ მთები იყოს, ჩვენ კი მთებიც გვაქვს“.

ეს ორი მოხუცი, მამაჩემი და აბუთალიბი, როგორც კი ერთმანეთს შეხვდებოდნენ, წინასწარ შეუთანხმებლად ზღვისკენ გასწევდნენ. სერზე ავიდოდნენ, საიდანაც ნავსადგურში შემოსული ყველა გემი მოჩანდა, თევზისა და მარილის სუნიც აღწევდა მოხუცებამდე. საათობით ისხდნენ უბრაოდ, მხოლოდ ზღვას უსმენდნენ.

იყუჩე, როცა ზღვა ლაპარაკობს, იდექ ჩუმი და გულისხმიერი, ზღვის სიმღერებს და იგავ-არაკებს კრძალვით ისმენდა ალიგიერიც. როცა გრგვინავდა ტალღა უშქარი და ყალყზე იდგა ზღვა გაფოფრილი, დუმილს არჩევდა თითონ პუშკინიც — დიდი მგოსანი და ოქროპირი.

მამაჩემი ამბობდა: „ზღვას რომ უსმენ, მისი ნათქვამიც უნდა გაიგო, ბევრის მომსწრე და მცოდნეა იგი.“

— ო, ზღვაო, რად ხარ მლაშე, მითხარი?

— ცრემლებითა ვარ, კაცო, მდიდარი!

— ო, ზღვაო, რატომ ცახცახებ მარად?

— ფსკერზე უთვალავ მარგალიტს

ვმაღავ.

— ო, ზღვაო, ზღვაო, რად ღრტვინავ მუდამ?

— ვწუხვარ დალუბულ ვაჟკაცთა ბედზე: ზოგიერთს ჩემი მოთოკვა სურდა, ზოგიც მარგალიტს ეძებდა ფსკერზე.

ორი ჭალარა მთიელი, ორი პოეტი, ორი ბებერი არწივივით შემომჯდარა სერზე, სდუმან და ზღვას უსმენენ. ის კი ხმაურობს და სიცოცხლეზე ფიქრს გაიძულებს, აგრერიგად რომ წააგავს ზღვას და ნაპირზე გადაცურვას მოითხოვს, როგორი

ამინდიც არ უნდა იყოს. ზღვისგან განსხვავებით ცხოვრებას არა აქვს მყუდრო ნავსაყუდლები და მისადგომები. გინდა თუ არა, უნდა იცურო და მხოლოდ ერთი უკანასკნელი მისადგომი, უკანასკნელი ნავსაყუდელი შეგხვდება ბოლოს. ხმაურობს კასპიის ზღვა. ერთი მხრიდან ვოლგა და ურალი ერთვის, მეორე მხრიდან — მტკვარი, თერგი და სულაყი. ერთმანეთს შერევიან წყლები და ველარაფერი გაარჩევს ერთმანეთისგან. ზღვა იმათი თავისებური უკანასკნელი ნავსაყუდელია, ისე კი არ დაიკარგება, არ მოკვდება, არ დაცხრება მათი წყალი, ცისფერ ტალღებად აიქოჩრება და რომელი ქვეყნის გემები აღარ გადაივლიან ამ ტალღებზე.

მთიელებო, დაღესტნის შვილებო, განა თქვენი ბედი ამ მდინარეთა ბედს არა ჰგავს? თქვენც ხომ შეერთდით და ჩვენი დიადი ძმობის ერთიან ზღვად იქეცით.

ხმაურობს კასპიის ზღვა. სდუმს ორი ჭადარა კაცი, ორი პოეტი და მათ გვერდით მე — ყრმა. შინ დაბრუნებისას აბუთალიბმა მამაჩემს უთხრა:

— იზრდება შენი ბიჭი, დღეს ის დიდ გრძნობას ეზიარა.

— ჩვენ რომ ვიდექით, იმ ადგილას პატარა ვერვინ იქნება, — უპასუხა მამამ.

ახლაც, როცა ზღვის ნაპირას ვარ, ყოველთვის მგონია, რომ მამას ვუდგავარ გვერდით.

ამბობენ, კასპიის ზღვა წლითიწლობით კლებულობსო. უკვე ქალაქური სახლებია ამართული იქ, სადაც წყალი დგაფუნებდა ოდესღაც. ალბათ ასეა, მაგრამ არა მჯერა, ზღვამ ზღვაობა დაკარგოს. შეიძლება ის კლებულობს, მაგრამ არ კნინდება.

მე ადამიანებსაც ასე ვეუბნები ხოლმე: ნუ დამციროდებით, თუნდაც ძალზე მცირორიცხოვანი იყოთ.

სწავლულებს მწარეს აუშლის ფიქრებს და ბუნებისთვის ისმის ბრალდებად, რომ კასპიის ზღვა იკლებს და იკლებს, უკან იხევს და პატარავდება. გულგატეხილებს რწმენით მივმართავ: ზღვას მეჩეჩები ვერ დაფარავენ, უფრო მაშინებს ადამიანთა დაწვრილმანება, სიპატარავე.

მახაჩსაც აქვს ნათქვამი ზღვაზე. ის დაღესტნის პირველი რევკომი იყო და მის სახელს ატარებს ახლა ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი (აღრე პორტ-პეტროვსკი ერქვა). სამოქალაქო ომის დროს მახაჩმა აუღებელ ციხე-სიმაგრედ აქცია იგი.

ჰოდა, ასე თქვა მახაჩმა ზღვაზე: „რამდენიც არ უნდა იყოს მტერი, ყველას ზღვაში გადავუძახებთ. ზღვა ღრმაა, მისი ფსკერი კი ყველას დაიტევს“.

როცა მთიელები მეჩეთის ახლოს ბებერი ხის ძირას იკრიბებიან და ცისას და ბრისას ლაპარაკობენ, ამას ჩვენში გოდეკანს ეძახიან. ერთხელ გოდეკანზე მთიელებს ჰკითხეს: რომელი ხმა ესაღბუნება სულს ყველაზე მეტად? მთიელები ჩაფიქრდნენ და უპასუხეს:

- ვერცხლის წკრიალი.
- ცხენის ჭიხვინი.
- საყვარელი ქალიშვილის ხმა.
- ფლოქვების თქარუნი ხეობაში.

— ბავშვების სიცილი.

— დედის ნანა.

— წყლის რაკრაკი.

ერთმა მთიელმა კი ასე თქვა:

— ზღვის ხმაური, იმიტომ, რომ ზღვა გამოსცემს ყველა იმ ხმას, რაც თქვენ აქ ჩამოთვალეთ.

როცა გოდეკანზე სურნელებასა, სასმელსა თუ სხვა რაიმეზე ჩამოვარ-

დებოდა ლაპარაკი, ყოველთვის ზღვა იყო ხოლმე ბოლო სიტყვა.

ზღვის სუნთქვითაა გამთბარი შესანიშნავი ზღაპარი ჭაბუკსა და ზღვის დედოფალზე, ლაჟვარდოვან ფრინველზე, რომელიც სადაც არ დაჰკრავს ნისკარტს, წყაროს ამოაჩუხჩუხებს.

რალა თქმა უნდა, გოდეკანზე ყველა თავის რაშს აქებს. მეც ასე ხომ არ მემართება, კასპიის ზღვას რომ ვაქებ? რა არის ეგ შენი კასპიის ზღვაო, — მეუბნებიან ხანდახან, — სიმართლე თუ გინდა, ეგ ზღვაც არაა, ერთი დიდი ტბაა და ეგ არიო. აი, შავი ზღვა იგვესმისო.

სწორია, კასპიის ზღვა ადრიატიკის, იონის თუ შავ ზღვასავით ხავერდოვანი და ნაზი არ არის, მაგრამ იქ ხომ ხალხის უმრავლესობა დასასვენებლად და საცურაოდ დადის, კასპიის ზღვაზე კი უმრავლესობა სამუშაოდ მოდის. ზღვა — მეთევზე, ზღვა — მენავთობე, მშრომელი ზღვა. მკაცრი ხასიათიც ამიტომა აქვს. რას იზამ, ყველა ხარს თავისი ზნე აქვს, ყველა მამაკაცს თავისი ხასიათი, ყველა ზღვას — თავისი სახე, თავისი ზნე. განა დაღესტნის მთები კი არ განირჩევიან საქართველოს, აფხაზეთის თუ სხვათა მთათაგან?

მე კი, სიმართლე გითხრათ, ყველა ერთმანეთის მსგავსი მგონია. შავი ზღვა კასპიის ზღვას მაგონებს, კასპიის ზღვამ კი შეიძლება ოკეანეც გამახსენოს. ჰოდა, არც ერთ ზღვაზე ნაკლები არ არის ჩვენი ზღვა.

კასპიის ზღვაშიც ჰყრიან ხურდა ფულს, რათა ისევ არგუნოთ ბედმა იქ დაბრუნება.

მამაჩემი ამბობდა: თუ კაცს ზღვა უშნო ეჩვენება, თვითონ ყოფილა უშნოო.

ერთხელ ვილაცამ აბუთალიბს უთხრა:

— რა საზარლად ხმაურობს დღეს ზღვა.

— აბა ჩემი ყურებით მოუსმინე, — უპასუხა აბუთალიბმა.

ჰოდა, კასპიის ზღვასაც დაღესტნის თვალებით შეხედეთ და უმშვენიერესი მოგეჩვენებათ იგი.

სახელოვანი წყალქვეშელის, მეორე რანგის კაპიტნის, მაჰმად გაჯიევის სიმამაცე მთელი სამხედრო საზღვაო ფლოტისთვის არის ცნობილი. იგი ბალტიის ზღვაშიც იბრძოდა, ბარენცისა და ჩრდილოეთის ზღვაშიც. მისი წყალქვეშა ნავი სამამულო ომის ისტორიაში პირველად შეება პირისპირ ფაშისტთა ესკადრას. მას ასეთი წესი ჰქონდა: მანამ არ გაიპარსავდა უღვამს, სანამ მტრის გემს არ ჩაძირავდა. ერთხელ ვნახე მაჰმად გაჯიევი. მაშინ აბაშილოვის სახელობის ბუინაკის პედსასწავლებელში ვსწავლობდი. მაჰმად გაჯიევი შვებულეებაში იყო და ჩვენს სასწავლებელში მოვიწვიეთ. ერთი ასეთი შეკითხვა მივეცით:

— როგორ მოხდა, რომ კლდეებში გაზრდილი კაცი მეზღვაური გახდით?

— ბავშვობაში ერთი მთის მწვერვალიდან კასპიის ზღვა დავინახე და თვალებს არ დავუჯერე. ზღვამ მიმიხმო და მეც წავედი, ზღვის ჯადოს ვერ გავუძელი.

საბჭოთა კავშირის გმირი მთიელი, მაჰმად გაჯიევი ბარენცის ზღვაში დაიღუპა. მახაჩყალაში მისი სახელობის ქარხნის წინ აღმართული მისივე ძეგლი კასპიის ზღვას გაჰყურებს. ქალაქ სევერომორსკში მისი სახელობის სკოლაა. ზღვაში მამაცეები გადიან, მაგრამ ყველა როდი ბრუნდება ნაპირზე. ამიტომ ჰყრიან მთიელები ზღვაში გაზაფხულის

პირველ ყვავილებს. ეს ყვავილები ყველა ზღვაში დაღუპულს ეკუთვნის. ჩემს ყვავილებსაც არაერთხელ უტივტივიათ ტალღებზე.

ბარენცის ზღვაში იმ ადგილას, სადაც გაჩივი და მისი ამხანაგები დაიღუპნენ, მათი ხსოვნის პატივსაცემად ყველა გემი ჩერდება. კასპიის ზღვაზეცაა ასეთი წესი—შეჩერება და სამწუთიანი დუმილი დაღუპულთა მოსაგონარად.

ჩვენი ქალაქი მახაჩყალა ნავმისადგომში გაჩერებულ გემსა ჰგავს. სანაპიროს პარკიდან პუშკინი გაჰყურებს ზღვას, მის შორიახლოს სულეიმან სტალსკი დგას, ბულვარიდან კი მამაჩემი გასცქერის კასპიის სივრცეს.

ამბობენ, ზღვის ადგილას ოდესღაც მწირი უდაბნო იყო. მერე მან მთები დაინახა და მათ ფერხით სიხარულით ცისფრად ალივლივდაო.

ამბობენ, მთები ოდესღაც ერთმანეთთან მორკინალი ურჩხულები იყვნენო, მერე უცბად ზღვა დაინახეს და გაოცებისგან გაქვავდნენო.

აკვანში ჩაკრულს ასე მიმღეროდა ხოლმე დედა:

გაიზარდე, ბიჭუნავ,
ჰეშმარიტი მთიელი,
ამ მთასავით მაღალი,
ამ ზღვასავით ძლიერი.

ამას უმღეროდა ქალიშვილი ახალგაზრდა ჯიგიტს:

მთიელი ხარ, გეტყობა,
ისე გხურავს ფაფახი,
სიარულზე გეტყობა
შენი ჯიში ამაყი.

ჯიგიტიც ასე უმღეროდა ლამაზ მთიელ ქალწულს:

იქნებ სასწაული ხარ
ზღვის ფსკერიდან ნასხლეტი,

მე ჯერ არსად მინახავს
სილამაზე ასეთი.

ერთ კრებაზე ასეთ საუბარს მოვუსმინე:

— რა არის, სულ ამ ზღვაზე და მთებზე, მთებზე და ზღვაზე რომ ვლაპარაკობთ? ჩვენ სხვა მთები და ზღვაცა გვაქვს — ლეკური ბაღების ზღვა, პირუტყვის ზღვა და მატყლის გორები. ამაზეც ამოვიღოთ ხმა.

მაგრამ სწორი ნათქვამია:

სამივე ნამაზს ნუ ილოცებ,
ერთი დატოვე ჩვენთვის.
სამივე სიმღერას ნუ იმღერებ,
ერთი დატოვე ჩვენთვის.

მე დაღესტნის ორ მთავარ შემაღგენელ ნაწილზე გესაუბრეთ. მესამე ნაწილი კი ყველაფერი დანარჩენია. განა ცოტაა სათქმელი გზებზე, მდინარეებზე, ხეებსა და ბაღებზე? მთელი ცხოვრება არ მეყოფა, ყველაფერი რომ მოგიტხროთ. სიმღერაც ასეა. მსოფლიოში მხოლოდ სამი სიმღერაა: პირველი დედის სიმღერაა, მეორე — დედის სიმღერა და მესამე ყველა დანარჩენი სიმღერა.

მთიელები, როცა სტუმრად გიწვევენ, გეუბნებიან: ჩამობრძანდით ჩვენთან, ჩვენი მთები, ჩვენი ზღვა და ჩვენი გულები თქვენ გეკუთვნით. ჩვენი მიწა — მიწაა, სახლი — სახლი, ცხენი — ცხენი და კაცი — კაცი. მესამე არაფერი დგას მათ შორის.

აღამიანი

აღამიანი და თავისუფლება ავარულ ენაზე ერთნაირად წარმოითქმის: „უზდენ“ — აღამიანი, „უზდენლი“ — თავისუფლება. ამიტომ როცა „უზდენ“ — აღამიანი — გვყავს მხედველობაში, იგულისხმება, რომ ის თავისუფალია — „უზდენლი“.

წარწერა სამარის ქვაზე:

არ ყოფილა გმირი,
არ ყოფილა ბრძენი,
მაგრამ იყო კაცი
წინაპარი შენი.

წარწერა ხანჯალზე:

პატივი ეცი ყველას, ვისაც ჩოხა აცვია,
გოლიათისგან ნუ ანსხვავებ ტანით
პატარებს,
არ დაგავიწყდეს, ისიც კაცია,
ისიც შენსავით ხანჯალს ატარებს.

როცა მთიელი დიდი ხნის შემდეგ
სამშობლოში დაბრუნდა, ჰკითხეს:

— ერთი გვითხარი, რა ქვეყანაა,
რანაირი წესები აქვთ?

— იქ ადამიანები ცხოვრობენ, —
უპასუხა მთიელმა.

როცა შამილი და ჰაჯი-მურატი
ერთმანეთთან მწყურალად იყვნენ, ზო-
გიერთები, აქაოდა ნაიბს ესიამოვნე-
ბათ, აუგით იხსენიებდნენ შამილს.
ჰაჯი-მურატი მკაცრად აწყვეტინებდა
მათ:

— არ გაბედოთ ასეთი ლაპარაკი,
ის ადამიანია. რაც შეგვეხება ჩვენ,
ჩვენ თვითონ მოვრიგდებით.

მართალია, ჰაჯი-მურატმა მიატო-
ვა შამილი, მაგრამ გუნებზე უკა-
ნასკნელი ბრძოლის დროს ჰაჯი-მუ-
რატის სიმამაცე და გამბედაობა
რომ გაიხსენა, შამილმა თქვა:

— ისეთები აღარ არიან, ის ადა-
მიანი იყო.

საუკუნეები იცხოვრეს მთიე-
ლებმა მთებში და ყოველთვის
გრძნობდნენ ადამიანის საჭიროებას.
ადამიანი საჭიროა, უადამიანოდ გაძ-
ლება არ შეიძლება.

მთიელის ფიცი ასეთია: ადამიან-
ნად დავიბადე და ადამიანად მოვ-
კვდები!

მთიელების წესია — მინდორიც
გაყიდე და სახლიც, დაკარგე მთელი
ქონება, მაგრამ შენი ადამიანობა არ
გაყიდო და არ დაკარგო.

მთიელის წყევლა ასეთია: ღმერ-
თმა არ აღირსოს თქვენს გვარსა და
ჯილაგს არც კაცი და არც ცხენი.

თუ ვინმე რომელიმე წვრილმან-
სა და უღირს კაცზე ლაპარაკობს,
მთიელები თხრობას აწყვეტინე-
ბენ:

— ვიზე ხარჯავთ დროს, ის ხომ
ადამიანი არ არის.

როცა ვინმეს ნაკლსა ან შეცდო-
მაზე ლაპარაკობენ, მთიელები აჩერე-
ბენ:

— ის ადამიანია და შეიძლება
ეპატიოს.

თუ აულში წესრიგი არ არის,
მოუვლელი და უგზო-უკვლოა,
ასეთ აულზე იტყვიან, იქ ადამიანი
არ ცხოვრობსო.

ადამიანი არის უპირველესი საჭი-
როება, განძი და საოცრება. საიდან
გაჩნდა დაღესტანში ადამიანი, საიდან
აღმოცენდა, სადაა მთიელების თავი-
სებური ტომის ფესვები?

ბევრი მოთხრობა, ზღაპარი და
ლეგენდა არსებობს ამის თაობაზე.
ერთ-ერთი მათგანი ბავშვობაში გა-
მიგონია.

დედამიწაზე უკვე ბევრი ცხოვე-
ლი და ფრინველი იყო. მიწას მათი
ნაკვალევი აჩნდა, ადამიანის ნაკვა-
ლევი კი არსად იყო. ისმოდა ათას-
ნაირი ხმა, ადამიანის ხმა კი არა.
უადამიანო მიწა უენო პირს ჰგავდა,
უგულო მკერდს.

ამ მიწის თავზე არწივები ბო-
ინობდნენ, ძლიერი და უშიშარი
ფრინველები. იმ დღეს, რომელზეც
ახლა მოგიტხრობთ, ისეთი თოვლი
მოდიოდა, თითქოს, რაც ქვეყანაზე
ფრინველი არსებობდა, ყველა გა-
ეზუმბლოთ და ბუმბული ქარისთვის
გაეტანებინოთ. ცა ღრუბლებმა და-
ფარა და დედამიწა თოვლმა. ყველა-
ფერი აირ-დაირია, ეშმაკმა უწყოდა,
სად იყო ცა და სად მიწა. ამ დროს

არწივი ბრუნდებოდა ბუდეში, ნისკარტი ხანჯალს მიუგავდა და ფრთებს ხმლებივით მიიქნევდა.

ვინ იცის, არწივმა დაივიწყა სიმაღლე თუ სიმაღლეს დაავიწყდა არწივი, ეს კია, რომ მთელი ძალით შეეჯახა იგი პიტალო კლდეს. ავარელები ამბობენ, ეს გუნების მთაზე მოხდაო, ლაკები — ტურჩიდაგის მთაზეო, ლეკები ირწმუნებიან, ეს შახდაგის მთაზე მოხდაო, მაგრამ საცა არ უნდა მომხდარიყო, კლდე კლდეა და არწივი არწივია. ტყუილად კი არ ამბობენ: „ფრინველი შეეჯახება კლდეს, თუ კლდე — ფრინველს, მაინც ფრინველი დაიღუპება“.

ბევრი არწივი დაჯახებია ალბათ კლდეს და დაღუპულა, ის არწივი კა, ფრთები ხმლებს რომ მიუგავდა და ნისკარტი ხანჯალს, დაშავდა, მაგრამ არ დაღუპულა. ფრთები დაემსხვრა, მაგრამ გული ისევ უცემდა, ბასრი ნისკარტი გაუმრთელდა, გაუმრთელდა რკინის კლანჭებიც და დაიწყო არწივმა სიცოცხლისათვის ბრძოლა. ძნელია უფრთებოდ საკვების შოვნა, ძნელია უფრთებოდ მტრისაგან თავის დაღწევა. ყოველდღე ქვიდან ქვაზე, კლდიდან კლდეზე ფოფხავდა და სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა არწივი, იმ კლდისკენ ისწრაფვოდა, საიდანაც გარემოს თვალთვალი უყვარდა.

ძნელი იყო უფრთებოდ საკვების შოვნა, თავის დაცვა, კლდის წვერზე ასვლა და ბუდის აშენება. ამ მძიმე დღეებში არწივის კუნთები გადასხვაფერდა, გარეგნულადაც შეიცვალა და როცა ბუდე დაამთავრა, ის ბუდე ქოხი აღმოჩნდა, უფრთო არწივი კი მთიელი. დადგა ფეხზე და დამსხვრეული ფრთების ადგილას ხელები აღმოუცენდა, ნისკარტის ნახევარი ჩვეულებრივ მოზრდილ ცხვირად გადა-

ექცა, ნახევარი კი ხანჯლად დაეკიდა ქამარზე, ხოლო გული უცვლელი დარჩა, არწივის გული.

— ხედავ, შვილო, — მეუბნებოდა დედა, ამბავს რომ დაასრულებდა, — როგორ გაუჭირდა არწივს მთიელად გადაქცევა. შენ ამის ფასი უნდა იცოდე, შვილო.

არ ვიცი, მართლა ასე მოხდა თუ არა, მაგრამ ერთი ცხადია, ფრთოსნებიდან მთიელებისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი არწივია. მამაცსა და გულად ადამიანს არწივს უწოდებენ, ბიჭი დაიბადება და მამა ამაყად ამბობს, არწივი გამიჩნდაო, ის კი არა და, ქალიშვილი რომ მოვა შინ მოქნილი და ფიცხელი ნაბიჯებით, დედა იტყვის ხოლმე: მოფრინდა ჩემი არწივიო.

სამამულო ომის დროს დაღესტნის გმირებზე წიგნი დაიწერა: „მთის არწივები“.

ძველებური სახლების კარებზე, აკვნებსა თუ ხანჯლებზე ხშირად შეგხვდებათ ამოკვეთილი არწივას მკაცრი ხატება.

რა თქმა უნდა, სხვა ლეგენდებიც არსებობს.

როცა ბედის უკუღმართობაზე ლაპარაკობენ და მამები სამშობლოდან დაშორებით ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟკაცებს იხსენებენ ან შვილები იგონებენ ომში დაღუპულ მამებს, სჯერათ, რომ მთიელები კი არ წარმოიშვნენ არწივებიდან, პირიქით, არწივები წარმოიშვნენ მთიელებიდან.

— ო, არწივებო, ცად რომ ირევით, რა მოდგმისა ხართ, სადაურები?

— ომში დაცემულ თქვენი შვილების ჩვენ ვართ გულები ფრთაასხმულები.

— ვინ ხართ, მთიებო, ნისლში ირიბად და იისფერად რომ გაიღვებთ?

ჩვენ თვალები ვართ და დავტირივართ ომში დაცემულ მამაც მთიელებს.

აი რატომ შესცქერიან დაღესტნელები ცას ყოველთვის სიყვარულითა და იმედით. ასევე უყურებენ ცაზე მორიალე მძლავრ ფრინველებს. უყვართ მთიელებს ლურჯი ცა.

1942 წელს ვიხსენებ. ფელდმარშალ კლეისტის ჯარებმა კავკასიონის ზოგიერთი სიმაღლე დაიპყრეს. თვითმფრინავები გროზნოს ნავთის სარეწებს ბომბავდნენ. იმ დღეებში გროზნოში შეიკრიბა კავკასიის ახალგაზრდობის წარმომადგენლები. დაღესტნის დელეგაციის შემადგენლობაში მეც ვიყავი. მიტინგზე ცნობილი ლეკი მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ვალენტინ ემიროვი გამოვიდა. არც მისი ტრახუნიდან წარმოთქმული სიტყვა დამავიწყდება და არც ის მოკლე საუბარი, მიტინგის შემდეგ რომ გვქონდა. წასვლისას ცას ახედა და გვითხრა:

— იქ მიმეჩქარება, იქ უფრო საჭირო ვარ, ვიდრე მიწაზე.

ორი კვირის შემდეგ მისი დაღუპვის ცნობა მოვიდა. დაიღუპა, დაიფრთლა დაღესტნის სახელოვანი შვილი, მაგრამ ყოველთვის, როცა ყივილით გადამივლის თავზე არწივი, მჯერა, რომ მას ვალენტინის მგზნებარე გული უცემს.

1945 წელი. მოსკოვი. ყოველდღე დავდიოდით დაღესტნელი სტუდენტები მახაჩყალიდან მოსული ახალი ამბების გასაგებად. იმ დროს ჩვენი რესპუბლიკა ოცდახუთი წლისთავის საზეიმო აღნიშვნისათვის ემზადებოდა. იქ შევხვდი ერთხელ ნაბი ამინთაევს. მაშინ დაღესტანში კაცს ვერ ნახავდით, ეს ლაკი რომ არ სცოდნოდა, ეს ცის ჯიგიტი. იგი არაერთხელ დაშვებულა პარაშუტით მტრის მიწაზე და ყოველთვის უვნებელი დაბრუნებულა.

— ახლა ხომ ომი აღარ არის, და-

ბრუნდი დაღესტანში,— ვუთხარი მე. — კი, მაგრამ ცა ხომ დარჩა.

რამდენიმე დღის შემდეგ გაზეთმა „პრავდამ“ მისი ფოტოსურათი გამოაქვეყნა. ქვეშ ასეთი წარწერა ჰქონდა: „ნაბი ამინთაევი — მსოფლიოს რეკორდსმენი პარაშუტით ხტომაში. თავისი რეკორდი ამინთაევი დაღესტანს მიუძღვნა“.

რამდენიმე დღის შემდეგ ისევ შევხვდი ნაბის.

— მოდი, დაღესტანში წავიდეთ.

— ცა მელოდება, უმისოდ არ შემოძლია.

ცხოვრება კი ხანმოკლეა. ერთხელ პარაშუტმა უმტყუნა, ჩვენი ნაბი ფრთამოტეხილი არწივივით დაეცა და დაიღუპა. დიდმა დრომ გაიარა მას შემდეგ, მაგრამ ყოველთვის, როცა არწივის ყივილი მესმის, მგონია, ნაბის მგზნებარე გული უცემს მას.

ლამაზი რეზედაც მახსენდება. დაღესტნის ციდან დაეშვა იგი გუნბის მიწაზე. რამდენი ფანდური აკვნესდა მაშინ მისი ფანჯრის წინ! პოეტი არ დარჩენილა, მისთვის ლექსი რომ არ მიეძღვნა. აგურით ნაშენო ქალაქ ბუინაკსკის პატარა სახლო, რამდენი თვალი იყო შენს ფანჯრებზე მოჩერებული. ხუნდახში, გუნბისა და ყუმუხში გამალებული კაზმავდნენ ცხენებს გრძელნაწნავებიანი მზეთუნახავის მოსატაცებლად. მაგრამ მოვიდა ერთი ლენინგრაძელი, ჩაისვა ჩვენი რეზედა თვითმფრინავში და წაიყვანა. თვითმფრინავიდან დაუქნია ხელი რეზედამ მიწაზე დარჩენილ გამიჯნურებულ ჭაბუკებს. პირდაღებულ მისჩერებოდნენ ჩვენი პოეტები თვითმფრინავს, მერე კი მოდგნენ და წერეს ლექსები არწივისგან გატაცებულ მტრედზე.

ლენინგრაძეში ომმა მოუსწრო რე-

ზედას. „ამ ქალაქში ახლა ღამეები კი არა, დღეებიც აღარ არის თეთრი. ლენინგრადი ცეცხლშია გახვეული. მეც ცეცხლში ვარ. ცეცხლსა და კვამლში მივჩერებივარ ცას, მაგრამ იქაც ომია. ჩემი ქმარი სეიდი ბევრჯერ გაფრინდა მტრის ზურგში. ახლა უკვე სამი უწყება მაქვს მიღებული, რომ ის ცოცხალი აღარ არის. იგი დესანტი ექიმი იყო. ჩემს სანახავად მოდიან მისგან გადარჩენილი ადამიანები“, — იწერებოდა რეზედა.

რეზედა დაბრუნდა დაღესტანში. და როცა მშობლიური ციდან არწივის ყივილი ესმის, ჰგონია, რომ მას სეიდის მგზნებარე გული უცემს.

ძმაო ახილჩი, შენ ყველაზე უფრო მიწიერ ინსტიტუტში სწავლობდი — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მაგრამ ომის დროს ცა აირჩიე, მიფრინავი გახდი. შენ შავი ზღვის ცაზე დაიღუპე. მხოლოდ ოცდაორი წლის იყავი მაშინ. მე კარგად ვიცი, რომ აღარასოდეს დაბრუნდები მშობლიურ ქოხში, მაგრამ ყოველთვის, როცა კი არწივის ყივილს გავიგონებ, მჯერა — ეს ახილჩის გული მიგზავნის ძმურ სალამს.

ბოინობენ დაღესტნის ცაზე არწივები, ისინი ბევრია, მაგრამ არც სამშობლოსათვის თავდადებული მამაცებია ცოტა. არწივის ყოველი ყივილი სიმამაცესა და გამირობას გვაუწყებს. ყოველი ყივილი საბრძოლო სიმღერაა.

ვიცი, რომ ეს ღამაში ზღაპარია, გამონაგონი. ადამიანებს უნდათ, ასე იყოს. მაგრამ ისიც ვიცი, ერთმა კაცმა ძალიან მაღლა რომ აიწია, ანდიელმა ასე უთხრა:

— არწივებიც კი დაბლა ჩამო-

დიან, ადამიანებად რომ იქცნენ. შენც ჩამოდი დაბლა. ადამიანები აქ, მიწაზე დაიბადნენ. მთიელს სწორედ იმიტომ ჰქვია მთიელი, რომ მთების შვილია, მიწის შვილი. ადამიანებმა, დაე, სიმღერებსა და ლეგენდებში იფრინონ. ჩვენში უყვართ ეს სიტყვა — „ფრენა“. ამბობენ, მხედარი მიფრინავსო, სიმღერა მიფრინავსო. ჩვენი სიმღერების უმრავლესობა არწივებზეა.

ბევრჯერ გამაკრიტიკეს, აქაო და სულ არწივებზე სწერო ლექსებს, მაგრამ რა ვქნა, არწივი თუ მირჩევნია ყველა ფრინველს? მათ მაღლა და შორს შეუძლიათ ფრენა, მაშინ როცა სხვა ფრინველები ფეტვის ახლო-მახლო დაფათქუნებენ და ყაშყაშებენ. ხმაც მაღალი და კრიალა აქვთ. სხვა ფრინველები, აცივდება თუ არა, ღალატობენ დაღესტანსა და სხვა ქვეყნებში მიფრინავენ. არწივები კი, რა ამინდიც არ უნდა იყოს, როგორი სროლაც არ უნდა აფრთხობდეთ, მშობლიურ მწვერვალებს არ დათმობენ — არწივებს აგარაკები არა აქვთ. სხვა ფრინველები მიწაზე დაფათქუნებენ, სახურავიდან სახურავზე დაფრინავენ, საკვამურებს ეტმასნებიან, მინდვრიდან მინდორზე ინაცვლებენ, თუ სადმე პატარა ხეობაა, ჩვენში ჩიტის ხეობას ეძახიან, თუ სადმე ციცაბო კლდეა — არწივის კლდეს.

ბავშვი რომ დაიბადება, ჯერ კიდევ არ არის ადამიანი. რაკილა ფრენა იცის, ყველა ფრინველი არწივი როდია.

მთის არწივები

დიდებულია ეს მთა, ტატნობი, სადაც ჩიტების ხმები მინელდა —
 ჭაში ზვიადად დანავარდობენ
 მთის არწივები, ღმერთნი ფრინველთა.

მთებს დარაჯობენ დარშიც, წვიმაშიც, კლდის ნაპრალებში ჩაბუდებულნი. ქედს როდი იდრეკს ბედის წინაშე მთის არწივების სული მეფური.

სიმაღლეს სწრაფად იმორჩილებენ და სადაც ცეცხლის დისკო კრიალებს, შავ-შავ გუნდებად წამოშლილები, ადგაფუნებენ ცის ოკეანეს.

მათ ყივილს ყველა ფრინველი უფრთხის, გაისუსება ყველა უკლებლად, და ყვავ-ყორნების დამფრთხალი გუნდი ხეგვებში ბინდად ჩაიხუმქრება.

ზოგჯერ მთელი დღე ვდგავარ ბავშვივით და ცას მიჯნურის თვლებით ვუმზერ, და მათი ფრთების აფრაშფრაშება სიამის სხივად მადნება გულზე.

ეცემა მათი ჩრდილი ფერდობში, სადაც საშიში ვიწროებია, და მამაცებიც ჩემს სამშობლოში მთის არწივებად იწოდებიან.

იაპონელებისათვის ყველაზე ძვირფასი ფრინველი წეროა. მათ სჯერათ, თუ ავადმყოფი ქაღალდიდან ათას წეროს გამოჭრის, განიკურნება. გადამფრენ წეროებს, მეტადრე თუ ისინი ფუძიამაზე მიფრინავენ, უკავშირებენ იაპონელები სიხარულსა და მწუხარებას, განშორებასა და შეზვედრებს, ოცნებებსა და ძვირფას მოგონებებს.

მეც მიყვარს წეროები, მაგრამ იაპონელებმა რომ გაიგეს, ყველა ფრინველს არწივი ურჩევნიაო, არ მოეწონათ.

თუმცა ჩვენი მოჭიდავე ალი ალიევი ტოკიოს შეჯიბრებებზე მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა, ერთმა იაპონელმა მეგობარმა მითხრა:

— არც ისე ცუდი ფრინველები ყოფილან თქვენი არწივები.

ერთხელ ჩვენს მთიელებს ვუამბე, როგორ სძლიეს ყანჩებმა არწივებს

თურქეთის ცაზე. მთიელები გაოცდნენ, გაბრაზდნენ კიდევ, არ უნდოდათ დაჯერება, მაგრამ ასე კი მოხდა და.

— შენ სწორს არ ამბობ, რასულ, — მითხრა ბოლოს ერთმა მთიელმა, — არწივები კი არ დამარცხდებოდნენ, დაილუპნენ ალბათ, ეს კი სხვა საქმეა.

მე ერთი მეგობარი მყავდა, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირი ახმედხან სულთანნი. მამა დაღესტნელი ჰყავს, დედა კი — თათარი. თვითონ მოსკოვში ცხოვრობდა, მაგრამ დაღესტნელები თავიანთ გმირად თვლიდნენ, თათრები კი — თავიანთად.

— ბოლოს და ბოლოს გამაგებინე, ვისი ხარ? — ვკითხე ერთხელ მე.

— თათრეთისა და ლაკეთის კი არა, საბჭოთა კავშირის გმირი ვარ, შვილი კი—დედაჩემისა და მამაჩემისა. მათი ერთმანეთისაგან დაშორება არ შეიძლება, მე ხომ ადამიანი ვარ.

ერთხელ შამილმა თავის მდივანს მაჰმად ტაჰირ ალ-კარახს ჰკითხა:

— რამდენი კაცი ცხოვრობს დაღესტანში?

მაჰმადმა მოსახლეობის აღწერის წიგნი გადაშალა და უპასუხა.

— მე ნამდვილ ადამიანებზე გეკითხები, — განრისხდა შამილი.

— ასეთი მონაცემები არა მაქვს.

— უახლოეს ბრძოლაში არ დაგავიწყდეს მათი დათვლა, — ბრძანა იმამმა.

მთიელები ამბობენ: „თუ გინდა კაცის ნამდვილი ფასი გაიგო, ჰკითხე:

1. უბედურებას.
2. სიხარულს.

3. ქალს.
4. ხმალს.
5. ვერცხლს.
6. ბოთლს.
7. თვითონ მას“.

დიახ, ადამიანი და თავისუფლება, ადამიანი და პატიოსნება, ადამიანი და გმირობა ერთ ცნებაში ერთიანდება. მთიელებს ორსახოვანი არწივი ვერ წარმოუდგენიათ. ორსახოვანს ისინი ყვავს ეძახიან. ადამიანი — ეს მარტო სახელწოდება როდია, ეს არის წოდება, რომლის მიღწევა არც ისე ადვილია.

ამას წინათ ბოთლისში მოვისმინე, როგორ მღეროდა ვიღაც ქალი უღირს მამაკაცზე:

რაღაცით ცხენს ჰგავხარ,
 რაღაცით მელას,
 რაღაცით ცხვარს ჰგავხარ,
 რაღაცით ძერას,
 კაცობით, სინდისით,
 ვის გავხარ ნეტა?

მეორე ქალის სიმღერაც მოვისმინე მატყუარა კაცზე:

კაცი მეგონე და ფრთხილად, ფრთხილად მოგენდე კიდევ ქალი მთიელი,
 თურმე ყოფილხარ მჩუტე თხილივით ფუყი, ფუტურო და ცარიელი.
 ნეტამც ჩემ ღღეში არ დამენახე, ღღეს გვიანია ურვა და ოხვრა,
 კაცი კი არა, საფრთხობელა ხარ, მარტო ფაფახი და მარტო ჩოხა.

საქმროს მამებარმა ქალიშვილმა დაიჩივლა:

— ფაფახის ტარება ყველას შეუძლია, არც უღვაშსა აქვს ჭკუა, ასეთი ქმარი რომ მინდოდეს, ხელად ვიშოვიდი. მე ადამიანს ვეძებ.

მთაში ცხვარს რომ ყიდულობენ, ღუმასა და მატყლს უსინჯავენ, ცხენს თავპირსა და ფეხებს, მთლიან შეხე-

დულებას, მაგრამ ადამიანის შეფასებისას რას მიაქციონ ყურადღება? მის სახელსა და საქმეს. სხვათა შორის ავარულ ენაში სიტყვა „სახელს“ ორი მნიშვნელობა აქვს: ერთი უბრალოდ სახელს ნიშნავს, მეორე კი — დამსახურებას, საქმიანობას, ღვაწლს. ვაჟიშვილი რომ დაიბადება, ამბობენ: „ციარ ბუგებ, ციარ ბატაგი“. ეს კი ნიშნავს: „დაე, სახელმა მოუტანოს ყმაწვილს დიდება“. ისე კი მარტო სახელი რა ბედენაა.

დედა შთამაგონებდა ხოლმე: „სახელზე ძვირფასი ჯილდო არ არსებობს, სიცოცხლეზე ძვირფასი განძი არ მოიძევება. გაუფრთხილდი ამათ, შვილო“.

წარწერა ყანწზე:

თუ კაცი მაიმუნისგან მოდის,
 ურიცხვი ჟამის გრძელი გზა უღვეს,
 და სულ იოლად ახერხებს ლოთი,
 ერთ-ორ საათში გამაიმუნდეს.

როცა შამილი გუნების მთაზე გამაგრდა, მისი ხელში ჩაგდება შეუძლებელი იყო. მაგრამ გამოჩნდა მოლალატე და მტერს საიდუმლო ბილიკი აჩვენა. ფელდმარშალმა თავადმა ბარიატინსკიმ გამცემი მთიელი ოქროთი დაასაჩუქრა.

მოგვიანებით, როცა შამილი უკვე კალუგაში იმყოფებოდა, მოლალატე მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

— შენ მთიელი კი არა, მოლალატე ხარ, კაცი არა ხარ და არც შვილი ხარ ჩემი, — უთხრა მამამ და სული გააფრთხობინა. მერე თავი მოკვეთა და ლალატში ადებულ ოქროსთან ერთად კლდიდან მდინარეში გადაუძახა. აღარც მამას დაედგომებოდა მშობლიურ აუღში, შვილის გამო ხალხში გამოჩენა ესირცხვებოდა. ჰოდა, ადგა და სადღაც გადაიკარგა, ვერვინ გაიგო მისი ასავალ-დასავალი.

დღესაც კი, იმ ადგილს რომ ჩაუვლიან მთიელები, საიდანაც მოლალატის თავი გადააგდო მამამ, ქვევს ისვრიან. ის კი არა და ამბობენ, ფრინველები რომ გადაუვლიან ამ კლდეს, „მოლალატე, მოლალატეო“ ყივიან.

ერთხელ მახარ დახადაევი ჩამოვარდა აულში, მებრძოლები რომ შევრჩია თავისი რაზმისთვის. გოდეკანზე ორი მთიელი ნახა, ისხდნენ და ბანქოს თამაშობდნენ.

— ასალამ ალეიქუმ. აბა ერთი თქვენი კაცები შემიგროვეთ!

— ჩვენს გარდა აულში კაცი არ არის.

— ვაჰ, უკაცო აული რაღა აულია, საით წასულან, სად არიან?

— იბრძვიან.

— ოო... როგორც ჩანს, აქ ყველა კაცი ყოფილა თქვენ ორს გარდა.

ერთხელ აბუთალიბმა საათი მიუტანა ხელოსანს შესაკეთებლად. იქ ახალგაზრდა კაცი იჯდა და მესაათე საათს უკეთებდა.

— დაჯექი! — უთხრა მესაათემ აბუთალიბს.

— დღეს, ეტყობა, ხალხი გყავს, სხვა დროს შემოვივლი.

— სად ხედავ ხალხს? — გაუკვირდა მესაათეს.

— აი, მაშ ეს ახალგაზრდა კაცი ვინაა?

— ეგ რომ კაცი იყოს, მაშინვე ადგებოდა, როგორც კი შემოხვედი, და ადგილს დაგიტომობდა. რა მნიშვნელობა აქვს დაღესტანისთვის, როგორ იმუშავენ ამ ჭკუანაღრძობის საათი. შენი საათი კი ზუსტად უნდა მუშაობდეს.

შემდეგში აბუთალიბი ამბობდა, დაღესტანის სახალხო პოეტობის მო-

ნიჭება არ გამხარებია ისე, როგორც მესაათის პასუხმა გამახარაო მაშინ.

დაღესტანში ოცდაათი ეროვნების ხალხი ცხოვრობს, მაგრამ ზოგიერთი ბრძენი ირწმუნება, დაღესტანში დასაბამიდან მხოლოდ ორი კაცი ცხოვრობსო.

— ეს როგორ?!

— უბრალოდ. ერთი კარგი კაცი და მეორე — ცუდი.

— თუ ასეა, მაშინ ერთი კაცი ყოფილა დაღესტანში, — უსწორებენ ზოგიერთები, — ცუდი კაცი ხომ კაცი არ არის.

კუშელი ხელოსნები ფაფახებს კერავენ, მაგრამ ზოგიერთები თავზე იხურავენ ამ ფაფახებს, ზოგიერთებს კი საკიდზე აქვთ ჩამოკიდებული.

ამგუზელი მჭედლები ხანჯლებს აწრთობენ, ზოგიერთს ქამარზე ჰკიდია ეს ხანჯალი, ზოგს კი ლურსმანზე აქვს ჩამოკონწიალებული.

ანდიელი ოსტატები ნაბდებს თელავენ, ზოგიერთებს მხრებზე აქვთ მოგდებული ეს ნაბდები, ზოგიერთები კი ზანდუკში ინახავენ.

ადამიანებიც ასე არიან, ზოგი ყოველთვის საქმიანობს, შრომობს ქარსა თუ წვიმაში, ზოგიერთი კი სკივრში ჩადებულ ნაბადს, საკიდარზე შემოდებულ ფაფახს თუ ლურსმანზე ჩამოკიდებულ ხანჯალს მიაგავს.

თითქოს სამი ბრძენი მოხუცი აკვირდებოდა დაღესტანს, მათი სიცოცხლე საუკუნეებს ითვლის, ყველაფერი უნახავთ და ყველაფერი იციან. ერთი მათგანი ისტორიულ წარსულს ავლებს თვალს, ძველისძველ საფლავებს გადახედავს, ცაზე მორიალე ფრინველებზე ჩაფიქრდება და იტყვის: „იყვნენ დაღესტანში ადამიანე-

ბი“. მეორე დღევანდელ ქვეყანას უყურებს, გაჩახჩახებულ დაღესტანს გაჰხედავს, ვაჟკაცების სახელებს ჩამოთვლის და ამბობს: „არიან დაღესტანში ადამიანები“.

მესამე მოხუცი გულში მიმოიხილავს მომავალს, აფასებს საძირკველს, დღეს რომ ჩავყარეთ მომავლისთვის, და ამბობს: „იქნებიან დაღესტანში ადამიანები“.

ჩემი აზრით, სამივე მოხუცი მართალს ამბობს.

ცოტა ხნის წინათ დაღესტანს სახელოვანი კოსმონავტი ანდრიანე ნიკოლაევი ესტუმრა. ჩემს სახლშიც შემოიარა ანდრიანემ.

— დაღესტანს არა ჰყავს თავისი კოსმონავტი? — მკითხა ჩემმა პატარა გოგონამ.

— არა, — ვუპასუხე მე.

— მერე ეყოლება?

— ეყოლება!

ეყოლება იმიტომ, რომ იბადებიან ბავშვები, ვარქმევთ სახელებს, იმიტომ, რომ იზრდებიან ეს ბავშვები და ქვეყნის მხარდამხარ მიაბიჯებენ. თვითეული ნაბიჯი უფრო და უფრო აახლოვებთ დასახულ მიზანთან. დაე, სხვაგანაც თქვან დაღესტანზე, როგორც ჩვენ ვამბობთ აულზე: სადაც წესრიგი და მშვიდობაა, იქ არის ადამიანი.

გაგრძელება იქნება.

□

თარგმნა

თეოდორ ბაქიუვილა

არ ვიცი...

არ ვიცი რაა ეს ქვეყანა უცხო თვალისთვის,
სამშობლო ჩემი, ნახანძრალი, შესაბრალისი.
ბავშვობის დღენი აქ გავლიე ნათლით მოცული,
ვით ხეზე ტოტი, მის სხეულზე ვარ ამოსული.
და ალბათ ბოლოს ამავე მიწას მივებარები, —
სამშობლოვ, სულში მარად რეკენ შენი ზარები.
ყოველ ნაბიჯზე მშობლიური და ახლობელი
მხვდება ბალახი, ხე, ყვავილი დამათრობელი.
ვიცი, ამ გზებზე მოარული ვინ საით მიდის,
ვიცი, რას ნიშნავს ამ ველებზე საღამოს ბინდი.
ციდან უმზერენ... ეს ქვეყანა რუკაა მათთვის,
მაგრამ ვინ იტყვის, სად ცხოვრობდა ვეორეშმარტი.
იმათი თვალი აქ ქარხანას, ყაზარმას ეძებს —
მე კი გუმბათებს, — სოფლის ნახირს შეფენილს ველზე.
ისინი ჭვრეტენ ერთიანად სოფლებს და მინდვრებს,
მე კი თვალნათლივ ვხედავ მშრომელ ამ სოფლის მკვიდრებს;
ტყეებს, ვენახებს, მოდიდინე მეზვრეს და მჭედელს,
სასაფლაოზე მოქვითინე შაოსან დედებს...
ბომბდამშენიდან მოჩანს მხოლოდ რკინიგზა, ხიდი,
ჩემთვის კი იგიც ხილულია, ვინც ხიდზე მიდის:
მეისრე დროშით და ჯიხური რკინიგზისპირას,
ბაღი, სად წყვილნი პაემანზე მოდიან ხშირად...

აი, ბილიკი, სადაც ერთხელ, ვითომდაც ნავსად,
ქვას დავკარ მუხლი, — არ მინდოდა სკოლაში წასვლა.
აგერა ის ქვაც, ვერ დალანდავს იმ ქვას ვერავინ,
ვერ აღმოაჩენს მას ამ ქვეყნად ერთი მზვერავიც...

მეზვიდე ეკლოგა

მოდის საღამო. მავთულხლართებით შემოქსოვილი მუხის მესერი
და ბარაკები თანდათანობით იძირებიან ღამის წყვილიადში.
აქედან ჩიტიც ვერ გადაიფრენს, მხოლოდ მზერა თუ გადაშორდება,
რადგან გონებამ მშვენივრად იცის მავთულხლართების ნამდვილი არსი.
ძვირფასო ჩემო, წარმოსახვასაც შეტრუსული აქვს ფრთები საფრენი.
უილაჯონი, მხოლოდ სიზმრებში, მხოლოდ სიზმრებში ვთავისუფლდებით;
ხელ-ფეხს მხოლოდ ის გაგვიხსნის ხოლმე და შინ მიიწევს ტყვეთა ბანაკი.

ჩამოფლეთილნი, ტან-ფეხშიშველნი, გაბრუებულნი მძიმე ძილქუშით
სერბიის მრუმე სახურავებზე გადაიფრენენ მშობელ მხარისკენ...
მაგრამ მამული — ჩვენი მფარველი, არისლა კიდევ? ისიც არ ვიცით,
მაშ ვის წიაღში ჩავიმყუდროვით?.. ნუთუ ცვივიან იქაც ბომბები?
აი, ეს ხალხი უტყვი, მკვნესარი, თუ ეღირსება იქ დაბრუნებას,
იქ, სამშობლოში... ანდა აქამდე მიაღწევს როსმე ეს ჰეგზამეტრი?

რა საჭიროა ახლა მართლწერა, ბწკარები ბწკარებს შიშით ეკვირიან,
ეს ლექსი, როგორც ჩემი ცხოვრება, მიედინება მრუმე ღამეში.
ეს დაჭმუჭნული ქალაღდიც ახლა ამოდ სანატრი ღვთის წყალობაა...
თუ რამ გვებადა, ამოაქოთეს და ერთიანად მოუსვეს ხელი,
აწ ჩვენი ამბის მიმტან-მომტანი გადად-გადმოდის მხოლოდ ღრუბელი.

შევკრულვართ ყველა მარტოდენ შიშით და უსასოო ნუგეშის ძაფით:
პოლონელი თუ იტალიელი, სერბი, უნგრელი, ურია, ფრანგი —
ერთი ცხოვრებით ვცხოვრობთ ყველანი, ერთი იმედი გვინთია ყველას,
რომ გვეღირსება ადრე თუ გვიან თავისუფლება, ქალის ალერსი,
რომ დასასრული არსებობს ყოვლის, რომ კიდევ ხდება სასწაულებიც.

ვწევართ ფიცრებზე, როგორც პირუტყვი. ღამე ბუზები არ გვაწუხებენ,
მაგრამ რწყილების ავი ღაშქარი თანდათან გვიმწყვდევს ვიწრო ალყაში.
იღევა ღამე. ტყვეობას ჩვენსას კიდევ ერთი დღე ჩამოეცლება.
ბანაკს კი სძინავს და მთვარის შუქზე ავად ელავენ მავთულხლართები.

ფანჯრიდან მოჩანს გუშაგის ჩრდილი კედლებზე როგორ მიმოაბოტებს
და მისი ჩექმის მკაცრი კაკუნით იფსება ღამის მყუდრო წიაღი.

კვლავ ძილი დასძლევს წამიერ ღვიძილს.
 აქ მარტოდმარტო მე ვფხიზლობ მხოლოდ
 და შენი ტკბილი ამბორის ნაცვლად ჩამჩრალ სიგარეტს გრძნობენ ტურები.
 წამიერ შვების, სითბოს მომგვრელი არც ძილი მოდის, გამქრალა ძილიც
 და არც უშენოდ სიცოცხლე ძალმიძს და არც სიკვდილის აღარ მაქვს ძალი.

ბანაკი ჰაიდენაუ, 1944 წ. ივლისი

მოკრძალებული ოლა

თქმას ვეპირები და სათქმელის საზღვართან ვდგავარ,
 მსურს დაგანახო სიყვარულის ვარსკვლავთა ბრწყინვა,
 გაგიხსნა გული, მაგრამ ვიცი, ვერ გეტყვი მთავარს —
 ხარ თვით ცხოვრება, ვინაც ჩემში დაიდო ბინა.

გაქვავდა გულში შენი სახე მარადიულად,
 გაქვავდა, როგორც გაქვავდება ქვაში ნიჟარა.
 მთვარე, ვარსკვლავთა ჭრელი საბნით გადახურული,
 ჩემი ლამიდან ოდენ შენზე სიზმრებს იპარავს.

ვერასდროს გითხარ, ვერასოდეს ვერ გეტყვი ალბათ, —
 ოდეს სიტყვასთან მორკინალი, სასწაულს ველი,
 შენს ყოველ სუნთქვას როგორა ვგრძნობ დღესავით ნათლად,
 შენს მზრუნველ მზერას როგორ გრძნობს ხელი...

ჩემს მდარე სტრიქონს შენი თვალით ვკითხულობ მუდამ,
 გადავდებ გვერდზე, რომ დავიწყო თავიდან ხვალე.
 უმწეობის და უკმარების ნალველი მთუთქავს,
 ვიცი, ეს ჯავრი საბოლოოდ დამშლის და დამლევს...

შენთან ვარ ფიქრით, როს დამღლევი გრძელი დღის მერე
 მყუდრო ბინაში დაბრუნდები, ჩემო ფერიავ,
 თითქოს ოთახის ყრუ საგნები ჩუმად გიმზერენ
 და სადიდებელ ჰიმნს გიმღერიან...

დაეწვეთება თაფლის წვეთი ქათქათა სუფრას,
 ოქროსფერ მძივად გაბრწყინდება, მოგტაცებს მზერას...
 და ყველაფერი, შენს მოსვლამდე რაც იყო უბრად
 ენას აიდგამს, რომ გასმინონ საამო ჟღერა.

გაიწკრიალებს ცარიელი სასმისი ბროლის,
 სულდგმულობს შენით, უშენობა მისთვის ძნელია.

ალბათ დრო მოვა და გაიშობ, თუ შევიძელი,
როგორ გნატრობენ ეს ნივთები, როგორ გელიან.

გვიან კი, ოდეს ძილის ფრთები მოგიალერსებს,
გაჭყვები ღამაზ ოცნებების მსუბუქ დინებას,
ჩამოეშლება გრძელი თმები სპეტაკ სარეცელს,
მილულავ თვალებს და მღიმარეს ჩაგეძინება.

ღამაზ წამწამთა ოდნავ, ოდნავ ირხევა ჩრდილი,
ვით არყის ტოტი, მკლავი დაბლა ჩამოქანდება...
ვიძინებ შენში, უნეტარეს, უწმინდეს ძილით,
ერთარსად ქმნილი ჩვენი ყოფა არ დამთავრდება.

* * *

არც ჩემი ხალხი არის ალბათ მთლად უცოდველი,
თავის ნებაზე ჩვენც გვაბრუნებს წუთისოფელი.
მაგრამ ჩვენ ვიცით სად შევცოდეთ, როდის, რაგვარად,
მრავალმა სცადა, მაგრამ ვერვინ გადაგვაგვარა.
აქ კვლავაც სუფევს შრომის მადლი, მუზა პოეტის,
ჩვილი ბავშვები ხვალ იტყვიან: აჰა, მოვედით!
რომ გაინათონ, გაიკვლიონ გზები ახალი...
ჯერ კი მშვიდობას ველით, როგორც ამინდს — ნახნავი.

შემწედ გვექმენი, უხილავო, ამას ვინატრით,
ახალი სიტყვით გაგვიგრძელე სიტყვა წინაპრის!

წყვილი

სძინავს გულს და გულში დარდება სძინავს.
სძინავს მყუდროდ გარინდებულ ბინას.
არც თავუნა არ ფაჩუნობს არსად,
სძინავს ხეებს, ანუ სძინავს ქარსაც.
სძინავს ფუტკარს, მარად შრომით გართულს,
სძინავს ხორბლის თავთავებში ზაფხულს...
სძინავს მთვარეს გადახაფრულს ბნელით
და იღვიძებს მწიფობისთვის ფერი...

□



ბიკენტი პერესკევი

მძიმის ჩანაწერები

თარგმნა რამაზ კობიძემ

ერთხელ სოფელში გლეხის დედაკაცმა მომაკითხა და მთხოვა, ავადმყოფი ქალიშვილი მყავს და გასინჯეთო. ქონში შესვლისას გამაოგნა რაღაც მომყავო, საზიზღარმა სუნმა, — ასე ჰყარს ხოლმე ხევი, სადაც მკვდარ ძაღლებს ჰყრიან. დაბალ საწოლზე, ტყაპუჭის ქვეშ ავადმყოფი იწვა, ჩვიდმეტი წლის სახედაქანცული, უფერული ქალიშვილი.

— რა გტკივთ?

მან უხმოდ, ელდანაცემივით შემომხედა და გაწითლდა.

— ბატონო ექიმო, მწყალობელო, ისეთი სნეულება შეეყარა, რომ თქმაც კი ერცხვინება, — მოთქმით წამოილაპარაკა დედაბერმა.

— რა სისულელეა! ექიმთან დამორცხვება სად გაგონილა! აბა, მაჩვენეთ.

ქალიშვილს მივუახლოვდი. პირისახე

უეცრად გაუქვავდა და იმავე დროს მორჩილი გამომეტყველებაც მიიღო. იმ სახიდან გაუნძრევლად მომჩერებოდნენ მიმქრალი, დაბნეული თვალები.

— მობრუნდი, ტანიუშა, ეჩვენე! — უთხრა დედამ და ტყაპუჭი გადაჰხადა. — ექიმი განახავს და, თუ ღმერთმაც ინება, გამობრუნდები...

ისეთივე მიმქრალი თვალებით მომზიარალი, ისევე ელდანაცემი, მორჩილების გამომხატველი პირისახით გადაბრუნდა ქალიშვილი გვერდზე და უხეში ტილოს პერანგი აიწია. პერანგზე ჩირქი მიხმობოდა და ხის ქერქივით გახეშეშებოდა. აუტანელი სანახაობისაგან და სიმყრალისაგან თვალი დამიბნელდა. მთელი მარცხენა თეძო სარტყელიდან მუხლამდე ერთ მთლიან, უზარმაზარ, მოლურჯო-წითელ სიმსივნედ ქცეუ-

* დასასრული. დასაწყისი იხილეთ „საუნჯე“ № 4,5, 1976 წ.

ლიყო, ზედ უამრავი წყლული და მუშტის-
ოდენა ჩირქის ბუდეები ასხდა; ჩირქი ჩამ-
პალიყო და აუტანელ სუნს გამოსცემდა.

— აქამდე რას უყურებდით? მე ხომ
თვენახევარია, რაც აქა ვარ! — შევუყვირე
დედას.

— ექიმო, მწყალობელო, გოგოს სულ
ერცხვინებოდა. — ამოიოხრა დედაბერ-
მა. — მთელი თვეა, ავადმყოფობს. მეგონა,
ღვთის წყალობით, გაუვლის-მეთქი. თავი-
დან სულ პაწაწკინტელა ჰქონდა... ვეუბნე-
ბოდი, განა არა, — ტანიუშა, ამ სოფელში
ერთი ექიმი ცხოვრობს, ყველა მისი მად-
ლიერია, შენც მიაკითხე-მეთქი. მრცხვე-
ნია, დედიო“, — მეუბნებოდა... მოგეხსენე-
ბათ ქალიშვილების ამბავი, მაგათ ჭკუა ხომ
არა აქვთ... ჰოდა, ამ დღეში კი ჩავარდა!

სახლში ინსტრუმენტებისა და შესახვევი
მასალების მოსატანად წავედი. ღმერთო,
ასეთი უაზრობა გაგონილა! ხსნა მთელი თვე
მათგან ორ ნაბიჯზე იყო, რაღაც ველურმა,
მანინჯმა გრძნობამ კი მხსნელისაკენ გზა გა-
დაულობათ და იმ ზღურბლის გადაბიჯება
მხოლოდ ახლად გაბედეს, ახლა, როცა, იქ-
ნებ, უკვე ძალიან დაგვიანებულიცაა...

ასეთი შემთხვევები კი ძალიან ხშირად
გვხვდება. ვინ იცის, სირცხვილის გრძნო-
ბის გამო ქალები რამდენ სნეულებას აღარ
მიჰხედავენ ხოლმე, და ექიმსაც როგორ ეშ-
ლება ხელი დიაგნოზის დასმისა და მკურნა-
ლობის დროს!.. მაგრამ რამდენ სულიერ
წამებას იტანს თვითონ ქალიც, როდესაც
სირცხვილის გადატანა უხდება. ახლაც
ცოცხალივით თვალწინ მიდგას იმ ქალი-
შვილის დაბნეული, გაქვავებული სახე, მი-
სი დაძაბული და თან მორჩილი გამოხედვა;
ნამდვილად ბევრი იტანჯა, სანამ საკუთარ
თავს მოერეოდა და მე მომმართავდა.

ხშირად განმეორებულ შთაბეჭდილებებს
აღამიანი ეჩვევა... მაგრამ მაინც — როცა
სახეშეფაკლული, ავადმყოფი ქალი, მთელი
სხეული რომ ძლიერ შესამჩნევად უცახცა-
ხებს, ჩემს წინ შიშვლდება, ხანდახან ეს
აზრი გამიელვებს ხოლმე: მაქვს კი წარმოდ-
გენა იმაზე, რაც ახლა მის სულში ხდება?

„ანა კარენინაში“ ერთი მძიმე სცენაა აღ-
წერილი: „სახელგანთქმულმა ექიმმა, —
გვიამბობს ტოლსტოი, — არც თუ ძალიან
ხნიერმა, ჯერაც საკმაოდ ლამაზმა მამაკაცმა
ავადმყოფი კიტის გასინჯვა ისურვა. განსა-
კუთრებული სიამოვნებით უსვამდა ხაზს
იმას, რომ ქალწულის სიმორცხვე ბარბარო-
სობის გადმონაშთია და არაფერია იმაზე
უფრო ბუნებრივი, როცა ჯერაც საკმაოდ

ახალგაზრდა კაცი ქალწულს ხელებს უფა-
თურებსო; სხვა გზა აღარ იყო. როცა დაბნე-
ული, სირცხვილისაგან გაოგნებული ქალ-
წული ყურადღებით გასინჯა და ტანზე თი-
თები უკაკუნა, სახელგანთქმულმა ექიმმა
ხელები გულდასმით დაიბანა, სასტუმროში
გაჩერდა და თავადს გამოელაპარაკა... დედა-
სასტუმროში კიტისთან შევიდა. გამხდარ,
სახელანძულ კიტის გადატანილი სირცხვი-
ლისაგან თვალეები უჩვეულოდ უელავდ-
ნენ. იგი შუაგულ ოთახში იდგა. როცა ექი-
მი გავიდა, კიტი გაწითლდა და თვალეები
ცრემლით აევსო“.

თანდათანობით ავადმყოფები ეჩვევიან
ასეთ გამოკვლევებს; მაგრამ ეჩვევიან ბავ-
შვობიდანვე ჩამოყალიბებული სულიერი
წყობის მსხვრევის შედეგად. ეს
მსხვრევა მუდამ უკვალოდ როდი ჩაივლის
ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პირდაპირ შემა-
ძრწუნა იმ სულიერმა დაკნინებამ, რაც ამ
ამბავმა შეიძლება გამოიწვიოს ქალის სულ-
ში. მაშინ ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი და
ეკატერინოსლავის გუბერნიაში ქოლერას-
თან საბრძოლველად გამგზავნეს. ხარკოვში
სალამოს ათ საათზე ვაგონში ახალგაზრდა
ქალი შემოვიდა. მას სანდომიანი პირისახე
და ნათელი, ოდნავ გულუბრყვილო თვალე-
ები ჰქონდა. ერთმანეთს გამოველაპა-
რაკეთ. როცა გაიგო, რომ სტუდენტი მედი-
კოსი ვიყავი, მითხრა, ხარკოვში საექიმოდ
ვიყავიო, და თავისი ავადმყოფობის ამბავიც
მიაშობო. უკვე ოთხი წელი იყო, რაც დის-
მენორეა სჭირდა და სხვადასხვა პროფესო-
რებთან მკურნალობდა; ერთმა უთხრა, სა-
შვილოსნოს გამრუდება გაქვსო, მეორემ —
საშვილოსნოს ყელის დავიწროებაო. ერთი
თვის წინათ, თურმე, საშვილოსნოს ყელი
კიდევ გაუჭრეს. ვიჯექით ნახევრად ბნელ
ვაგონში, ქალი ნათელი, მშვიდი თვა-
ლებით მომჩერებოდა და თავისი ავადმყოფო-
ბის ნიშნებზე, სნეულების დაწყებაზე მიაშ-
ბობდა. გარდა თავისი სქესობრივი და ოჯა-
ხური ცხოვრების საიდუმლოებისა, ყველა-
ფერი ისე გამიმხილა, წარბიც არ შეერხვია.
გაოცებული ვუსმენდი: რამდენი საზიზღარი
მანიპულაციის და გამოკითხვების გადატანა
მოუხდა, რამდენჯერ უნდა მიეგდო ხოლმე
უცხო ადამიანისათვის გასათელად თავისი
სიმორცხვე და კდემამოსილება, რომ შემ-
დეგ ბირველი შემხვედრის წინ ასეთი უმიზ-
ნო გაშიშვლება შესძლებოდა!

არადა, ქალის სიმორცხვეს სხვა ჩასიათი
რომ ჰქონდეს, აღარც ეს ველური მსხვრევა
იქნებოდა და არც იმით გამოწვეული სული-

ერი დაკნინება. პეტერბურგში ერთხელ ავად-
მყოფ კურსისტკასთან მიმიწვიეს. ყველა
ნიშანი მუცლის ტიფზე მეტყველებდა:
ელენთის გასინჯვა პერანგის გაუხდელად კი-
დევ შეიძლებოდა, მაგრამ როზელოების შე-
სამოწმებლად ქალიშვილს მუცელი უნდა გა-
ეშიშვლებინა. წამით შევყოყმანდი, — ასე-
თი რამის მოთხოვნა დღემდე მიმიძიხს და
მეუხერხულება.

— პერანგი უნდა ავიწიო? — უბრალოდ
მკითხა ქალიშვილმა. იგი მიხვდა, რაც იყო
საჭირო და ეს ყველაფერი — ასეთი მძი-
მე სატანჯველი, ძალიან უბრალოდ და
ადვილად გამოუვიდა. როგორ მომეწონა
ეს დარბაისელი ქალიშვილი! მას ჭკვიანუ-
რი, მშვიდი თვალები ჰქონდა. ვხედავდი,
რომ მისთვის აქ არაფერი იყო არც საწყე-
ნი და არც სატანჯველი, იმიტომ, რომ თვი-
თონ იგი ჭეშმარიტად გამოცდილი ქალი
იყო. დიან, იგი უბრალოდ და ადვილად გა-
ეშიშვლდა ჩემს წინაშე, მაგრამ ვაგონში
შემთხვევით შეხვედრილ იმ მეორე ქალს
არასგზით არ მიჰბაძავდა და არაფერსაც არ
მომიყვებოდა...

რა არის ავადმყოფისათვის სამარცხვი-
ნო? რა არ არის სამარცხვინო?

არიან ტომები, ჩაცმისა რომ რცხვენიათ.
როცა მისიონერები ორინოკოს ტომის ინ-
დიელებს ქსოვილების ნაჭრებს თავაზობ-
დნენ, სხეული ამით დაიფარეთო, ქალები
იმ ნაჭრებს ისროდნენ ან მალა-
ვდნენ და ეუბნებოდნენ: „არ დავიფარავთ,
იმიტომ, რომ გვრცხვენიაო“. ბრაზილიაში
უოლესი ერთ ქოხში შევიდა, შიშველი ქა-
ლებით რომ იყო სავსე, მაგრამ იმათ ეს აი-
ნუნშიც არ ჩაუგდიათ, არადა, ერთ მათ-
განს „საია“, ე. ი. რაღაც ქვედა კაბის მსგა-
ვისი ჰქონდა, და ზოგჯერ იცვამდა კიდევ,
„ჰოდა, მაშინ კი მართლაც დაირცხვენდა
ზოლმე, როგორც ცივილიზებული ქალი და-
ირცხვენს, შიშველს თუ შეესწარიო“, —
გვიმოწმებს უოლესი.

აღმოსავლელ ქალს, ქმარს რომ პირისა-
ხე აჩვენოს, რცხვენია; რუს ქალს სა-
მარცხვინოდ მიაჩნია ხალხში თავშიშველა
გამოსვლა; გოგოლის მანდილოსნებს ერცხვი-
ნებოდათ სიტყვებისა, — „ცხვირი მოვი-
წმინდე“, და ამბობდნენ, „ცხვირი შევიმსუ-
ბუქეო“, ან „ცხვირსახოცი მოვიშველიეო“;
ეს ყველაფერი სასაცილოდ გვეჩვენება და
ვერ გაგვიგია, რატომაა სამარცხვინო ის, თმა
ან პირისახე რომ მოგვიჩანს, ან სიტყვე-
ბი — „ცხვირი მოვიწმინდეო“. მაგრამ რა-

ტომ არ გვეცინება იმ ქალზე, ქმრის თვალ-
წინ მუხლის თუ მუცლის გაშიშვლებას რომ
ერიდება, ან რატომაა, ყველაზე მოკრ-
ძალებულ ქალიშვილსაც რომ არ ერცხვინე-
ბა მეჯლისზე სანახევროდ გაშიშვლებული
მკერდით გამოჩნდეს, ის კი ვინც
მკერდს წელამდე გაიშიშვლებს — ცინიკურ
ადამიანად ითვლება? რატომ არ განვიცდით
უხერხულობას იმ მამაკაცის ცქერისას, ვი-
საც ფიქრადაც არ მოსდის ქალს თავისი
წვერ-ულვაში—ნამდვილი სქესობრივი ნიშ-
ნები დაუმალოს? „ცხვირი მოვიწმინდეო“, —
ამის თქმა სირცხვილი არ არის, ხოლო სხვა,
მართალია, ასევე არაესთეტიურ, მაგრამ
არანაკლებად ბუნებრივ ფიზიოლოგიურ
მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ლაპა-
რაკი შეუძლებელია. და აი, ადამიანები სა-
პირისპირო სქესთა საზოგადოებაში პირ-
დაპირ ეწამებიან, ზოგჯერ თავს მძიძე და-
ავადების საფრთხეშიც კი იგდებენ, მაგრამ
ვერ ბედავენ იმის გამხელას, ურომლისო-
დაც, — ეს ყველამ მშვენივრად იცის, —
ადამიანს არსებობა არ შეუძლია.

ჩვენ ისე გვზრდიან, რომ საკუთარი სხე-
ული რაღაც სამარცხვინო რამედ გვიქციონ.
ბუნების მიერ განსაზღვრული მთელი რიგი
მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისას სირ-
ცხვილს განვიცდით.

ასე გვასწავლეს: *obscocnum est di-
cere, facere non obscocnum.* —
(თქმა სირცხვილია, ქმნა სირცხვილი არ
არისო), — ასე ახასიათებს ხსენებული მო-
თხოვნილებების დაკმაყოფილებას ციცი-
რონი.

ცნობიერების პირველივე ჩანასახის გაჩე-
ნიდანვე ბავშვს დაბეჭითებით ასწავლიდნენ,
უნდა გერცხვინებოდეს ამა და ამ ბუნებრივ
მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა და
სხეულის ამა და ამ ნაწილის გაშიშვლებაო.
ბავშვის თავანკარა ბუნება დიდხანს არ
იკარებს ამ მითითებებს, მაგრამ აღმზრ-
დელთა ღონისძიებანი სულ უფრო ძლიერ-
დება და ბოლოს და ბოლოს ბავშვი იმსჭვა-
ლება იმ აზრით, ჩემი სხეული სამარცხვინო
რაღაცა არისო. მერე თანდათან უარესი ამ-
ბები ხდება. გადის დრო და მოზარდი თავი-
სი წარმოშობის საიდუმლოს იგებს. აღზრ-
დის წყალობით მისთვის ეს საიდუმლო სა-
შინლად უწმინდურია, შემაძრწუნებელი თა-
ვისი მოულოდნელობით და სიბინძურით.
ერთში ამ გაუგონარი უსირცხვილობის კა-
ნონიერების აზრი ვნებათა ღელვას იწვევს,
რაც სხვა პირობებში სრულიად შეუძლებე-
ლი იქნებოდა; მეორეს იგივე აზრი სასოწარ-

კვეთილებაში აგდებს. ქვითინი ქალიშვილი-
სა, ცხოვრების სიბინძურემ თავზარი რომ
დასცა და ფიცი დასდო, არასოდეს გავთხოვ-
დებიო, ამ ქალიშვილის გათელილი სიყვა-
რული, — ეს მიმე ტკივილია, რაც იმავე
დროს თავისი არაბუნებრიობითაც გვაო-
ცებს. მაგრამ სად არის გამოსავალი?

როგორ განვერიდოთ ასეთ დრამებს?

რუსო მოითხოვდა, მშობლებმა და აღ-
მზრდელებმა ბავშვებს ყველაფერი თითონ-
ვე აუხსნან, ამ საქმეს შინამოსამსახურები-
სა და ამხანაგების ბინძურ ენებს ნუ მიანდო-
ბენო. მაგრამ რა განსხვავებაა? ბავშვს ისე
ვზრდით, რომ, როგორ „სუფთადაც“ არ
უნდა უამბო საქმის შინაარსი, იგი მასში მა-
ინც შემადრწუნებელ, უსირცხვილო სიბინ-
ძურეს დაინახავს.

ეს ყველაფერი სრულიადაც არ მოასწა-
ვებს, თითქოს თვითონ სიმორცხვე მართ-
ლაც ბარბაროსობის ნაშთი იყოს, როგორც
ამას ტოლსტოის „სახელგანთქმული ექიმი“
ამტკიცებს. სიმორცხვე, როგორც საკუ-
თარი ინტიმური ცხოვრების გარეშე
თვალთგან მალვა, როგორც გრძნობა, რომ-
მელიც ადამიანისათვის შეუძლებელს ხდის
ცხოველივით პირველსავე შემხვედრ ძუს-
თან ან ხვადთან დაწყვილებას, — ბარბარო-
სობის ნაშთი კი არ არის, არამედ კულტუ-
რის ძვირფასი შენაძენია. მაგრამ ასეთი სი-
მორცხვე არავითარ შემთხვევაში არ გამო-
რიცხავს ცხოვრებისათვის საჭირო ურცხვო-
ბას. ბროუიადს თავის „Profils nerds“-
ში ერთი შესანიშნავი ნარკვევი აქვს, სადაც
გამოყვანილია ინტელიგენტი რუსი ქალი-
შვილი; ვინმე „ნაზი ვნების მეცნიერების“
ვულგარული მოყვარული პირდაპირ გაოგ-
ნებული დგას ამ ქალიშვილის წინაშე: ქალი-
შვილი თავისუფლად, ყოველგვარი მორცხ-
ვობის გარეშე, „მეცნიერული მატერიალი-
ზმის ტერმინებით“ ლაპარაკობს ჩასახვაზე,
დედობაზე, — „და იმავე დროს არც ერთი
მამაკაცის ტუჩები ჭერ იმ ქალიშვილის ხელ-
საც კი არ შეჭხებია!...“

მკაცრი, მაღალზნეობრივი სიმორცხვე
სიშიშველესაც მშვენივრად ეგუება. ბიუფონ-
ნი ამბობს, ჩვენ არც ისე გარყვნილნი ვართ
და არც ისე უმწიკვლონი, რომ შიშველებმა
ვიართოთ, მაგრამ მართლა ასეა კი?.. ველურ-
რები ჩვენზე უფრო გარყვნილები არ
არიან; დიდი ხანია, აღარავის სჯერა ზღაპ-
რები მათს უმწიკვლობაზეც, მაგრამ ველურ-
თა შორის ბევრნი შიშველნი დადიან, და ეს
სიშიშველე მათ არ რყვნიოთ, ისინი უბრა-
ლოდ მიჩვეულნი არიან ამას. რო-

გორც ტანსაცმლით სხეულის დაფარვის ჩვე-
ულება ხშირად უღრმესი გარყვნილების
მხარდამხარ მიაბიჯებს, ისევე შეიძლება ჩვე-
ული სიშიშველე უმაღლეს ზნეობას ეხამებო-
დეს. ცეცხლოვანი მიწის მკვიდრი ქალები
ტიტველნი დადიან და ამის ოდნავადაც კი
არ ერცხვინებთ; და ამავე დროს, როგორც
კი ისინი ჩამოსულ ევროპელ მეზღვაურთა
ვნებიან გამოხედვას დაიჭერენ, წითლდე-
ბიან და მყისვე იმალებიან. შესაძლოა,
რომ სწორედ ისევე გაწითლდებოდა ჩაცმუ-
ლი ევროპელი ქალიც, თუ მას ვინმე ბრა-
ზილიელი ან ორინოკოს ტომის ინდიელი
აშკარა ნდომით შეხედავდა.

ყველაფერი ჩვეულებაზე ჰკიდია. სამარ-
ცხინოდ მხოლოდ ნეკის გაშიშველება რომ
ითვლებოდეს, მაშინ მეორე სქესის წარ-
მომადგენლებზე სწორედ ნეკის გაშიშველება
იმოქმედებდა. ჩვენ ტანისამოსით თითქმის
მთელ სხეულს გულმოდგინედ ვიფა-
რავთ. და აი, ადამიანის კეთილშობილი,
სუფთა და მშვენიერი სხეული გარკვეუ-
ლი მიზნების მისაღწევად მისატყუარ სა-
შუალებად იქცა. დაფარული, მეორე სქესის
ადამიანისათვის უხილავი — იგი მის წინაშე
მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში
შიშველდება და ამით ვნებიანობას აძლიე-
რებს, ამწვავებს, და სწორედ ამ ვნებიანთა-
თვის იქნებოდა ძნელი გადასატანი ჩვეული
სიშიშველე. ჩვენ შეგვიძლია, ყოველგვარი
საგანგებო გრძნობის გარეშე ვტკბებოდეთ
ჩაცმული ლამაზი ქალით; მაგრამ ცოცხალი
შიშველი ქალის სხეულისადმი უმწიკვლო
დამოკიდებულების უნარი აღზრდამ წა-
გვართვა, თუნდაც ის ქალი ვენერა მილოსე-
ლივით ლამაზი იყოს.

ჩვენ გვრცხვენია საკუთარი სხეულისა,
პატივს არა ვცემთ მას და ამიტომაც არ
ვზრუნავთ მასზე; მთელი ზრუნვა სხეულის
მოკაზმვისაკენაა მიმართული და ამას ხში-
რად სხეულის სრული დამახინჯების ფასად
ვალწევთ.

არავითარი აზრი არა აქვს მარჩიელობას,
თუ მომავალში სად გაივლის სიმორცხვის
საზღვრები, მაგრამ ერთი კი უეჭველია, —
ადამიანები უფრო ერთგულად და პატივის-
ცემით მოეპყრობიან ბუნებას და მას კანონ-
ნებს, და აღარ გაწითლდებიან ხოლმე იმის
გამო, რომ მათ სხეული აქვთ და ის სხე-
ული ბუნების კანონების თანახმად ცო-
ცხლობს.

პეტერბურგში ჩემი ჩასვლიდან და-
ახლოებით წელიწადნახევრის შემდეგ ერთ-
მა რკინიგზელმა ავადმყოფი ბავშვის სანახა-

ვად წამიყვანა. ოთახი მესუთე სართულზე ჰქონდა, სადაც ჭუჭყიანი, მყრალი კიბე აღი-
ოდა. სამი წლის ბიჭუნას ჰირკვლების დაჩირ-
ქება აღმოაჩნდა, ბავშვი რაქიტინი, გა-
მხდარო და მიკნავებული იყო. ფართხალობ-
და, კოვზის ტარს კბილებს უჭერდა, ასე რომ,
ყელი ძლივს გავუსინჯე. მკურნალობა დავუ-
ნიშნე. მამამ — მაღალმა, წითურმა და
წვერგაბურძგნულმა კაცმა წამოსვლისას
ფული გამომიწოდა. ოთახი ღარიბული და
საცოდავი იყო, მთელი ჯოგი ჰყავდათ ბავ-
შვებისა... ფული არ გამოვართვი. მან პატი-
ვისცემითა და მადლიერებით გამომაცილა.

მომდევნო ორი დღე ბავშვს ისევ ციებ-
ცხელება ჰქონდა, ყელი კიდევ უფრო გაუ-
სივდა, სუნთქვა უჭირდა. მშობლებს ყველა-
ფერი ვუთხარი და დაჩირქებული ადგილის
გაჭრა შევთავაზე.

— ეგ როგორ, პირში უნდა გაუჭრათ?
შიგნით? — დედამ წარბები ასწია.

ავუხსენი, ოპერაცია სრულიად უსაფრ-
თხოა-მეთქი.

— აჰ, არა! მაგაზე ვერ დაგყაბულდე-
ბით! — სწრაფად და გადაწყვეტით მითხრა
დედამ.

ბევრი ვარწმუნე და ვუხსენი, მაგრამ
უნაყოფოდ.

— მე ასე ვიტყოდი, ყველაფერი ღვთის
ნებაა, — თქვა მამამ. — თუ ღმერთმა არ
ისურვა, გაჭრაც არ უშველის, მაინც მოკვ-
დება. ასეთი სუსტი ან ოპერაციას როგორ
გადაიტანს!

ბავშვს ყელი გამოვურეცხე.

— პირს ახლა თვითონვე ალებს, — ნაღ-
ვლიანად წარმოთქვა მამამ.

— ჩირქგროვა ალბათ დღეს გასკდე-
ბა, — ვუთხარი მე, — ყურადღება მიაქცი-
ეთ, ბავშვი ჩირქმა ძილში არ დაახრჩოს.
თუ ცუდად შეიქნება, დამიძახეთ.

სამწარეულოში გავედი. მამამ პალტო
მარდად მომაწოდა.

— არც კი ვიცი, ბატონო ექიმო, მად-
ლობა როგორ გადაგიხადოთ, — ჩაილაპარა-
კა მან, — შეიძლება ითქვას, პირდაპირ სა-
მუდაშოდ დაგვავალეთ.

მეორე დღეს მივედი; დავრეკე. კარი
ნაშტირალევმა, გაცრეცილმა დედამ გამიღო.
გაალმასებული თვალებით შემომხედა და
უხმოდ ღუმელისაკენ გააბიჯა.

— რას შვრება ბავშვი?

არ მიპასუხა. არც კი მობრუნებულა.

— კვდება, — თავშეკავებით წაილაპარაკა
კუთხეში ვიღაც დედაბერმა.

პალტო გავიხადე და ოთახში შევედი.

მამა საწოლზე იჯდა. მუხლებზე ფერწასუ-
ლი ბავშვი ეწვინა.

— როგორაა? — ვიკითხე.

მამამ ცივი, უგულო მხერა შემავლო.

— არც კი ვიცი, დილამდე როგორ გამო-
აწია. ალბათ სადილობამდე მოკვდება.

ბავშვს ხელი მოვკიდე და მაჯა გავუ-
სინჯე.

— მთელი ღამე ცხვირიდან და პირიდან
ჩირქი მოსდიოდა. — თქვა მამამ. — რამ-
დენჯერმე კინალამ დაიხრჩო, გალურჯდა,
თვალები გადაატრიალა. ცოლი ატირდა,
შენაჯღრია და — ამანაც ცოტა ხნით ისევ
მოიხედა.

— ფანჯარასთან მიიყვანეთ, ყელი უნდა
ვუნახო, — ვთქვი მე.

— რისთვისღა უნდა აწვალოთ! — ბრაზით
წაილაპარაკა შემოსულმა დედამ. — მოასვე-
ნეთ მაინც..

— გრცხვენოდეთ! — დავუყვირე
ქალს. — ცოტა უარესად შეიქნა და მა-
შინვე ხელი ჩაიქნით: მოკვდესო. ბავშვი
არც ისე ცუდადაა.

ყელის სიმსივნეს შესამჩნევად დაეკლო,
მაგრამ ბიჭუნა ნაშიმშილვეი და და-
სუსტებული იყო. მშობლებს ვუთხარი, საქ-
მე კარგად მიდის და ბავშვი ახლა მალე მო-
რჩება-მეთქი.

— ღმერთმა ქნას! — მამამ უნდობლად
ჩაიღიმა, — მე კი ასე ვიტყოდი, ხვალ ეგ
ცოცხლებში აღარ ეწერება.

რეცეპტი გამოვუწერე, ავუხსენი, წამა-
ლი ასე და ასე მიეცი-მეთქი და წამოვდექი.

— ნახვამდის.

მამამ ძლივს მიპასუხა. გასაცილებლად
წამოდგომა არავის უფიქრია. აღშფოთებული
გამოვედი. რა თქმა უნდა, კანონიერი და გა-
საგები იყო მათი ნაღველი, მაგრამ მე რით
დავიმსახურე ასეთი წყრომა? ხომ ჰხედავდ-
ნენ, როგორი ყურადღებით ვექცეოდი. ერ-
თი მადლობის სიტყვა მაინც არ უნდა ეთ-
ქვათ? ოდესღაც ვოცნებობდი და ამგვარო
შემთხვევები გულუბრყვილოდ ასე წარმო-
მედგინა: ავადმყოფი, მართალია, კვდება,
მაგრამ ახლობლებმა იციან, რა გულმხურ-
ვალედ და უანგაროდ ვუვლიდი, და სი-
ყვარულისა და მადლიერების გრძნობით
აღვსილნი მემშვიდობებიან.

— არ უნდათ და არცაა საჭირო! — გა-
დავწვიტე მე, — აქ მომსვლელი აღარ ვარ.
მეორე დღეს თავი დიდი ვაივაგლანით ვაი-
ძულე, რომ მაინც წავსულიყავი. ზარის რე-
კვისას ბრაზი მაცახცახებდა, ველოდი, რომ
ის ადაშიანები, ვისთვისაც ყველაფერს ვაკვ-

თებლი, რაც კი შემეძლო, ისევე უაზრო, დაუ-
მსახურებელი სიძულვილით შემხვდებოდნენ.

კარი ბედნიერმა, ვარდისფრად ალან-
ძულმა დედამ გამიღო. წამით შეყოყმანდა,
მერე კი ხელზე მეცა და მაგრად მაკოცა. გა-
მიკვირდა კიდეც, ქალს ისეთი კარგი და
სასიამოვნო პირისახე ჰქონდა, მანამდე
არც კი შემიმჩნევია. ბავშვი თავს შესანიშნა-
ვად გრძნობდა, მხიარულად იყო და საჭმელს
თხოულობდა... დედამაც და მამამაც მხურვა-
ლედ მადლობის სიტყვებით გამომაცილეს.

ამ შემთხვევამ პირველად დამანახა, რომ,
თუ შენგან ახლობელი ადამიანის გადარჩე-
ნას ელიან და შენ ეს ვერ შეიძელი, არას-
გზით არ გეპატიება, ავადმყოფის გადარჩე-
ნას როგორი მხურვალე მონდომებითაც არ
უნდა ცდილობდე.

ერთი ვაჭრის ახალგაზრდა ცოლს, გვარად
სტარიკოვას ხუნაგი სჭირდა და ვმკურნა-
ლობდი. მისი ქმარი, მსუქანი, ლოყაწითელი,
წითურულვაშებიანი, გულკეთილი გამო-
მეტყველების ვაჭარი თვითონ მომაკითხავ-
და ხოლმე თავისი მარხილით; იგი ისე ფუს-
ფუსებდა, ისე ნოქრულად მელაქუცებოდა,
რომ ხელსაც მიშლიდა და თან სიცილსაც
მგვრიდა. მარხილში ჩაჯდომისას ხელს იდა-
ყვზე მომკიდებდა, კარგად დამსვამდა, ქურ-
ჭის კალთებს გამისწორებდა, მერე კი თვი-
თონ სკამის ნაპირზე ჩამოჯდებოდა ხოლმე.
ავადმყოფს ძალიან მძიმე, ფლეგმონოზური
ფორმის დიფტერიტი სჭირდა და რამდენი-
მე დღე სიკვდილის პირას იყო. მერე კი
მომჯობინება დაეწყო. მაგრამ დიფტერი-
ტის შემდგომი დამბლების საშიშროება მა-
ინც არ გამქრალა.

ერთხელ ავადმყოფის ქმარი დილის ოთხ
საათზე მომვარდა. მითხრა, ცოლს მუცლის
არეში ძლიერი ტკივილები და ღებინება და-
ეწყო. ქარბუქი იყო; მარხილი სწრაფად
მისრიალებდა დაცარიელებულ ქურჩებში.

— რამდენს გაწუხებთ, ექიმო! — მიბო-
დიშებდა ჩემი თანამგზავრი. — ასე უთენია
ასეთ ამინდში წამოგიყვანეთ! ძილსაც კი
ალარ გაცლით...

ავადმყოფი ძალიან ცუდად იყო, მკერ-
დისა და მუცლის არეში ხანგრძლივ ტკივილს
უჩიოდა, სახეზე მიტკლისფერი ედო, და
ის ძნელად ასაწერი იერი ჰქონდა, რომელიც
ყოველ, თუნდაც სულ ცოტათი გამოცდილ
თვალს გარკვევით ეუბნება, გულის დამბლა
სწრაფად და გარდაუვლად ახლოვდებაო.
ქმარი გავაფრთხილე, დიდი საშიშროების
წინაშე ვართ-მეთქი. ავადმყოფთან საღი საა-
თი დავყავი და მერეღა წავედი, რადგან კი-

დეგ მეორე მძიმე ავადმყოფი მყავდა და
ისიც უსათუოდ უნდა მენახა. სტარიკოვას-
თან გამოცდილი ფერშალი ქალი დავტოვე.

საათნახევრის შემდეგ უკანვე მოვბრუნ-
დი. ჩემს შესახვედრად გამოსულ ქმარს უც-
ნაური სახე და ჩაწითლებული თვალები
ჰქონდა. კარებში გაჩერდა და ხელები უკან
დაიწყო.

— როგორაა მარია ივანოვნა?

— მარია ივანოვნა? — სიტყვების გაგრ-
ძელებით გაიმეორა მან.

— დიან!

ერთ ხანს ხმა არ ამოუღია.

— ნახევარი საათის წინ მშვიდად განის-
ვენა! — სტარიკოვს პირისახე მოეღრიცა და
მძულვარედ შემათვალიერა. — პატივი
მაქვს, დაგემშვიდობოთ. ნახვამდის!

მკვეთრად გატრიალდა და ნათესავებით
გავსებულ დარბაზში შევიდა.

ახლა ჩემს მეხსიერებაში ვერასგზით ვერ
ვაერთიანებ იმ სტარიკოვის ორ სახეს: ერ-
თი ფორიაქა, გადაჭარბებით ყურადღებიანი,
თითქმის ლაქუცა, თვალებში მაცქერალი,
მუდამ ჩემი სიანგლოვის მძებნელი, მეორე
კი — უცხო, უკარება, გამომწვევად, შეუ-
რაცხმყოფელად და აგდებულად მაცქერა-
ლი, წითელი თვალები სიძულვილით რომ
უელავდა.

ოჰ, როგორი უსაზღვრო სიძულვილი
იციან ამ ადამიანებმა! ძველად ასეთ დროს
ექიმს ძალიან სწრაფად უსწორდებოდნენ
ხოლმე: „ექიმი, ვინმე გერმანელი ანტო-
ნი, — გვიამბობენ რუსული მატრიანები, —
თავად კარაკუჩას მკურნალობდა და საწამ-
ლავით მოაკვდინა. დიდმა თავადმა ივანე III
იგი ექიმი კარაკუჩას შვილს გადასცა, ამან
აწამა და უნდოდა გაეყიდა. დიდმა თავადმა
ამის ნება არ დართო და მოკვდინება უბრ-
ძანა; ზამთარში მოსკვა-რეკაზე, ხიდქვეშ ჩა-
იყვანეს და ცხვარივით დაკლეს“.

ვესტოტების კანონით, იმ ექიმს, ვისაც
ავადმყოფი მოუკვდა, დაუყოვნებლივ გარ-
დაცვლილის ნათესავებს გადასცემდნენ ხოლ-
მე, „რათა იმათ იგი ექნათ, რასაც მოისურ-
ვებდნენ“. ამ კეთილშობილურ კანონს ახ-
ლაც ბევრი ინატრებდა: მაშინ პირდაპირ და
უდავიდარაბოდ მიაღწევდნენ იმას, რასაც
ახლა ზოგჯერ საექვო გზით ესწრაფვიან.

1888 წლის ბოლოს ოდესის გაზეთ „ნო-
ვოროსიისკი ტელეგრაფ“-ში ვინმე გ. ბელი-
აკოვის წერილი დაიბეჭდა, რასაც მეტად
მყვირალა სათაური ჰქონდა.

„შვილი დამიკლეს“

(უჩვეულო ნეკროლოგი მამისა შვილზე-

„ღიან. ბ. რედაქტორო! — წერდა ბ. ბელიაკოვი. — ჩემი ერთადერთი შვილი სოკრათი ხერსონში 28 ნოემბერს, ზუსტად საღამოს 10 საათზე, ადგილობრივი ოპერატორის პეტროვსკის ხელით მეცნიერულად დაჰკლეს...“

შემდეგ, მთელი ფელეტონის მანძილზე, ბ. ბელიაკოვმა დაწვრილებით გვიამბო, „თუ მისი ბავშვი როგორ დაავადდა დიფტერიით, რა ცუდად მკურნალობდნენ მას ექიმები და იმ ცუდი მკურნალობის წყალობით როგორ გართულდა სნეულება“.

ავტორი სასამართლოს გამომძიებლის გულმოდგინებით იყენებს საბრალოდ საბუთებად ექიმების მიერ გამოწერილ ყველა რეცეპტს და ამით, თავისდა უნებურად, თვალსაჩინოდ უდასტურებს ყველას, ვისაც კი ეს საქმე გაეგება, რომ ბავშვს სავსებით სწორად მკურნალობდნენ. ბავშვი ძალიან ცუდად იყო. ერთმა ექიმმა ავადმყოფი უიმედოდ სცნო და წავიდა. მამა ყველას ევედრებოდა, შვილი გადავირჩინეთო. მაშინ ექიმმა გერშელმანმა უკანასკნელი საშუალება — ოპერაცია შესთავაზა. ოპერაციას ექიმი პეტროვსკი აკეთებდა, რის დროსაც ბავშვი მოკვდა. როგორც თვითონ ბ. ბელიაკოვის ნაამბობიდან ჩანს, შემთხვევა ძალიან მძიმე ყოფილა. და ასეთი დასასრულის მოლოდინი ყოველ წუთს უნდა ჰქონოდათ. მაგრამ ბ. ბელიაკოვი, რომელსაც ამ საქმისა არაფერი გაეგება, ამტკიცებს, ჩემი შვილი თავისი ხელით ოპერატორმა პირდაპირ დაჰკლაო.¹

„განა საჭირო იყო ოპერაცია, — კითხულობს ბელიაკოვი, — თუ ავადმყოფობა უკვე ექვს დღეს გრძელდებოდა? კომპეტენტური პირები (?) ამბობენ, როცა დიფტერიით ამდენ ხანს გაურთულებლად გრძელდება, ავადმყოფი კი ისევ სუნთქავს, ოპერაცია სულაც არაა საჭირო (ეს ნამდვილი სისულელეა). და ბოლოს ექიმი გერშელმანი განა სწორად მკურნალობდა? ავადმყოფის გადასარჩენად მან განა ყველა საშუალება იხმარა? ჩემი აზრით, ბ. გერშელმანი ძალიან ზერელედ მოეკიდა თავის საქმეს... ახლა კეთილი ინებეთ და სასჯელთა

¹ მამის საჩივრის თანახმად ბავშვის გვამი საფლავიდან ამოიღეს და ოთხი ექსპერტის თანდასწრებით გაჰკვეთეს. გამოიკვია, რომ ოპერაცია უნაკლოდ იყო ჩატარებული, ბავშვი კი დიფტერიულმა ნაღებმა დააბრჩო.

დებულებაში შესაფერი მუხლი მონახეთ, რომელიც სასტიკად დასჯის იმას, ვინც დამნაშავეა სოკრატის სიკვდილში, და ამით ტანჯვას შეგვიმსუბუქებს!“

რა თქმა უნდა, დებულების არც ერთი მუხლი ბ. ბელიაკოვს არაფერში წაადგება. აი, ვესტგოტების კანონები რომ ისევ მოქმედებდნენ, — ო, მაშინ ბ. ბელიაკოვი ნამდვილად შესძლებდა ისეთი სასჯელის გამოგონებას, მას ტანჯვას რომ შეუმსუბუქებდა!. რა ძლიერია ადამიანის სულში იმის წყურვილი, რომ, რაღაც უნდა დაუჯდეს, მსხვერპლი გამოძებნოს და დაღუპული ახლობლის აჩრდილს შესწიროს.

თავდაპირველად ეს სიძულვილის გრძნობა ძალიან მტანჯავდა. ვწითლდებოდი და ვიტანჯებოდი, როცა ქუჩაში ჩემი გარდაცვლილი პაციენტის რომელიმე ახლობელი შემთხვევით გადამეყრებოდა ხოლმე და მყისვე სწრაფად გატრიალდებოდა, რომ თვალითაც აღარ დავენახე. მერე თანდათან მივეჩვიე. ამ მიჩვევის შედეგად კი თვით ჩემთვისაც სრულიად მოულოდნელი რამ მოხდა.

ჩემს მეზობლად ერთ კორექტორ ქალს გიმნაზიელი შვილი ავად გაუხდა.

ქალი ჩემთან მოვიდა. პატარა ბინაში ცხოვრობდა და ორი შვილი ჰყავდა — ის ავადმყოფი გიმნაზიელი და ქალიშვილი, ეკატერინე ალექსანდროვნა, — სასიამოვნო გარეგნობის ქალიშვილი, ექიმის თანაშემწეთა როჟდესტვენსკის კურსების მსმენელი. ჩანდა, რომ ბიჭუნა დედასაც და ქალიშვილსაც გაგიჟებით უყვარდათ. მას ფილტვების კრუპოზული ანთება აღმოაჩნდა. დედა გამხდარი, ნერვიული, მკვირცხლთვალეა ქალი პირდაპირ გაქვავდა.

— ექიმო, მითხარით, ეგ ძალიან საშიშია? მოკვდება?

ვუპასუხე, ჭერჭერობით არაფრის თქმა არ შემიძლია, კრიზისი ხუთი-ექვსი დღის შემდეგ დადგება-მეთქი. დედასა და ქალიშვილს იმის გაფიქრებაც კი არ შეეძლოთ, რომ ბიჭი შეიძლება მომკვდარიყო. ყველაფერს იღონებდნენ, ოღონდ გადაერჩინათ. ავადმყოფს დღეში სამჯერ მაინც ვნახულობდი. ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა, მაგრამ ისე დაბეჯითებით მთხოვდნენ ხოლმე, რომ უარს ვეღარ ვეუბნებოდი.

— ექიმო, ხომ არ კვდება? — შეიძწუნებული მეკითხება დედა. — ექიმო, ძვირფასო! მაბატით, ჩემს ჭკუაზე აღარა ვარ... ჭო... რისი თქმა მინდოდა? თქვენ ხომ ყვე-

ლაფერს გაუკეთებთ? ექიმო, ჩემს ვალოდის ხომ გადამირჩინთ?

მეოთხე დღეს ეკატერინე ალექსანდროვნამ აღელვებით და ტუჩების კვნეტით მითხრა:

— ნუ მიწყენთ, ნება მომეცით, როგორც კერძო პირს, ისე მოგმართოთ... მეჩვენება, რომ თქვენ ძალიან შაბლონურად მკურნალობთ: აბაზანები, კოდეინი, კოტონშები, თავზე ყინული... ახლა digitatis-ით დაუნიშნეთ.

— რაკი ასეა, კეთილი ინებეთ და თქვენვე უმკურნალეთ. მე კი თქვენს მითითებებს შევასრულებ, — ცივად მივუგე მე.

— ოჰ, არა, მე არაფერი არ ვიცი, — საჩქაროდ მიბასუხა მან. — მაგრამ მე მინდა, რაიმე განსაკუთრებული გაუკეთოთ, რომ ვალოდია ნამდვილად გადარჩეს. თუ მოკვდა, დედა ჭკუიდან შეიშლებოდა.

— რაკი ეგერეა, სხვა ექიმს მიმართეთ; მე ვუკეთებ ყველაფერს, რაც კი საჭიროდ მიმაჩნია.

— არა, მე მაგას არ ვამბობ... მაბატით, თვითონაც არ ვიცი, რას ვლაპარაკობ, — ეკატერინე ალექსანდროვნას ენა ჩაუვარდა.

ავადმყოფის მოსავლელად გამოცდილი მოწყალეების და მოიწვიეს. მაგრამ ღამე ისე მაინც არ გაივლიდა, რომ ეკატერინე ალექსანდროვნას არ გაველვძებინე. მოვარდება, დარეკავს, მოახლე ქალს შემომიგზავნის.

— ვალოდია უარესადაა, ბოდავს და კვნესის, წამოდით, ძალიან გთხოვთ!

ხმამოუღებლად მივყვები. მაგრამ ზოგჯერ მოთმინება მალატობს.

— თქვენ მოწყალეების დამ გამოგვზავნათ, თუ თვითონ გადაწყვიტეთ, რომ საჭირო ვარ? — მწყრალად ვეკითხები ქალიშვილს.

მისი მუქი თვალები მრისხანედ ბრიალებენ. ეკატერინე ალექსანდროვნა თავს ძლივს და იკავებს იმის დანახვაზე, თუ როგორ ვაფასებ საკუთარ ძილსა და მოსვენებას.

— მე ვფიქრობ, რომ მოწყალეების და ექიმი არ არის და არც შეუძლია რამე გადაწყვიტოს, — მკვახედ მესვრის იგი.

მივყვები. ბიჭი ბოდავს, წრიალებს, სუნთქვა აჩქარებული აქვს. მაგრამ მაჯა კარგად უცემს და არავითარი ჩარევა საჭირო არ არის. გულმოსული მოწყალეების და ფანჯარასთან სკამზე ზის. ხმამოუღებლად გამოვდივარ წინკარში.

— ახლა რაღა ვქნათ? — მეკითხება ეკატერინე ალექსანდროვნა, — მაჯა უსუსტდება.

— რასაც ვუკეთებდით, ისევ ის გავუგრძელოთ. მაჯა მშვენიერი აქვს, — პირქუშად ვბასუხობ და მივდივარ. გზადაგზა კი ვფიქრობ, ყოველ წელიწადში თითო ასეთი პაციენტი თუ გაუჩნდა, ყველაზე მაგარი კაციც კი ერთ წელიწადზე მეტს ვერ გაუძლებს-მეთქი.

მეორე დღეს ბიჭი თავს უკეთ გრძნობს და ეკატერინე ალექსანდროვნას თვალები აღერსითა და სიყვარულით მომჩერებია. საერთოდ, კარის გაღებისთანავე, ავადმყოფის უნახავად, ეკატერინე ალექსანდროვნას თვალების გამომეტყველებაზე ვხვდები, ბიჭი თავს როგორა გრძნობს: თუ უარესადაა, ქალიშვილის სახეზე ძლივძლივობით შეკავებული რისხვა ელავს; თუ უკეთესობაა — ქალიშვილის თვალებში აღერსის ზღვა ტორტმანებს! ბიჭუნას ძალიან მძიმე კრიზისი ჰქონდა, ორი დღე სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა იყო. დეკანოვების სახლიდან ფეხს თითქმის აღარ ვიცვლიდი. ორჯერ კონსილიუმი მოვიწვიეთ. დედა სიგიჟის პირას იყო.

— ექიმო, გადამირჩინეთ!... ექიმო...

თავისი ხმელი თითებით იდაყვზე მაგრად მაფრინდებოდა, თვალებში საცოდავი, მავედრებელი და იმავე ღროს მრისხანე, მძულვარე მზერით მაშტერდებოდა, თითქოს უნდოდა, ჩემს სხეულში გადმოეღვარა მთელი ის ძრწოლა, რომელიც მას შეიბყრობდა, ბავშვი მართლა რომ მომკვდარიყო. ბიჭს გალურჯებული, უძრავი პირისახე აქვს, აჩქარებით, ხროტინით სუნთქავს, მაჯა თითქმის სულ არ იგრძნობა. გასინჯვას ვამთავრებ, თავს მალლა ვწევ, და ვხედავ, ოთახის სანახევროდ ჩაბნელებული კუთხიდან ხარბად მომჩერებია დედის შეშლილი, მრისხანე თვალები.

ავადმყოფმა კრიზისი გადაიტანა. ორი დღის შემდეგ საშიშროება სულაც გაქრა. დედა და ქალიშვილი ჩემთან მადლობის სათქმელად მოვიდნენ. ღმერთო, ასეთი მადლობის სიტყვები არც კი მომისმენია!

— ექიმო, ძვირფასო! ექიმო! — იმეორებდა აღფრთოვანებული დედა, — ნეტავი თუ იცით, რა გაგვიკეთეთ? არა, თქვენ ეს არ იცით! ღმერთო, როგორ გავაგებინო? სიკვდილი რომ მომადგება, მხოლოდ თქვენზე ვიფიქრებ. თქვენ ხომ არ იცით, მე ღვთისმშობლის ხატს აღვუთქვი... რით გადავიხადოთ, სამუდამოდ თქვენი მოვალე ვარ... ექიმო! მაბატით...

ჩემს ხელებს საკოცნელად ებოტინებოდა. ეკატერინე ალექსანდროვნა თავისი

მშვენიერი, სევდიანი თვალებით იღიმებოდა და ხელზე ორივე ხელს მაგრად მიჭერდა. მე კი ასეთი აღტაცებული მადლიერებით სახე-გაბრწყინებულ ქალებს თვალებში მივჩერებოდი და მეჩვენებოდა, თითქოს იქ, იმ თვალებში ბოლომდე ჯერაც არ გამქრალიყო სამი დღის წინანდელი სიძულვილის ნაპერ-წყლები...

წავიღწენ. მათი მოსვლით შეწყვეტილი კითხვა განვაგრძე. და უეცრად გამაოცა იმან, თუ რა გულგრილად მივიღე მათი მადლობა. თითქოს ჩემს სულზე მომაბეზრებელი სიტყვების ქარიშხალმა გადაიარაო, ჩენჩოსავით ცარიელი სიტყვების ქარიშხალმა, და სულს კი ერთიც არ შემორჩა. მანამდე კი ასე მეგონა, რომ ესაა, „ჯილდო“, „ნათელი წუთები“ ექიმის ბნელ და მძიმე ცხოვრებაში. ეჰ, „ნათელი წუთები“ კი არაა... ბიჭუნა რომ მომკვდარიყო, იმავე შრომისა და თავდადების საფასურად მხოლოდ სიძულვილს მივიღებდი.

ამ სიძულვილს თანდათან მივეჩვიე და მისადმი გულგრილი შევიქენი. და ამის მოსულადნელი შედეგიც თითონვე მოვიდა — სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ საჭიროა პაციენტის გრძნობებისადმი სრული გულგრილობის გამომშუშავება. თორემ სასოწარკვეთილებისა და დარდისაგან ბარე ოცჯერ მაინც შეიშლები.

ღიას, გულთან არაფერი არ უნდა მიიტანო. ტანჯვაზე, სასოწარკვეთაზე, სიძულვილზე მაღლა უნდა დადგე, ყოველ ავადმყოფს ისე უნდა მოექცე, თითქოს მას ჭკუა აღარც კი მოეკითხებოდეს და ამიტომ მისგან არაფერი არ უნდა გწყინდეს. თუ ასეთი განწყობილებით განვიმსჯვალე, მე გულგრილად წავალ წინა თავში აღწერილ მემანქანესთან და მისი კარის ზღურბლზე შიში აღარ შემაკრთობს ვაითუ სიძულვილით შემხვდნენო. ხშირად, ძალიან ხშირად ვიმეორებდი: „უნდა გამოიმშუშაო, უნდა შეგეძლოს გულგრილობა“... მაგრამ რა ძნელი მისაღწევია ეს!..

ამას წინათ ერთ ახალგაზრდა ქალს, მოხელის ცოლს ვმკურნალობდი. მისი ქმარი — ნერვიული, ინტელიგენტური გარეგნობისა და უცნაურად წვრილი ხმის პატრონი, შეშინებული მოვარდა და მითხრა, ჩემს ცოლს, მგონი, დიფტერიტი უნდა ჰქონდესო. ავადმყოფი გავსინჯე. ფოლიკუთიარული ყბაყურა აღმოაჩნდა.

— ეგ საშიში არ არის? — მკითხა ქმარმა.

— არა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ორ-სამ დღეში გაივლის. თუმცა შეიძლება ჩირქის ბუდე წარმოიქმნას.

მართლაც, ორი დღის შემდეგ მარცხენა ჯირკვალში ჩირქი დაგროვდა.

— ეს რატომაა? ასე უცბად რატომ დაჩირქდა? — ცნობისმოყვარეობდა ქმარი.

— რატომაა!... ნუთუ გგონიათ, რომ ვინმეს შეუძლია მაგ კითხვაზე პასუხის გაცემა!..

ცოლიცა და ქმარიც იმ საამური ნდობით მეპყრობოდნენ, რაც ასე ძვირფასია ექიმებისათვის და ასე რიგად ამხნევებს მათ. ყოველ ჩემს მითითებას ყურადღებით ეკიდებოდნენ და გულდასმით ასრულებდნენ. ავადმყოფი ხუთ დღეს ძალიან წვალლობდა, მეტისმეტად უჭირდა პირის გაღება და ყლაპვა. მას შემდეგ, რაც დანასერები გავუკეთე, სიმსივნემ უკლო, ავადმყოფი სწრაფად გამოკეთდა, მაგრამ კისრის ორივე მხარეს კუნთების ტკივილი დასჩემდა. მაშინ კისრის ზეღვა დავუწყე.

— ყველაფერი ასე რბილად და ნაზად როგორ გამოგდით! — დიმილით მითხრა ქალმა და გაწითლდა. — ღმერთმანი, სულ ავად ვიქნები, ოღონდ კი თქვენ მიმკურნალეთ.

ცოლიცა და ქმარიც დაბეჯითებით მთხოვდნენ ხოლმე, ჩვენთან ყავა დალიეთო, და მეც ერთ-ორ საათს ვრჩებოდი. რაკი ორივენი მეგობრულად და სიყვარულით მექცეოდნენ, მათთან ყოფნა მეც მსიამოვნებდა.

ორიოდე დღის შემდეგ ავადმყოფს ყელის მარჯვენა მხარეს ტკივილმა უმატა და სიცხემაც ისევ აუწია.

— ეს რააა? — მეკითხებოდა შეშფოთებული ქმარი.

— ალბათ მეორე ჯირკვალშიც ჩირქდება.

— აღარ თავდება! — წაილაპარაკა ქალმა და ხელები მოწყვეტით დაუშვა მუხლებზე.

ქმარს თვალები გაუფართოვდა.

— ეს რატომღა ემართება? — გაოცებით მკითხა მან. — აკი ყველაფერს ისე ვაკეთებდით, როგორც საჭირო იყო.

ავუხსენი, ამის თავიდან აცილება შეუძლებელია-მეთქი.

— ეჰ, ჩემი საწყალი შუროჩკა! — თქვა აღელვებულმა. — მაშ, ყველაფერი ისევ თავიდან იწყება?!

მის ხმაში ჩემდამი მტრული კილო ისმოდა.

მუწუკი ძალიან ნელა მწიფდებოდა. თუმცა განასერი ორჯერ გავუკეთე, ავადმყოფს

კისერი ისევ გაუსივდა, და წინა დღეებისა არ იყოს, ყლაპვა აღარც ახლა შეეძლო. ვხედავდი, ყოველდღე სულ უფრო ცივად მხვდებოდნენ ცოლიცა და ქმარიც, როგორ იქმნებოდა ჩემდამი ნამდვილი ზიზღის გარემო. მათთან მისვლა ახლა უკვე ძალიან მიძინებდა. მიჭირდა დაუინებოთ მღუპარე ავადმყოფის გასინჯვა და ქმრისათვის მითითებების მიცემა; ისე მისმენდა ხოლმე, რომ თვალეში ერთხელაც არ შემომხედავდა. ამასთან ერთად ჩემდამი დამოკიდებულებაში ისინი ახლა რაღაც ნამეტნავად დახვეწილ თავაზიანობას იჩენდნენ; აშკარად იგრძნობოდა ჩემდამი უნდობლობაც და ზიზღიც, და როგორც ერთის, ისე მეორე გრძნობის დამალვას ცოლ-ქმარი ამ თავაზიანობით ცდილობდა; ეს კი მისპობდა იმის საშუალებას, რომ საკითხი პირდაპირ გადამეჭრა და მკურნალობაზე ხელი ამეღო. არა, კაცმა რომ თქვას, აქ უნდობლობაც კი არ იყო: მე მათთვის დამქანცველი, აუტანლად მობეზრებული ტანჯვის სიმბოლო ვავხდი. მათ ვძულდი და ვეზიზღებოდი, როგორც ამ ტანჯვის განსახიერება.

ქალი, როგორც იქნა, მორჩა. გარეგნულად ერთმანეთს ძალიან კარგად დავემშვიდობეთ. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ქმარი შემთხვევით თეატრის ფოიეში შემხვდა; მყისვე ძალიან საქმიანი იერი მიიღო, გატრიალდა და ისე გამშორდა, თითქოს არც კი შევუმჩინევივარ.

ყველაფერ ამას უნდა მიეჩვიო, ასეთმა დამოკიდებულებამ სული არ უნდა დაგიმძიმოს, იმიტომ, რომ ეს ყველაფერი თვითონ საქმის არსიდან გამომდინარეობს. მაგრამ ხშირად, განსაკუთრებით კი უიმედო, ქრონიკული ავადმყოფების მკურნალობისას, ჩვეულების და ნებისყოფის მთელი ძალაც კი ვეღარ უძლებს სასოწარკვეთილი ავადმყოფის ექიმისადმი უნაპირო მძულვარებას. ექიმისათვის უმაღლესი სიამოვნება ასეთი ავადმყოფის მკურნალობაზე უარის თქმაა, მაგრამ იმ ღრმა სიძულვილის მიუხედავად, ავადმყოფი ექიმს მაინც მაგრად ჩასჭიდებია და არაფრის გულისათვის მის გამოცვლაზე არა თანხმდება. რამდენიმე წლის წინათ იტალიაში, მილანის ახლოს, ასეთი ამბავი მოხდა. ექიმი ფრანჩესკო ბერტოლა ერთ ხარაზს მკურნალობდა, ვისაც ფილტვების ჭლექის ბოლო სტადია ჰქონდა. ავადმყოფი თანდათან ხელიდან მიდიოდა. მან მოთმინება დაკარგა და ექიმს ლანძღვა დაუწყო, ყოველ მოსვლაზე შარლატანს, უფიცსა და სხვა ამისთანებს ეძახ-

და. რაკი დარწმუნდა, ავადმყოფმა საბოლოოდ შემიძულაო, ბერტოლამ უთხრა, სიძულველი ვარ თქვენს მკურნალობაზე ხელი ავიღოო. ამან ავადმყოფი გააცოფა. მეორე დღეს იგი ექიმს ქუჩაში ჩაუსაფრდა.

— მიმკურნალებთ თუ არა? — ჰკითხა ხარაზმა ექიმს.

უარი რომ მიიღო, მან ექიმს მუცელში სამზარეულოს დიდი დანა გაუყარა. მუცელ-გაფატრული ექიმი დაეცა, მის გვერდით დაეცა მკვლეელიც, — ამას პირიდან სისხლი წასკდა. მყისვე ორივე ერთ საავადმყოფოში წაიყვანეს და ორივე იქ მოკვდა.

ექიმის მთელი მოღვაწეობა აღსავსეა საშინლად დაძაბული წუთებით, რაც მას ერთთავად გულს უკოდავს: ავადმყოფობის შებრუნება, უიმედო ავადმყოფი შველას რომ თხოულობს, განწირულის სიკვდილის მოლოდინი, უბედური შემთხვევის ან შეცდომის მუდმივი შესაძლებლობა, და ბოლოს ტანჯვისა და დარდის გარემო, რაც გამუდმებით შენს გარშემოა, — ეს ყველაფერი ექიმის სულს რაღაც გაურკვეველი, გაუთავებელი მშფოთვარებით ავსებს, მაგრამ აი, გამოერევა იშვიათი დღე, როცა ყველაფერი კარგადაა, არავინ მომკვდარა, ავადმყოფები უკეთესობისაკენ მიდიან, ყველა კარგად გექცევა, — და მაშინ მთელს შენს არსებაში გაბატონებული სიმშვიდისა და მოსვენების გრძნობა მაგახვედრებს, თუ რა დაძაბული და შფოთიანი ცხოვრება გაქვს მთელი ხნის მანძილზე. ზოგჯერ ასეთი ცხოვრებისათვის ძალა სულ აღარ გყოფნის. ისეთი დარდი შეგიპყრობს, რომ გინდა გაიქცე, შორს გადაიხვეწო, ყველა თვალიდან დაგეკარგოს და ცოტა ხნით მაინც იგრძნო თავი თავისუფლად და მოსვენებულად.

სულ ასე ცხოვრება შეუძლებელია. და აი, ზოგიერთი რამის მიმართ უკვე გამოიმუშავდა ის ჩვეულება, რითაც თავს ვიცავ. უწინდებურად აღარ მტანჯავს ავადმყოფების სიძულვილი და უსამართლო მოპყრობა; გულს ისე აღარ მიწამლავს იმათი ტანჯვა და უძლურება. განსაკუთრებით ბევრი რამე კი მძიმე ავადმყოფებმა შემძინეს; წინათ არ გამეგებოდა, თუ რატომ ცდილობდნენ ჩემი ამხანაგები იმ პალატების ხელში ჩაგდებას, სადაც „საინტერესო“ მძიმე ავადმყოფები იყვნენ. მე თვითონ, პირიქით, ყოველნაირად ვცდილობდი ასეთი ავადმყოფების თავიდან მოცილებას. მიმძიმდა მათი გამომხმარი, კანდახეთქილი და ჩირქიანი სისხლით გამოტენილი სხეულების ცქერა,

თვალს ვერ ვუსწორებდი იმედით აღსავსე მათ მზერას, როცა ვიცოდი, რომ აღარაფერი შემეძლო. მერე თანდათანობით ამასაც მივეჩვიე.

თანდათან ვეჩვეოდი იმ მუდმივი ტანჯვის გარემოსაც, სადაც ცხოვრება და მუშაობა მიხდებოდა. ვგრძნობდი, რომ თანდათან მიმუშავდებოდა სრულიად თავისებური დამოკიდებულება ავადმყოფებისადმი. მათ წინაშე თავი ფრთხილად და ყურადღებით მეჭირა. ვიყავი კეთილსინდისიერი, ვცდილობდი ყველაფრის გაკეთებას, რაც კი შემეძლო, მაგრამ მოვშორდებოდი თუ არა, გულიდანაც ამოვიღებდი ხოლმე. ვთქვამთ, შინ კეთილი ნაცნობების წრეში ვწვივარ, ვლაცხობ და ვიცინი, — საჭირო გახდა ავადმყოფთან წასვლა; მივდივარ, ვაკეთებ, რაც კი საჭიროა, ვამშვიდებ მომაკვდავი შვილის საწოლთან აქვითინებულ დედას, მაგრამ სახლში დავბრუნდები თუ არა, მაშინვე უწინდელ განწყობილებას ვეძლევი და გულში მძიმე ნაკვალევს აღარ ვიტოვებ. ჩვეულებრივი „ავადმყოფი“, რომელთანაც მე საქმე მაქვს როგორც ექიმს, რაღაც სრულიად სხვაა, ვიდრე ახლობელი, ან თუნდაც უბრალოდ ნაცნობი ავადმყოფი: ამათზე შემიძლია გულიც შემტკიოდეს, მათთან ერთად ვიტანჯო; „ისე ავადმყოფებთან“ დამოკიდებულებაში კი ეს გრძნობა სრულიად ქრება, და მე შემიძლია გავუგო ერთ ჩემს ნაცნობ ქირურგს, მეტად ჰუმანურ ადამიანს, რომელიც სრული გულწრფელობით ეკითხებოდა ხოლმე დანის ქვეშ აღრიპლებულ ავადმყოფს: — ნეტავი მაცოდინა, რა გაყვირებს, ადამიანო?!

ჩემთვის გასაგებია, როგორ მისცა მგრძნობიარე გულის პატრონმა პიროგოვმა თავისთავს იმ აღმაშფოთებელი საქციელის უფლება, რომელზეც იგი თავის მოგონებებში გვიამბობს. „ჩემს პრაქტიკაში მხოლოდ ერთხელ იყო, — წერს იგი, — რომ ავადმყოფის გამოკვლევისას ასე უხეშად შევცდი; ქვის ამოღება მინდოდა და საშარდე ბუშტი გავკვეთე. საშარდე ბუშტში კი ქვა ვერ ვიპოვნე. ავადმყოფი ერთი მფრთხალი, ღვთისმოსავი ბერიკაცი იყო; ჩემმა შეცდომამ წონასწორობა ისე დამაკარგვინა, რომ გატანჯულ ავადმყოფს რამდენჯერმე შევუკურთხე კიდევ. „ნეტავი რატომ ღვთისა არ გეშინიათ, — მომმართა ბერიკაცმა, — უწმინდურ ბოროტ სულს უხმობთ, მაშინ როცა ჩემი ტანჯვის შემსუბუქება მხოლოდ ღვთის სახელს შეუძლია!“

ეს არის უცნაური თვისება სუ-

ლისა, ჩვეულების გავლენით, როცა საჭიროა, სრულიად უგრძნობელი გახდეს, სხვა დროს კი იგი ისეთივე მგრძნობიარე ადამიანი იყოს, როგორც ყველა. წინათ ვერც წარმომედგინა, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ ჯალათსაც შეუძლია გულწრფელად და მხურვალედ გამოეხმაუროს ყოველგვარ სიკეთეს, თუკი ამ სიკეთეს მის ხელობასთან საერთო არაფერი ექნება.

შემჩნეული მაქვს, რომ სულ უფრო ვეჩვევი ავადმყოფების ტანჯვას. მათთან ურთიერთობაში უშუალო გრძნობით კი არ ვხელმძღვანელობ, არამედ გონებისეული მითითებებით, რომ თავი ასე და ასე უნდა მეჭიროს. ეს ჩვეულება სიცოცხლისა და სუნთქვის საშუალებას მაძლევს, მიფარავს შავბნელი, მძიმე შთაბეჭდილებისაგან; მაგრამ იგი იმავე დროს მაშფოთებს და მაშინებს, მით უმეტეს მაშინ, როცა მას საკუთარ თავზე გამოვცდი ხოლმე. პროვინციიდან და ჩამომვიდა; ქალაქის სკოლაში მასწავლებლად იყო, მაგრამ ორი წლის წინათ ავადმყოფობამ აიძულა თავი დაენებებინა. გადაღლის ნიადაგზე სრული ნერვიული გამოფიტვა დაემართა. ისე დასუსტდა, რომ დღე და ღამე ლოგინში იწვა, ზარის ხმაზე ცახცახებდა, გაავდა, წვრილმანი, ანჩხლი გახდა. ორწლიანმა მკურნალობამ ვერ უშველა. ჰოდა, აი, სატახტო ქალაქის ექიმებს მოაშურა. ისეთი გამხდარი და გაცრეცილი იყო, რომ ვეღარც კი ვიცანი. თვალები გაფართოებოდა და ნერვიულად უბრწყინავდა, მათ გარშემო კი ლურჯი წრეები გასჩენოდა. წინათ ენერგიული და საქმის წყურვილით სავსე, ახლა მოთენთილი და ყველაფრისადმი გულგრილი იყო. ავდექი და განთქმულ ნევროპათოლოგთან წავიყვანე. ცდა დიდხანს მოგვიხდა. მომსვლელი უამრავი იყო. როგორც იქნა, კაბინეტში შევადწიეთ. პროფესორს მზიარული და გულგრილი სახე ჰქონდა. ჩემს დას გამოკითხვა დაუწყო. ყოველ პასუხზე თავს უქნევდა და იმეორებდა: „მშვენიერიააო!“ მერე რეცეპტის გამოსაწერად დაჯდა.

— შემიძლია გამოჯანმრთელების იმედი ვიქონიო? — სუსტი ხმით ჰკითხა დამ.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! — გულკეთილად მიუგო პროფესორმა. — ეგ ხომ ათასობით ადამიანსა სჭირს, თქვენც მორჩებით! აი, მე თქვენ ახლა აზაზანებს გამოგიწერთ, კვირაში ორჯერ, მერე კი...

სულ უფრო და უფრო მეზიზღებოდა მისი მზიარული, გულგრილი სახის ცქერა, იმ

კილოს მოსმენა, რომლითაც მხოლოდ პატარა ბავშვებს ელაპარაკებიან. აქ ხომ დიდი უბედურება ხდებოდა: ექვსი თვის წინ დედაჩემი შემთხვევით შევიდა ჩემი დის ოთახში და ხელიდან მორფიუმი გამოგლიჯა: დას თავის მოწამვლა უნდოდა, პარაზიტით ცხოვრება აღარ შემძლიაო... და აი, ეს აუტანელი კილო, ზერელე, დაურიღებელი ქცევა, რომელიც აშკარად გაგრძნობინებს, თქვენს უბედურებასთან გარეშეებს არაფერი გვესაქმებაო.

ჩემი და ხმაჩავარდნილი იდგა, თვალთაგან კი უნებლიე ცრემლი სცვივოდა. იგი ამაყი ქალი იყო, ძალიან განიცდიდა, რომ ცრემლის შეკავება აღარ შეეძლო, და ამიტომ ცრემლიც უფრო ხშირ-ხშირად სცვივოდა. მისი დიდი ნაღველი გათელეს და დააწვრილმანეს, აქ მისთანები ათასობით ყოფილა, და მის სატანჯველში არავისთვის არაფერია შემადრწუნებელი... იგი კი როგორ ელოდა რჩევას, როგორი იმედი ჰქონდა!

— ერიშაა! არა, ქალიშვილო, ეს უკვე აღარაფრად ვარგა! — შესძახა პროფესორმა ცრემლის დანახვაზე. — ოჰო-ოჰო! რა სირცხვილია! აბა, კმარა! კმარა!

მისი კილო კი ისევ იმას ამხელდა, ყოველდღე ათობით ასე ატირებულს ვხედავ და ჩემთვის ეს ცრემლი უბრალოდ მარილიანი წყლის წვეთებია, რაც მოშლილმა ნერვებმა საცრემლე ჯირკვლებს გამოადინესო.

ხმამოუღებლად გამოვედით; ეტლშიც ხმამოუღებლადვე ჩავჯექით. და დაიხარა, მუფტა ტუჩებთან მიიტანა და — უეცრად აქვითინდა.

— არ დავლევ ამ სულელურ წამლებს! — შეჭყვირა მან და რეცებტი ნაკუწ-ნაკუწად აქცია. მე არაფერი მითქვამს. იმავე გრძნობას განვიცდიდი, რასაც იგი, და ყოველგვარი ნდობა დავკარგე მკურნალობისადმი, რომელიც ამ მხიარულმა თვითკმაყოფილმა კაცმა დანიშნა, სხვისი სატანჯველი რომ არაფრად მიაჩნდა.

იმავე დღეს, საღამოს, აი რაზე ჩავფიქრდი: სადღა არის ის საზღვარი, სადაც ერთად ცხოვრებას შეიძლება ექიმიცა და ავადმყოფიც, ან მუდამ შევძლებ კი იმ საზღვრის დაცვას?

XIX

ლამით ვილაცამ მაგრად ჩამოჰკრა ჩემს ზარს. მოახლე ქალმა მითხრა, ავადმყოფთან

გიხმობენო. წინკარში მაღალი, მუწუკებიანი ახალგაზრდა კაცი იდგა. ფოსტის მოხელის ქული ეხურა.

— ექიმო, გეთაყვა, ჩქარა, თუ შეიძლება ჩქარა! — აღელვებით წაილაპარაკა მან. — ქალი კვდება... აქედან ახლოსაა, კუთხეში... ჩავიცვი და გავყევი.

— რა დემართა თქვენს ავადმყოფს? დიდი ხანია ავადაა? — ვკითხე თანამგზავრს. მან მხრები გაკვირვებით აიჩეჩა.

— პირდაპირ ვერაფერი გამიგია! ღმერთო, ეს რა ამბავია! ჩემი ამხანაგის ცოლია, მე იმათთან ვცხოვრობ, ერთი პატარა კუთხე მაქვს ნაქირავები... საღამოს ქმართან ერთად სტუმრობიდან დაბრუნდა, ხუმრობდა, იცინოდა... ახლა კი ქმარი მადვიძებს, კვდებაო. თქვენთან გამომგზავნა. რა ან როგორ მოხდა, ვერ წარმომიდგენია!

ბნელი კიბით მეოთხე სართულზე ავედით; გზას ასანთით ვინათებდით. ჩემმა თანამგზავრმა სწრაფად დარეკა. კარი ახალგაზრდა, შავგვრემანმა, შავწვერა კაცმა გავიღო. მხოლოდ უილეტი ეცვა.

— ექიმო... ღვთის გულისათვის!.. — ჩაიქვითინა მან. — ჩქარა!

საძინებელ ოთახში შემეყვანა. ფართო ორსაწოლიან ლოგინზე იწვა ორადმოკეცილი ქალი. მაჯა გავუსინჯე, არ სცემდა. ქალი ზურგზე გადავაბრუნე, თვალეში ჩავხედე. გულს მოვუსმინე... ქალი მკვდარი იყო. ნელა გავსწორდი.

— რა? — მკითხა ქმარმა.

მხრები სინანულით ავიჩეჩე.

— მოკვდა?! — ქმარს სული შეუგუბდა. უეცრად გაჩერებული, გადმოკარკლული თვალეებით შემომხედა და ისე მოკლედ ჩაიქვითინა, თითქოს შეჭყეფაო. თვალეებს ველარ მაშორებდა, ცახცახებდა, ქვითინებდა, ისევ იმ მყეფარე ხმებს უშვებდა...

— დამშვიდდით... ახლა რაღა ეშველებათ! — ვუთხარი და ხელი სახელოზე დავადე.

იგი მძიმედ დაეშვა სკამზე. მთელი სხეულით ცახცახებდა, თავი კი ხელებში ჰქონდა ჩარგული. კომოდთან ატუზული, ღამის პერანგსა და ნაქსოვ ქვედაკაბაში ჩაცმული ქალიშვილი ხმამაღლა ატირდა.

მიცვალებული თანდათან ცივდებოდა. ახალგაზრდა და მშვენიერი, მაქმანებიან პერანგში გამოწყობილი იწვა არეულ-დარეულ ზეწრებზე, რომლებიც თითქოსდა კიდევ ინარჩუნებდნენ ლოგინის სითბოს.

— როგორ მოხდა ეს ყველაფერი? — ვიკითხე მე.

— სრულიად ჯანსაღი იყო! — შეჭყვირა ქმარმა. — საღამოს სტუმრად ვიყავით. ღამით გამეღვიძა და ვხედავ, რაღაცნაირად გვერდულად წევს. მხარზე ხელი დავადე, — არ განძრეულა, ცივი იყო... ღმერთო. ღმერთო, ღმერთო, — გაიმეორა მან და თმაზე იტაცა ხელი. — ოოო-ოო-ოო! ვანია, ეს რა ამბავია?!

ჩემმა თანამგზავრმა თვალები საცოდავად აახამხამა.

— ძვირფასო... სერიოზო... აბა, რას იზამ.. — ნადვლიანად, თხოვნის კილოთი წაილაპარაკა მან, — ღვთის ნებაა! აი, ჩემბრაკოვის ამბავიც ხომ იცი, — ღვთის ნებასთან რას გააწყობ?

— კი, მაგრამ... აი, ეს წუთია... ნაასტენკა, ნასტია!...

ქალიშვილმა ჩაიცივა და გავიდა, გარდაცვლილის დედასთან მეუზოვეს გავგზავნიო. ამხანაგი ისევ ქმარს ამშვიდებდა. მე რაღა უნდა მექნა? წამოსასვლელად წამოვდექი.

— ახლავე, ექიმო! ერთი წუთით... ფული ინებეთ! — სწრაფად მითხრა ქმარმა.

იგი თან ქვითინებდა, თან კი სასწრაფოდ კომოდის უჯრა გამოსწია, გადაქექა და სამი მანეთი გამომიწოდა.

— საჭირო არ არის! — შევიჭმუსნე და მისი ხელი მოვიშორე.

— როგორ, ექიმო, ეგ როგორ შეიძლება — შეტორტმანდა იგი. — როგორ თუ საჭირო არ არის! არა, აიღეთ, გეთაყვა!...

რაღას ვიზამდი? ავიღე. სახლში მივბრუნდი. თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი; ის სამი მანეთი ჰიბეს მიწვავდა.

წარმოვიდგინე, ასე თვალდათვალ ცოლი რომ მომკვდომოდა და იმ დროს ექიმის მისაცემად რაღაც მანეთიანები მეძებნა! ყველა ექიმი ანგელოზიც რომ იყოს, ფულზე ფიქრსა და ზრუნვას იმ დროს, როცა მთელი ქვეყნიერება დარდისგან უნდა გაქვავდეს, — მარტო ამას შეუძლია ექიმებისადმი ზიზღისა და მტრული გრძნობის ჩანერგვა. და სორედ ასეთ გრძნობას განვიცდიდი, როცა საკუთარ თავს გარეშეს თვალთ შევხედე.

ოჰ, ეს საზღაური! რამდენმა დრომ უნდა გაიაროს, რომ მას ცოტათი მაინც მიეჩვიო! ყოველი შენი ნაბიჯი მანეთითი იზომება, ეს მანეთიანი გამუდმებით წკრიალებს შენსა და ტანჯულ ადამიანს შორის. რამდენ გართულებას იწვევს იგი ურთიერთობაში, რა ხში-

რად აფუჭებს საქმეს და გიბორკავს ხელებს!

პირველ ხანებში განსაკუთრებით მაწუხებდა თვითონ ხერხი ექიმის შრომის შეფასებისა — საზღაურის გადახდა, არა მორჩენისათვის, არამედ მარტოოდენ მკურნალობისათვის. მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობის პირობებში სხვანაირად არც შეიძლება; მაგრამ მაინც საშინელებად მეჩვენებოდა ფულის აღება იქ, სადაც არავისთვის სარგებლობა არ მოგიტანია. სამი წლის წინათ ერთი ლიონელი ექიმი ავადმყოფ ქალს საშვილოსნოში იოდის შეშხაპუნებით მკურნალობდა; ქალი ვერ მოარჩინა. მაშინ ქმარმა, შეძლებულმა კაცმა, ჰონორარის გადახდის მაგიერ ექიმს უჩივლა და 10000 ფრანკი მოსთხოვა. აქაოდა ჩემი ცოლის ჯანმრთელობას ზიანი მიაცუნაო. სასამართლომ მომჩივანს უარი უთხრა და ექიმის სასარგებლოდ ექვსასი ფრანკის გადახდაც დააკისრა, ვინაიდან მკურნალობისას ექიმი მეცნიერების მიერ შემუშავებულ ხერხს იყენებდა და ამიტომ წარუმატებელი მკურნალობისთვის პასუხისმგებელი არ იყო.

კი, მაგრამ რა დამნაშავეა ავადმყოფი, რომელიც ექიმთან დახმარებისათვის მიდის, მერე კი იძულებულია ფული გადაუხადოს „მეცნიერების მიერ შემუშავებული“ ხერხით უშედეგო მკურნალობის დროს მიღებული სიამოვნებისათვის? სგანარელი ამბობს მოლიერის „Le medecin malgre lui“-ში „მე მიმაჩნია, რომ ექიმისთანა ხელსაყრელი ხელობა არავის აქვს: საქმეს კარგად აკეთებ თუ ცუდად, მაინც მუდამ ერთნაირად გიხდიან. არც კი ვიცი, მარცხი რა არის, და იმ ნაჭერს, რომელსაც ვკერავთ, ისე ვჭრით, როგორც მოგვეპრიანება. ხარაზმა ფეხსაცმლის კერვისას ტყავის ნაჭერი თუ გააფუჭა, საღირაღს უთუოდ გადაახდევინებენ; მე კი შემიძლია ადამიანი გავაფუჭო და კაპიკსაც არავინ გადაახდევინებს“. რამდენი მომაკვდინებელი სიმართლეა სგანარელის ამ სიტყვებშიც და, საერთოდ, ექიმების მისამართით მოლიერის სხვა გამონათქვამებშიც! საქმე მხოლოდ ის არის, რომ დაცინვა აქ უადგილოა: ჩვენ წინაა ერთი იმ რთულ და მძიმე უაზრობათაგანი, რითაც ასე მდიდარია საექიმო საქმე. ლიონის სასამართლომ გადაწყვიტა, რომ ბრალდებული ექიმი მეცნიერების მიერ შემუშავებულ ხერხს იყენებდა და ამიტომ

¹ „ძალად ექიმი“.

პასუხს არ აგებს უშედეგო მკურნალობისათვის“. მოლიერი კი ტუანეტას პირით („le madame inaginaire“-ში) დამცინავად შენიშნავს: „მაშ, რა თქმა უნდა, ექიმები, ავადმყოფთან მხოლოდ იმისათვის მიდიხართ, რომ ჰონორარები მიიღოთ და წამლები დაუნიშნოთ; დანარჩენი კი თვითონ ავადმყოფის საქმეა. თუ შეუძლიათ, კეთილ ინებონ და გამომჯობინდნენ“.

მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ, ადამიანებს მეცნიერული წესით ვუმკურნალოთ. და ჩვენი ბრალი არ არის, რომ ეს მეცნიერება არასრულყოფილია. ექიმი საზღაურს მხოლოდ მორჩენაში რომ იღებდეს, მაშინ თავის შრომას დაზოგავდა და ყოველი ცოტად თუ ბევრად ძნელი სნეულების მკურნალობას გაერიდებოდა, ვინაიდან არავის შეუძლია დარწმუნებული იყოს ასეთი სნეულებით შეპყრობილს ნამდვილად თუ მოარჩენს.

თავიდან ძალიან მემძიმებოდა ყოველგვარი საზღაურის აღება ჩემი საექიმო მოღვაწეობისთვის; ეს საკუთარ თავალში მამცირებდა და ჭუჭყიან ლაქად აჩნდებოდა ჩემს საქმიანობას. ვერ გამეგო, დასავლეთეებზელი ექიმები როგორ მივიდნენ ისეთ ცინიზმამდე, რომ წესად შემოიღეს პაციენტებისთვის ანგარიშების გაგზავნა. ანგარიში მკურნალობისთვის! თითქოს ექიმი ვაჭარი იყოს და შეეძლოს პაციენტისადმი დამოკიდებულების გაანგარიშება მარკებსა და ფრანკებში. საბაყლო საქმეა. თუ რა? ვოლტერის იდეალური ექიმისა არ იყოს, საზღაურს სხვანაირად არ ვიღებდი, „თუ არა სინანულით“, და ყოველგვარ საბაბს ვიყენებდი მასზე უარის სათქმელად. პირველ ორ წელიწადს პეტერბურგში დიასახლისისაგან ოთახს ვქირაობდი. დიასახლისი ხშირად მომმართავდა ხოლმე საექიმო დახმარებისთვის და დამშვიდობებისას პირველ ხანებში ფულს მაძლევდა ხოლმე.

— როგორ გეკადრებათ! არაფრის გულისათვის! — შეურაცხყოფილი ხმით ვეუბნებოდი და ფულს ისევ ხელისგულში ვუკუჭავდი.

დიასახლისი ღიმილს იკავებდა და ფულს ჯიბეში იღებდა, მე კი დიდი საძინებელი ოთახიდან ჩემს ვიწრო და ბნელ ოთახში გავდიოდი და გადასაწერ ქაღალდებს ჩავუჭდებოდი ხოლმე, ელევატორებზე რაღაც მოხსენება იყო გადასაწერი, თაბახში თხუთმეტ კაპიკს მაძლევდნენ. ამ ფულს კი იმავე დიასახლისს ოთახის საფასურად ვაძლევდი.

ძველი რუსი ბერი-მკურნალები ფულს

არ იღებდნენ. ისინი „უსასყიდლო ექიმები“ იყვნენ. ჩემი აზრით, ეს „უსასყიდლობა“ უსათუოდ უნდა ედოს საფუძვლად ყოველი ექიმის დიდ მოღვაწეობას. საზღაური — ეს მხოლოდ უსიამო აუცილებლობაა, და რაც უფრო იშვიათად ჩაერევა იგი ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთდამოკიდებულებაში, მით უფრო უკეთესი იქნება საქმისათვის; იგი ამ დამოკიდებულებას არაბუნებრივს ხდის და ხშირად პირდაპირ ხელეხსაც კი გვიბორკავს. ვთქვათ, ავადმყოფი მომჯობინების გზაზეა, მაგრამ ჯერ ისევ სუსტადაა, ექიმის ყურადღებას და თვალს საჭიროებს; ახლობლები კი თავაზიანად მეუბნებიან: მადლობა ღმერთს, უკეთესადაა; თუ ისევ უარესად შეიქნა, კეთილ ინებეთ, უარს ნუ გვეტყვით, ერთხელაც ინახულეთ!“ ამაზე მხოლოდ ერთი პასუხია შესაძლებელი: „ჯერჯერობით მე ახლაც უნდა ვინახულო ხოლმე, თქვენ არ შეგიძლიათ იმის განსაზღვრა, თუ როდის დასჭირდება მას ჩემი დახმარება“. მაგრამ ამ სიტყვებს იმავე დროს მეორე აზრიც ექნებოდა, — „ისევ მაძლიეთ ჩემი ვიზიტების საზღაურიო“. ამიტომაცაა, რომ ერთადერთ სწორ პასუხს არ აძლევ და ავადმყოფს ღვთის ანაბარა სტოვებ.

როდესაც გაზეთებში ვკითხულობდი, მავანი ექიმი ავადმყოფისაგან ფულის აღებას სასამართლოს მეშვეობით ცდილობსო, მრცხვენოდა ჩემი პროფესიისა, რომელშიც ასეთი ადამიანები ერივნენ. ნათლად წარმომიდგებოდა ხოლმე იმ ექიმის — უგულო და ხარბი ადამიანის სახე, ვინც ავადმყოფის ტანჯვაში მხოლოდ იმის შესაძლებლობას ჰხედავდა, რომ ამდენი და ამდენი მანეთი წაეგლიჯა. რატომ მოჭკიდა იმ კაცმა ხელი ექიმობას? ვაჭრობა ან მოიჯარადრობა დაეწყო, ან ფულის გამსესხებელი სალარო გაეხსნა, ის უფრო არ მოუხდებოდა? მერე, ცხოვრებაში რომ შევდგი ფეხი, უფრო ახლოდან დავინახე ავადმყოფების დამოკიდებულება ექიმისადმი. უკეთ გავიცანი ჩემი ამხანაგი ექიმები და აღრინდელი შეხედულებებიც თანდათან მნიშვნელოვნად შევიცვალე. ერთი ამხანაგი ექიმი მყავდა, მასაჟისტი. ორი წლის განმავლობაში ერთი მდიდარი კომერსანტის ოჯახს მკურნალობდა. კომერსანტს, დიდად ინტელიგენტ ბატონსა და ნამდვილ „ჯენტლმენს“, ჩემი ამხანაგის ორასი მანეთი ვალი დაედო. გავიდა ნახევარი წელიწადი. ჩემს ამხანაგს ფული სჭირდებოდა. კომერსანტს თავაზიანი წერილი მისწერა და ფული სთხოვა.

კომერსანტი იმდღესვე თვითონ მოვიდა, ფულიც მოუტანა და ბოდიშებითაც აიკლო.

— ღვთის გულისათვის, ექიმო, მაპატიეთ.. როგორ მრცხვენია, რომ გალოდინეთ! სულ გადამავიწყდა. ხომ იცით, ყელამდე საქმეებში ვარ, აი ესო, აი ისო, და ზოგჯერ ჩემდაუნებურად მავიწყდება ხოლმე... მაპატიეთ, გეთაყვა, ნამდვილად დამნაშავე ვარ!..

მაგრამ ამავე დროს ჩემს ამხანაგს სახელით და მამის სახელით კი არ მიმართავდა, არამედ — „ექიმო“, და თავი ისეთი ხაზგასმული თავაზით ეჭირა, როცა გინდა შენი ზიზღი დამალო.

ამის შემდეგ კომერსანტს ჩემი ამხანაგისათვის აღარც მიუმართავს. თავის საქმეებში, რა თქმა უნდა, მას საძრახისად არ მიაჩნდა კლიენტებისათვის თამასუქებისა და ანგარიშების წარდგენა, მაგრამ ექიმი, რომელიც ფულს... არა, მისი აზრით, ასეთი ექიმი არ ღვას თავის სიმაღლეზე.

კომერსანტის საქციელმა გაშაოცა და ძალიანაც ჩამაფიქრა. იგი უმსგავსი და უფიცი იყო, მაგრამ ამავე დროს მას დიდი წარმოდგენა ჰქონდა ექიმზე, რასაც თვითონ მეც ვიზიარებდი. კომერსანტის აზრით, ექიმს უნდა რცხვენოდეს — რისა? იმისა, რომ ჭამა და ჩაცმა სჭირდება და თავისი შრომის ანაზღაურებას მოითხოვს? ექიმს შეუძლია, მთელი თავისი შრომა უსასყიდლოდ უძღვნას საზოგადოებას, მაგრამ ვინ არიან ის უანგარო, თავდადებული ადამიანები, რომელნიც თავს უფლებამოსილად თვლიან ექიმს ეს მოსთხოვონ?

ღიას, როგორც ყოველ მშრომელს, ექიმსაც შეუძლია თავისი შრომისთვის საზღაური მოითხოვოს და ამაში სამარცხვინო არაფერია. რატომ უნდა აიღოს ექიმმა საზღაური ნამალავად, გაუბედვად და მორცხვობით, თითქოს ქრთამს იღებდეს? საზოგადოება იცნობს თავგადადებული, უანგარო ექიმების ნათელ სახელებს და უნდა ყველა ექიმი ასეთი იყოს. რა თქმა უნდა, ღიასაც კარგი სურვილია. მაგრამ ხომ უფრო უკეთესი იქნებოდა, თვითონ საზოგადოებაც მხოლოდ იდეალური ადამიანებისაგან შედგებოდეს? საშუალო ექიმი — იგივე ჩვეულებრივი საშუალო ადამიანია, და მას მხოლოდ ის უნდა მოვთხოვოთ, რასაც ყოველ საშუალო ადამიანს ვთხოვთ. და თუ მას არ უნდა მუქთად ამუშავებდნენ, მაშინ რა უფლებით სწამებენ მას ვერცხლმოყვარეობას ადამიანები, რომ-

მელნიც საკუთარი შრომის შეფასების დიდ უნარს იჩენენ?

არც ისე დიდი ხნის წინათ ბ. ეგ-გემ გაზეთ „Сын отечества“-ს ფურცლებზე გვიამბო, თუ როგორ თხოვა ერთმა ნაცნობმა გაზეთში „გაეწერა“ ექიმი, რომელმაც იმ კაცს სასამართლოში უჩივლა, ჰონორარს არ მაძლევსო.

— მერე და რატომ არ გადაუხადეთ? — ჰკითხა გაზეთის თანამშრომელმა.

— აბა, რა ვიცი... აგერ, დღესასწაულები ახლოვდება, აგარაკი დასაქირავებელია, ბავშვებს საზაფხულო ტანსაცმელი სჭირდებათ, ერთი, მეორე, მესამე...

აი, ისიც, — ექიმზე ესოდენ დიდი შეხედულების მეორე მხარეც. ექიმი უანგარო გმირი უნდა იყოს, — ჩვენ კი, უბრალო მოკვდავები, მის ხარჯზე აგარაკებს დავიქირავებთ და დღესასწაულებზე ვიმხიარულებთ... ერთმა ექიმმა თავისი პრაქტიკიდან ასეთი შემთხვევა მიაგებო:

„მოდის ჩემთან მანდილოსანი; მთხოვს, მისი ავადმყოფი შვილი ვინახულო. მივდივარ. ბინა პატარა, მაგრამ ძალიან მყუდრო და სასიამოვნოა. ბიჭს, გიმნაზიელს, ტიფი აქვს. ვეკითხები, ჩემამდე ვინმე თუ მკურნალობდა-მეთქი. დედა ზიზღით მანჭავს სახეს.

— ღიას, ექიმი N მკურნალობდა... მითხარით, ექიმო, გეთაყვა, რატომ ურევია ექიმებში ამდენი უგულო და ანგარებიანი ადამიანი? ეს ექიმი N ერთხელ მოვიდა, ვასია გასინჯა; მეორეჯერაც მოვიწვიე და — მეუბნება, ისედაც ვიცი, ბავშვს რაცა სჭირს, რეცეპტის გამოწერა უნახავადაც შემიძლიაო...

დავეთანხმე, ძალიან ცუდად მოქცეულა-მეთქი. ბავშვი გავსინჯე, წამლები დავუნიშნე, მივდივარ. დედა მაცილებს. მაღლობას მეუბნება და... მეტი არაფერი! ხელი ჩამომართვა, „დიდი მაღლობელი ვარო“, — და სულ ეს იყო. სამი დღის შემდეგ კი ისევ მეწვია. მეც ვუთხარი, ისედაც ვიცი, თქვენს ბავშვს რაც სჭირს, შემიძლია, რეცეპტი უნახავადაც გამოვუწერო-მეთქი.

მანდილოსანმა რეცეპტი გამომართვა, განრისხებული წამოდგა და დაუმშვიდობებლად წავიდა“.

რალა თქმა უნდა, ეს მანდილოსანი ყველგან ბევრს და მხურვალედ ილაპარაკებს ჩვენი ექიმების ვერცხლმოყვარეობაზე. პირდაპირ საოცარია, საკუთარი სიმართლის როგორი რწმენა აქვს ასეთ

ხალხს, როგორ თავდაჯერებულად ჰყვები-
ან თავის ამბებს და საზოგადოებაც რო-
გორი თავაზიანობით ხვდება მათ ნაამ-
ბობს.

„Рижский вестник“-ის 1894 წლის
№ 228-ში დაბეჭდილია ასეთი შინაარსის
წერილი რედაქციისადმი:

„ამა წლის 21 სექტემბერს ჩემი ქალი-
შვილის ავადმყოფობის გამო ჩემს სახლში
მოვიწვიეთ ექიმი გორდონი. ავადმყოფთან
დაჰყო ათიოდე წუთი, მერე ბ. გორდონი
წავიდა და დაგვბირდა, ხვალ ისევ მოვალთ.
ვიზიტში გადავუხადეთ ერთი მანეთი.
ერთი საათის შემდეგ ჩემმა ქალიშვილმა მიი-
ღო სავიზიტო ბარათი, ზედ ეწერა: „მოწყა-
ლეთ ქალბატონო! თქვენი მდგომარეობა
სახიფათო არ არის. ამიტომ გირჩევთ უფრო
მანჯობელ ექიმს მიმართოთ. მე ავადმყოფის
სახლში მისვლისას სამ მანეთზე ნაკლებს არ
ვიღებ, ხოლო ორ მანეთზე ნაკლებად საკუ-
თარ სახლშიც არ ვღებულობ. თქვენი პატი-
ვისმცემელი ბ. გორდონი. ბ. გორდონი კარგს
იზამდა, გაზეთში გამოქვეყნებული განცხა-
დებისთვის თავისი ვიზიტების ნიხრიც რომ
დაერთო. მაშინ ვარაუდიც აღარ შეეშლებო-
და. ა. ივანოვი“.

— ექიმის შრომა, — წერდა თავის პა-
სუხში ექიმი გორდონი, — არ შეიძლება
სწორად შეფასდეს გარკვეული, ერთხელ
და სამუდამოდ დადგენილი ჰონორარიით.
ღარიბი ავადმყოფის საწოლთან გატარებულ
უძილო ღამეს სავსებით ანაზღაურებს ვა-
ლის პირნათლად მოხდის შეგრძნება. შეძ-
ლებული ადამიანის მკურნალობისას კი
ექიმს უფლება აქვს. მოითხოვოს მისი
შრომის შესაფერი საზღაური. ეჭვს გარე-
შეა, რომ ექიმს ბევრი წმინდა ვალდებუ-
ლება გააჩნია მოყვასთა წინაშე; მაგრამ
ზომ უნდა ჰქონდეთ რაღაც ვალდებულება-
ნი თვითონ ექიმის მიმართ ავადმყოფსაც
და მის ახლობლებსაც. გადავდივარ იმ ამ-
ბავზე, რაც ერთხელ, მუშაობისას შემემ-
თხვა. ამა წლის 21 სექტემბერს მთხოვეს
„დაუყოვნებლივ გავმგზავრებულეყავი“
ავადმყოფ ქალთან კურმანოვის ქუჩაზე,
მეც მაშინვე გავეშურე. ავადმყოფს კარგა
ხანს ვუტრიალე, ყველაფერი გავუკეთე, რაც
საჭირო იყო. სახლში დაბრუნებისას მეეტ-
ლეს ნახევარზე მეტი გადავუხადე ჩემი
ჰონორარიდან, მანეთილა დამრჩა, რითაც,
რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვერ ვიქნებო-
დი. ვინაიდან ქრონიკული ავადმყოფის შემ-
დგომი მკურნალობა რთული საქმეა, მე
გადავწყვიტე ჩემი პირობები შემეთავაზე-

ბინა. დათანხმდებოდნენ თუ არა, ეს უკვე
მათი საქმე იყო.

მეტად დამახასიათებელი შემთხვევაა.
ბატონმა ივანოვმა, — შეძლებულმა კაც-
მა, — აიძულა ექიმი „დაუყოვნებლივ გამ-
გზავრებულეყო“, თანაც ისეთი დიდი ქა-
ლაქის ერთი ბოლოდან მეორეში, როგორ-
ც რიგაა. ექიმს დახარჯულ დროში ორ-
მოცი კაპიკი გადაუხადა და ვერცხლისმო-
ყვარეობისთვის სამარცხვინო ბოძზე საკუ-
თარ თავს კი არა, ისევ ექიმს აკრავს! მის
წერილს გაზეთიც ბეჭდავს, და ექიმის საქ-
ციელით მკითხველებიც აღშფოთებულნი
არიან.

მართალია, ექიმი ჩვეულებრივი საშუა-
ლო ადამიანია, მაგრამ მაინც, თავისი პრო-
ფესიის წყალობით, სიკეთე მოაქვს და
მეტ უანგარობასაც იჩენს, ვიდრე სხვა წრის
ადამიანი. თუ ოჯახის ერთადერთი მარჩე-
ნალი მძიმე ავადმყოფია და ოჯახი შიმში-
ლობს, ექიმი მკურნალობისთვის საზღაურს
არ აიღებს. ეჭვგარეშეა, რომ ასეთ გარე-
მობაში ფულს არც სხვა წესიერი ადამი-
ანი აიღებდა. მაგრამ განსხვავება სწორედ ის
არის, რომ სხვა არ აიღებდა, ექიმი კი არ
იღებს. აქ დიდი სხვაობაა. ჩვეულებრივი სა-
შუალო ადამიანისათვის კეთილი საქმე რაღაც
განსაკუთრებული და ძალიან იშვიათი რამაა,
საშუალო ექიმისთვის კი იგი სრულიად ჩვე-
ულებრივი ამბავია. ექიმების უმრავლესო-
ბას დაწესებული აქვს მიღების საათები
უფასო ავადმყოფებისათვის, მეტ წილ ქა-
ლაქებში არის უფასო ამბულატორიები და
მუდამ საკმარისია იმ ექიმების რიცხვი, რო-
მელნიც იქ უსასყიდლოდ მუშაობაზე თან-
ხმდებიან. პროფ. სიკორსკის გამოანგარი-
შებით, ქ. კიევის უმთავრეს ლაბორატორი-
ულ პუნქტებში 1895 წელს გაცემულ იქნა
138.000-ზე მეტი უფასო საექიმო რჩევა.
თითო რჩევა მხოლოდ 25 კაპიკად რომ შე-
ვაფასოთ და წარმოვიდგინოთ, რომ ყვე-
ლა სხვა შემთხვევაში ექიმები ყველასგან
ფულს იღებდნენ, მაინც გამოვა, რომ ორა-
სი კიეველი ექიმი ღარიბებს ყოველწლიუ-
რად დაახლოებით 15.000 მანეთს სწირავს.
მკითხველო, თქვენ რამდენსღა სწირავთ
ღარიბებს ყოველწლიურად?

ღარიბებისათვის ყველა ხელობის ადამი-
ანები — ვექილები, ჩინოვნიკები, მექარ-
ხნეები, მემამულეები, ვაჭრები, იმდენსვე
რომ აკეთებდნენ, რამდენსაც ექიმები აკე-
თებენ, მაშინ თვითონ ხიღარბის საკი-
თხიც, ცოტა არ იყოს, დაჰკარგავდა გან-

საკუთრებულ სიმწვავეს... მაგრამ ეჭიმები უთუოდ უანგარონი უნდა იყვნენ, სხვები კი... სხვებს შეუძლიათ იმით დაკმაყოფილდნენ, რომ ეჭიმებისგან უანგარობა მოითხოვონ.

ოციოდე წლის წინათ კიევში ასეთი შემთხვევა მოხდა. ეჭიმი პროცენკო ერთ ავადმყოფთან მიიწვიეს. მან ავადმყოფი გასინჯა, მაგრამ როცა გაიგო, ამას ვიზიტის ასანაზღაურებელი ფული არ გააჩნიაო, ისე წავიდა, რომ მკურნალობა არც დაუნიშნავს. ეჭიმი სასამართლოს გადასცეს და ჯარიმა და ერთი თვის პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლოს დარბაზში მყოფი მრავალრიცხოვანი საზოგადოება განაჩენს ტაშით და მოწონების შეძახილებით შეხვდა.

ეჭიმი პროცენკოს საქციელი აღმაშფოთებელია — ამაზე კამათი არც შეიძლება; მაგრამ საინტერესოა საზოგადოების ფსიქოლოგია: განაჩენი მხურვალე ტაშით და აჯილდოვებს — მერე კი მშვიდად დაიშალნენ და ალბათ ეჭიმების უსულგულობაზე და წამგლეჯობაზე ლაპარაკობდნენ, ის კი ფიქრად არ მოხვლიათ, რომ თუნდაც რამდენიმე კაბიკით დახმარებოდნენ იმ დარბაზს, ვისთვისაც პროცენკო გაასამართლეს. იმ დარბაზს კაცს ხომ შეეძლებოდა ლოგიკურად და თანმიმდევრულად მსჯელობა! წარმოვიდგინოთ, რომ იგი მივიდა საზოგადოების რომელიმე წარმომადგენელთან და უთხრა:

— როგორც თქვენ მოისმინეთ, სასამართლოზე დამტკიცდა, რომ მე ეჭიმისთვის მისაცემი ფული არ მქონდა; თქვენ ადვილად მიხვდებით, რომ მე მარტო მკურნალობა კი არ მინდა, არამედ ჭამაც, ჩემი შვილებიც შიმშილობენ... მომეცით ორისამი მანეთი.

— უპირველეს ყოვლისა, ძვირფასო, აი რა: თუ შენ მაგას მოითხოვ, მე არაფერსაც არ მოგცემ, — პასუხობს ასეთი თავხედობით გაკვირვებული ბატონი. — მაგრამ თუ მთხოვ, მაშინ ჩემი სულის საცხონებლად მოგცემ ერთ შაურთანს; აიღე და ლოცვებში მოიხსენიე მონა ღვთისა ესა და ეს.

— არა, მე არ ვთხოვთ, მე მოვითხოვ, და რაღაც შაურთანს კი არა, ორ-სამ მანეთს მაინც. ეჭიმის ვიზიტი დაახლოებით ამდენი ღირს, და თქვენ ხომ დაინახეთ, რა უქნეს მას, დახმარებაზე უარი რომ მითხრა; თქვენ თვითონ ტაში დაუკარით მის განაჩენს. თუ სამ მანეთს არ მომ-

ცემთ, თქვენც ბრალდებულთა სკამზე დაგხვამენ.

რა თქმა უნდა, აღშფოთებული ბატონი „გოროდოვო“-ს უხმობს და საზოგადოების თანაგრძნობით გამხნეებული მოითხოვს, ეს უტიფარი ახლავე საპოლიციო უბანში გაგზავნეთო. იქ კი დარბიზი გაიგებს, რომ თანმიმდევრული მსჯელობა ყოველთვის არ შეიძლება, რომ თუ ეჭიმი უანგარო პიროვნება არ არის, იგი შეიძლება ციხეში ჩასვან, დანარჩენებს კი უფლება აქვთ თავის ქიხას ისე მოუარონ, როგორც მოეპრიანებათ. თუ შიმშილით სიკვდილის პირას მისულ ადამიანს დახმარებაზე უარი უთხრეს, ამ თემაზე მხოლოდ საკუთარ სინდისთან უნდა იმსჯელონ. და თუ ის სინდისი საკმაოდ ამტანი აქვთ, შეუძლიათ თავი ამაყად მაღლა ასწიონ და საყოველთაო პატივისცემით სარგებლობა განაგრძონ.

* * *

„ყოველი ეჭიმის უპირველესი ვალაია: იყოს კაცთმოყვარე და დახმარება აღმოუჩინოს ყოველი წოდების ადამიანს, ვისაც კი სწეულება შეეყარა. ამიტომ ყოველი ეჭიმი ვალდებულია ავადმყოფთან მიწვევისთანავე გამოცხადდეს დახმარების აღმოსაჩენად. ვინც ამას არ გააკეთებს, თუ კანონიერი საპატიო მიზეზი არ ექნა, ტანჯულ კაცობრიობისადმი უპატივისცემლობისათვის დაჯარიმდება ასი მანეთის ფარგლებში და დაპატიმრებულ იქნება ერთი კვირიდან სამ თვემდე ვადით“.

ამას გვაუწყებს საეჭიმო წესდების 81-ე მუხლი და სასჯელთა დებულების 872-ე და 1522-ე მუხლები. კანონიერების მთელს კრებულში ამაოდ დაუწყებთ ძებნას სხვა შემთხვევებს, როცა ადამიანებს იურიდიულად ავადდებულებდნენ, „იყვნენ კაცთმოყვარენი“ და სასჯელს უფარდებდნენ „ტანჯული კაცობრიობისადმი უპატივისცემლობისათვის“. ასეთ მოთხოვნებს კანონი მხოლოდ ეჭიმებს უყენებს. მაგრამ ნუთუ კაცობრიობის ტანჯვა მხოლოდ ადამიანების უეცარი დაავადებებით ამოიწურება, და ნუთუ ადამიანს მხოლოდ ამ შემთხვევაში სჭირდება გადაუდებელი დახმარება? უსახლკარო ადამიანი შეიძლება სრულიად ცარიელი, გაუჭირავებლად დარჩენილი სახლის შესასვლელში გაიყინოს, ან საფუნთუ-

შეს ფანჯარასთან შიმშილით მოკვდეს, —
კანონი გულგრილად გაგზავნის ცხელარს
პოლიციაში და სიკვდილის მიზეზის დად-
გენით დაკმაყოფილდება, სახლის და სა-
ფუნთუშეს პატრონებს კი შეუძლიათ მშვი-
დად იძინონ: ისინი სულაც არ არიან ვალ-
დებულნი კაცთმოყვარენი იყვნენ და
„ტანჯულ კაცობრიობას“ პატივსა სცემდნენ.
ხოლო თუ წინა ღამით უძილობით და
დღიური შრომით დაქანცული ექიმი უარს
იტყვის ავადმყოფთან წასვლაზე, კანონი
მყისვე გამოცხადდება და „გულქვა“ ექიმს
ციხეში ჩასვამს.

დაავადებული ადამიანის დატოვება
დახმარების გარეშე არ შეიძლება. ექიმებს
მიწვევაზე უარის თქმის უფლება თუ მი-
ეცათ, საჭიროებისას ექიმის შოვნა შეუძლე-
ბელი გახდება. ვთქვათ, ჩემს ახლობელს,
ჩემთვის ძვირფას ადამიანს, სიკვდილი
ემუქრება. მე ექიმთან მივდივარ. იგი წინ-
კარში გამოდის, ბიფსტექსს ღებავს და
გულგრილად მეუბნება: „ახლა ვახშამს
ვჭამ, მერე კი დასაძინებლად დავწვები,
წამოსვლაც გვიანია, სხვა ექიმი მონახე-
თო“. მეორეგან მეუბნებიან, რომ ექიმი
სახლში არ არის, მესამეგან, ბანქოს თამა-
შობს და წამოსვლის გუნებაზე არ არისო.
სანამ ქალაქში ექიმს დავეძებდი, ავად-
მყოფი კიდეც გარდაიცვალა. არადა, მისი
გადარჩენა შეიძლებოდა. განა ექიმები არ
არიან დამნაშავენი მის სიკვდილში? განა
ისინი ციხეში არ უნდა ჩაჰყარო?

მაგრამ განა სახლების და საფუნთუშე-
ების პატრონები არ არიან დამნაშავენი იმა-
ში, რომ ადამიანებს თავშესაფარი და პუ-
რი არა აქვთ? საზოგადოებრივი საკითხების
ასე უბრალოდ და ზერელედ გადაჭრა მხო-
ლოდ ბავშვებს ეპატიებათ. დაუშვებელია,
რომ ადამიანები შიმშილით იხოცებოდნენ
და ქუჩაში იყინებოდნენ, მაგრამ ამაზე
მთელმა საზოგადოებამ უნდა იზრუნოს და
არა სახლების ცალკეულმა მებატონეებ-
მა, — აქაოდა, მაგათ ცარიელი ბინები აქვ-
თო, — ან მეფუნთუშეებმა, რაკი ისინი სწო-
რედ პურით ვაჭრობენ. დაუშვებელია, რომ
ღარიბი უექიმოდ კვდებოდეს, და არც ის
შეიძლება, რომ ღამღამობით ადამიანები
ექიმს ვერ პოულობდნენ, მაგრამ ამაზეც
თვითონ საზოგადოებამ უნდა იზრუნოს, —
მოაწყოს ექიმების მორიგეობა ღამით და
ჰყავდეს საგანგებო ექიმები ღარიბებისათ-
ვის. ინგლისსა, საფრანგეთსა და გერმანია-
ში კარგა დიდი ხნის წინათ გააუქმეს კა-
ნონები, რომელნიც ექიმებს ავადდებუ-

ლებდნენ ღარიბებისათვის ემკურნალათ,
ხოლო ავადმყოფთან პირველივე დაძახე-
ბისთანავე გამოცხადებულიყვნენ.

ჩვენში საზოგადოებას არ სურს ზედტად
შეიწუხოს თავი. ტვირთის მთელი სიმ-
ძიმე საკუთარი მხრებიდან რომელიმე ერთი
ადამიანის მხრებზე გადააქვს და ამ უკანას-
კნელს სასტიკად სჯის, თუ კი ის ამ ტვირ-
თის აწევაზე უარს იტყვის. ასეთი წესე-
ბის უსამართლობა თვალში საცემია, მაგ-
რამ რაკი ეს წესები ხელსაყრელია საზოგადო-
ებისათვის, მათ ვერ ამჩნევენ, მათი შემჩნევა
არ უნდათ. აი, ასე გაურბის საზოგადოება
თავისი პირდაპირი მოვალეობის შესრულე-
ბას და ამავე დროს კეთილშობილურ მრის-
ხანებას იჩენს იმის მიმართ, ვისაც ეს მოვა-
ლეობა დააკისრა, ხოლო მან საკმაოდ
მონდომება არ გამოიჩინა. რაღაც გა-
უგონარი ამბავი ხდება: ადამიანები ისეთ უბ-
რალო რამეს ვერ მიმხვდარან, რომ ამაზე კა-
მათიც კი სირცხვილია, და საკუთარ თავს
გაოცებული ვეკითხები: ნუთუ ასეთი ზნე-
ობრივი სიბრმავე შესაძლებელია?

აი, მაგალითად, რას წერდა ბ-ნი პ-ვი
„Новое время“-ს № 8098-ში:

„შეიძლება თუ არა, რომ ადამიანს ღა-
მით, ან უქმე დღეებში კბილი ატკივდეს?
ალბათ, არ შეიძლება, თუ დავუჭერებთ ერთ
ადამიანს, მე რომ შემომჩივლა. ჩვენში ექი-
მებს შავ დღეს აყრიან იმისათ-
ვის, რომ ისინი ავადმყოფებთან ღამით არ
მიდიან, ან თუ მაინც წავლენ, ძალიან
უხასიათოდ. დანტისტების უმრავლესობა
კი რაღაც განსაკუთრებული პრივილეგიით
სარგებლობს, რაღაც გაუგებარი ტრადიცი-
ების ძალით მათი შეწუხება არც უქმე დღე-
ებში შეიძლება და არც ღამით; იმ კაცმა რამ-
დენიმე დანტისტს მიაკითხა და ვერსად ვე-
რაფერს ეღიროს“.

ციტატა ზუსტად მაქვს მოტანი-
ლი. გაზეთში სწორედ ეს სიტყვებია და-
ბეჭდილი — „რაღაც განსაკუთრებული პრი-
ვილეგია“ და „გაუგებარი ტრადიციაო“. ახლა ვიკითხვოთ, რომელი სხვა პროფესიის
წარმომადგენლის მიმართ გაბედავს იგივე
ბ-ნი ა. პ-ვი იმის თქმას, რომ უქმე დღე-
ებში დასვენება — განსაკუთრებული პრი-
ვილეგიაა, ღამით მშვიდი ძილი კი — გაუ-
გებარი ტრადიციაო? საკუთარ თავზე რომ
ლაპარაკობდეს, ბ-ნი ა. პ-ვი ამ ტრა-
დიციას, ალბათ, გაუგებრად არ ჩათვ-
ლიდა.

უნივერსიტეტში ერთი ამხანაგი მყავდა,
გვარად პეტროვი. კურსის დასრულების

შემდეგ ერთი აღმოსავლური გუბერნიის მიყრუებულ მაზრაში ერობის ექიმად მოეწყო და თვალთაგან დამეკარგა. ხოლო ორიოდ წლის წინათ პროვინციულ, მერე კი დედაქალაქის გაზეთებშიც გამოქვეყნდა ერთი ისტორია, რომლის გმირიც სწორედ ის ჩემი ამხანაგი გამოდგა. სოფელ №-ში,—იტყობინებოდნენ გაზეთები,—მასახლისმა დამპალი თევზი ჭამა და ავად გახდა. მეზობელი სოფლიდან ერობის ექიმს პეტროვს უხმეს, პეტროვმა თავის ნაცვლად ფერშალი გამოგზავნა. ავადმყოფი სულ უფრო და უფრო უარესად ხდებოდა. ექიმთან კაცი მეორეჯერაც გაგზავნეს, მაგრამ ექიმის ნაცვლად ისევ ფერშალი მოვიდა. დილით მამასახლისი გარდაიცვალა. გამორკვა, რომ ექიმი პეტროვი იმ დღეს უგონო მთვრალი ყოფილა. ერობამ იგი დაუყოვნებლივ მოხსნა. პეტროვის გვარი ბარე ორი თვე აღარ მოშორებია გაზეთის ფურცლებს და მთელმა რუსეთმა გაიცნო.

ექვსი თვის შემდეგ პეტროვი პეტერბურგში ჩემს სანახავად ჩამოვიდა. აი, რა მიაშობ მან:

— ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გაზეთში ეწერა; სწორია. ჩვენთან მაშინ ბაზრობა იყო. ბაზრობის დღეებში კი საამბულატორიო მიღებაზე ძალიან ბევრი ხალხი მოდის, ბარე ორასამდე კაცის მიღება მომიხდა, — შენ გამიგებ, ეს რას ნიშნავს. წინა დამით კი სოფელ შჩეგალოვკაში მშობიარე ქალთან წამიყვანეს, ნაყოფის შემობრუნება მომიხდა. სახლში სწორედ მიღების დაწყების წინ დავბრუნდი და ერთი ჭიქა ჩაის დაღვევა ძლივს მოვასწარი. ბაზრობაზე რამდენიმე ჩემი ნაცნობიც ჩამოვიდა. საღამოს ბანქოს სათამაშოდ დავსხედით, მერე კი დავლიეთ. მართლა ბლომად დავლიეთ... იქ, ძმაო, იცი, რა დღეში ხარ? კვირას კვირა მისდევს, თვე თვეს ენაცვლება, ყოველი მხრიდან გვჭიჭენიან, ზოგჯერ ისეთ ხასიათზე დადგები ხოლმე, რომ სიცოცხლე აღარ გინდა. ჩემს თავზე გამოვცადე: დრო რომ მოგიწევს, — ეს წელიწადში ხუთჯერ ან ექვსჯერ ხდება, — ერთი მაგრად უნდა დალიო, ისე, რომ მეორე დღეს ნაბახუსევზე თავი ჯოჯოხეთში გეგონოს“. მერე ისევ გამოცოცხლდები და გამხნევდები. ერთი სიტყვით, სახლში მივბრუნდი. ავადმყოფთან შეძახიან, — „კვდებაო“. მე, ცოდვილს, წასვლა არ შემეძლო, — ურემზე თუ დამდებდნენ, თორემ სხვა აღარაფერი გამეწყო-

ბოდა... ჰოდა, ყველაფერი ასე მოხდა... ერთხანს იყუჩა.

— შენ, ძმაო, არ იცი, ერობაში სამსახური რას ნიშნავს. ყველას წითელი კოჭი უნდა უგორო, ყველა შენი უფროსია. ავადმყოფები მაშინ მოდიან, როცა მოესურვებათ, დღისითაც და ღამითაც; რას იზამ, არ მიიღებ? ვინმე გლენს ცხენი დასაჭედად მიჰყავს და გზადაგზა შენ შემოგივლის, „ხომ არ წამომყვები, მგონი, ცოლი მიკვდებაო“. მიდიხარ, ხუთ ვერსს ფეხით გაივლი. „სად არის ავადმყოფი?“. „ეს წუთია, ქერის სამკალში წავიდა...“ ჩემი უბანი ორმოცდაათ ვერსზეა გაჭიმული, საფერშლო პუნქტები კი — ერთი ერთ ბოლოშია, მეორე — მეორეში. იქაც და იქაც თვეში ორჯერ მაინც უნდა მივიდე, ვალდებული ვარ. როდის გძინავს, ან რასა სჭამ — ეშმაკმა იცის! და ასე — ყოველ ცისმარე დღე, არც უქმე იცი და არც დასვენება. სახლში ბიჭუნა ქუნთრუშით გიწევს, შენ კი სხვებს ელოლიავები... მართლაც აუტანლად მძიმე სამსახურია!

ჩაფიქრდა, ხელები მუხლზე დაიწყო.

— აუტანლად მძიმე სამსახურია, — გაიმეორა და ისევ იყუჩა. — გაზეთებში წერენ, — „ექიმი პეტროვი მთვრალი იყო“. სწორია, მთვრალი ვიყავი, და ეს მართლაც ძალიან ცუდია. აღშფოთების უფლება ყველასა აქვს. მაგრამ თვითონ ისინი? მაგათში ასიდან ოთხმოცდაცხრამეტი მაინც სვამს, მთვრალეებიც ხშირად არიან, მაგრამ საკუთარი თავის გამტყუნება ფიქრადაც არ მოუვათ. იმის გაგება კი არ შეუძლიათ, რომ არის ადამიანი, ვისაც თავისი სიცოცხლის ვერც ერთი წუთი თავის ნებაზე ვერ გამოუყენებია. ეს კი ძალიან ძნელია, ძმაო, ღმერთმა ყველას აშოროს!..

თავს ნებას მივცემ, მკითხველს კიდევ ერთი საგაზეთო წერილი გავაცნო:

„პეტერბურგს ახლა სწორედ „უბატრონო“ შეიძლება ეწოდოს, — წერდა 1898 წლის ივლისში „პეტერბურგსკაია გაზეტა“-ს თანამშრომელი ბ-ნი ვ. პ. — უკანასკნელი კვირის მანძილზე სამჯერ დავრწმუნდი, რომ დედაქალაქის მცხოვრებნი ზაფხულში სრულიად მოკლებულნი არიან სამედიცინო დახმარებას. პეტერბურგელმა ზაფხულში ავად გახდომა ვერ უნდა გაბედოს, თორემ ძალიან ცუდ დღეში ჩავარდება: ექიმს ვერსად იშოვნის...“ ბ-ნი ვ. პ. გვიამბობს, თუ რა უშედეგოდ ეძიეს ექიმი მთელს პეტერბურგში მან და ზოგმა

მისმა ნაცნობმა და თავის წერილს „მეტად საინტერესო პრინციპული შეკითხვებით“ ამთავრებს: „აქვს თუ არა ექიმებს იმის უფლება, რომ პაციენტებს ისე ექცეოდნენ, როგორც ახლა ექცევიან? არის თუ არა ექიმი ნამდვილად თავისუფალი ადამიანი, რომელიც თავის დროს საკუთარი სურვილისამებრ ანაწილებს? ერთი სიტყვით, ემსახურებიან ისინი საზოგადოებას თუ არა?“

მართლაც საინტერესო კითხვებია... ემსახურებიან თუ არა ექიმები საზოგადოებას? კი, მაგრამ. ყოველი სამსახური, ასე თუ ისე, ხომ ორმხრივ ვალდებულებებს გულისხმობს. ექიმები ზაფხულობით პეტერბურგიდან გადიან, ერთნი იმიტომ, რომ ზამთარში დაიდალნენ და დასვენება უნდათ, მეორენი კი იმიტომ, რომ ზაფხულობით დაცარიელებულ პეტერბურგში პრაქტიკის გაგრძელება მეტად ძნელია. მაგრამ არა, ექიმები ქალაქიდან არ უნდა გადიოდნენ, ვინაიდან შეიძლება ბ-ნ ვ. პ-სა და ზოგ მის ნაცნობს დასჭირდეთ, ვინც ზაფხულობით მომუშავე საავადმყოფოებში ან ექიმებთან მოსვლას არ კადრულობს. კი, მაგრამ თუ ბ-ნ ვ. პ-ს და მის ნაცნობებს ფრჩხილიც კი არ წამოსტკივდათ, იზრუნებენ კი ისინი იმაზე, რომ ქალაქში დარჩენილი ექიმები შიმშილით არ დაიხრცონ? რა თქმა უნდა, არა! იმ ექიმებმა ისე იცხოვრონ, როგორც უნდათ, ოღონდ სამსახურად კი ყოველ წუთს მზად იყვნენ, ვინ იცის, ბ-ნ ვ. პ-ს საექიმო დახმარება როდის დასჭირდება!

„პეტერბურგსკაია გაზეტა“-ს თანამშრომლის შენიშვნა საყურადღებოა თავისი მიამიტური უხეშობითა და პირდაპირობით, რაც საზოგადოებაშია გავრცელებული. „არის თუ არა ექიმი ნამდვილად თავისუფალი ადამიანი, რომელიც თავის დროს საკუთარი სურვილისამებრ ანაწილებს?“ აქ ლაპარაკია არა მომსახურე ექიმებზე, რომლებიც სამსახურის სიკეთით სარგებლობენ და სამაგიეროდ, რა თქმა უნდა, „ნამდვილ თავისუფლებაზე“ უარს ამბობენ. ლაპარაკია საერთოდ ექიმებზე, რომელთა წინაშეც ადამიანები სრულიად არავითარ ვალდებულებას არ გრძნობენ. მრისხანედ, დაძაბული და დაუნდობელი ყურადღებით აკვირდებიან ისინი ექიმის ყოველ ნაბიჯს: „ემსახურე საზოგადოებას, იყავი გმირი და წამებუდი, არ დაისვენო — არ გაბედო ამ „გაუგებარი ტრადიციის“ დაცვა, ხოლო როცა გამოიფიტები, ან

საქმე შეგიწირავს, ჩვენ შენთან აღარაფერი გვესაქმება“.

ამას წინათ ერთი ჩვენი ამხანაგი, ექიმი სტრატონოვი დავმარხეთ. წინა კვირას მან კერძო ავადმყოფს ტრაქეოტომია გაუკეთა, ტრაქეის ჭრილიდან დიფტერიის ნაღები ამოწუწნა და სნეულება გადაედო. დაიღუპა ახალგაზრდა, ძლიერი და ენერგიული ადამიანი. ეს სიკვდილი საშინელი იყო თავისი სისწრაფითა და მოულოდნელობით.

სამლოცველოში იდგა კუბო, ეწყო გვირგვინები, რომლებიც აღარავის ჭირდებოდა, ტრიალებდა საკმევლის სუნი, თალებში მიწყდა „უფალო, განისვენე“-ს ხმები... ფანჯრებიდან ქალაქის ხმაური და გრიალი შემოდინდა. ჩვენ კუბოს გარშემო ვიდექით.

დარჩა ქვრივი, დარჩნენ ბავშვები, აღარც ამათთვის, არც გარდაცვლილისათვის აღარავის ეცალა. ფანჯრებს იქით ქალაქი გულგრილად ხმაურობდა; იფიქრებდით, მთელი ქუჩები გვამებით რომ მოიფინოს, ქალაქი ასევე აფორიაქებული, თავის საქმეებში ჩაფლული იცხოვრებს და ქვაფენილის ქვებისაგან გვამების გამოსარჩევადაც კი ვერ მოიცლისო.

„ემსახურებიან თუ არა ექიმები საზოგადოებას?“

ექიმ გრებენშიკოვის გამონგარიშებით, გადამდები სნეულებისაგან იღუპება საერთოდ რუსი ექიმების 37, ხოლო ერობის ექიმები — სამოც პროცენტამდე. 1892 წელს გარდაცვლილი ერობის ექიმების ნახევარი პარტახტიანმა ტიფმა შეიწირა. როგორ ნერვიულ გარემოცვაში უხდებოდა მოღვაწეობა ექიმს, ამის დანახვა წინათავებიდან შეიძლებოდა. პროფესორმა სიკორსკიმ ოფიციალური მონაცემების საფუძველზე რუს ექიმებში თვითმკვლელობის საკითხი გამოიკვლია. თურმე „25-დან 35 წლის ასაკამდე ექიმების ჩვეულებრივი სიკვდილიანობის 10% თვითმკვლელობაზე მოდის; ე. ი. ამ წლებში ყოველი ათი გარდაცვლილი ექიმიდან ერთი სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს“. ეს ციფრი იმდენად შემადრწუნებელია, რომ დაჯერებაც კი გვიჭირს. მაგრამ მეორე მკვლევარიც, ექიმი გრებენშიკოვი, სხვა მასალების საფუძველზე და პროფ. სიკორსკისაგან სრულიად დამოუკიდებლად, თითქმის ისეთსავე დასკვნამდე მივიდა... გრებენშიკოვის აზრით, 1889—1892 წლებში საერთოდ ექიმებს შორის თვითმკვლელობამ 3,4% შე-

ადგინა, ხოლო ერობის ექიმებს შორის ათ პროცენტზე მეტი.

შემდეგ პროფ. სიკორსკიმ თავისი მონაცემები შეუფარდა სხვა პროფესიების მონაცემებს რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში. გამოიკვამ, რომ „რუს ექიმებს სამწუხარო პრივილეგია აქვთ — თვითმკვლელობაში მთელ ქვეყნიერებაზე პირველი ადგილი უჭირავთ“. საყურადღებოა შემდეგი გარემოება: „თუ ექიმმა თავის მოკვლა გადაწყვიტა, მას სხვაზე უკეთ შეუძლია შედარებით უმტკივნეულო სიკვდილი აიჩიოს; ნამდვილად კი საქმე თურმე ისეა, რომ ექიმების თვითმკვლელობაში საოცრად ხშირია სწორედ ყველაზე უფრო მტანჯველი ხერხები: სტრიქინით, გოგირდისა და კარბოლის მჟავათი მოწამვლა, გულის ტროაკარით გაფლეთა, და ა. შ. „როგორც ჩანს, — შენიშნავს პროფ. სიკორსკი, — თავდაცვის ინსტიტუტის დათრგუნვას ჩვენი უბედური ამხანაგები იქამდე მიჰყავდა, რომ მათთვის სულ ერთი იყო, სიცოცხლეს რა გზით მოისპობდნენ, ოღონდ კი აღარ ეცოცხლათ“.

ღიას, ექიმები „საზოგადოებას ემსახურებიან“, ეს სამსახური არც ადვილია და არც უშფოთველი. მაგრამ როგორი ბედი ელით ექიმებს, ვინც „საზოგადოების სამსახური“ დაამთავრა. ჩვენში პროფ. ი. ა. ჩისტოვიჩის მიერ დაარსებული დამხმარე სალარო არსებობს. ჩემს ხელთაა სალაროს კომისიის 1896 წლის სხდომების ნაბეჭდი ოქმები. აი, ორი ნაწყვეტი იმ ოქმებიდან:

„მოხსენებულია თხოვნა სალაროს მონაწილის მ. ა. ვისოცკისა მისთვის პენსიის დანიშვნის თაობაზე საარსებო წყაროს უქონლობისა და დაავადების გამო პრაქტიკის წარმოების შეუძლებლობის მიზეზით. ბ-ნი ვისოცკი, ქალაქ აშის ყოფილი ექიმი, 59 წლისა, არა აქვს არავითარი ქონება, სახელმწიფო პენსიას არ იღებს, არა ჰყავს ნათესავები, რომელნიც მას შეიფარებენ, არ შეუძლია საკუთარი შრომით თავის შენახვა, საქიროებს მუდმივ მოვლას, ვინაიდან აქვს გულის მანკი და სხეულის მარჯვენა მხრის კუნთების დამბლა. დაენიშნა პენსია 200 მანეთი.

მოხსენებულია თხოვნა ექიმი-ქალისა ეკ. ივ. ლინტვარიოვასი მისთვის 200 მან. პენსიის დანიშვნის თაობაზე მეტად მძიმე მატერიალური მდგომარეობის მიზეზით;

სჭირს ქრონიკული ციება და მწვავე სისხლნაკლებობა, რაც განუვითარდა პარტახტიანი ტიფის გადატანის შემდეგ. ტიფი დაემართა ერობის ექიმად მუშაობის დროს. პროფ. ვ. ა. მანასეინი და ექ. დ. ნ. უბანკოვი ადასტურებენ ქ-ნ ლინტვარიოვას გაჭირვებულ მდგომარეობას. დაენიშნა 200 მანეთი“.

ხსენებული სალარო — ურთიერთდამხმარეა და წევრების ყოველწლიური შესატანით არსებობს. დახმარების მიღების უფლებაც მხოლოდ წევრებსა აქვთ. საზოგადოებას, რომელსაც ექიმები ემსახურებიან, ამ სალაროსთან არაფერი ესაქმება. ჩვენს საკეთილდღეოდ მუშაობისას თავები დაიწამლეთ და კიდევ დასახიჩრდით, მაგრამ თუ რაიმე დაგემართათ, საკუთარ თავსაც თვითონვე დაეხმარეთ. დანიშნულ დახმარებათა ოდენობა და მოყვანილი ციტატები კი აშკარად მეტყველებენ თავისი წევრებისთვის როგორი დახმარების აღმოჩენა შეუძლია სალაროს.

* * *

ვ. კ. ანრების სადოქტორო დისერტაციაში სხვა თეზისებს შორის არის ასეთიც: „უბნის პოლიციელები“ უკეთ არიან უზრუნველყოფილნი, ვიდრე ექიმები“. ეს გადაჭარბებული ნათქვამი სულაც არ არის, ბევრი ჩვენი ქალაქის საავადმყოფოთა ექიმებს, როგორც იქნა, სულ ცოტა ხნის წინათ ჯამაგირი 75 მანეთამდე მოუმატეს. ქალაქის ექიმები, რომელთაც უამრავი სხვადასხვაგვარი მოვალეობანი აწევთ, წლიურად 200 მანეთს იღებენ. გრებენშიკოვის მიხედვით, ექიმების რეგისტრაციამ ცხადყო, რომ ყველა სამსახურში მყოფე ექიმის 16% წლიურად 600 მანეთზე ნაკლებს იღებს, და 62% — არა უმეტეს 1200 მანეთისა. ძალიან გავრცელებულია აზრი, რომ ექიმებს უმნიშვნელო ჯამაგირის მაგივრობას კერძო პრაქტიკა უწევს, და მათ ასეთ პატარა ხელფასებს ამიტომაც უნიშნავენ. მაგრამ, ჯერ ერთი კერძო პრაქტიკას ბევრი თავისუფალი დრო სჭირდება, იგი გავლენას ახდენს სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების ხარისხზე, — ეს განსაკუთრებით პრაქტიკის ერთ-ერთი პირობათაგანია. მაგრამ თუ ექიმი თავის სამსახურს შერეულედ მოეკიდა, მას შავ დღეს დააყენე-

ბენ, და ამ დროს აღარავის გაახსენდება, თითონვე რომ ამბობდნენ, კერძო პრაქტიკა მათხოვრული ჯამაგირის მქონე ექიმს დახმარებას უწევსო. გარდა ამისა, ეს დამხმარე შემოსავალი, საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიუხედავად, ძალიან პატარაა. გრებენშიკოვის გამოკვლევებით, ყველა ექიმის 77% კერძო პრაქტიკით წლიურად 1000 მანეთზე მეტს ვერ შოულობს. ცოტაა ისეთი ინტელიგენტური პროფესია, რომელთა ფასიც ასე ნაკლებად ფასობდეს.

საექიმო შრომის ბაზარი ჩვენთან დიდი ხანია გადატვირთულია. ეს იწვევს კონკურენციას ექიმთა შორის, ხოლო ამათგან ყველაზე უარესნი იმასაც კი კადრულობენ, რომ მეტოქეს პაციენტებს ართმევენ. ავადმყოფთან რომ მიიწვევენ, ასეთი ექიმი უპირველეს ყოვლისა წინამორბედი ექიმის ყველა დანიშნულებას გააკრიტიკებს და იტყვის, „ნეტავი, რას გერჩოდით, მოკვლა რატომ დაგიპირათო“. გაზეთების ბოლო გვერდები აჭრელბულია ასეთი ექიმების რეკლამებით და მათი გვარი ყველამ იცის. უფრო მოხერხებულნი გაზეთების ქრონიკებისა და ინტერვიუების მეშვეობით საზოგადოებაში ხმებს ავრცელებენ, ბრწყინვალე ოპერაცია გააკეთაო, უიმედო ავადმყოფი განკურნაო და ა. შ. მეორე მხრივ, ბევრი ექიმი, თავისი პროფესიის სიძნელესა და უსარგებლობაში რომ დარწმუნდება, ჩინოვნიკობას ან რაიმე სხვა ხელობას ეკიდება; როგორც ჩანს, ასეთების რიცხვი გამუდმებით იზრდება. უკანასკნელ წლებში რამდენიმე ცნობა გამოქვეყნდა, ამა და ამ ექიმმა შიმშილის ნიადაგზე თავი მოიკლაო; ცნობილია მაგალითები, როცა ექიმმა ფერშლის თანამდებობა დაიკავა და ფერშლის ჯამაგირს დაყაბულდა.

არცთუ ისე იშვიათად თვით საკმაოდ განათლებული ადამიანებიც კი იტყვიან ხოლმე, ექიმების ცუდი მდგომარეობის მიზეზი ის არის, რომ ისინი ყველანი ქალაქისაკენ ისწრაფვიანო. ჩვენ ოცი ათასამდე ექიმი გვყავს, — ამბობენ ეს ადამიანები, — რუსეთის მოსახლეობა კი 128 მილიონ კაცს შეადგენს. ექიმები არ მიდიან მიყრუებულ ადგილებში, მაინცდამაინც ქალაქებში ცხოვრება უნდათ; ქალაქებში ექიმები შიმშილობენ, სოფელი კი იღუპება, გადაგვარების გზაზეა, არც კი იცის, საექიმო დახმარება რა ხილია. ექიმები ჩვენ ძალიან ცოტა გვყავს, და ყოველნაირად უნდა ვიზ-

რუნოთ მათი რიცხვის გაზრდაზეო.

სოფელი მართლაც იღუპება და გადაგვარების გზაზეა. მაგრამ ნუთუ ამისი მიზეზი ისაა, რომ ცოტა ექიმი გვყავს? რუსეთის მოსახლეობის ნახევარი ქალამნებით დადის, და ამის მიზეზი ვითომ ისაა, რომ ხარაზები გვაკლია? ხარაზების რიცხვი თუნდაც უსასრულობამდე გაზარდოთ, შედეგი მაინც ერთი იქნება: თვითონ ხარაზებიც იძულებულნი გახდებიან ქალამნები ჩაიცივან, ხოლო ვინც აქამდეც ქალამნებით დადიოდა, ისევე ივლის.

ექიმებს სულაც არა აქვთ ისეთი უცნაური გემოვნება, რომ სოფელში ნაშოვნ ლუკმას ქალაქში შიმშილი არჩიონ. ყველაზე უფრო მიყრუებულ ადგილებში, ერობის ექიმის ადგილზე, სადაც მცირე ჯამაგირია, მულამ შეცილებია. როგორც „Врач“ იტყობინებოდა, 1888 წელს კნიაგინინის მაზრაში ერობის ექიმის ერთ ადგილზე სამოცდათხუთმეტი თხოვნა შეუტანიათ, კაშინის მაზრაში კი — ორმოცდათორმეტი. საქმე ის კი არ არის, რომ ექიმები მიყრუებულ ადგილებს გაურბიან, არამედ ის, რომ სოფელი მეტად ღარიბია და ექიმის შრომის ანაზღაურება არ შეუძლია. ოთხმოციან წლებში ბევრმა სცადა საექიმო პრაქტიკის დამკვიდრება სოფლად. ყველას კარგად ახსოვს ექიმების — სიჩუგოვის, ტაიროვის და სხვათა სახელები. მაგრამ ამ ცდებით მხოლოდ ის დამტკიცდა, რომ იდებით გატაცებულ ადამიანებს შეუძლიათ სოფელში გაჭირვებით იარსებონ. გამოსარკვევი კი ეს როდი იყო. გამოსარკვევი ისაა, შეუძლია თუ არა საშუალო ექიმს, — არა გმირს, არამედ ჩვეულებრივ მუშაკს, — სოფელში ექიმის შრომით იცხოვროს? ვინც ჩვენი სოფლის მდგომარეობას ცოტათი მაინც იცნობს, იმისთვის სრულიად ნათელია, რომ ჩვენი სოფლის სიღარიბე და უკულტურობა ექიმს სავსებით უსპობს თავისუფალი პრაქტიკით ცხოვრების საშუალებას.

ექიმების მატერიალური მდგომარეობა გამუდმებით უარესდება. არადა, უკანასკნელ ხანებში მას ახალი კონკურენტიც გაუჩნდა — სასურველი და იმავე დროს მრისხანე კონკურენტი — ექიმი ქალი. როგორც ყველგან, სადაც კი ქალი მამაკაცის კონკურენტად გამოდის, იგი აქაც ნაკლები ხელფასით კმაყოფილდება და ამით მამაკაცების ანაზღაურებასაც აქვეითებს. ექიმ

* * *

გრებენშიკოვის მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსამსახურე ექიმი-მამაკაცების საშუალო ხელფასია 1161 მან, ექიმი ქალებისა კი — 833. ექიმი ქალების რიცხვის ზრდა, უეჭველია, სულ უფრო მეტად გამოიწვევს ექიმის შრომის ანაზღაურების საერთო დაქვეითებას.

ექიმი ასეთ მდგომარეობაში მხოლოდ ჩვენში როდია. დასავლეთევროპელი ექიმები უფრო უარეს დღეში არიან. ყველგან ასეა: ექიმების უზარმაზარი არმია უსაქმოდ და უშემოსავლოდაა დარჩენილი და მზადაა ყოველგვარ პირობებზე დასათანხმებლად. რვა წლის წინათ ბუდაპეშტში საავადმყოფო სალარომ გამოაცხადა, ექიმს ავადმყოფის ყოველი ნახვისთვის 40 კრეიცერზე (25 კაპ.) მეტს ვერ გადავუხდითო; მიუხედავად ამისა, სალაროსთან შეთანხმება ბევრმა ისურვა. ბერლინელი ექიმების ნახევარზე მეტი თვეში სამოცდათორმეტ მანეთზე მეტს ვერ იღებს; ვენელი ექიმები თითო ვიზიტისათვის 20 კრეიცერს (12 კაპ.) ყაბულდებიან. ანრი ბერანჟე თავის სტატიაში „საფრანგეთის ინტელიგენტური პროლეტარიატი“ ამბობს: „პარიზელი ექიმების ნახევარი მეტად ცუდ მდგომარეობაშია; ამ ნახევრის დიდი ნაწილი კი ნამდვილად მათხოვრობს, — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ვინაიდან ამ პროფესიის წარმომადგენლები ხშირად ღამეს საქველმოქმედო სახლებში ათევენ. პროვინციაში ათი ათასი ექიმიდან ნორმალურ ცხოვრებას ძლივს ხუთი ათასი თუ ახერხებსო“.

რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპაში უამრავი ექიმი საქმეს იმ მიზეზით კი ვერ შოულობს, რომ ხაზოგადობა ხავსებით უზრუნველყოფილია საექიმო დახმარებით. ისევე, როგორც ჩვენში, საექიმო დახმარება მოსახლეობის უზარმაზარი ფენებისთვის იქაც მიუღწეველი ფუფუნებაა. ეს უბრალოდ ნაწილობრივი გამოვლინებაა იმ წინააღმდეგობებისა, რომელთაც მუხის ფესვებით მკვიდრად და ღრმად გაიდგეს ფეხი ცხოვრებაში. ათასობით ფუთი პური და ხორცი ლპება და მყიდველი ვერ უპოვნიათ, იქვე გვერდით კი ათასობით უმუშევარი ადამიანი შიმშილით იხოცება; სისხლი ნიაღვარივით მოდის, ოღონდ კი ქვეყნიერების უშორეს კუნჭულებში მაულისა და ხავერდისათვის ბაზარი იშოვონ, ამ მაულისა და ხავერდის მფლობელნი კი ჩითისა და ბამბის კაბებით დადიან.

ამას წინათ დილით ადრე გამაღვიძეს და სადღაც, პეტერბურგის გარეუბანში ავადმყოფთან წამიყვანეს. წინა ღამეს დიდხანს არ დამეძინა, რაღაც უცნაური მჭირდა: თავი დამძიმებული მქონდა და ვერ ვაზროვნებდი, მკერდის სიღრმეში რაღაც ნერვიულად მიცახცახებდა. სხეულის ნერვები მაგრად დაჭიმულ სიმებად ქცეულიყვნენ. როცა შორს, ვაგზლიდან მატარებლის სტვენა მოისმოდა, ან კედელზე რაღაც გაიტკაცუნებდა, ავადმყოფივით ვკრთებოდი, გული კი, თითქოს ადგილიდან მოწყდაო, აჩქარებით ამიძგერდებოდა ხოლმე. ბრომიანი ნატრიუმი დავლიე და, როგორც იქნა, ჩამეძინა; და აი, ერთი საათის შემდეგ გამაღვიძეს.

ოდნავ შეთენებულიყო. უკაცრიელ, ჩაბნელებულ ქუჩებში ეტლით მივდიოდი. განთიადისწინა ნისლში უღიმღამოდ მოისმოდა შორეული ქარხნების საყვირები. გარშემო სიცივე და ნესტი მეფობდა. აქა-იქ ფანჯრებში ძილმორევით ჭიატობდნენ სინათლეები. რაღაც გაურკვეველი შემადრწუნებელი სიცარიელე ვიგრძენი სულში. ჩემი გუშინდელი მდგომარეობა გავიხსენე, ახლანდელ მოთენთილობას დავუკვირდი და ძრწოლვით გავიფიქრე, რომ სერიოზული და მძიმე ავადმყოფი ვარ-მეთქი. უკვე ორი წელიწადი იყო, რაც ვგრძნობდი, როგორ გამომეფიტა ნერვები. მაგრამ თვალნათლივ მხოლოდ ახლა დავინახე, რა დღეში ჩავვარდნილიყავი.

შვიდი წელიწადია, ექიმი ვარ. როგორ ვიცხოვრე ეს შვიდი წელიწადი? ეს წლები იყო სასტიკი დაცინვა და გამასხრება იმისა, რაც მე, როგორც ექიმს, პაციენტისათვის უნდა გამომეწერა. ნერვები მუდამ დაძაბული მქონდა, ცხოვრება სულ ამ ნერვებს ურტყამდა. ასეთი მდგომარეობის უმტკივნეულოდ გადატანისათვის საჭიროა უზარმაზარი ნერვიული ძალა, მაგრამ ისეთ ცხოვრებას ეწევი, რომ რკინისებური გამძლეობაც კი არ გიშველის. ჩემთვის არც ღლესასწაულებია და არც ჩვეულებრივი დასვენება. ყოველ წუთში შეუძლიათ მომგლიჯონ საჭმელს, ძილს, არავის ჩემი ჯანმრთელობის დარდი არა აქვს. და აი, ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მიბყრობს ნევრასტენია. მეკარგება სიცოცხლის ხალისი და სიყვარული. და რაც კიდევ უფრო საშინელია, ვკარგავ თანაგრძნობის, მხურვალე განცდის უნარს. არადა, ვხედავ,

რომ ეს ყველაფერი სულს კიდევ შემორჩენია. საკმარისია, სულ ცოტა ხანს ვიცხოვრო აღამიანურად და — სული ცოცხლდება; ვგრძნობ, რომ იქ ჭერაც ბევრია ძალა და სიყვარული.

როგორ პირობებში ვცხოვრობ? ხუთი წლის მოლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, საავადმყოფოში ჯამაგირი — სამოცდათხუთმეტი მანეთი დამინიშნეს. ამაზე და კერძო პრაქტიკის საეგებისო შემოსავალზე მეც უნდა ვიცხოვრო და ცოლი და ორი შვილიც ვარჩინო. წამთრის პალტოსა თუ შეშის ყიდვა და ძიძის დაქირავება ჩემთვის მეტად მძიმე, პირდაპირ თავსატეხი ხაკითხებია. სულ სესხის სალაროებში სირბილი მიხდება. ჩემი გიმნაზიის ამხანაგები, ვინ — გადასახადების ამკრეფია, ვინ — ინჟინერი, ვინ — აქციზის ჩინოვნიკი. მშვიდ, აუღელვებელ ცხოვრებას ეწვევიან და თან ისეთ ჯამაგირს იღებენ, რომ მე ოცნებითაც ვერ შევწვდები. მე კი ოჯახური სიხარულიც არ გამაჩნია; ისიც კი არ შემიძლია, რომ ჩემს ბავშვს მშვიდად მივუაღერსო, იმიტომ რომ ამ დროს უეცარი აზრი გამიელვებს ხოლმე: ვაი თუ მოფერებისას ბავშვს ყვავილი ან ქუნთრუშა შეეყაროს, დღეს ხომ ავადმყოფებთან ვიყავი-მეთქი.

დილის ნისლში ჩემს თვალწინ უზარმაზარი ქალაქი გადაჭიმულიყო. მაღალი, პირქუში, გარინდებული სახლები ერთმანეთს ეკვროდნენ და ყოველი მათგანი საკუთარ მძიმე ფიქრებში ჩაძირულიყო. აი, იგი, ეს მრისხანე ურჩხული! იგი უკანასკნელ ძალებს მთხოვს, მართმევს მთელ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს, და იმავე დროს ჩემდამი სრული გულგრილობით მაძრწუნებს! მე კი მას მაინც უნდა დავემორჩილო, თუმცა, იგი, როგორც ვთქვი, ყველაფერს მართმევს, სამაგიეროდ კი არაფერს იძლევა!

სასაცილოა იმის ვარაუდი, რომ მას გული აუჩუყდება. სასაცილოა იმის მოლოდინიც, რომ რამეს მივალწევ, თუ ვუთხარი, ძალიან უსამართლოდ მექცევიო. ყურადღებას მხოლოდ იგი მიიქცევს, ვინც იბრძვის. და გამოსავალი მხოლოდ ერთია: ჩვენ, ექიმები, უნდა გავერთიანდეთ, საერთო ძალებით უნდა შევებრძოლოთ ამ ურჩხულს და უკეთესი, უფრო თავისუფალი ცხოვრება მოვიპოვოთ.

ქალაქის გარეუბანში გავედით. გაყვითლებული ბალახით დაფარულ არხებს ნამიანი ფიცრული ბილიკები მიჰყვებოდა. ფაბ-

რიკების მიღებიდან კვამლი ამოდის და სახლების სახურავებს მუქ, სულისშემხუთავ ფარდასავით ეფინებოდა. მეეტლე ყვითლად და ყავისფრად შეღებილი ხის სახლის ჭიშკართან გაჩერდა. ძალიან ჩაბნელებული, დაქანებული კიბით მეორე სართულზე ავედი და დავრეკე. პატარა ოთახში მაგიდასთან ოცდაათიოდე წლის ფერმკრთალი კაცი იჯდა. საყულოგახსნილი ლურჯი ხალათი ეცვა. ქერა უღვაშები და პატარა წვერი სისხლში ჰქონდა მოხვრილი. იქვე იატაკზე თიხის დიდი თასი იდგა. თასი სავსე იყო ვარდისფერი წყლით, რომელშიც სისხლის შავი ლეკერტები ცურავდა. ახალგაზრდა ქალი ტირიდა და სამწარეულოს დანით ყინულს ამტვრევდა.

— მაბათიეთ, ექიმო, რომ შევაწუხეთ! — მითხრა კაცმა, მხნედ წამოდგა და ხელი გამომიწოდა, — ჩემი საქმე ნათელია — ტუბერკულოზი მჭირს და სისხლს ვაღებინებ. ჰოდა, აი ცოლი ძალიან შემომიჩინდა, უთუოდ ექიმი მოვიყვანოთ...

— უბირველეს ყოვლისა დაწეით და ნუ ლაპარაკობთ! — შევაწყვეტინე მე. — იყავით მშვიდად და ნუ იღელვებთ — საშიში აქ არაფერია.

— განა მე ვლელავ? — გაკვირვებით ჩაილაპარაკა მან, მხრები აიჩეჩა და საწოლზე ჩამოჯდა.

ავადმყოფი დავაწვინე და სტეტოსკოპი ფრთხილად მივადე მკერდზე. მან თავისი ლამაზი თავი გადააგდო და თხელი, სისხლიანი ტუჩები ჩაიკვნიტა; იწვა და თვალეზმობუტული, ჭერს მისჩერებოდა.

— თქვენი ქმარი სად მუშაობს? — გკითხე ახალგაზრდა ქალს, როცა გასინჯვა დავამთავრე და წელში გავსწორდი. ქალი მაგიდასთან ცრემლმორეული იჯდა და ნღვლიანად მომჩერებოდა.

— სპილენძის ჩამომსხმელია, N ქარხანაში მუშაობს. ღმერთო, ღმერთო, ოცდაათისა ახლა გახდა და როგორი ჯანმრთელი იყო! გული სპილენძის ორთქლმა გამოუჭამა, და რა უცბად!

ქალი აქვითინდა და მკერდით მაგიდას დაემხო.

— რა გემართება, კატია! ეს არც ისე საშიშია! — აჩქარებით, მაგრამ აღერსიანად უთხრა ჩამომსხმელმა, — ხომ გაიგონე, ექიმმა რომ თქვა... ასეთი სისხლისღებებით ორმოცდაათ წლამდე ცოცხლობენ. ხომ, ასეა? — მომიბრუნდა იგი მე.

— რა თქმა უნდა!.. ოღონდ ნუ ლაპარაკობთ, წყნარად იწეით... ისეც ხდება,

რომ სრულიად გამოჯამრთელდებიან ხოლმე...

ჩამომსხმელი იწვა და თავს ხმაამოუღებლად, დასტურით მიკრავდა. მე რეცეპტის გამოსაწერად დავჯექი.

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, ცხოვრება როგორ თვალსა და ხელს შუა გაგვიქრა! — ტირილითა და ოხვრით წარმოთქვა ქალმა. — უნდა გითხრათ, ბატონო ექიმო, რომ თავს სულ არ უფრთხილდება. როგორ ცხოვრობს? ქარხნიდან მოვა თუ არა, მაშინვე წიგნებს ჩაუჯდება, მთელი ღამე კითხულობს, ან საქმეებზე დარბის. ღმერთმა მაგასაც ერთი ადამიანის ძალა მისცა, ორის ხომ არა!

ავადმყოფს ხველა აუვარდა. თასზე დაინხარა და სისხლის დიდი ლეკერტი გადმოაფურთხა.

— კარგი, კარგი! ბევრი ლაპარაკი რას გაგვიკეთებს! — ხმადაბლა უთხრა მან ცოლს, როცა სული მოითქვა.

ავადმყოფთან ნახევარ საათს დავრჩი, ცოლს ვანუგეშებდი და ვამშვიდებდი. ოთახი ღარიბული იყო, მაგრამ პატრონის ინტერესებზე ყველაფერი აშკარად მეტყველებდა: კუთხეში გაზეთების გროვა ეწყო, კომოდსა და საკერავ მანქანაზე წიგნები ელაგა და მათ ყდებზე ზოგი ჩემთვის ძვირფასი, ახლობელი სახელი ამოვიკითხე.

გამოვედი და ეტლში ჩავჯექი. უკვე გათენებულიყო. ნისლი მიწას ასცილებოდა და ნესტიან, ნაცრისფერ ბოლქვებად ქცეული, ცაში მიცურავდა; შიგადაშიგ კამკამა, მზით განათებული ცა მოჩანდა. ქუჩები უწინდებურად წყნარი იყო, მაგრამ სახლების მიღებიდან უკვე კვამლი ამოდიოდა, ფანჯრებში სამოვრები ბრწყინავდნენ და ადამიანები ირეოდნენ. არხის გასწვრივ ხშირი შავი ნაკვალევი მოდიოდა; ის განწყობილება გავიხსენე, რომლითაც აქეთ მოვდიოდი; გამახსენდა, როგორ მოვჩერებოდი ამ ყვითელი ბალახით დაფარულ არხებს. ის განწყობილება ახლა საოცრად წვრილმანი და უცხო მეჩვენა. არა, კი არ შემრცხვენია, უბრალოდ გამიკვირდა და გაუგებრად მეჩვენა, ასეთი განწყობილება როგორ დამეუფლა-მეთქი.

ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ვიბრძოლოთ. რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ ვინ —

„ჩვენ“? ექიმები? რა თქმა უნდა, შეგვიძლია ჩვენი კორპორაციის მდგომარეობის გაუმჯობესება ვცადოთ, ურთიერთდახმარება სრულყოფით და სხვა ამგვარები. მაგრამ ბრძოლა, ნამდვილი, ფართო და საფუძვლიანი ბრძოლა შეუძლებელია, თუ შენს ღროშაზე მხოლოდ გროშაა გამოსატული. ჩვენ მძიმე მდგომარეობაში ვართ. მაგრამ გარშემომყოფთაგან ვის ეჩვენება იგი მძიმედ? ქილოფის ფაბრიკებში მუშებს პირობას ადებინებდნენ, ქუჩაში მოწყობა არ ითხოვოთო; მუშა-ქალი იძულებულია ოსტატს დანებდეს, ესე იგი, ოღონდ კი სამუშაოს ნუ დაჰკარგავს და მეძვეობაზეც თანხმდება... რა თქმა უნდა, ძალიან კარგი იქნებოდა, ინჟინრის ხელფასები რომ გვქონდეს, სამუშაო გამოუთქმელად არ გვქანცავდეს და ხვალინდელი დღის დარდი არ გვაწუხებდეს. მაგრამ ამაზე ლაპარაკი ადვილია, საქმე კი... ერობის ექიმი მათხოვრულ ჯამაგირს იღებს, მაგრამ სოფელი თუ შავ პურს ღიღის, ექიმს ხორცი და ღვინო საიდან-ღა მიართვას? ექიმის შრომის ანაზღაურება საერთოდ ძალიან დაბალია, მაგრამ მკურნალობა თვით საშუალო შეძლების კაცსაც კი ალატაკებს, ღარიბებზე რომ არაფერი ვთქვათ. არა, ის გზა, რომელზეც მე ვფიქრობდი, გამოსავალი არ არის. ეს დიდი არმიის რიგებში მყოფი ერთ-ერთი რაზმის ბრძოლა კი არ იქნებოდა, არამედ ერთი მუჭა ადამიანების ბრძოლა ყველა გარშემომყოფის წინააღმდეგ, და თუნდაც მხოლოდ ამიტომ იგი უაზრო და უნაყოფო იქნებოდა. და რატომ გვიჭირს ამის გაგება ჩვენ, ვინც ბავშვობიდანვე „ფართო ჰორიზონტებზე“ ვიზრდებოდით, და რატომ ესმის ეს ასე მშვენივრად იმ ადამიანებს, ვისაც იმ ჰორიზონტის ყოველი მტკავლის დაპყრობა მძიმე შრომით უხდებოდა?

ღიან, გამოსავალი სხვაგანაა. ეს ერთადერთი გამოსავალი არის იმის შეგნება, რომ ჩვენ ვართ მხოლოდ პატარა ნაწილი იმ ერთიანი, უზარმაზარი, განუყოფელი მთელისა, რომ მხოლოდ ამ მთელის ბედობა და წარმატებებში შეგვიძლია საკუთარი ბედობისა და წარმატებების მოპოვება.



ოთარ ნოღია

მხატვრული თარგმანის პრობლემები

საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები მხატვრული თარგმანის დარგში საყოველთაოდ აღიქმებილია: იგი ჩვენი მრავალეროვანი და მრავალენოვანი ქვეყნის ერთიანი სოციალისტური კულტურის შექმნის აუცილებელ კომპონენტად იქცა, საბჭოთა ხალხების მეგობრობის დ მოძმე ლიტერატურათა ურთიერთგამდიდრების მკაფიო პრაქტიკული გამოვლინება გახდა.

ამ საქმეში მცირე წვლილი როლი შეიტანეს ქართველმა მთარგმნელებმა. დღეს საქართველოში შეიძლება დავასახელოთ მთელი პლეადა მთარგმნელებისა, რომლებმაც ქართული ლიტერატურა კლასიკური და თანამედროვე რუსული ლიტერატურის, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებისა და საზღვარგარეთული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშთა თარგმანებით გაამდიდრეს.

მხატვრული თარგმანის განვითარებისათვის საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა ლიტერატურაში ნიშანდობლივია ორი მომენტი, რასაც განაპირობებს ლენინური ეროვნული პოლიტიკა და საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების გამარჯვება.

ჯერ ერთი, საბჭოთა ხელისუფლების

წლებში ყველა მოძმე ხალხის ლიტერატურაში შეიქმნა ბევრი მაღალმხატვრული ნაწარმოები, რომელიც ღირსია აუღერდეს არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა, არამედ საზღვარგარეთის ხალხთა ენებზეც.

მეორეს მხრივ, გრანდიოზული სოციალ-პოლიტიკური ძვრების შედეგად, საბჭოთა მწერალთა ორგანიზაციის ცალკეული რაზმების წინაშე მთელი სიმძაფრით დაისვა მხატვრული თარგმანის ეროვნული საუნჯის შექმნის საკითხი.

მაგრამ, ერთის მხრივ, აღნიშნული საკითხის დიდმნიშვნელოვანება, ხოლო მეორეს მხრივ, მკითხველის გაზრდილი ესთეტიკური მოთხოვნებისათვის შეუფერებელი თარგმანების გამოჩენა ჩვენს წინაშე აყენებს პრობლემათა წყებას, რომელიც თანმიმდევრულ გადაწყვეტას მოითხოვს. დღეს აუცილებელი გახდა ისეთ საკითხებზე დაფიქრება, როგორცაა მთარგმნელობითი საქმის ორგანიზაცია, მუშაობის გეგმაზომიერი წარმართვა, სათარგმნი მასალის შერჩევა, თარგმნის საკითხი, ლიტერატურული ურთიერთობანი, მთარგმნელთა პროფესიული დაოსტატება და სხვა.

სწორედ ამ ფაქტორების არსებობამ გა-

ნაპირობა ისეთი ორგანიზაციის შექმნა, რომელსაც მხატვრული თარგმანის სფეროში უნდა ექნეს მეცნიერული კომპეტენცია და უფლება-მოვალეობების გარკვეული არე.

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარ სარედაქციო კოლეგიას საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებით „მწერალთა ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში რესპუბლიკის მწერალთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ“. მხატვრული თარგმანის საქმეში ზემოხსენებული დადგენილება მკაცრი სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარებასა და სხვა ორგანიზაციებთან კავშირში ერთიანი ღონისძიების გატარებას ისახავს მიზნად.

კოლეგია მოწოდებულია ისე წარმართოს თავისი შემოქმედებითი და მეცნიერულ-ორგანიზაციული საქმიანობა, რომ მხატვრული თარგმანის საუკეთესო ტრადიციებზე დაყრდნობით, ერთიანი პერსპექტიული გეგმის ფარგლებში, ხელი შეუწყოს საბჭოთა და მსოფლიო მხატვრული ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების ქართულ, აფხაზურ და ოსურ, ხოლო რესპუბლიკის ლიტერატურათა საუკეთესო ნაწარმოებების თარგმნასა და გამოცემას სსრ კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე.

კოლეგია თავისი მუშაობით განსხვავდება იმ ორგანიზაციათა საქმიანობისაგან, თავისი სპეციფიკის გამო ერთმანეთისგან მოწყვეტით რომ ეხებიან მთარგმნელობითი საქმის სხვადასხვა ასპექტს—ლიტერატურულ ურთიერთობებს თუ საგამომცემლო საქმიანობას. მაგრამ თავისი რეკომენდაციებითა და კონსულტაციებით სარედაქციო კოლეგიას შეუძლია დიდად შეუწყოს ხელი ამ ორგანიზაციებს მთარგმნელობითი საქმიანობის მოწესრიგებაში. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მხატვრული თარგმანის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხისათვის ჯერ არავის მოუკიდია ხელი, როგორცაა, მაგალითად, ინფორმაციის, კოორდინაციის, სათარგმნი ლიტერატურის შერჩევა-რეკომენდაციის, მთარგმნელთა მომზადებისა და დაოსტატების, მაღალკვალიფიციური პწკარედების ფონდის შექმნისა და ბევრი სხვა საკითხი.

წინამდებარე წერილში მოკლედ დავახანათებთ კოლეგიის სტრუქტურას და მისი

მოღვაწეობის ამოცანებთან დაკავშირებულ ზოგიერთ პრაქტიკულ საკითხს. კოლეგიის სტრუქტურა მხატვრული თარგმანის განვითარების საქმეში რესპუბლიკის ლიტერატურათა მიმართ რეალური საზოგადოებრივი მოთხოვნილებებითაა განპირობებული.

მთავარი სარედაქციო კოლეგია შედგება ხუთი რედაქციის, ი. მაჩაბლის სახელობის თამარაშენის მთარგმნელთა შემოქმედებითი სახლისა და თბილისის ლიტერატურული ურთიერთობების სახლისაგან. მათგან მხატვრული თარგმანის კოორდინაციის რედაქცია ადგენს სათარგმნი ლიტერატურის პერსპექტიულ გეგმებსა და სარეკომენდაციო ბიებს საქართველოს, მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამომცემლობებისათვის; იგი რეცენზიას უკეთებს (აფხაზებს) კოლეგიაში ხელნაწერის სახით შემოსულ თარგმანებს, პერსპექტიული თემატური გეგმებისათვის არჩევს მხატვრული და სამეცნიერო-მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს.

„რუსთაველის ბიბლიოთეკის“ რედაქცია ამუშავებს საბჭოთა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული ძეგლების მხატვრულ თარგმანთან დაკავშირებულ სამეცნიერო-მეთოდურსა და ორგანიზაციულ საკითხებს.

ლიტერატურულ ურთიერთობათა რედაქცია ცოცხალ შემოქმედებით კავშირს ამყარებს მოძმე რესპუბლიკების მთარგმნელთა და ჩვენი რესპუბლიკის მწერალთა შორის, და ამ გზით ხელს უწყობს მათ ორმხრივ მონაწილეობას ერთობლივ ლიტერატურულ პროცესში; ამყარებს შემოქმედებით კონტაქტებს სოციალისტური თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და სხვა ქვეყნების მთარგმნელებთანაც, მომავლისთვის ითვალისწინებს მათ თანმიმდევრულ მოწვევას ჩვენს რესპუბლიკაში, ხოლო ჩვენი მწერლების—თარგმანის სპეციალისტების შემოქმედებით მივლინებებს მათ ქვეყნებში. საიუბილეო თარგმანების დროულად გამოცემის მიზნით ადგენს რეკომენდაციებს და ატარებს გარკვეულ ორგანიზაციულ მუშაობას ღონისძიების მოსამზადებლად; ამზადებს პწკარედებს მოძმე ხალხთა ენებისა და უცხო ენებიდან ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე და პირიქით;

კოლეგიასთან შექმნილია თბილისის ლიტერატურული ურთიერთობების სახლი (იგი მოთავსებულია სმირნოვების კერძო ბინაში), სადაც ინახება მნიშვნელოვანი მასა-

ლები რუსეთ-საქართველოს ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობის შესახებ. ამჟამად კოლეგია მუშაობს ამ სახლში მოთავსებული არქივის, ბიბლიოთეკისა და ექსპონატების სისტემატიზაციასა და ახალი მასალების გამოვლენაზე.

კოლეგიას გადაეცა აგრეთვე ი. მაჩაბლის სახლი ცხინვალის რაიონის სოფელ თამარაშენში, სადაც მოეწყობა დიდი მთარგმნელის სახელობის მუზეუმი და მთარგმნელთა შემოქმედებითი სახლი. ამჟამად სრულდება საპროექტო სამუშაოები შენობის კაპიტალური რემონტისათვის.

მომავალში, როდესაც გაიხსნება თბილისის ლიტერატურულ ურთიერთობათა და თამარაშენის მთარგმნელთა შემოქმედებითი სახლები, ისინიც დიდ მნიშვნელობას შეიძენენ შემოქმედებით ურთიერთობათა და საქართველოს მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი მოღვაწეობის საქმეში.

ინფორმაციისა და თარგმანის თეორიის რედაქცია მოწოდებულია მჭიდრო კავშირი დაამყაროს ყველა ორგანიზაციასთან, რომელთა საქმიანობაც ამა თუ იმ ფორმით მხატვრული თარგმანის პრობლემებს უკავშირდება, შეისწავლოს და განაზოგადოს საბჭოთა და უცხოური მთარგმნელობითი ხელოვნების გამოცდილება, რითაც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს მხატვრული თარგმანის თეორიული პრინციპების დამუშავების საქმეს. ამავე რედაქციამ უნდა ჩაატაროს მხატვრული თარგმანის თეორიასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემებისადმი მიძღვნილი თათბირები, შეხვედრები, კონფერენციები. რედაქცია ამზადებს რეფერატებს, ანოტაციებსა და მიმოხილვებს ჩვენს რესპუბლიკასა, მოძმე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში მიმდინარე ლიტერატურული პროცესის შესახებ, ამზადებს სამეცნიერო-ინფორმაციულსა და საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ კრებულებს, რომელიც მთარგმნელობითი საქმიანობის კოორდინაციისა და თანმიმდევრული, მიზანმიმართული დაგეგმვის, მთარგმნელთა სწორი ორიენტაციის სახელმძღვანელო წიგნად გადაიქცევა. რედაქციასთან არსებობს და მუშაობს უცხოური ლიტერატურის სპეციალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

გამოცემათა რედაქცია მუშაობს კოლეგიის საგამომცემლო თემატური გეგმის საბოლოო ჩამოყალიბებაზე. იგი რედაქციას უკეთებს და გამოსაცემად ამზადებს კოლეგიის თემატური გეგმით გათვალისწინებულ წიგნებს, აწესრიგებს კოლეგიისა და

რესპუბლიკის გამომცემლობების ურთიერთობის ყველა პრაქტიკულ საკითხს, ხელმძღვანელობს მხატვრული თარგმანის სფეროში რედაქტორული და საგამომცემლო საქმიანობის საკითხებისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს.

მთავარი სარედაქციო კოლეგია ახალი ორგანიზაციაა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც. ეს გარემოება განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს კოლეგიის მოღვაწეობას, ამავე დროს კი ქმნის ყოველი წამოწყებისათვის, მუშაობის ჯერ კიდევ უცნობი ფორმების დამკვიდრებისათვის დამახასიათებელ გარკვეულ სიძნელეებს. კოლეგიის წინაშე მდგომი ამოცანების ჯეროვანი განხორციელებისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მისი აპარატის დაკომპლექტებას კადრებით, რომელთაც ექნებოდათ გარკვეული მთარგმნელობითი გამოცდილება, მუშაობის თანამედროვე პროგრესული, სამეცნიერო-ორგანიზაციული და შემოქმედებითი მეთოდების შეთვისებისა და დაწესებულების საქმიანობაში გატარების უნარი, რომელნიც შეძლებდნენ კოლეგიის ირგვლივ შემოეკრიბათ მაღალკვალიფიციური და ნიჭიერი მთარგმნელები, გამოეგლინებინათ თარგმანის ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდები. აქვე დავსძენთ, რომ პროფესიონალი-მთარგმნელთა სწორედ ასეთი კადრების გარეშე ამგვარი ორგანიზაციის შექმნა ნაადრევი იქნებოდა.

ვფიქრობთ, მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ შეძლო აღნიშნული საკითხების გადაწყვეტა და თავის საქმიანობაში აქტიურად ჩააბა მრავალი ნიჭიერი მთარგმნელი, სპეციალისტი ფილოლოგი და შემოქმედებითად პერსპექტიული ახალგაზრდა. ამასთან ერთად, განვლილ პერიოდში კოლეგიამ შეიმუშავა გარკვეული, სტაბილური ორგანიზაციული სტრუქტურა, განსაზღვრა თავისი მუშაობის პრაქტიკული ფორმები და მეთოდები, გამოავლინა პრობლემათა ის არე, რომელიც მისი მოღვაწეობის სფეროს შეადგენს. ბუნებრივია, მომავალშიც გაჩნდება ახალ-ახალი მოთხოვნები კოლეგიის მუშაობის სამეცნიერო-ორგანიზაციული და შემოქმედებითი ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფისათვის.

თავისი მუშაობის დაწყებისთანავე, კოლეგია შეუდგა იმ პრაქტიკული გზების შესწავლასა და შემუშავებას, რომელთა მეოხებითაც შესაძლებელი გახდებოდა თარგმნილი ლიტერატურის მხატვრული ღონის

ამაღლება და მაღალი იდეურ-მხატვრული ღირებულების მქონე ნაწარმოებების შერჩევა სათარგმნელად. უპირველეს ყოვლისა, შედგა ბიბლიოგრაფია „მსოფლიო ლიტერატურა ქართულად“. მასში შევიდა მსოფლიოს სხვადასხვა ენიდან თარგმნილი და ქართულ ენაზე გამოცემული ყველა ნაწარმოები დაწყებული პირველი ქართული წიგნის გამოსვლიდან. ეს ნაშრომი, რომელიც 1977 წელს უნდა გამოიცეს, მზად არის წარმოებაზე გადასაცემად. კოლეგიის თანამშრომლებმა დიდი მუშაობა გასწიეს საქართველოში მთარგმნელობითი საქმიანობის მდგომარეობისა და მისი მზარდი ტენდენციის შესასწავლად, რაც ქართულ ენაზე გამოქვეყნებული თარგმნილი ლიტერატურის რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის გზით განხორციელდა.

საინფორმაციო-თეორიულ სემინარზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეგიის მუშაკებმა და მთარგმნელთა აქტივმა, მოხსენილ იქნა საბჭოთა კავშირსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე ლიტერატურული პროცესების ანალიზისადმი მიძღვნილი 60-ზე მეტი მოხსენება. სემინარის მუშაობა გრძელდება. მასალები გამოქვეყნდება კოლეგიის სამეცნიერო-ინფორმაციულ კრებულებში.

კოლეგია სამეცნიერო-ინფორმაციული, საცნობარო და სხვა მასალების მოპოვების მიზნით, სამუშაოდ იზიდავს გამოჩენილ მეცნიერებსა და მთარგმნელებს ჩვენი ქვეყნის სხვა კულტურული ცენტრებიდანაც. მომავალში მათი თანამშრომლობა განაპირობებს ჩვენი რესპუბლიკის მთარგმნელთა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებას. ამ შემთხვევაში იგულისხმება პრობლემები, რომელნიც უკავშირდებიან ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებების, აგრეთვე უძველესი ენებიდან—ეგვიპტურიდან, სანსკრიტიდან, იაპონურიდან და ა. შ., თარგმნას.

ქართული თარგმნილი ლიტერატურის ანალიზის, სემინარებზე მოხსენილი მოხსენებებისა და ჩვენი რესპუბლიკისა. თუ მოსკოველი და ლენინგრადელი სპეციალისტების მეტრ მომზადებულ მოხსენებათა საფუძველზე, რომლებშიაც გაანალიზებულია მსოფლიო ლიტერატურული პროცესები, კოლეგია ადგენს სსრკ და საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერატურათა საუკეთესო ნი-

მუშების ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოსაცემ, სათარგმნი ლიტერატურის ვრცელ პერსპექტიულ გეგმას. გაითვალისწინებს რა რესპუბლიკის მთარგმნელთა მომზადების დონეს და შემოქმედებით შესაძლებლობებს, გამომცემლობებში გასაგზავნი სათარგმნი ლიტერატურის ყოველწლიური სარეკომენდაციო სიების შედგენისას კოლეგია იხელმძღვანელებს აღნიშნული პერსპექტიული გეგმით.

კოლეგიაში დგება საბჭოთა კავშირისა და უცხო ენებზე გამოსაცემი ქართული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების სარეკომენდაციო სია. თუმცა გარკვეული სარეკომენდაციო მუშაობა პრაქტიკულად უკვე ხორციელდება. კოლეგიას განზრახული აქვს კიდევ უფრო მეტი ინიციატივა გამოიჩინოს ქართული, აფხაზური და ოსური მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების სხვა და, უპირველეს ყოვლისა, რუსულ ენაზე თარგმნის საქმეში. ამავე მიზანს მოემსახურება საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული ცნობარი „ქართული ლიტერატურა ქრონოლოგიურად“, რომლის გამოცემა კოლეგიას დაგეგმილი აქვს 1977 წლისათვის ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე.

დიდი მუშაობაა გაშლილი კოლეგიაში მაღალხარისხის პწკარელების შესაქმნელად. უკვე არსებობს პწკარელების სპეციალური ბიბლიოთეკა. მალე მზად გვექნება „პოეტი და თანამედროვეობის“ სერიით გაერთიანებული ქართველ პოეტთა ლექსების რუსული პწკარელები. უკვე დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა სერიაზე „მწერალი და თანამედროვეობა“, რომლისთვისაც საგანგებოდ შეირჩევა თანამედროვე ქართველი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებები. მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა თანამედროვე ქართველი მწერლების ნიმუშთა კრებულის შესადგენად სერიით „მწერალი და თანამედროვეობა“. მზად არის ქართული ხალხური პოეზიის პწკარედი, რომელიც საფუძვლად დაედება რუსულ ენაზე გამოსაცემი „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ პირველ წიგნს 1978 წლისათვის. მზადდება პწკარელები აფხაზური და სხვაკავკასიური ენებიდან, აგრეთვე, ქართული ენიდან საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ევროპის ხალხთა ენებზე და ა. შ. მომავალში ბიბლიოთეკის მუშაობა კიდევ უფრო გაფართოვდება. კოლეგიას განზრახული აქვს, ზოგიერთი პწკარედი გამოაქვეყნოს.

ტარდება ორგანიზაციული მუშაობა მოქმე და საზღვარგარეთის ქვეყნების ლიტერა-

ტურათა წარმომადგენლებთან შემოქმედებითი კონტაქტების დასამყარებლად. სისტემატური შემოქმედებითი და სამეცნიერო-ორგანიზაციული დახმარება ეწევა მთარგმნელებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში ჩამოდიან სსრკ მწერალთა კავშირის, საქართველოს მწერალთა კავშირისა ან მთავარი სარედაქციო კოლეგიის მოწვევით.

კოლეგიამ შეიმუშავა მხატვრული თარგმანის რეცენზირების საკუთარი პრაქტიკა, რაც გამოიხატება თარგმანის ორიგინალთან აუცილებელი შეჯერებითა და მთარგმნელის შრომის პროფესიული ლიტერატურული ანალიზის გაკეთებით. ასეთ სამუშაოს კოლეგია რეგულარულად ატარებს გამომცემლობების, სხვა ორგანიზაციებისა და ცალკეულ მწერალ-მთარგმნელთა თხოვნით და იძლევა თავის დასკვნებს.

ცნობილია, რომ მწერალთა ყოველ შეკრებაზე აუცილებლად დგება საკითხი მაღალკვალიფიციური მთარგმნელობითი კადრების მომზადების აუცილებლობაზე. ამ პრობლემის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აშკარაა, ამას მოწმობს, აგრეთვე, სკკპ ცკ-ის ამასწინანდელი დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“, რომელიც კოლეგიის წინაშე ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს სახავს.

მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ არც თუ ცოტა რამ გააკეთა იმ ახალგაზრდა სპეციალისტებთან მუშაობის რეალური ფორმების გამოსავლენად, რომელნიც გარკვეულ ნიჭსა და უნარს იჩენენ მთარგმნელობით საქმიანობაში (მათ შორისაა, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებელთა ლიტერატურულ წრეებში გაერთიანებული პერსპექტიული ახალგაზრდობაც). კოლეგია ფართო შესაძლებლობას აძლევს ყველა მსურველს გამოსცადოს საკუთარი თავი მხატვრული თარგმანის სფეროში — უპირველეს ყოვლისა, ურჩევს სპეციალურ სათარგმნ ლიტერატურას, შემდეგ კი საპრობაციოდ წარმოდგენილ თარგმანს უკეთებს რეცენზიას, რითაც საშუალებას აძლევს ახალბედს, გამოავლინოს თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, გარკვეული ნიჭის გამოვლენის შემთხვევაში კი გააერთიანოს კოლეგიასთან არსებულ სპეციალურ შემოქმედებით ჯგუფებში, სადაც მას ინდივიდუალურად შეუძრჩევენ ლიტერატურას, მისცემენ დამწყები მთარგმნელისათვის აუცილებელ რჩევა-დარიგებებს (საუკეთესო მთარგმნელობითი ნაშრომები შევა

კრებულებში, პირველი ასეთი კრებულის გამოცემა გათვალისწინებულია 1978 წლისათვის).

თანდათან გვარდება ახალგაზრდა პერსპექტიული ლიტერატორების მიერ სსრკ და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენების შესწავლის საქმე.

ეს მხოლოდ დასაწყისია კოლეგიის მუშაობისა ახალგაზრდა მთარგმნელებთან. მომავალში მიზანშეწონილი იქნება, მთარგმნელთა მომზადების მიზნით, საქართველოს სსრ უმაღლეს და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო კავშირში მოვიფიქროთ და შევიმუშაოთ თანმიმდევრული, კომპლექსური მუშაობისათვის აუცილებელი წინადადებები (სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან სტუდენტთა გაცვლის პრაქტიკაც), ვინაიდან ცალკეული სპეციალისტის მომზადების არსებული პრაქტიკა ჯეროვნად არ ითვალისწინებს მთარგმნელობითი ხელოვნების თავისებურებებსა და პრობლემებს.

ამას წინათ საქართველოს კპ-ის ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესასრულებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა სსრკ ხალხთა ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის კათედრა. ეს კარგი დასაწყისია. ამის ბუნებრივი და ლოგიკური გაგრძელება იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ფილოლოგიის ფაკულტეტთან შეიქმნება ჯგუფი იმავე სპეციალობით — სსრკ ხალხთა ლიტერატურა და მხატვრული თარგმანი.

რა თარგმანებია მომზადებული გამოსაცემად კოლეგიის დაკვეთით?

საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 დეკემბრის № 738 დადგენილების თანახმად, რესპუბლიკის გამომცემლობები მთავარი სარედაქციო კოლეგიის მიერ მომზადებული თარგმანების გამოსაცემად ყოველ წელს, დაწყებული 1977 წლიდან, გამოყოფენ სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახების გარკვეულ რაოდენობას: „მერანი“ — არანაკლებ ორასისა (აღმანახ „საუნჯის“ ჩათვლით), „საბჭოთა საქართველო“ — ასი, „განათლება“ — ასი, „ნაკადული“ — ასი.

მთავარმა სარედაქციო კოლეგიამ თავისი მთარგმნელობითი აქტივის ძალებით გამოსაცემად მოამზადა დაახლოებით 50 თარ-

გმანი. აქედან კოლეგიის 1977 წლის თემატური გეგმის პროექტით გათვალისწინებული 29 თარგმანი გამოიცემა რესპუბლიკის ამა თუ იმ გამომცემლობაში კოლეგიისათვის გამოყოფილი სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახების შესაბამისად.

თავის თემატურ გეგმაში კოლეგიამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო სსრკ ხალხთა ლიტერატურას. მათ შორის, კლასიკური და თანამედროვე რუსული ლიტერატურიდან უკვე მზად არის წარმოდგენილი დასაცემად „რუსული ბილინები“, ა. პუშკინის „პატარა ტრაგედიები“, დოსტოვესკისა და ბუნინის მოთხრობები, ხლებნიკოვის ლექსების კრებული, ი. ტინიანოვის „ვეზირ-მუხტარის სიკვდილი“, ტვარდოვესკის პოემები, თანამედროვე პროზაიკოსის ვ. ბელოვის მოთხრობების კრებული და სხვა.

შეკვეთილია ლ. ტოლსტოის, ლ. ანდრეევის, თანამედროვე რუსი მწერლების — ფ. აბრამოვის, ვ. რასპუტინის, ე. ვინოკუროვის, ვ. სოლოუხინის და სხვათა პროზის თარგმანები. 1978 წლისათვის მზადდება პირველი სქელტანიანი კრებული, რომლის სათაური იქნება „თანამედროვე რუსული მოთხრობა“.

გამოსაცემად მზად არის სომხური ლიტერატურის ისეთი ნიმუშები, როგორცაა პ. სევაკის ლექსები, ჰ. მათევოსიანის მოთხრობები. ამჟამად მზადდება „სომხური პოეზიის ანთოლოგია“ (პირველი წიგნის გამოცემა 1978 წლისთვისაა ნაგარაუდგვი), ა. შირაზის ლექსების კრებული, შეკვეთილია ნარეკაცის ლექსების კრებული და სხვა. მალე დასრულდება თარგმნა აზერბაიჯანული ეპოსისა „ქოროლი“. მზადდება თანამედროვე აზერბაიჯანული მოთხრობების კრებული.

თარგმნილია და მზად არის გამოსაცემად პ. ტიჩინას ლექსები, ი. იანოვესკის რომანი „მხედრები“ (უკრაინა); ვ. ბიკოვის მოთხრობები (ბელორუსია); ა. ბელის რომანი „გალია“ (ლიტვა), ალთაური ეპოსი „ქოგუთეი“ და ა. შ. შეკვეთილია ავიჟიუსის რომანის „დაკარგული კერის“ თარგმანი. კოლეგია მუშაობს ლიტვურ-ლატვიური დაინების თარგმანებზე, ამზადებს „კავკასიის ხალხთა პოეზიის ანთოლოგიას“, აფხაზური და ოსური პოეტური ფოლკლორისა და ნართების კრებულებს და სსრკ ხალხთა ლიტერატურების მრავალი სხვა ნაწარმოების თარგმანს.

ქართულიდან სხვა ენებზე უკვე თარგმნილია ვაჟა-ფშაველას სამი პოემა „გვე-

ლისმჭამელი“, „ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“ (ინგლისურ ენაზე) და ნ. ნაკაშიძის მოგონებების წიგნი „რამდენიმე წელი ტოლსტოის ახლოს“ (რუსულ ენაზე).

თარგმნილია და გამოსაცემად მზადდება კოლეგიის პერსპექტიული თემატური გეგმებით გათვალისწინებული როგორც მოძმე სოციალისტური, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ლიტერატურის ნიმუშები — შ. პეტეფის პოემა „მოციქული“, ე. ბობინსკას რომანი „ქაბანაურის შთამომავალთა შურისგება“, ი. ივაშკევიჩის მოთხრობები; უნგრელი, ფრანგი, ჩინელი, შუა საუკუნეების ებრაელი პოეტების ლექსთა კრებულები, შუა საუკუნეების იაპონელი პოეტის ტიკამაცუს დრამატული პოემა, შექსპირის „ტიმონ ათენელი“, ფირდოუსის „ამბავი სიაუშისა“, წერილების კრებული — „თანამედროვე ინდოეთის მოაზროვნეები“, ესქილეს ტრაგედიები, ბ. პასკალის „აზრები“, რ. კიპლინგის, ვ. სკოტის, რ. მუზილის და სხვათა ნაწარმოებები.

კოლეგიამ თავიდანვე აირჩია მუშაობის პოზიტიური გზა, რომელიც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება მწერალ-მთარგმნელის დიდი შემოქმედებითი შრომის ღრმა პატივისცემაში, მთლიანი შემოქმედებითი პროცესის მთელი სირთულის, არაერთმნიშვნელოვანების გაგებაში. კოლეგია პრინციპულად თვლის, რომ მთარგმნელობითი ხელოვნების განვითარებაში მთავარია არა ცალკეული კუროზების „მხილება“, არამედ ისეთი ატმოსფეროს შექმნა, რომელიც მთარგმნელის შემოქმედებითი პოტენციალის მაქსიმალურ გამოვლინებას შეუწყობს ხელს. მხოლოდ ასეთი შემოქმედებითი ატმოსფერო ქმნის და ამტკიცებს მხატვრული თარგმანის სფეროში პრინციპული, პროფესიული და კეთილგანწყობილი კრიტიკის წარმოშობის შესაძლებლობას.

კოლეგიის საქმიანობა მრავალმხრივ შეუწყობს ხელს სხვადასხვაენოვანი კადრების შემოქმედებით კოლექტივებად შეკვრას, რესპუბლიკაში მთარგმნელობით სექციებთან ურთიერთკავშირის გაღრმავებას, გამოცდილების ურთიერთგაზიარებას მხატვრული თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე თათბირების, კონფერენციების, შემოქმედებითი დისკუსიების ჩატარების გზით.

დღემდე კოლეგიის მუშაკები უფრო ხშირად საკავშირო ან ჩვენი ქვეყნის სხვა ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებ-

ში იღებდნენ მონაწილეობას. 1976 წლის დეკემბერში კოლეგიამ მოამზადა „მრგვალი მაგიდა“ მხატვრული თარგმანის რედაქტირების პრობლემებზე, წელს (მარტი-აპრილი) განზრახული აქვს ჩაატაროს კოლოქვიუმი თემაზე: „რესპუბლიკის ლიტერატურათა რუსულ ენაზე თარგმნის პრობლემები“, რომელზედაც მოწვეულნი იქნებიან აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების მთარგმნელებიც.


მთავარი სარედაქციო კოლეგიის მუშაობაში აშკარად იგრძნობა მისი მაძიებელი ხასიათი, მაგრამ ამასთან ერთად დიდი ენერჯია იხარჯება ორგანიზაციის განმტკიცებასთან დაკავშირებულ შინა პრობლემათა მოსაგვარებლად, იმ დაწესებულება-უწყებებთან ურთიერთობის გარეგნული ფორმების საპოვნელად, რომლებთანაც კოლეგიას აუცილებლობის ძალით და მუშაობის სპეციფიკით უხდება ურთიერთობა.

იმისათვის, რათა სისრულეში იქნეს მოყვანილი საქართველოს კპ ცკ-ისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 15 დეკემბრის დადგენილება, ხოლო აქედან გამომდინარე გაუმჯობესდეს სათარგმნი ლიტერატურის დაგეგმვის მდგომარეობა და თარგმანის საკითხი, კოლეგიამ აუცილებლად უნდა გააღრმავოს საქმიანი კავშირ-ურთიერთმოქმედება გამსახკომთან, სსრ კავშირის საავტორო უფლებათა დაცვის კომიტეტის საქართველოს განყოფილებასთან და რესპუბლიკის სათანადო გამომცემლობებთან. საჭიროა მთავარმა სარედაქციო კო-

ლეგიამ კიდევ უფრო გააუმჯობესოს მუშაობა რესპუბლიკაში მხატვრული თარგმანის კოორდინაციის საქმეში; მეტი ინიციატივა გამოიჩინოს ქართული, აფხაზური და ოსური ლიტერატურის მოძმე ხალხებისა და საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხთა ენებზე მთარგმნელებისათვის დახმარების გაწევაში. კოლეგიამ უნდა გაააქტიუროს მოღვაწეობა აფხაზური და ოსური ლიტერატურის ქართულ ენაზე და ქართულიდან ამ ენებზე თარგმნაში; უფრო ფართოდ ჩააბას მთარგმნელობით საქმიანობაში აფხაზი და ოსი მთარგმნელები.

კოლეგიამ უნდა გააუმჯობესოს მუშაობა ახალგაზრდა მთარგმნელებთან; ყოველმხრივ შეუწყოს ხელი საჭირო ლექსიკონების დროულ შედგენას.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ კოლეგია შეუდგა მხატვრული თარგმანის პრობლემათა პრაქტიკულ გადაწყვეტას, რასაც ესოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის მთელს კულტურულ ცხოვრებაში. ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემათა მასშტაბური, თანამედროვე პრობლემების დონეზე გააზრება და მათი გადაწყვეტის მიზნით ფართო საზოგადოებრივი და ლიტერატურული მოღვაწეობის წამოწყება შესაძლებელი გახდა მხოლოდ ამ საქმისათვის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მინიჭებით, რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების უშუალო ქმედითი დახმარების შედეგად.



ჯანსუღ ღვინჯილია

ლიტერატურის სასიხარულო ფაქტი

დაახლოებით სამი ათასი წელია მსოფლიო კულტურის თავფურცლად აღიარებული ჰომეროსის გენიალური პოემები ჩვენს სულსა და გულს სძრავს. ყოველი თაობა მასში პოულობს მისთვის საინტერესო ესთეტიკურ რეალობას, ეწაფება და იზრდება სულით. სტრიქონების სიღრმეში მთვლემარე სილამაზე გულისყურით წაკითხვისას მირიად თვალს ახელს ერთბაშად. დღევანდელი ადამიანის ინტერესი აღმოაჩენს გრძნობებისა და განცდების იმგვარ შინაარსს, რაც სრულად პასუხობს მისსავე განწყობილებას. ჩვენს თვალწინ დნება წარსულის საბურველი. იფანტება მოსალოდნელი ეგზოტიკის განცდა, დროის სპეციფიკის ნიშნები და ფეთქავს ადამიანის მარადიული სული, ღვივის გაუხუნარი გრძნობა.

ბევრი თქმულა ჰომეროსის პოემების ამ საიდუმლოებაზე, მისი მარადცოცხალი სამყაროს მთრთოლვარე ნერვზე, გაძლების საყრდენზე თუ ღერძზე, რაც არ გაცვეთილა აგერ ოცდაათი საუკუნის შემდეგაც. იგი, როგორც ხელოვნების ყველა უნიკალური ნაწარმოები, არა და არ უტყდება

დროს, გამძლეობის არნახულ ენერგიას ახსივებს და ადამიანის სულიერი კულტურის სილიადეს კიდევ ერთხელ უხვამს ხაზს. ამიტომაც ბუნებრივია ადამიანის სურვილი, ეს დიდებული ქმნილება მშობლიურ ენაზე ჰქონდეს თარგმნილი. ყოველი კულტურული ერი ესწრაფვოდა ამას.

საქართველოში კარგად სცოდნიათ ჰომეროსი. არც არის გასაკვირი — საბერძნეთთან საქართველოს ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია ვერც წარმოიდგინება ჰომეროსის სახელის გარეშე. ქართულმა კულტურამ გაითავისა არა მარტო ამ ბუმბერაზი პოეტის სულიერი სამყარო, არამედ უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი ლიტერატურული ძეგლებიც საბერძნეთისა. ჰომეროსის სული ხომ გამუდმებით ბრუნავდა ჩვენს მიწაზე. მისი ვაჟკაცური ხასიათები იყო სანიმუშო მოდელები ქართული პოეტური მუზისათვის. ოღონდ საშური ზომიერების გრძნობითა და დროულად მოუხმობდა ქართული პოეტური მუზა მათ სახელებს. ქართულ პოეზიას თავისი სამყარო ჰქონდა, თავისთავად ხასიათებს ძერწავდა,

მოდიოდა თავისივე ქვეყნის ძარღვებიდან და მხოლოდ ჰორიზონტების გადაკვეთაზე თუ შეხვდებოდა სხვა ქვეყნების დიდებული რაინდების ნათელ სახეებს.

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების საფუძვლიანი გაცნობა დაგვარწმუნებს ამ აზრის სისწორეში. „ილიადასა“ და „ოდისეას“ გმირთა აჩრდილები დააბიჯებენ სტრიქონებს შორის. ასე გრძელდებოდა საუკუნეების განმავლობაში. შემდეგ, ჩვენს დროში, რამდენიმე თარგმანიც გაჩნდა, ეს კია, ყოველი მთარგმნელი მოკრძალებული იყო, ვერ ბედავდა გიგანტთან შებმას. ზოგიერთი ამბავს გადმოიღებდა მხოლოდ, ზოგიც ჰეგზამეტრის შესატყვისს დაეძებდა. ჩნდებოდა თარგმანები, ფრაგმენტები, ვარიანტები. მაგრამ ჰომეროსი ქართულად არ გვექონდა (წარმოუდგენელია, ძველ საქართველოში მისი თარგმანი არ ეცადათ, მაგრამ „ავბედითი“ ისტორიის მიზეზებზე მინიშნება მოსაწყენი გახდა). ფაქტია, რომ დღესღა მოება საქმეს თავი საბოლოოდ. თამაზ ჩხენკელმა და ზურაბ კიკნაძემ ქართველ ხალხს აჩუქეს ჰომეროსის „ოდისეას“ პროზაული თარგმანი. იგივე ავტორები თარგმნიან „ილიადას“. სასიხარულოა, რომ ჩვენში თანდათან მკვიდრდება რამდენიმე თარგმანის არსებობის ტრადიცია (რომან მიმინოშვილი მუშაობს „ილიადას“ პოეტურ თარგმანზე).

ლიტერატურას აქვს თავისი საზომები. მათი წყალობით მიახლოებით განიზომება ლიტერატურული ფაქტის მნიშვნელობა. ის საზომები ცხადლივ წარმოაჩინენ ხოლმე ამა თუ იმ საქმის განსაკუთრებულობას, წონასა და ფასს ეროვნული კულტურის დიდ გზაზე. უმაღლესი განსაკუთრებულობის შეგრძნება გაგვიჩნდა ყველას, როდესაც „ოდისეას“ თარგმანი გამოჩნდა ჰორიზონტზე. უკვალოდ ჩაივლიდა იგიც, ერთბაშად მთავარი რომ არ მოეტანა ჩვენამდე — ჰომეროსის პოეზიის სურნელი, მისი თხრობის გემო, რომ არ ეგრძობინებინა ჰეგზამეტრის „მკაცრი“ ჯავშნის ქვეშ მფეთქავი ნერვების სიცხოველე.

„ჩვენ ვეცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვეცოცხლებინა ქართულ სიტყვაში ბერძენი აედის პოეტური გენია, გვექცია გარდასული დროის ებოსი თანამედროვეთათვის ცოცხალ საკითხავ წიგნად, როგორც იყო იგი ამ სამი ათასი წლის წინათ. სულ სხვა დროისა, რწმენისა და მსოფლ-შეგრძნების ადამიანთათვის“.

მიზნის სიცხადე გამარჯვების წინაპირო-

ბაა. მთარგმნელებმა, როგორც დავინახეთ, შესანიშნავად უწყოდნენ, რისთვის უნდა მიეღწიათ. ხაზიც საგანგებოდ იმ სიტყვებს გაუსვეს, რაც მათ მიზანს გადმოსცემდა. „ცოცხალ საკითხავ წიგნად“ ჰომეროსის პოემის გადმოქართულება — ამ მიზანს ეწირებოდა მათი ენერგია, ფიქრი. ისინი მშვენივრად გრძნობდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში მკვდრადშობილ წიგნს რომ დასდებდნენ თაროზე, ჰომეროსის სული კი ქართული ენისთვის კვლავ შორს დარჩებოდა.

ბუნებრივია, ამ წერილს არ აქვს თარგმანის ყოველმხრივი შესწავლისა და შეფასების პრეტენზია, თუნდაც იმიტომ, რომ მისმა ავტორმა ბერძნული ენა არ იცის. მაგრამ ნუ მიწყენენ სპეციალისტები, თუ მე უმთავრესზე შევაჩერებ ყურადღებას და უმთავრესად კი ნაწარმოების ქართულად სუნთქვას მივიჩნევ. შემთხვევითი არ უნდა იყოს მთარგმნელებისაგან დაწერილ წინასიტყვაობაში ეს ფრაზა: „... ბერძნული ენის მცოდნე სპეციალისტს, რომელიც თარგმანში ბწკარედის სიზუსტეს დაუწყებს ძებნას, შესაძლოა ბევრი რამ გადახვევად ან ზედმეტად მოეჩვენოს...“

თარგმანის ხელოვნება ყველას ერთნაირად არ ესმის, იგი რთული ხელოვნებაა და ბევრ საპირისპირო დებულებას აძლევს გამართლებას. ასე რომ, „ოდისეას“ თარგმნის პრინციპი, შესაძლოა, ბევრისათვის არ აღმოჩნდეს მისაღები, მაგრამ ყველასათვის მისაღები და საერთოდ ანგარიშგასაწევ ფაქტად გვევლინება მიღწეული შედეგი — „ოდისეას“ ქართული სუნთქვა. იგი თავის ცხოველმყოფელობას გვიდასტურებს და მადლიერების გრძნობით გვაავსებს.

ჩემთვის „ოდისეას“ თარგმანმა განამტკიცა ის აზრი, რომ მდიდარი ფანტაზია და შინაგანი თავისუფლება ჰაერით არის აუცილებელი თარგმნისას და კიდევ: რისკი სწორედ გენიოსთა შედეგების თარგმნისას არის საჭირო. ცხადია, გონივრული რისკი იგულისხმება. წინასიტყვაობაში თამაზ ჩხენკელი და ზურაბ კიკნაძე საფუძვლიანად ასაბუთებენ „ოდისეას“ პროზად თარგმნის აუცილებლობას: „ჰომეროსის პოემები არ არის იმ ხასიათის პოეზია, რასაც დღეს ლექსით მეტყველებასთან ვაკავშირებთ. მომეტებული ნაწილი მასში გადმოცემული ამბისა ნაძალადევად თუ შეიძლება გარდაითქვას ლექსად. ამგვარ თარგმანში დაიკარგებოდა ერთი უმთავრესი რამ — თხრობის ბუნებრივი ტონი, მისი ლალი და დაუბრკოლებელი მდინარება, რის

გარეშეც შეუძლებელია ვრცელი ეპიური შინაარსის ნაწარმოების წაკითხვა“.

უფრო ქვემოთ თქმულია:

„პროზაულად არის თარგმნილი ჰომეროსის პოემები ძირითადად ევროპულ ენებზე (ინგლისურად, ფრანგულად, იტალიურად, ესპანურად). მთარგმნელთა შორის ვნახავთ ლექსის ისეთ დიდოსტატებს, როგორც იყვნენ ფრანგი პოეტი ლეკონტ ჯე ლილი და იტალიელი სალვადორე ქვაზიმოდო. რაკი ჩვენ უარი ვთქვით „ოდისეას“ ლექსად გარდაქმნაზე (ანუ ჰეგზამეტრის კალკირებაზე) და პროზაულად გავმართეთ იგი, ბუნებრივია, უნდა დარღვეულიყო თხრობის იმგვარი სტრუქტურა, რაც ჰეგზამეტრმა შექმნა ბერძნულ დედანში“.

არჩეული პრინციპი, რა თქმა უნდა, გამარჯვების გარანტიად თავისთავად ვერ მოგვევლინებოდა. ყველამ ვიცით, პროზაულად გარდათქმას თავისი დიდი ხელოვნება უნდა, წინააღმდეგ შემთხვევაში პრინციპი პრინციპად დარჩება, ხოლო მკითხველს ვერავითარ სიხარულს ვერ მივანიჭებთ. მთარგმნელებმა მშვენივრად უწყოდნენ ყოველივე ეს და პრინციპს იქით სწორედ უმთავრესს მიაჯაჭვეს თავიანთი გულისყური, მთელი ტექსტიდან ჩანს, რომ ისინი ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ცოცხალი ინტონაციის ბუნებრივობა მიენიჭებინათ აზრისათვის.

საიდუმლოებაც ამ სწრაფვაში იმალება, „ოდისეა“ მოუწყინრად საკითხავი წიგნია. არ გაწუხებთ სიძველისაგან გამოხუნებული მოდელების უსიცოცხლობა, საგნების, ნივთების ეგზოტიკა, ფიქრების არქაულობა, თხრობაში არსად გხვდებათ დროისაგან აღჩენილი სიცარიედეები. ყველაფერი ცოცხალია—ნიუანსები, დეტალები, ყველაფერი უაღრესად სადღეისო—მოქმედი! ჰომეროსის გმირების ვნებათაღელვა ათრთოლებს მათ, ისტორია მუზეუმის კედლებზე ვერც ერთ მათგანს ვერ ჩამოკიდებს, უაღრესად საჭირონი არიან, რადგან დროის ყოფით დეტალებად კი არ აღიწერება და აღიქმება, არამედ გმირების სულიერი მოძრაობის ღონიერი ტალღები აუღრიალებს იმ ნივთებს, სიცოცხლით მუხტავს მათი ფიქრი და მწველი ვნება საკარცხულებსაც, სანთი-ობოსაც, ლავინებსაც და ვაშკარანებსაც...

მთარგმნელებს ოდისევსის სახის გააზრებაშიც დაეხმარა ეს ტენდენცია. რაკი ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა, გმირების ვნებათაღელვით ჩაუდგეს სული თარგმანში, ბუნებრივად გახდა აუცილებელი,

ერთ გმირთან დაეკავშირებინათ ნაწარმოების ყველა ძაფი. ოდისევსის სახის სიმბოლურ ბუნებაზე გადაიტანეს აქცენტი და ამან საშუალება მისცათ უფრო სრულად გამოეკვეთათ სხვა პერსონაჟების სულიერი სამყაროც. ოდისევსის სახე მართლაც ფოკუსივით არის. იგი იკრებს ყველას გულისყურს, მასთან არის დაკავშირებული უამრავი ადამიანის ბედი, თავი რომ დავანებოთ თვით ნაწარმოების დედააზრს, რაც პირდაპირ ამოზრდილა ოდისევსის პიროვნების არსიდან.

მთარგმნელთა ორიენტაცია უნაკლოა, მაგრამ მე მაინც მინდა ვთქვა, რომ უნაკლოდ აღიქვამთ სწორედ მას შემდეგ, რაც თარგმანმა გაგვახარა. ხდება ზოგჯერ, მეტოდები, ხერხები აქსიომასავით ზუსტია და შეუვალი, მაგრამ ხორცშესხმული საქმე ვერაფრით ვერ გზიბლავთ.

ჩვენს წინ კი დევს „ოდისეას“ თარგმანი, თავისი მფეთქავი დიდი გულით, მგრძობიარე ნერვებით, ღონიერი სხეულით და დღეს უფრო უბრიანია იმაზე საუბარი, რაც ქართულად ასე ლალად სუნთქავს.

დასაწყისშივე იგრძნობთ აზრისა და ემოციის შეუფერხებელ მოძრაობას: „ყველა დანარჩენნი, ომსა და ზღვის დელვას განრიდებულნი, მშობლიურ ქერქვეშ ნეტარებდნენ უკვე. მხოლოდ ოდისევსს, სამშობლოსა და მეუღლის მონატრულს, ღრმა მღვიმეში აკავებდა მისი ქმრობის მოწადინე თმამშვენიერი ნიმფა კალიფსო“.

ეპოსისათვის ნიშანდობლივი თხრობა გასაქანს აძლევს მსუყე ფერებს, მაგრამ მუდამ რჩება საფრთხე, თარგმანში გაქვავებულ სურათებად მოგვევლინონ საგნები, მით უმეტეს, რომ ჰომეროსი დაწვრილებით აგვიწერს მათ. მას აინტერესებს ადამიანი, პირველ რიგში, მაგრამ ამასთან ყველა ის დეტალიც, რაც გმირს უკავშირდება, რასაც ის ხელით ეხება, რასაც იყენებს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რასაც გადასცემს მღელვარებას, რასაც ეყრდნობა, რაზეც ზის, წევს... ეს საგნები ადამიანური სამყაროს ორგანული ნაწილები არიან, ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობით იტვირთებიან. დიდოსტატი ადვილად აუვლიდა გვერდს უმნიშვნელო დეტალს, მაგრამ ხაგნებს არსებითის ფუნქცია აქვს დაკისრებული, ფასი დასდებიან ადამიანთან ურთიერთობაში. საყოფაცხოვრებო ნივთების სული იგრძნობა ჰომეროსის პლასტიკურ სურათებში, ეს სული მათ ადამიანების სუნთქვამ გადასცა. „ოდისეას“ კითხვისას განსაკუთრებულად იგრძნობთ საგანთა ამ-

გვარ შინაარსს, ისინი ასხივებენ თითქოს უჩვეულო სითბოს, რაც ყოფით ცხოვრებას ჩაუბუღებია მათში. ამიტომაც ჰომეროსისეულ აღწერას სხვა მარილი, სხვა ლაზათი დაჰყვება. ასეთი მაღლი აქვე მოტანილ პატარა აბზაცშიც იგრძნობა.

„ტაფოსელთა ბელადის, მენტესის სახით გამოეცხადა ითაკას ათენა და ზელშუბიანი ჩადგა ოდისევსის კარიბჭესთან თავმოყრილ ხალხში. ამპარტავანი სასიძოვბი ეზოში წამოწოლილიყვნენ მათ მიერვე დახოცილ ტყავებზე და გულს აყოლებდნენ კამათელს, ხოლო დაფაცურებული მსახურნი და მესტუმრენი პირფართე ლაგვინებში ღვინოს აწავებდნენ, სხვები ხშირფორიანი ღრუბლით რეცხავდნენ ტაბლას და ზედ ხორცის ნაჭრებს ალაგებდნენ“.

ყველაზე ღირებული ჰომეროსის თხზულებებში თანამედროვე მკითხველისათვის არის რეალიზმის გრძნობა. რამდენი რამ აქვს დიდ პოეტს ფანტასტიკური, ზღაპრული, ლეგენდარული, საოცარია მისი პოემის პირობითობის ძალა, უფრო ზუსტად პირობითობის შინაარსი. ზღაპრული მასშტაბებიდან ისე უცებ მოგაქცევს რეალიზმის საზღვრებში, რომ გაოცებულნი რჩებით ამ გადასვლების მოქნილი მექანიზმით. დამაჯერებელია ფანტასტიკაც და „უწვრილმანესი“ ყოფითი დეტალიც, საკუთარი სოფლის კუნჭულებს რომ გაგონებთ. მოვიგონოთ, როგორ არის შეზრდილი ერთმანეთში პოსეიდონის, პოლიფემის, ღვთაებების გიგანტური მასშტაბები და მოკვდავი გმირების ადამიანური საზომები. ყველაფერი ეს ნიშანდობლივი შინაარსია ბერძნული კულტურისათვის, კერძოდ, ჰომეროსისათვის. პრაქტიკულად ამ გადასვლების შენარჩუნება თარგმანში შეუძლებელია აღლოს და ასევე შეუძლებელია ოსტატობას მოითხოვს. იგი მზამზარეულად არ დევს ორიგინალისა და ქართულის გზაზე. ქართული ყოფის ყველა დეტალი ვერ გამოდგება კოლორიტის აღსადგენად, ყველა ნივთს ვერ დააკისრებ ამ რთულ მისიას. განსაკუთრებული და ამავე დროს შესატყვისი უნდა შეირჩეს. მთარგმნელები ახერხებენ ამას. მთელი ყურადღება აქეთ არის მიმართული და რეალიზმის სუნთქვაც გაძლიერებული გეჩვენებათ. მახლობელი ხდება გმირების თავგადასავალიც, ტანჯვა-წამებაც და სიხარულიც. რეალიზმის მძაფრად შეგრძნებაში ყოფითი დეტალების, ოჯახური ნივთების სიმბოლიკის წვლილი უთუოდ დიდია.

„— ჩემო გადია, ქოცოები იმ ტკბილი

ღვინით ამივსე, სვეუბედური კაციხთვის რომ გაქვს გადანახული. ნეტამც დამიბრუნდეს სიკვდილსა და ბედისწერას გადარჩენილი ზევსის ნაშიერი ოდისევსი! თორმეტი ქოცო ამივსე და თავი მაგრად მოუკუბრე. ოცი კოდი წმინდად დაფქვილი ქერით დამიტენე ვაშკარანები. ნურვის გაუშხელ ამ ამბავს, ყველაფერი ეს მოამზადე და ერთად დამახვედრე. საღამოს, როგორც კი დედაჩემი სანთიობოში ავა, მე თვითონ შემოვივლი და წავიღებ: სპარტასა და ქვიშიან პილოსს მივეშურები, ვინძლო ძვირფასი მამის დაბრუნებისა შევიტყო რამე“.

„ოდისეაში“ ბევრია დიალოგი, დიდი, ძალიან დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, რომ პროზის ბუნებისდაკვალად იმ პოეტურში, ამალღებულ დიალოგებისათვის ჩვეულებრივი საუბრის ფორმა მიეცათ, რომ ეს დიალოგი გმირთა ყოველდღიური ყოფის მშვიდ ფერებში გაეხვიათ. პოეზიას ახლავს ამალღებულობის ნიშანი, მიმართვებში გადატანილი ეს ამალღებული ინტონაცია არც ისე ადვილად ჩამოქვეითდება პროზად. ეს მით უმეტეს ანგარიშგასაწევია, რამეთუ დასაწყისიდან დასასრულამდე ამ ამოცანის წინაშე იდგნენ მთარგმნელები. ჰომეროსის რეალიზმი პოეზიის რეალიზმია, უწინარეს ყოვლისა, და პოეტურ ფორმებშია მოქცეული. ამჯერად ის პოეზიაც უნდა შეენარჩუნებინათ და პროზის წონაც მიენიჭებინათ ფორმისათვის. დაძლეულია ეს სიძნელე, არათუ დაძლეული, ვიტყვოდი, „ოდისეას“ თარგმანის გემო ამ ბუნებრივ დიალოგებშია, ჰომეროსის პოეზიის სილამაზეს ის გვაუწყებს და არც პათეტიკური მჭევრმეტყველებით გაბეზრებთ თავს. ხომ ვიცით თარგმანები, ფუყე რიტორიკისაგან და მოსაწყენი პათეტიკისაგან რომ არიან დამძიმებულნი — ჰომეროსის ამალღებულობის უბრალოება ასეთ ყალბ ფორმას იღებდა ხშირად.

რეალიზმის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს მიწიერების განცდა. „ოდისეას“ გმირები უადრესად მიწიერები არიან, თვით ის ღმერთებიც, ოლიმპოზე რომ ცხოვრობენ. ეს საყოველთაოდ ცნობილი ნიშანი ბერძნული მითოლოგიისა და კლასიკური ლიტერატურისა კიდევ უფრო გაძლიერებული გეჩვენებათ თარგმანში. მიწიერის ხვედრითი წონა გაზრდილა, ხელშესახების, მახლობლობის განცდა მძლავრობს. გულუხვად შემოაქვთ მთარგმნელებს მიწიერი ფერები, სადაც ჰომეროსის პოემა საშუალებას იძლევა გზა დაეთმოს მათ. თამამად

სვამენ ქართული ფლორისათვის ნიშანდობ-
ლივი მცენარეებისა და ყვავილების სახე-
ლებს. ეს აძლიერებს ლანდშაფტის სი-
ცოცხლეს, აკონკრეტებს გმირების სახეს.
ქართველი მკითხველისათვის ნაცნობი ხდე-
ბიან თითქოს ისინი, უფრო გაშლილვით
იდეალურ გმირთა ხასიათები...

რეალიზმის ძალას გვაგრძობინებს თვით
მითიური ნიმიფა კალიფსოს გამოქვაბულის
აღწერა: „გამოქვაბულში ცეცხლი ენთო.
დანაკვერცხლებული კვიპაროსისა და ღვი-
ის სურნელება იფრქვეოდა ირგვლივ.
ცეცხლთან თმამშვენიერი დიაცი ბეჭსახე-
ხელს უჭდა და ტკბილი ხმით გალობდა.
ქვაბის მახლობლად მშვენიერი ტყე შრია-
ლებდა. მურყანი, ჭადარი და ფიჭვი სურ-
ნელებით ფშვინდა. მათ რტოებში ბუებს,
ძერებსა და მახვილნიკარტა ჭილყვავებს
დაებუდრათ. მზის გულზე მძიმე მტევნე-
ბით დაყურსული ვენახი იყო გაშენებული.
იქვე საამურად მიჩუხჩუხებდა ოთხი თავ-
გრილი წყარო“.

თარგმანის უპირველესი ღირსება ლალი
თხრობაა. თითქმის არასდროს არ იხვანჯე-
ბა ფრაზა. უმნიშვნელოზე უმნიშვნელოა
ლაფსუსი. მიგნებულად არის შემოტანილი
საქართველოს ეთნოგრაფიული სიმდიდრის
მაუწყებელი ნივთები და ასეა გაქართულე-
ბული ბერძნული კოლორიტი. ჰომეროსის
გმირების ზოგად ხასიათს სწორედ ეს კო-
ლორიტი გვიანლოვებს. მის გმირებს თით-
ქოს აქ უბრძოლიათ, უტრიალიათ ამ სან-
თიობასა და საკარცხულის ახლოს, ლაგვი-
ნიბიდან უსვამთ ღვინო და საქართველოს
ტყეებში უშფოთიან. ზომიერად არის
მოხმობილი ქართული კოლორიტიც, არ
დაჰკრავს თვითმიზნური იერი და საბოლო-
ოდ მაინც ყველაფერს ლალი თხრობა აძ-
ლევს ლაზათს. მდიდარია მთარგმნელთა
ლექსიკა, ადვილად იმორჩილებენ სიტყვას,
ყოველ შემთხვევაში, თარგმანში არ ჩანს
სიტყვის შერჩევაზე წვალეების კვალი.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავისე-
ბური ღირებულება შეიძინა ლაგვინის, სა-
კარცხულის, სანთიობოს, ტყავის ვაშკარა-
ნებისა და სხვა ნივთების სახელთა გამო-
ყენებამ. გარდა იმისა, რომ მათი ზუსტი
ხმარება აძლიერებს რეალიზმის სუნთქვას,
გვაგრძობინებს გმირების მიწიერ წარმო-
მავლობას, ისინი ამასთან ერთად ჩვენთვის
ესთეტიკურ რეალობად აღიქმება. ბუნების
სტიქიას ჰომეროსთან მუდამ ღმერთის ხე-
ლი წარმართავს. მის სიმშვიდესაც და
მღელვარებასაც თავისი დინამიკა აქვს.

თარგმანი მთელი სისრულით გადმოსცემს
ბუნების სურათების ჰომეროსისეულ ცვა-
ლებადობას, მის ნერვიულ დრტვინვასაც
და ღვთაებრივ სიმშვიდესაც. ოდისევსის
თავზე დატეხილი ფათერაკი ასე გამოიყუ-
რება თარგმანში: „ისე ისროდნენ აქეთ-
იქით ტალღები ოდისევსის ტივს, როგორც
ველებზე შემოდგომის ქარი მიაქროლებს
ხოლმე ქარქვეტს. ოთხივე კუთხის ქარები
მიერეკებოდნენ მას: ხან მძლავრი არავი
გაიგდებდა წინ და ბორცასს გადაუტყორ-
ცნიდა, ხან კი ხორშაკი გადაისვრიდა ჭა-
ლიკონისკენ“.

თარგმანში გამუდმებით გრძნობთ ჰო-
მეროსის პოეზიის გრანდიოზულობას. სა-
ერთოდ, ერთი წამითაც არ გტოვებთ გრან-
დიოზულობის განცდა.

ყველაფერი მაქსიმალურ ყურადღებას
მოითხოვდა: მხატვრული მხარეც, შინაარ-
სიც, რეალიზმიც, რომანტიზმიც, სპეციფი-
კაც, კოლორიტიც, ხასიათები, დიალოგები.
რეალიზმზე აღებულ აქცენტს, შესაძლო
იყო, რაღაც დაეკლო მითიური სურნელი-
სათვის, მითის გრანდიოზული მასშტაბები-
სათვის, მაგრამ თარგმანში სწორედ მითი-
ურიდან რეალურზე გადასვლებია ოსტატუ-
რად გამართული. ალბათ, გრანდიოზულო-
ბის განცდა ამის წყალობით იქნა შენარ-
ჩუნებული. თუნდაც ის სურათი რად ღირს,
მოლაღატე ცოლი საყვარლითურთ რომ გა-
აბა ბადეში ჰეფესტომ და ამ სურათის სა-
ხილველად ოლიმპოს ღმერთები მოიწვია.
რა მასშტაბები გადაიშლება ჰომეროსის
ფანტაზიისა ჩვენს წინ, რა მძაფრად
იგრძნობა მათ ძარღვებში მიწიერი სის-
ხლის დუდილი!

„რიგ-რიგობით მოადგნენ ოლიმპოდან
ღვთაებრივი მჭედლის სპილენძის ღურბლი-
ან სასახლეს: მოვიდა მიწის მრყეველი პო-
სეიდონი, მოვიდა დოვლათის მწყალობელი
ჰერმესი, მოვიდა მშვილდოსანი აპოლონიც,
კდემამოსილი ქალღმერთები კი ოლიმპოზე
დარჩნენ. სასახლეში რომ შევიდნენ და
ოსტატურად დაგებულნი მახე იხილეს, გუ-
ლიანად ახარხარდნენ უზრუნველი ღმერ-
თები. ასე მახვილსიტყვაობდნენ ლალი
ოლიმპიელნი ერთმანეთში: უკეთურ საქმეს
მოკლე ფეხი აქვსო. ხედავთ, ფეხმოკლე
ჰეფესტო გრძელფეხა არესს წასწვდა,
კოჭლმა ფეხმარდი დაიჭირაო. აწ ზღოსო
არესმა საზღაური ჰეფესტოს სარეცლის
შებლავისათვის!

ახლა ცბიერად მოდიმარე აპოლონმა გა-
დაულაპარაკა ჰერმესს:

— გამოტყდი, ჰერმეს, დაწვებოდი ოქროვან აფროდიტესთან, თუნდაც არესის მსგავსად გაბმულიყავი ჰეფესტოს ბაღეში?

ლიმილითვე უბასუხა არბუსის მკვლელმა:

— ჰეფესტოს სამკეცა ბაღეში რომ გავხვდით და ყველა ღმერთისა და ქალღმერთის სასაცილო გავხდეთ, მაინც არ ვიტყვოდი უარს ოქროვან აფროდიტესთან სარეცელში ნებივრობაზე.

ასე გამართული ადგილები ჩვეულებრივია თარგმანში. დონე არ ეშვება, „ცოცხალი ინტონაციის ბუნებრივობა“ არ ფერმკრთალდება. მთარგმნელები ყურადღებას არ აკლებენ არქაულ კოლორიტს, იგი აღურიცხველ ღირებულებას იძენს, მითიურ სურნელს გვაფრქვევს და დაგვანახებს, რამდენად ღრმად მიდის ადამიანის ისტორიის ფესვები, რა სიღრმიდან იწოვს იგი სიცოცხლის წვენს, რა აძლებინებს მბრუნავი საწუთროს მკაცრ ალყაში. ამ ხარისხით არის გადმოქართულებული ციკლოპების ქვეყნის აღწერა.

შთამბეჭდავად შემოქმედებს ევმეოსთან შეხვედრის სცენები. მაქსიმალურად არის არიდებული სენტიმენტალიზმის განცდა, ამბით დამუხტული ინტერესი. ამბის დინამიკა და მიმზიდველობა უფრო სხვა თავებში გვაგრძნობინებს ძლევამოსილებას. ევმეოსის ქოხში დატრიალებული ისტორია მშვიდად, თავშეკავებულად არის გადმოცემული. ღრმაა გმირების განცდები, ცრემლი იღვრება, მაგრამ შიგნით, უხმოდ, სხვისგან შეუტყობლად. ყოველი სიტყვა დატვირთულია. სახეები უფრო მიწიერი ხდება, მოქმედება უფრო კონკრეტდება. იქნებ ისიც აძლიერებს შემოქმედებას, რომ მითოლოგიის სამყაროდან გმირები მიწას ასე არასდროს მიახლოვებიან. ახლოს ყოველთვის იყვნენ, თვით უკვდავი ღმერთებიც ახლოს იყვნენ მიწასთან, მაგრამ ასე — არასდროს. და კიდევ ერთი ადგილია საინტერესო პოემაში, როდესაც ეს სიახლოვე უფრო საგრძნობი ხდება. მე ვგულისხმობ ძიძისა და ოდისევსის შეხვედრას. ამ სიახლოვეს განაპირობებს თვით სიტუაცია, რომელშიც გმირი მოექცა. მაგრამ საჭირო იყო ამასთან შესატყვისი სიტყვიერი ქსოვილი, რომ ზერძენი პოეტის დიდებული ხილვა ქართულად გაცხადებულიყო, ჩვენი ძარღვები აფშალა და სურათი ზოლომდე გაენათებინა. ჩემი აზრით, მთელი ამ მშვენიერი ქსოვილის ტონალობას ერთი სიტყვა განსაზღვრავს, იგი ანთებს დიალოგის მთავარ სხივს. ისე მოხერხებულად არის ჩასმული

თავის ადგილზე სიტყვა „ღია“, რომ ძნელია უკეთესად დიალოგის სუნთქვის გადმოტანა შეიძლოს ვინმემ. ამ სიტყვამ მოიქცია თავისთავში მახლობლობის ნეტარი სითბო.

„სწორედ ამ ნაჭრილობეზე მოუხდა ხელი ევრიკლეს. იმწამსვე იცნო მოხუცმა გადიამ თავისი გაზრდილი. გაოგნებულმა ხელი უშვა ფეხს. ოდისევსს ტაშტის პირზე დაუცურდა ფეხი. სპილენძის ტაშტი წკრიპით აყირავდა და წყალი დაიღვარა. სიხარულმა და ნაღველმა ერთბაშად მოუწურა გული ევრიკლეს, ხმა ჩაუწყდა და თავლები ცრემლით აევსო. ნიკაპზე ხელი მოუსვა ოდისევსს და ხმაათროლებულმა ჰკითხა:

— შენა ხარ, ღია? მანამდე როგორ ვერ გიცანი, სანამ ხელი არ შეგავლე ტანზე?“

წერილში აქცენტი გადავიტანე იმაზე, თუ როგორ გვაგრძნობინებენ მთარგმნელები „ოდისეას“ ძლიერ სუნთქვას, მართლაც ფენომენად რომ მოევლინა მსოფლიო ლიტერატურას და ყველა ქვეყნის ზღურბლზე ესწრაფვის გადაბიჯებას. ამ პოემის დამკვიდრება ქართულ ენაში ყველა ჩვენთაგანის ოცნება იყო. და, ვფიქრობ, სასიქადულოდ განხორციელდა იგი. მე მინდოდა მკითხველის ყურადღება მიმექცია ჰომეროსის პოემის გათანადროლებულ სუნთქვაზე, რაც მთარგმნელთა დიდი ძიების შემდეგ იქნა მიღწეული. პოემა თანამედროვე ხერხებით დაწერილი რომანივით იკითხება. პირველ რიგში ამ ღირსებით არის საყურადღებო. ისე კი ესთეტიკური ღირებულების მრავალი მხარე მოითხოვს ცალკე მსჯელობას. მასში ხშირად არის შენარჩუნებული ჰომეროსისეული გამოსახვის სრულყოფილება, პოეტური ხილვები ზოგჯერ ადეკვატურ სრულფასოვნებას იძენენ თარგმანში. თუნდაც აქილევსის მონუმენტური სახის ხილვა რად ღირს. საიქიოს აჩრდილებს აქილევსი გამოეყოფა და შვილის ამბავს ჰკითხავს ოდისევსს, პასუხი რომ მიიღო:

„გამშორდა ფეხმარდი აქილევსი. შვილის ვაჟკაცობის ამბით განხარებულმა ლალი ნაბიჯით გადასერა ახფელდის ველი“.

შთამბეჭდავია სურათი, მთელი სიმაღლით წარმოგვიდგება აქილევსის ტიტანური ფიგურა. ყოველგვარი შედარებისა და ეპითეტების გარეშეა მიღწეული მიზანი.

თამაზ ჩხენკელისა და ზურაბ კიკნაძის შრომის ნაყოფი — „ოდისეას“ თარგმანი ქართული კულტურის სასიხარულო ფაქტად აღიქმება. სხვაგვარად ძნელია დახასიათდეს მისი მნიშვნელობა.

სოლომონ დემურხანაშვილი

„პაღრე ამაროს დანაშაული“ და მისი ქართული თარგმანი

„აღდგომა დილას მთელმა ლეირიამ შე-
იტყო, ტაძრის წინამძღვარს, პაღრე უოზე
მიგეისს, განთიადისას დამბლა დაეცა და
მიიცვალაო. ჩათქვირებული, გაუიხულილე-
ბული წინამძღვარი ებარქიის მღვდლებში
მუცელმერთად იყო ცნობილი“...

ანდა:

„აკი ასრულდა კიდევ კარლოსის სი-
ტყვა: წინამძღვარი ვახშმად თევზს მიაძღა
და დილაუთენია აღესრულა“.

ეს სტრიქონები პორტუგალიელი მწერ-
ლის ესა დე კეიროშის რომანის თარგმანი-
დან შემთხვევით არ ამომიწერია, არც სა-
განგებოდ მიძებნია, ამ სიტყვებით იწყება
რომანი და, ალბათ, მკითხველიც დამეთან-
ხმება, თუ რა მშვენივრად არის გაქართუ-
ლებული. მაგრამ ამაზე ქვემოთ ვისაუბ-
რებთ.

შეიძლება ითქვას, საქართველოში არა-
სოდეს, არც ერთ საუკუნეში არ ყოფილა
იმდენი მთარგმნელი, არასოდეს თარგმნი-
ლა იმდენი წიგნი, რამდენიც დღეს. ამ
საქმეს მოჰკიდა ხელი ყველამ: ცრუმ თუ

მავნემ, ვისაც ავად თუ კარგად ფრანგუ-
ლი, ინგლისური, გერმანული, ესპანური ან
სხვა რომელიმე ენა შეუსწავლია, რომ აღა-
რაფერი ვთქვათ რუსულ და სხვა მოძმე
ხალხთა ენებზე. და მიუხედავად იმისა, რომ
ჩიქორთულმა თარგმანმა ათასი რედაქტო-
რის ხელში უნდა გაიაროს, ათასჯერ უნდა
გასწორდეს, მკითხველთან საბოლოოდ მა-
ინც მდარე თარგმანი მიდის, ისეთი თარ-
გმანი, უმდიდრეს და კეთილხმოვან ქარ-
თულ ენას დღითი დღე რომ აჩანაგებს, აღა-
რიბებს და თითქმის სიკვდილისკენ უბიძ-
გებს.

ნათარგმნი წიგნების გამკითხავი კი ჯერ
კიდევ არავინაა, უხეირო თარგმანიც შეუ-
ფასებელი რჩება და კარგ თარგმანებზეც
იშვიათად თუ ვინმე ამოიღებს ხმას.

ჩვენი ახალგაზრდობის მეტი წილი თარ-
გმნილ ლიტერატურას ეტანება, რადგან
მის გაზრდილ სულიერ მოთხოვნილებას
დღეს, ბუნებრივია, მარტო მშობლიური
ლიტერატურა ვეღარ დააკმაყოფილებს. ამი-
ტომ უხეირო თარგმანს, სადაც თითქმის

ყოველ ნაბიჯზე გვხვდება რუსული კალკე-ბი, სიტყვასიტყვით გადმოთარგმნილი, ქართულად გაუმართავი ფრაზები, ახალგაზრდა კაცი თანდათანობით აჩვევს ყურს, ეგუება მას. ასეთი ენა ბოლოს და ბოლოს ბუნებრივი ხდება მისთვის, მითუმეტეს, რომ იგი თარგმანში ცნობილი ავტორების ნაწარმოებებს ეცნობა. ეს ახალგაზრდა მკითხველები შემდეგ ხდებიან ყურნალისტები, მეცნიერები, მთარგმნელები და უკვე ეჭვი აღარავის შეგებაროთ, რომ ახლა ასეთივე ქართულით თვითვე იწყებენ წერას. რა დასამალია, რომ ჩვენი პრესა, რასაც ყველაზე მეტი მკითხველი და მსმენელი ჰყავს, ქართულ ენაში ძალიან სცოდნავს, რაც შეეხება მეცნიერ-მუსეუმებს, თუნდაც ფილოლოგებს, ხშირად არც ისინი რჩებიან ვალში. ყოველივე ამის დასადასტურებლად აქვე შეგვეძლო მაგალითები მოგვეყვანა, ავტორებიც კი დაგვესახელებინა, მაგრამ არ გვინდა სალაპარაკო თემას გადავუხვიოთ.

აღმანახ „საუნჯეში“ მუშაობამ ღრმად დამარწმუნა, რომ უფრო ცუდად ყოფილა თარგმანის საქმე, ვიდრე მეგონა. თვით ის ცნობილი მთარგმნელებიც კი, რამდენიმე კაცის გამოკლებით, ვინც ესოდენ სახელმწიფოებრივი არიან, გაუფასურდნენ ჩემს თვალში, როცა ვუყურებდი, როგორ სწორდებოდა მათი თარგმანები, მაგრამ ჩემთვის მაინც სასიამოვნო აღმოჩენა იყო რამდენიმე ისეთ მთარგმნელთან შეხვედრა, ვისაც აქამდე ახლოს არ ვიცნობდი, მათ რიგში უნდა დავასახელო ნინო სამუკაშვილი, „პადრე ამაროს დანაშაულის“ მთარგმნელი, ვისზედაც ამ წერილს ვწერ.

ნინო სამუკაშვილი ღვაწლმოსილი მთარგმნელი რომ იყო, დიანაც ვიცოდი, მაგრამ ისიც ვიცოდი, ღვაწლმოსილება ჯერ კიდევ რომ არ ნიშნავს კარგ მთარგმნელს. კრიტიკული თვალთ მე მისი თარგმანი არ წამეკითხა და აი, ერთ დღეს აღმანახ „საუნჯეში“ შემოვიდა რუსი მწერლის ი. სბიტნევის მშვენიერი მოთხრობა „კანონგარეშე“, რომელიც შარშან დაიბეჭდა პირველ ნომერში. თარგმანშივე ეტყობოდა, რომ სბიტნევის ეს მოთხრობა მეტად ძნელად სათარგმნელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მოთხრობის უმდიდრესი ლექსიკა დიდ ჯაფასა და ცოდნას მოითხოვდა. ერთი სიტყვით, ამ თარგმანმა ისე მომხიბლა, რომ ნ. სამუკაშვილის სხვა თარგმანებითაც დავინტერესდი. მოგვიანებით ჩემს

ბიბლიოთეკაში აღმოვაჩინე პორტუგალიელი მწერლის ესა დე კეიროშის მოზრდილი რომანი „პადრე ამაროს დანაშაული ანუ სცენები ღვთისმოსავთა ცხოვრებიდან“. იგი გულდასმით წავიკითხე და წიგნთან ერთად თარგმანმაც გამახარა.

ესა დე კეიროში პორტუგალიური ლიტერატურის ერთ-ერთი დიდი წარმომადგენელია, როგორც პორტუგალიაში თვლიან, მის თანამედროვეთა შორის უდავოდ პირველი. რეალიზმის ერთგული მიმდევარი ესა დე კეიროში მკაცრად და დაუნდობლად ამხელს ეკლესიის მსახურთ, გვიჩვენებს იმ მიზეზებს, თუ რამ მიიყვანა რომანის მთავარი გმირი ამარო დანაშაულამდე. იგი დამნაშავედ არ დაბადებულა, დანაშაულამდე პადრე ამარო მიიყვანა იმ სოციალურმა გარემომ, რომელშიც ბავშვობიდანვე ცხოვრობდა. ნაწარმოების ღირსებაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ჩვენი ამოცანა მისი ქართული თარგმანის შეფასებაა მხოლოდ.

კარგი თარგმანი ქართულად ისე უნდა გაიმართოს, ფრაზას არ ეტყობოდეს, რომ ნაჯახირევი და ნაწვალეხია. მკითხველმა შეიძლება არ იცოდეს ის ენა, საიდანაც წიგნი ითარგმნა, მაგრამ მისთვის მთავარია, როგორ უღერს თარგმანი ქართულ ენაზე. ვინც შექსპირის თარგმანებით არის მოხიბლული, ყველამ როდი იცის ინგლისური ენა, ისინი დიდებული ქართულით იხიბლებიან უთუოდ. სულაც არ არის აუცილებელი, ფრაზა, იდიომა ან ესა თუ ის ანდაზა ზუსტად გადმოიტანო, მთარგმნელი დიანაც უფლებამოსილია ქართული ენის სასიკეთოდ შეაბრუნოს გამოთქმა ან ფრაზა, აზრს თუკი არ შეცვლის. ვახტანგ ჭელიძის თარგმანი არასოდეს შემეძარებია დედნისთვის, მაგრამ ინგლისურიდან თარგმანებით არავის მოვუხიბლივარ ისე, როგორც მის ქართულს. ვახტანგ ჭელიძის თარგმანს როცა ვკითხულობ, არცა მგონია თუ ავტორმა ისე არ დაწერა, როგორც მთარგმნელმა, რადგან თარგმანში ფრაზა დაბადებულია და არა ნაკეთები და ნაჯახირევი. თითქმის ამგვარი წარმოდგენა შემექმნა ნ. სამუკაშვილის თარგმანის კითხვისას. აი, თუნდაც ერთი ნიმუში იმისა, როგორ გადმოდის ქართულად თხრობა თუ დიალოგი:

„როცა მეტუკეებმა შესაკრები ჩაათავეს, სადღაც შორს, ყაზარმის მახლობლად დოლი ადაფდაფდა. ქუჩაში თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ახალგაზრდა ჯარისკაცი, უთუოდ ციხე-სიმაგრის ნანგრევებში, რომელიმე

მყუდრო კუთხეში გოგოსთან საუბარს შეჰყვა და ყაზარმაში შესვლა დაუგვიანდა. დავრდომილთა თავშესაფარს ყურთასმენისწამლები ჩხავილით დასტრიალებდნენ ბუკიოტები.

— რა უხალისო, რა გულისშემალღნებელი ყოფილა აქაურობა, — თქვა პაღრე ამარომ.

ამ დროს ზევიდან გაისმა სან ფოანეირას ხმა:

— სასადილოში ამობრძანდით, სენიორ კანონიკო! სუფრა გაშლილია“.

ალბათ მკითხველი დამეთანხმება, რომ ეს პატარა ნაწყვეტი კარგი ქართულითაა დაწერილი. აი ასე განლავთ თითქმის მთელი წიგნი თარგმნილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ უმნიშვნელო ლაფსუსებს, რისგანაც არავინ არ არის დაზღვეული.

იმ თითზეჩამოსათვლელ ლაფსუსთაგან

ერთს მოვიყვნი მაგალითად, თუმცა მთლიან წინადადებაში შესაძლოა, ზოგს იგი თვალში არც ეცეს:

„წიგნის პირველ სუფთა გვერდზე ეწერა...“

სიტყვა „სუფთას“ უადგილოდ ვხმარობთ ხშირად. „სუფთად იცის ქართული“, „სუფთა ნამუშევარი“. იგი პირდაპირი თარგმანია რუსულიდან. სუფთა გვერდს ეგებს ხვდა სიტყვა სჯობდა, პირველი გვერდი ან ხვდა ამგვარი!

ამ მოკლე რეცენზიით ამოვწურე ჩემი სათქმელი მშვენიერ თარგმანზე, მის მთარგმნელზე ნინო სამუკაშვილზე, ვინც ათეული წლების მანძილზე ჩუმად, უხმაუროდ ემსახურება მეტად ძნელსა და საპატიოს საქმეს, ემსახურება ერთგულად და ახალგაზრდობას მადლიანი ქართულით ნათარგმნ წიგნებს აწვდის.

□

თემურ კობახიძე

დილან ტომასის პოეზია

მეოცე საუკუნის ინგლისური ლექსის დიდოსტატთაგან ლიტერატურის ისტორია უპირველეს ყოვლისა ალბათ იეიტსის, ელიოტისა და ტომასის სახელებს შემოინახავს. თავის დროზე ყოველი მათგანი აკეთებდა იმ დიდ საქმეს, რასაც ამჟამად ძნელად თუ უძღვება ინგლისის მთელი პოეტური სამყარო—იეიტსიც, ელიოტიც და ტომასიც პოეზიის სულს უდგამდნენ მთელს ეპოქას. საუკუნის დასაწყისში ლიტერატურული გემოვნების კანონმდებლად გვევლინება უილიამ ბატლერ იეიტსი—ირლანდიური ფოლკლორით, ინდური ფილოსოფიითა და იაპონური თეატრის ტრადიციებით დაინტერესებული შემოქმედი. 20-იან წლებში ინგლისური პოეზიის მეტრია ტომას სტერნზ ელიოტი—ანტიბოჰემიანელი და კონსერვატორი, რაფინირებული დეკადენტი, დანტეს დიდი მცოდნე და თაყვანისმცემელი, „ანგლო-კათოლიკე რელიგიაში, კლასიციისტი ლიტერატურაში და როიალისტი პოლიტიკაში“. ორმოციან წლებში კი ლიტერატურულ ასპარეზზე სახელს იხვეჭს უელსელი ბარდების ახალგაზრდა თანამემამულე დილან ტომასი, ვი-

სი ღრმად ემოციური, მხურვალე ლექსიც მკაფიოდ გამოირჩევა 20—30-იანი წლების პოეზიის, ერთი შეხედვით, მშრალ და მწიგნობრულ ნიმუშთა შორის.

გრძნობათა მთლიანობა ლექსში ძალზე დამახასიათებელია ტომასის პოეზიისათვის, იგი ხშირად ჩრდილავს ლექსის აზრობრივ საწყისს. ამიტომაც საყვედურობენ ტომასს ჭარბ ემოციურობას, პოეტური სახეების უცნაურ შერწყმას და სტილის ზედმეტ მეტაფორულობას. ემოციური საწყისის უპირატესობა ტომასის ლექსში შემთხვევითი როლია.

დილან ტომასის პოეზიაში ემოციური საწყისის მატარებელი ძირითადად პოეტური სახეა. თვით პოეზია ზოგადად შეიძლება განისაზღვროს, როგორც ინტელექტუალურ-ემოციური სახეებით აზროვნება, ისევე როგორც ფერწერა—ფერებით აზროვნებაა, ხოლო მუსიკა—ბგერებით. კლასიკური პოეზიის ნიმუშებში პოეტური სახე ინტელექტუალურ-ემოციურ მთლიანობას ინარჩუნებს და მასში, როგორც წესი, დაცულია ამ ორი მხარის წონასწორობა. XX საუკუ-

ნეში, დასავლეთის საზოგადოებრივი ცხოვრების კრიზისულ ეტაპზე, ჰარმონიულობის კლასიკური იდეალი იშლება და მხატვრული მსოფლალქმის მთლიანობაც ირღვევა. ევროპული მოდერნისტული სკოლების ესთეტიკა უპირველეს ყოვლისა ჰარმონიულობისა და მთლიანობის კლასიკურ იდეალზე შეტევას გულისხმობს. გავიხსენოთ თუნდაც თომას მანის ადრიან ლევერკიუნი, თავისი შემოქმედების მიზანს ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიასთან ბრძოლაში რომ ხედავს. დეკადანსი ლიტერატურასა და ხელოვნებაში სწორედ მხატვრული მსოფლალქმის დისჰარმონიით იწყება. ამიტომაც, რომ თანამედროვე ევროპულ პოეზიაში პოეტური სახის ერთი რომელიმე მხარე ძირითადად ბატონობს მეორეზე და ემოციისა და აზრის სინთეზი მიუღწეველი რჩება. თუ ელიოტის პოეზიას პირობითად „ინტელექტუალურს“ ვუწოდებთ, ტომასის პოეზიას „ემოციური“ უნდა ვუწოდოთ.

ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ტომასი პირწმინდად მოდერნისტი პოეტი იყოს—მის პოეზიაში საკმაოდ ძლიერია რეალისტური ნაკადიც. აშკარად იგრძნობა სიანლოვე ხალხურ შემოქმედებასთან. ტომასის პოეზია, უპირველეს ყოვლისა, მკითხველთა ფართო წრისათვის არის განკუთვნილი. თვითონ პოეტი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი ლექსების დიდ აუდიტორიაში დეკლამაციას. იგი ცნობილი იყო როგორც ლექსის ჩინებული მკითხველი. დილან ტომასი სტილისტური ხერხების ოსტატური გამოყენებით, ერთი შეხედვით უცნაურ სახე-სიმბოლოთა შეპირისპირებითა და ინტონაციის მზარდი დრამატიზმით იწვევს გრძნობათა მოზვავებას მკითხველში, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ერთი წაკითხვით ძნელია იმის თქმა, თუ სახელდობრ რის შესახებაა დაწერილი ლექსი. ემოციის სიმძაფრით და თავისებური განწყობილებით ტომასის ზოგიერთი ლექსი გალაკტიონის პოეზიის ნიმუშებს გვაგონებს.

საინტერესოა, რა მხატვრული მეთოდით ქმნიდა ტომასი ლექსს, ხშირად მგზნებარე და პათეტიკურ მონოლოგს რომ გვაგონებს. ამ მეთოდის საფუძველს, ჩვენი აზრით, მხატვრულ სახეთა კონტრასტულობა წარმოადგენს. პოეტურ სახეებს შორის კონტრასტს ტომასის პოეზიაში დაახლოებით იგივე დანიშნულება აქვს, რასაც კლასიკური მუსიკის საუკეთესო ნიმუშებში ორი ძირითადი თემა ასრულებს. პირველი თემა, ჩვე-

ულებრივ, ძალზე ღრმა განცდებს გადმოგვცემს, აღსავსეა ტრაგიკული ან ჰეროიკული პათოსით; მეორე თემა კი ლირიკული, უღერადი და ნაზია. მათ შორის კონტრასტი ქმნის ემოციურ ეფექტს. მთელი სამყარო ტომასს წარმოუდგება, როგორც მოწინააღმდეგე ძალთა ბრძოლა. მისთვის სიკვდილისა და სიცოცხლის, ნგრევისა და შენების, ზამთრისა და გაზაფხულის, მშვენიერებისა და სიმანხინჯის მუდმივ ჭიდილშია არსებობის აზრი. ცხოვრებისეულ ძალთა მუდმივ ორმტრიალში, წინააღმდეგობათა მარადიულ ბრძოლასა და ერთიანობაში ხედავს ტომასი სამყაროს ბრძნულ დიალექტიკას, მის პოეზიაში ის ვნებები მეფობს, პოეტის მგრძნობიარე ბუნება გარესამყაროდან რომ აღიქვამს. ტომასი წერდა: „მე ვქმნი ერთ პოეტურ სახეს — უფრო სწორად, ის თვითონ ჩაისახება ჩემში ემოციურად, შემდეგ კი ვაშველებ მთელს ჩემს ინტელექტუალურ და კრიტიკულ ძალებს, რათა მან წარმოქმნას სხვა სახე, შემდეგ ეს ორი სახე ერთმანეთს დაუპირისპირდეს, მათგან წარმოქმნილი სახისაგან მეოთხე საწინააღმდეგო სახე შეიქმნას და ოთხივემ ერთმანეთთან იკამათოს. ყოველი მხატვრული სახე თავისივე დაშლის მარცვალს შეიცავს და ჩემი დიალექტიკური მეთოდი, როგორც მე ის მესმის, ... სწორედ სახეთა სისტემატურ რღვევასა და აღდგენაში მდგომარეობს“.

შინაგანი ემოციურობა ტომასის ლექსის ფორმაში ძირითადად პოეტური ენის სირთულით ვლინდება. ტომასი თავის სიტყვათა მარაგს ძალზე თავისებურად იყენებს — იგი ყოველთვის ეძებს უჩვეულო მეტაფორებს, აერთიანებს, ერთი შეხედვით, სრულიად საწინააღმდეგო ცნებებს, ერთმანეთზე ახვავებს უცნაურ მხატვრულ სახეებს. ყოველივე ეს, თავის დანიშნულებას რომ არ ამართლებდეს, ძალზე ექსტრავაგანტურის შთაბეჭდილებას დატოვებდა მკითხველზე. ამიტომაც, რომ ზოგი კრიტიკოსი უკმაყოფილოა ტომასის პოეტიკით და აღნიშნავს, რომ იგი სიტყვების დიდ რაოდენობას იყენებს, სათქმელი კი არც ისე ბევრი აქვს. „ყველაფერი, რისი თქმაც გასურთ, შეგიძლიათ ერთ წინადადებაში გამოხატოთ და ეს არ იქნება ლექსი. შეგიძლიათ თქვათ, რომ ღმერთი სიყვარულია, ან რომ სიყვარული ღმერთია და ამით გაათავოთ; შემდეგ წადით და გოლფი ითამაშეთ,“ — წერდა ტომასი.

ტომასის პოეტური ენა რთულია, მაგრამ ამავე ღროს ძალზე თვითმყოფადი. მი-

ში პოეტური სახეების წყარო წარსულის პოეტთა შემოქმედებაში არ უნდა ვეძებოთ. ტომასის ლექსების წაკითხვისა და გაგებისათვის სულაც არ არის აუცილებელი, მკითხველს ელიოტისეული „ისტორიის შეგრძნება ჰქონდეს“, ჰქონდეს ლიტერატურის ისტორიის ერთიანი გააზრების უნარი, რასაც იეიტსის ან ელიოტის ლექსთა ანალიზისას ვერავინ აუვლის გვერდს. ტომასს საკმაოდ ნაკითხი პოეტი იყო და მისი ერთდროცა ჩანს თუნდაც სიტყვათა იმ დიდ მარაგში, ის რომ იყენებს. მაგრამ ტომასის ერთდროცა ისეთ ღრმა სახეცვლილებას განიცდის ლექსში, რომ მკვეთრად გამოხატული ლიტერატურული გავლენის პოვნა მის პოეზიაში თითქმის შეუძლებელია. ჩვენი საუკუნის ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურული კრიტიკა კი ელიოტის კრიტიკული მემკვიდრეობის წყალობით იმდენად „დახელოვნებულია“ თანამედროვე პოეტთა თუ პროზაიკოსთა შემოქმედების წყაროების ძიებაში, რომ ხშირად იქ ხედავს გავლენების კვალს, სადაც ის, უბრალოდ, არც შეიძლება არსებობდეს. თავის ღრმე თვით ელიოტიც, ემერსონისეული ტრანსცენდენტალიზმისა და ემილი დიკინსონის პოეზიის გავლენას რომ „აბრალებდნენ“, მათისებრ თან საუბარში იძულებული იყო ეთქვა, ემერსონი არასოდეს მომწონდა, ხოლო ქალბატონ დიკინსონის ლექსები საერთოდ არ წამიკითხავსო. მდიდარი ფანტაზიის მქონე კრიტიკოსებისაგან შეწუხებული დილან ტომასი წერდა: ინგლისურის გარდა ნეტავი კიდევ მცოდნოდა სხვა ენები... გავიგებდი მაინც, რას გულისხმობენ ზოგიერთები, როდესაც ამბობენ, რომ რემბოს მოუხდენია ჩემზე გავლენა“.

თავისი ფესვებით ტომასის პოეზია ცხოვრებისეულ ვნებათაღელვის ნაყოფიერ წიაღაგს უფრო უკავშირდება, ვიდრე წიგნის თაროს. ამიტომ ყოველგვარი მოსაზრება, კრიტიკაში რომ გვხვდება ტომასის შემოქმედების ლიტერატურული წყაროების შესახებ, ზოგადი და მიახლოებითია და იშვიათად თუ არის დასაბუთებული. ტომასის პოეზიის ხასიათიდან გამომდინარე, მართლაც, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მისი შემოქმედება ინგლისურ რომანტიზმთან სიახლოვეს ამჟღავნებს — თვითონ პოეტიც ხომ ამბობდა, მე ბლექის გზით მივდივარო. კრიტიკოსებმა დილან ტომასი ნეორომანტიკოსად გამოაცხადეს, მაგრამ პოეტის შემოქმედება ამ განსაზღვრების ფარგლებში ვერ თავსდება, ტომასი არ ყოფილა რომანტიზ-

მის ტრადიციების თანმიმდევრული მემკვიდრე. მის პოეზიაში ისმის სულ სხვა პოეტური სკოლის გამოძახილი — ტომასმა საკმაოდ ბევრი შეითვისა XVII საუკუნის ინგლისელი მეტაფიზიკოსი პოეტებისაგან, განსაკუთრებით ჯონ დონისაგან, ვისი შემოქმედებაც ევროპელ მკითხველ საზოგადოებას ოციან წლებში ახლად „აღმოუჩინა“ ელიოტმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ტომასის უცნაური მეტაფორების ერთ-ერთი წყარო სწორედ ჯონ დონის ლექსებია. თუ რომანტიზმის ტრადიციებში ტომასს მოსწონს ჰუმანური პათოსი, სიკეთისა და მშვენიერების აპოლოგია, დონის პოეზიაში მას, ისევე როგორც ელიოტს, იტაცებს აზრით გამსჭვალული ემოციურობა, ცხოვრებისეულ წინააღმდეგობათა ღრმა განცდა და სტილური ხერხების ოსტატურად გამოყენება.

1946 წლიდან, როდესაც ტომასის ლექსების საუკეთესო კრებული — „სიკვდილი და შესასვლელი“ გამოიცა, მისი პოეზია სულ უფრო მეტ მკითხველსა და თაყვანისმცემელს იძენს. ტომასის ლექსის თავისებურება ისაა, რომ, მიუხედავად პოეტური ენის სირთულისა, ის თითქმის ერთნაირად პოპულარულია საზოგადოების ყველა ფენაში. მის პოეზიას დიდი ინტერესით კითხულობენ როგორც პროფესიონალი ლიტერატორები, ისე პოეზიის მოყვარულთა ფართო წრეები. ტომასის ლექსებით აღტაცებული იყო ჩვენი დროის დიდი მუსიკოსი — იგორ სტრავინსკი, 1953 წელს უდროოდ გარდაცვლილი პოეტის ხსოვნას „სამგლოვიარო კანონები In Memoriam“ რომ უძღვნა. ხოლო ამერიკული სტუდენტობის კერპი, კომპოზიტორი და „პროტესტის სიმღერების“ შემსრულებელი ბობ დილანი ისე იყო გატაცებული ტომასის პოეზიით, რომ თავის არტისტულ ფსევდონიმად პოეტის სახელი აირჩია.

დილან ტომასის პოეზია იყო და რჩება დიდ მოვლენად XX საუკუნის ინგლისის ლიტერატურულ ცხოვრებაში. ტომასს არასოდეს იტაცებდა არც „ოქსფორდელ“ პოეტთა შემოქმედების სოციალური პრობლემატიკა, არც ელიოტის ჭარბი ინტელექტუალიზმი და რელიგიური ფილოსოფია. მისი შემოქმედების ღერძი, მისი შთაგონების წყარო ყოველთვის ადამიანი იყო, მისთვის ჩვეული განცდებითა და მისწრაფებებით. „ადამიანია ჩემი მეტაფორა“, — ამბობდა ტომასი და მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ამ დევიზისათვის არ უღალატია.



ჰაინრიჰ მანო

გერმანიულიდან თარგმნა ვიქტორ კანნიანვილიმა

კულტურა

რაიჰენბერგი (ამჟამად ქ. ლიბერეტი) ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე მდებარეობს. ქალაქის კულტურის დღესასწაული გაიმართა 1938 წლის 25 ივნისს. აღნიშნულ ზეიმში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობდა ალექსანდრე ფადეევი. ჩეხებისა და გერმანელების ერთობლივ ღონისძიებას ჰაინრიჰ მანო მიუძღვნა ალფრთოვანებული წერილი, რომელმაც საერთო აღიარება ჰპოვა. პირველად იგი 1938 წლის 22 ივნისს დაიბეჭდა „ფოლკს-ილუსტრირტეში“, 26 ივნისს „დოიჩე ფოლკს-ცაიტუნგმაც“ გადაბეჭდა. წერილის დიდ ღირსებაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ იგი იმავე წელს გამოქვეყნდა რუსულ ენაზეც („ინტერნაციონალნაია ლიტერატურა“ № 8, 1938 წ.).

არის ნაწარმოებები, რომელთაც დრო ვერაფერს აკლებს, ეს წერილი კი ჩვენ სწორედ ასეთად მიგვაჩნია, ამიტომ ვთავაზობთ მკითხველს თუნდაც ასე მოგვიანებით.

მთარგმნელი

ქალაქ რაიჰენბერგის კულტურის სახალხო დღესასწაული გერმანელებისა და ჩეხების ერთობლივი ღონისძიებაა. კულტურა საერთოა ყველასათვის. უძველეს მიწაზე მეზობლად მცხოვრები ჩეხებისა და გერმანელების ისტორიული ტრადიციები მთელ მოდგმას ეკუთვნის. ისინი ჰუსიტების ჩამომავლები არიან, რომლებიც თავიანთი რწმენისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ალბათ ვერასდროს მიიგნება, რა ძალით

ჩქევს წინაპართა სისხლი შვილთა ძარღვებში. მაგრამ შეურყეველია სულიერი მემკვიდრეობა. მარადუამს რჩება ის, რისთვისაც მხარდამხარ იბრძვიან ასეული წლების განმავლობაში.

ხალხთა ბრძოლა ყოველთვის იყო რწმენისა და თავისუფლების გამომხატველი. სხვა რამ ალბათ არც არსებობს. არც ერთი ხალხი არ დასხმია თვითნებურად თავზე მეორეს, ყაჩაღობასა და სხვათა დაპყრობას არა-

ვინ თვლიდა თავის ღვიძლ საქმედ. დამონება და რბევა ძველთაგანვე მზაკვრობის დადასტურებად იყო მიჩნეული. მას ხალხი არასოდეს თანაუგრძობდა. ყოველმა ადამიანმა კარგად იცის, რომ საკუთარი მიწაც ეყოფა, თუ ის სამართლიანად იქნება განაწილებული და აღებული მოსავალიც იმის ხელში მოხვდება, ვინც მას ამუშავებს. ამის პირველი პირობა კი თავისუფლებაა. მხოლოდ თავისუფალ ხალხს ძალუძს მოიძოვოს ამგვარი უფლება. ამიტომაც ერთადერთი და ჭეშმარიტი ხალხთა ბრძოლა რწმენისა და თავისუფლებისათვის.

ამ ბრძოლის ძეგლი სწორედ კულტურაა. მისი გამოხატულებაა მზრუნველობა — ადამიანთმზრუნველობა. არავითარ შემთხვევაში ნებივრობა და მცონარეობა! თავისუფლებისათვის სიტყვითა და მახვილით ერთნაირად იბრძვიან. სანამ მახვილს აღმართავენ, თავისუფლებისათვის მებრძოლნი, უპირველეს ყოვლისა, სიტყვას წონიან ხოლმე. მეორეს მხრივ, ყოველ განმათავისუფლებელ ბრძოლას თან მოჰყვება დიდი ლიტერატურა. ჰუმანიზმის სათავეებში ჰუტენივით აბჯარასხმულნი დგანან. გერმანელებისა და სხვა ხალხების კლასიკოსთა მოგვიანო ძეგლებშიც ვხვდებით თავისუფლებისათვის ბრძოლის მოტივებს.


კლასიკოსი მწერლები და მოაზროვნენი ისტორიის თანამგზავრები არიან. ისინი სრულქმნიან თავიანთი ხალხის ღრმა განცდებს და სამარადისოდ უკვდავყოფენ ადამიანთა სულიერ მოთხოვნებს. ეს მოთხოვნაა თავისუფლება, ხოლო თავისუფლების საშუალებით — ბედნიერების მიღწევა დედამიწაზე. გოეთემ ხალხიდან გამოსული მებრძოლით — გიოტციტ დაიწყო. მის იდეალურ გმირს კი რამდენადმე სრულყოფილად მოხუცი ფაუსტი განასახიერებს. კულტურა ადამიანზე ზრუნვაა და როცა ის ფასეულია, მაშასადამე, დიდი გარჯისა და შრომის ნაყოფიც არის. ჰუტენი, ფაუსტი ან გიოტცი — ვითარცა გოეთე, მძაფრი ბრძოლების უღიადესი სახელებია.

კულტურის მოძულეებმა და დამორგუნველებმა იციან, რასაც აკეთებენ. ჩლუნგი

გონება რალაც მანქანებით აგრძნობინებს, რომ კაცობრიობა და მისი სულიერი მონაპოვარი მათ წინააღმდეგაა მიმართული. სადაც არ უნდა ბოგინობდნენ, მათი პირველი დაუძინებელი მტერი სწორედ სულიერად ამაღლებული მებრძოლია. ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ თავისუფლები არიან, დღეს ვენას შესცქერიან: ისინი თვალნათლივ ხედავენ, რას ნიშნავს კაცთმოძულეთა უღელქვეშ გმინვა. თუ შეძრწუნებული საზღვარგარეთი ვერ გამოიხსნის ცალკეულ სწავლულთ, მათ მწვალებლური სიკვდილი ელით, მაგრამ საშიშროება მარტოოდენ ეს როდია. საშიშროება საერთო დამცირებაში, დამონებაში, გონების დაბნელებაში და ყოფიერების აღსასრულშია. თავდაპირველად იწყება სულიერი სიკვდილი. რაც შემდეგ რჩება, ის უკვე ცოცხალ ლეშთა სასაკლაოა სამარცხვინო ომებში.

გადამწყვეტი დღეებია. თვითეულმა კარგად უნდა აწონ-დაწონოს და მოიფიქროს. ვინც სინდისის ქენჯნას არად დაგიღვეს და მხოლოდ პირად თავისუფლებაზე ფიქრობს, მას უფსკრულისაკენ გააქანებს ბედისწერა. თვითეულმა კარგად განსაჯოს თავისი ადგილი. ან უბატრონოს მემკვიდრეობით ნაბოძებ კულტურას, ანდა უარი თქვას სამარადისოდ. კულტურა აროდეს ყოფილა თავშესაქცევი რამ, მითუმეტეს დღეს. დაე. ყველამ იფიქროს მის დაცვაზე და ვინც დგას, ნუმც დაეცემა! სანუგეშოა, რომ ცივილიზაცია და კაცთმოყვარეობა არ დაცემულა. მოძულეთა პირისპირ ადამიანები უფრო მამაცდებიან.

შორეულ არგენტინაში თავისუფალი გერმანული სკოლა საკუთარი შენობის დამთავრებას დღესასწაულობს. სასწავლებელი დაარსდა და თანდათანობით გაფართოვდა, მიუხედავად დევნისა, ბოიკოტის გამოცხადებისა და მესამე რაიჰის აგენტთა თავდასხმისა. ისევ დადგა დრო მეცნიერების ახალი აღმავლობისათვის, რასაც ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ესწრაფვოდნენ გერმანელი ჰუმანისტები. ქალაქი რაიჰენბერგიც ერთდროულად ზეიმობს სახალხო კულტურის დღეს—გერმანელებისა და ჩეხების ერთობლივ დღესასწაულს.



ოტარ ხუციშვილი

მსოფლიო ლიტერატურის დიდი უცნობი

ბ. ტრავენი მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალებით მოცული მწერალია. თითქმის ორმოცი წლის მანძილზე უცნობი რჩებოდა ათობით რომანის, მოთხრობისა და ნოველის ავტორი, თუმცა მისი ნაწერები მრავალმილიონიანი ტიპოგრაფიით ხუთასჯერ გამოიცა მსოფლიოს ხალხთა ოცდათექვსმეტ ენაზე.

ბ. ტრავენის გახვევას საიდუმლოების ბურუსში ხელი შეუწყო თვით მწერლის სურვილმა — უცნობი დარჩენილიყო მკითხველისათვის, რადგან, მისი რწმენით, მთავარია თვით ნაწარმოები და არა მათი ავტორი, ვინც „მეწალის მსგავსად თავის მოვალეობად მხოლოდ იმას მიიჩნევს, რომ კარგი და მოხდენილი ფეხსაცმელი შეკეროს“.¹

მწერლის წიგნების ყლაზე მხოლოდ ბ. ტრავენი ეწერა. არავინ იცოდა ფსევდონიმი იყო ეს თუ ნამდვილი სახელი. ინიციალი „ბ“ — ბრუნოს საწყის ასოდ მიაჩნ-

დათ, მაგრამ არც ეს იყო დანამდვილებით ცნობილი. ავტორი გულმოდგინედ მალავდა თავის ვინაობას, ასაკს, წარმოშობას.

ლიტერატურათმცოდნენი წლების მანძილზე გულმოდგინედ იკვლევდნენ მის წიგნებს, ცდილობდნენ ამოეხსნათ მწერლის საიდუმლოება. კერძო დეტექტივები ჩხრეკდნენ მექსიკის ოლქებს ტრავენის კვალს მისაგნებად. გამოცდილი რეპორტიორები დაულაღავად „ნადირობდნენ“ ყოველ „საექვო პირზე“, ვისაც კი ტრავენის რომანების გმირებს მიაშვავებდნენ.

მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. თუმცა ბიზნესის სამყაროში ეს დაუჭერებელია, მაგრამ ბ. ტრავენი გაურბოდა სახელსა და დიდებას.

ბ. ტრავენის წიგნების მთარგმნელებს და გამომცემლებს თუ დავუჭერებთ, მათ არასოდეს უნახავთ იგი. ენციკლოპედიებში ვერ იპოვნით მასზე მეტნაკლებად სარწმუნო ცნობებს. წიგნების გამომცემლებს ურთიერთობა ჰქონდათ მის წარმომადგენლებთან და მხოლოდ მისი საფოსტო ყუთის ნომერი იცოდნენ მეხიკო-სიტში. ამ ნომრით

¹ ბ. ტრავენის წერილიდან მ. გეორგესალში „Weltbühne“, 24 სექტ. 1929 წ.

უგზავნიდნენ წერილებსა და ჰონორარს. გადიოდა წლები და ტრავენის საიდუმლოება ამოუცნობი რჩებოდა. 1948 წელს ამერიკულმა უურნალმა „ლაიფმა“ ხუთი ათასი დოლარი დააწესა ჯილდოდ იმ პირისათვის, ვინც უტყუარ ცნობებს მიაწოდებდა მწერლის თაობაზე. მაგრამ ამ ჯილდოს გაცემა არ ეწერა.

რაკილა ტრავენის ბიოგრაფიის დადგენა ვერ მოხერხდა, ლიტერატურულმა სამყარომ მრავალი ლეგენდა შექმნა. ცნობილია შისი ოცდამეათი „ბიოგრაფია“, ყველა ავტორი, საკუთარი მოსაზრების უტყუარობას ირწმუნებოდა. ზოგი ამტკიცებდა, რომ ეს სახელი ფსევდონიმი და მას თავს აფარებს ამერიკელი დეზერტირი მეზღვაური, სხვები აცხადებდნენ — ტრავენი ძველი რუსი თავადი არისო, მესამეთა აზრით, იგი ჰოჭენცოლერების ნაშიერია, ვინც მექსიკაში მოინდომა ცხოვრება. დადიოდა ხმები, თითქოს სახელგანთქმული რომანების ავტორი მექსიკელ მწერალთა მთელი კოლექტივიაო. ერთხელ ამ კოლექტივის წევრთა ფოტოები და სახელებიც გამოაქვეყნეს.

ერთი ბიოგრაფის მიხედვით, ბ. ტრავენი ნორვეგიულ ოჯახში დაიბადა, შემდგომ ეს ოჯახი აშშ-ში გადავიდა საცხოვრებლად. ტრავენი ბავშვობიდანვე შეიქნა იძულებული, ლუკმა პური საკუთარი შრომით ეშოვნა, ათი წელი იმუშავა იუნგად სავაჭრო ხომალდზე, რომელსაც ტვირთი წყნარ ოკეანის ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის სანაპირო ნავსადგურებში მიჰქონდა; მოხეტიალე ცხოვრებას ეწეოდა, მრავალი ხელობა გამოიცვალა, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში კი წინასწარგანზრახვით მექსიკაში მიიშალა და ამ ქვეყნის ცხოვრება თავისი შემოქმედების თემად აქცია.

ზოგს ესპანელ ქალად მიაჩნდა, ზოგს გადამდგარ პრეზიდენტად, ხოლო ზოგმა ისიც კი განაცხადა — იგი ჯეკ ლონდონი გახლავთ, ვისაც თავი კი არ მოუკლავს, არამედ მევაღეთა შიშით ფსევდონიმით შეინიღბა და ახლა მექსიკის ჯუნგლებში იმალებაო.

სხვა მოსაზრება ტრავენს გერმანიის ახალგაზრდა რევოლუციონერთა წარმომადგენლად მიიჩნევდა.

ტრავენის მხატვრული შემოქმედების ერთ-ერთი პირველი შემფასებელი გერმანელი მწერალი მანფრედ გეორგი, ვინც მას რამდენიმე წერილიც მისწერა, გადმოგვცემს, რომ მწერლის ფსევდონიმი წარ-

მოშვა რედაქტორის შეცდომამ, რადგან ხელმოწერა ტრაუმი (გერმანულად: ოცნება, ძილი) ტრავენად წაიკითხაო. მ. გეორგს აზრით, საკმარისია ამ სიტყვაში გადავსვათ ასოები, რომ მივიღოთ „მარუტი“ — ანტიმილიტარისტული უურნალის „დერ ცაიგელ ბრენერის“ (გერმანულად — მეთაური) გამომცემლის ფსევდონიმი.

აღნიშნული უურნალი გამოდიოდა მიუნხენში 1917 წლის სექტემბრიდან 1920 წლის აპრილამდე და, როგორც თვითონ აცხადებდა, მიზნად ისახავდა მოემზადებინა „ავტრები ძველი სამყაროს დასანგრევად და ახლის ასაშენებლად“.

1919 წლის მაისში, როცა რეაქციამ ბავარიის ახალგაზრდა რესპუბლიკა დაამარცხა, რეთ მარუტი სხვა რევოლუციონერთან ერთად დააპატიმრეს და სიკვდილი მიუსაჯეს. „ციგელბრენერის“ რამდენიმე ნომერი კიდევ გამოვიდა, შემდეგ კი რეთ მარუტის კვალი დაიკარგა. ამგვარად, ამ ვერსიის ავტორი ტრავენს გერმანელ რევოლუციონერ რეთ მარუტად მიიჩნევს. ეს ვერსია განამტკიცა 1946 წელს უურნალ „პლანში“ (ვენა) გამოქვეყნებულმა ლ. შპიცეგერის წერილმა, სადაც ავტორს მოჰყავს დამატებითი საბუთები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდებოდა, მარუტი ტრავენთან გაეგივებინათ. ამ საბუთებს ლ. შპიცეგერი წასწყდომია გერმანელი პოეტისა და რევოლუციონერის ერის მიუზამის ბიოგრაფიაზე მუშაობისას. მიუზამმა, რომელიც მარუტთან ერთად დააპატიმრეს, 1925 წლამდე ციხეში დაჰყო. 1926 წელს, ტრავენის რომანის „მკვდართა ხომალდის“ გამოქვეყნების შემდეგ, მიუზამმა გამოთქვა ვარაუდი — წიგნის ავტორი რეთ მარუტი იქნებაო და უურნალ „ფანალის“ („შუქურა“) ფურცლებიდან (რომლის გამომცემელიც თვითონ იყო) „ციგელბრენერის“ გამომცემელს მოუწოდა — გამომეხმარეო. მართლაც, მექსიკიდან მიიღო სტატია, ამ სტატიას ხელმოწერა არ ჰქონდა, მაგრამ ტრავენის მანერით იყო დაწერილი.

სანამ რეპორტიორები და ლიტერატურათმცოდნენი ტრავენის კვალს ეძებდნენ, ლაიფციგელმა მწერალმა და ლიტერატორმა როლფ რეკნაგელმა დაიწყო იმ ლიტერატურის გაცნობა, ტრავენის ირგვლივ რომ იყო შექმნილი, მოინახულა მრავალი ქვეყნის ბიბლიოთეკა და არქივი. რ. რეკნაგელმა გამოიკვლია „ციგელბრენერის“ ტექსტები, გააანალიზა მათი სტილი და შეადარა

იგი ტრავენის ნაწარმოებებს, რის შედეგად აღმოჩინა ამ ორი პიროვნების აზრებისა და შემოქმედებითი ხელწერის დიდი მსგავსება და შესაძლებლად მიიჩნია გამოცხადებინა, რეთ მარუტი და ბ. ტრავენი ერთი და იგივე პიროვნებაა¹. მალე რ. რეკნაგელმა გამოაქვეყნა კვლევა-ძიების ახალი შედეგები, ლიტერატურული ანალიზისას ცოცხალ მოწმეებსაც იშველიებდა, კერძოდ, მარუტის ქალიშვილს¹. ფსევდონიმის წარმოშობას ადვილად ხსნიდა: ადრი ტრავენი გახლდათ მსახიობი ქალი, ვინც მარუტს უყვარდა². რ. რეკნაგელის აზრით, მარუტი იძულებული გახდა ვენაში გაქცეულიყო, აქედან კი მექსიკაში. თუმცა რ. რეკნაგელი თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად სათანადო საბუთებსაც იშველიებს, მაგრამ ამჟამად უკვე ცნობილია, რომ მისი კვლევის მასალებიც არ ყოფილა უტყუარი.

ტრავენის ირგვლივ შექმნილი ბუნდოვანება თანდათან გაიფანტა მას შემდეგ, როცა ჟურნალისტებმა მოახერხეს ვაგოთ იმ ქალის ვინაობა, ვისაც მეხიკოს მთავარი ფოსტამტიდან ფოსტა მოჰქონდა ტრავენისთვის. ეს გახლდათ როსა ელენა ლუხან დე ტორსვანი, მწერლის მეუღლე. მექსიკელმა ჟურნალისტმა ლუის სუარესმა 1966 წელს მოახერხა პირველად მწერლისაგან ინტერვიუს მიღება. როგორც ლ. სუარესმა განაცხადა, მწერლის აზრით, მის ირგვლივ არავითარი იდუმალება არ არის, რომ ყველაფერი ჟურნალისტებმა მოიგონეს კარიერის გასაკეთებლად და ეს გამოწვევა თავიანთი ლალი ფანტაზიით შეაფერადეს. ხოლო ამას მე ხელი იმით არ შევუშალე, — განაცხადა ბ. ტრავენმა, — რომ არ მსურდა „გამძლიერებინა ეს საიდუმლოება. მწერლის მნიშვნელობა მის წიგნებშია და არა მის პირად ცხოვრებაში“. ლ. სუარესთან საუბრისას მწერალმა უარყო მისი ბიოგრაფიის ირგვლივ დაწერილი ყველა წიგნი, მათ შორის რ. რეკნაგელისა (გამოიცა ლაიფციგში) და მაქს შმიტისაც (გამოიცა ციურხში).

ბ. ტრავენის პოპულარობა განაპირობა, ერთის მხრივ, მკითხველის დაინტერესებამ მისი ნაწარმოებებით, ხოლო მეორე მხრივ, იმანაც, რომ იგი ჯიუტად განაგრძობდა საზოგადოებისაგან განდგომას, არ ეხმაურებო-

და პრესის მრავალგზის მოწოდებას — მკითხველისათვის გაეცნო თავისი პიროვნება, ბიოგრაფია: სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მას მტკიცე პირობა დაედო, არ გამოექვეყნებინა არავითარი ცნობა საკუთარი ცხოვრებიდან და არასოდეს გადაეღო ფოტოსურათი, „თუმცა ჩემი პირადი ცხოვრება ჩემს მკითხველებს იმედს არ გაუტრუებს, მაგრამ ეს ჩემი პირადი საქმეა და არავის არ ენება“, — განუცხადა მწერალმა ერთ-ერთ გამომცემელს.

ლ. სუარესის ინტერვიუდან, რაც ჟურნალ „სემპრეში“ გამოქვეყნდა, ვგებულობთ, რომ მწერალი დაბადებულია 1890 წელს ჩიკაგოში, ღარიბი მეთევზის ოჯახში, რითაც ძლიერ ამაყობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ იგი მშობლებთან ერთად ევროპაში გადადის და გერმანიაში სახლდება. აქვე გამოდის მისი პირველი წიგნი „მკვდართა ხომალდი“ დაწერილი გერმანულ ენაზე. წიგნმა კრიტიკოსთა და მკითხველთა ყურადღება მიიპყრო. დაინტერესდნენ ავტორის ვინაობით, მაგრამ მწერალმა გამომცემელს აგრძნობინა, რომ უცნობად დარჩენა ერჩივნა.

ტრავენის წიგნი პირველად გამოვიდა გერმანიაში, სადაც ერთხანს ცხოვრობდა. ამის გამოც მიიჩნიეს, ალბათ, იგი გერმანელია. თუმცა მწერალმა უარყო ეს. 1966 წელს ტრავენმა ამერიკელ გამომცემელს გაუგზავნა წერილი და განაცხადა: „მინდა აღვნიშნო..., რომ გერმანელ ერს არ ვეკუთვნი“.

სუარესი ასწორებს იმ შეცდომას, რაც მწერლის სახელთან იყო დაკავშირებული. აქამდე იგი ბრუნოდ მიაჩნდათ. სუარესი ამტკიცებს, რომ ტრავენი სახელია, გვარი კი ტორსვანია.

1950 წლიდან ტრავენ ტორსვანი მექსიკის მოქალაქეობას იღებს, თუმცა ამ ქვეყანაში იგი გაცილებით ადრე ჩასულა. პირველ წლებში ცხოვრობდა ჯუნგლებში, უდაბნოებსა და მთებში. შემოუფლია მექსიკის ქალაქები და ნავსადგურები. ერთ ხანს ქ. აკაპულკოშიც უცხოვრია. ყურადღებით სწავლობდა ამ ქვეყანას, მის ხალხს, ზნეჩვეულებებს. „ვისაც სურს შეიცნოს დაბურული ტევრებისა და ჯუნგლების სულა, მექსიკელთა ცხოვრება და სიმღერები, მათი სიყვარული და მძაფრი სიძულვილი, — ამბობდა მწერალი, — მეხიკოს რეჟისორტელში კი არ უნდა ცხოვრობდეს, არამედ ჯუნგლების სიღრმეში მიდიოდეს, უყვარდეს ისინი, დაუნათესავდეს მათ“.

მწერლის ეს ნათქვამი ლიტონი სიტყვები

¹ Forum, 1961, № 21.

² უფრო დაწვრილებით იხილეთ R. Recknagel, B. Trauen, Beiträge zur Biographie.

არ ყოფილა — იგი მისი შემოქმედებით დადასტურდა.

ლ. სუარესის ცნობები ამჟამად უტყუარად შეიძლება ჩაითვალოს.

მენიკოში გამოქვეყნდა ზოგიერთი ცნობა მწერლის ბიოგრაფიიდან. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა“ 1969 წლის 29 მარტს დაბეჭდა აღნიშნული სააგენტოს კორესპონდენტის, იმავე ლ. სუარესის წერილი ტრავენ ტორსვანის გარდაცვალებაზე.

სიცოცხლის ბოლო კვირების მანძილზე ავტორი აგრძელებდა თავისი შვიდი წიგნის გადამუშავებას ნიუ-იორკელი გამომცემლის ლ. ჰილისათვის.


იგი გარდაიცვალა მენიკო-სიტში 79 წლის ასაკში, გულის დამბლისაგან. კრემაცია გაუკეთეს მენიკოს ჰოსპიტალ დე დოლორეს ძველ კრემატორიუმში. ფერფლი გადაეცა მის ცოლს — როსა ელენე ლუხან დე ტორსვანს.

სამგლოვიარო პროცესიას აცილებდნენ გამოჩენილი მსახიობები და რამდენიმე სასულიერო პირი. მათ შორის იყო მექსიკე-

ლი კომუნისტი მხატვარი სიკეიროსი. მექსიკელი მწერლები და მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლები დასაფლავებას არ დასწრებიან, რადგან ტრავენი მექსიკელ მწერალთა გაერთიანებას არ ეკუთვნოდა.

ცნობილი გახდა ტრავენის ანდერძიც, რაც მას 4 მარტს დაუწერია თავისი მეგობრის თანდასწრებით. ანდერძიდან ჩანს, რომ მისი სახელია ტრავენ ტორსავენ კროუსი. დაბადებულია 1890 წლის 3 მაისს, ჩიკაგოში, აშშ-ში, შემდეგ კი მექსიკის მოქალაქეობა მიუღია. თავისი ლიტერატურული მოღვაწეობისას იყენებდა ფსევდონიმებს: „ბ. ტრავენი“ და „ჰელკროუსი.“ ვრცელი არქივი და საავტორო უფლებანი ცოლს დაუტოვა. მეუღლეს გადასცა თავისი ბიოგრაფიული ცნობების გამოქვეყნების უფლებაც.

დღემდე ქართველი მკითხველი თითქმის არ იცნობს ამ მწერლის შემოქმედებას: მის ნაწარმოებთაგან არაფერი გამოქვეყნებულა, გარდა ერთი პატარა მოთხრობისა — („ჭეჭა-ჭუხილის ქალღმერთი“, „ცისკარი“ № 1, 1966 წ.).



მართლ...

რათღოდ გერმანულის მაგივრად ფრანგული სიტყვები უნდა იხმაროთ.

* *

ერთი მოწაფე ძველ ბერძენ ფილოსოფოს სოკრატეს შეეკითხა:

— ერთის ნახვით სიყვარულის წინააღმდეგ რაიმე წამალი ხომ არ იცით?

— როგორ არა, — უპასუხა ფილოსოფოსმა, — უბრალოდ მეორედ უფრო დაკვირვებით უნდა შეხედოთ.

* *

— ბატონო პროფესორო, ხომ ვერ მეტყვით სად აღმოვჩნდები, აქედან თხრა რომ დავიწყო და დედამიწა მთელ დიამეტრზე გავხვრიტო? — შეეკითხა სტუდენტი ცნობილ გერმანელ გეოლოგს რემერს.

— ფსიქიატრიულ საავადმყოფოში, — უპასუხა მეცნიერმა.

* *

ა. რუბინშტეინთან ერთი მისი თაყვანისმცემელი მივიდა და კონცერტზე დასასწრებლად რამდენიმე ბილეთი სთხოვა.

— ძალიან ვწუხვარ, — უპასუხა რუბინშტეინმა, — მაგრამ მხოლოდ ერთი ბილეთი მაქვს, ისიც ფორტეპიანოსთან.

* *

გაზეთის რედაქტორად მუშაობისას მარკ ტვენს გამოუგზავნეს საკმაოდ დიდი შეკვრაცული ლექსებისა ასეთი სათაურით: „რატომ ვარ ცოცხალი?“

მარკ ტვენმა დააბრუნა ხელნაწერები და უპასუხა: „იმიტომ, რომ ლექსები ფოსტით გამოგზავნეთ და პირადად არ მობრძანდით“.

* *

— ძნელია ფრანგული ენის სწავლა? — შეეკითხა ჰაინეს ერთ მანდილოსანი.

— არც ისე! — უპასუხა ჰაინემ, — უბ-

ერთხელ ბერნარდ შოუს შეეკითხნენ:

— თქვენ ხშირად დასცინით ხოლმე ცრუმორწმუნეებს, მაგრამ ხომ შეიძლება გზაზე შავმა კატამ გადაგირბინოთ და ეს თქვენთვის საბედისწეროდ დამთავრდეს?

— როგორ არა, შეიძლება მასეც მოხდეს, მე რომ თავი ვიყო.

□

ჩვენი ავტორიანი

შერვულ ანდერსონი (1876—1941) ამერიკის ლიტერატურულ ასპარეზზე ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში გამოვიდა. „უაინსბერგი, ოჰაიო“ (1919 წ.) მწერლის ერთ-ერთი პირველი წიგნი იყო და მან გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო მკითხველთა და კრიტიკოსების ყურადღება. ნოველათა ამ ციკლს, მთავარი გმირი (ჯორჯ უილარდი), მოქმედების ადგილი და ფსიქოლოგიური გარემო რომ აერთიანებს ერთ წიგნად, ანდერსონის თანადროულმა ლიტერატურისმცოდნეებმა „ამერიკის ცნობიერების სახარება“ უწოდეს. ანდერსონმა ამერიკულ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა, როგორც

ნოველისტმა. მოთხრობების კრებულები: „კვერცხის ზეიმი“ (1921 წ.), „ცხენები და ადამიანები“ (1923 წ.), „სიკვდილი ტყეში“ (1933 წ.) კლასიკურ ლიტერატურად იქცა. ანდერსონმა გავლენა მოახდინა ჰემინგუეის, ფოლკნერისა და თომას ვულფის შემოქმედებაზე, ამიტომაც უწოდებენ მას „მწერალთა მწერალს“.

ანდერსონის წიგნები მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა, რუსულ ენაზე თარგმნილია მისი ყველა რომანი და მრავალი მოთხრობა. ქართულ ენაზე დღემდე ანდერსონის მხოლოდ სამი ნოველაა გამოქვეყნებული („კვერცხი“, „არავინ არ იცის“ და „ქალაქის სორსოლები“).

თომას კლეიტონ ვულფი დაიბადა 1900 წელს აშვილელი ქვისმთელის ოჯახში. დაამთავრა ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი. პირველივე რომანმა „მობრუნდი სახლისაკენ, ანგელოზო“ მწერალს დიდი აღიარება მოუტანა, ეს რომანი 1929 წელს დაისტამბა ნიუ-იორკში. ამას მოჰყვა რომანი „დრონი და მდინარენი“. ამ რომანებში ერთმანეთს უპირისპირდება ახალგაზრდა კაცი და მეშხანური საზოგადოება. თომას ვულფი გარდაიცვალა 1938 წელს. მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა წიგნები „აბლაბუდა და კლდე“ და „სახლში ვერ დაბრუნდები“. გარდა რომანებისა თომას ვულფს ეკუთვნის ბევრი მოთხრობა, რომელთა შორის გამოირჩევა „სიკვდილი—ამაყი დაიჩემი“, „მიწის აბლაბუდა“ და სხვა. მწერლის ესსეისტური მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია „ერთი რომანის ისტორია“.

მიკლოშ რადნოტი (1909—1944) ცხოვრება და მოღვაწეობა ევროპაში ფაშისტური ტერორისა და მეორე მსოფლიო ომის პერიოდს დაემთხვა. უნიჭიერესი პოეტის სიცოცხლე საკონცენტრაციო ბანაკში დასრულდა, მაგრამ გრძელდება მისი ვაჟკაცუ-

რი და მოუტეხავი სიმღერა, როგორც სიმბოლო თავისუფლებისა და სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულისა.

ედუარდ ბაგრიცკი (ძიუბინი) დაიბადა ოდესაში 1895 წელს. 1915 წელს დაისტამბა მისი პირველი ლექსები. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ედუარდ ბაგრიცკი იბრძოდა პარტიზანულ რაზმებში, წერდა სააგიტაციო ხასიათის ლექსებს. 1926 წელს გამოიცა ბაგრიცკის პოემა „ფიქრები ათანასეზე“, სადაც აღწერილია სამოქალაქო ომის ამბები უკრაინაში. პოემას ემჩნევა ტარას შევჩენკოს პოეზიის დიდი გავლენა. ამის შემდეგ ბაგრიცკის შემოქმედებაში ძირითადი ადგილი დაიჭირა რევო-

ლუციურ-რომანტიკულმა მოტივმა. ბაგრიცკი გარდაიცვალა 1934 წელს მოსკოვში.

ედუარდ ბაგრიცკის ლექსები ქართულად თარგმნა ოთარ ჭილაძემ (1962 წ.), ქართულად ითარგმნა, აგრეთვე პოემა „პიონერის სიკვდილი“.

ბარბუ დელავრანჩა—რუმინელი კლასიკოსი დაიბადა ქ. ბუქარესტში 1858 წელს. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ბელეტრისტული, დრამატურგიული და პუბლიცისტური ნაწარმოები. ბარბუ დელავრანჩას შემოქმედება გამსჭვალულია მშობლიური ხალხის სიყვარულით, მშრომელი ადამიანებისადმი ღრმა სიმპატიით და თანაგრძნობით. ბ. დელავრანჩა გარდაიცვალა 1930 წელს.



«САУНДЖЕ»

**литературно-художественный
альманах**

(на грузинском языке)

1 9 7 7

№ 1

Издательство «Мерани»

380008. Тбилиси, пр. Руставели, 42.

□ □ □

გადეცა წარმოებას 10/XII-76 წ. ხელმოწერილია და-
საბეჭდად 29/I-77 წ. ქალაქის ზომა 70 X 108¹/₁₆.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,772. ნაბეჭდი
თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 1017.

ფასი 1 მან.

მხატვრული რედაქტორი ლევან ცუცქერიძე
მხატვარი პაპი თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი იმნაიშვილი


□ □ □

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა-
თა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სა-
ხელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

**Комбинат печати Государственного комитета Со-
вета Министров Грузинской ССР по делам изда-
тельств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Марджанишвили № 5.**

Op 28/4

76132



24

